

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართულური ენათმეცნიერება

VIII

COLLECTION OF SCIENTIFIC PAPERS

KARTVELIAN LINGUISTICS

ედვინება ემერიტუს პროფესორ
ლელი ბარამიძეს

Dedicated to Emeritus Professor
Leli Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
Educational and Research Institute of the Georgian Language

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართველური ენათმეცნიერება

VIII

COLLECTION OF SCIENTIFIC PAPERS

KARTVELIAN LINGUISTICS

ექლვნება თსუ-ს ემერიტუს პროფესორ ლელი ბარამიძის
დაბადებიდან 90-ე წლისთავს

Dedicated to the 90th Birthday of Emeritus Professor of TSU

Leli Baramidze

თბილისი

2021-2022

კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორ ლელი ბარამიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავს. მასში შესულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი ქართული ენის, ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა 2021-2022 წლების სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ნაკითხულია აკაკი შანიძისა და ფარნაოზ ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციებზე. მათში განხილულია ქართველურ ენათა და ძველი ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკა-პრაგმატიკის, ლექსიკის, ტექსტოლოგიის, ეტიმოლოგიისა და ონომასტიკის საკითხები.

„ქართველური ენათმეცნიერება“ მომზადდა 2021-2022 წლებში. კრებული განკუთვნილია ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების მკვლევარებისთვის, ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის, ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორები: პროფ. დარეჯან თვალთვაძე
პროფ. რამაზ ქურდაძე

პასუხისმგებელი მდივანი ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილი



ლელი ბარამიძე
(1931 - 2012)

შინაარსი/Contents

ლელა ციხელაშვილი, პროფ. ლელი ბარამიძე – მეცნიერი და პედაგოგი	7
Lela Tsikhelashvili, Prof. Leli Baramidze – Scholar and Teacher	7
გიორგი გოგოლაშვილი, დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა სახელ-გვარების თაობაზე	13
Giorgi Gogolashvili, David Kldiashvili’s Character Names	13
რუსუდან ზექალაშვილი, სხვათა სიტყვა: კლასიფიკაცია და გადმოცემის საშუალებები ქართულში	20
Rusudan Zekalashvili, Reported Speech: Classification and Means of Expression’s in Georgian	20
დარეჯან თვალთვაძე, „თავეები“ ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში	37
Darejan Tvaltvadze, The “Kephalaia” in the Georgian Manuscripts of the Four Gospels	37
მაია ლომია, რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი, ზოგი უ- – -ო სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“	52
Maia Lomia, Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani, On Certain Occasional Verb-forms with Nominal Stems and u- – -o Circumfix in “The Knight in Panther’s Skin”	52
ქეთევან მარგიანი, იალცუნესგა – დალის (კოდორის) ხეობის „შუამდინარეთი“	63
Ketevan Margiani, Ialtsunesga – “Mesopotamia” of Dali (Kodori) Gorge	63
დამანა მელიქიშვილი, ქართული ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქცია და სემანტიკური ნიუანსების ურთიერთიმართების საკითხი	74
Damana Melikishvili, The Grammatical Function of the Georgian Vowel Prefixes and Issue of the Correlation of the Semantical Nuances	74
სალომე ომიადე, მაკროკონცეპტი „ნათესავი“ ქართულ ლინგვოკულტურაში	86
Salome Omiadze, The Macro-concept “Relative” in the Georgian Linguoculture	86
რუსუდან სალინაძე, ანთროპონიმები იმერეთის XI-XII საუკუნეთა ეპიგრაფიკაში	95
Rusudan Saginadze, Anthroponyms in the Epigraphy of Imereti of XI-XII Centuries	95
რამაზ ქურდაძე, ქცევის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების ერთი შემთხვევა ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლების დროს	108

Ramaz Kurdadze, A Case of Facultative Use of Version Markers in the Teaching of Georgian as a Second or Foreign Language	108
მედეა ლლონტი, სინონიმურ წყვილთა ფუნქციურ-სემანტიკური ნიშანდებისათვის ქართულში (გარჯა და ღვანლი; მორჩილი და მსახური)	114
Medea Ghlonti, About Functional-semantic Designation of the Synonym Pairs in Georgian Language (georg. <i>garja</i> "toiling" and georg. <i>ghuatsli</i> "contributing through restless work"; georg. <i>Morchili</i> "Novice" and georg. <i>Msaxuri</i> "Servant")	114
მერაბ ჩუხუა, სტატისტიკურობის ფორმალური ნიშნისათვის ქართველურში	129
Merab Chukhua, On the Formal Marker of Statisticality in Kartvelian	129
გიორგი ქიტოშვილი, სოფელ ვაზისუბნის ტოპონიმების სტრუქტურა	138
Giorgi Kitoshvili, The Structure of Toponyms of Vazisubani Village	138
Howard I. Aronson, In Memoriam – Akaki Šanije, 26.II.1887–29.III.1987	146
ჰოვარდ ი. არონსონი, ოაკი შანიძე, 26.II.1887–29.III.1987 (ინგლისურიდან თარგმნა შოთა პაპავამ)	146
რუსუდან ზექალაშვილი, გერმანელი ქართველოლოგის ახალი ნაშრომი აკადემიკოს აკაკი შანიძის ღვაწლზე	152
Rusudan Zekalashvili, New Research by German Kartvelologist about the Merit of Academician Akaki Shanidze	152

ლელა ციხელაშვილი
Lela Tsikhelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

პროფ. ლელი ბარამიძე – მეცნიერი და პედაგოგი
Prof. Leli Baramidze – Scholar and Teacher

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ლელი ბარამიძის, სამეცნიერო მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (მაშინ – ფილოლოგიის) ფაკულტეტს. ქალბატონი ლელი წლების განმავლობაში მუშაობდა ძველი ქართული ენის კათედრაზე. აკაკი შანიძის ნამონაფარი ერთგულად აგრძელებდა თავისი მასწავლებლისა და ცნობილი ქართველი ენათმეცნიერების – ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას, ივანე იმნაიშვილის, კორნელი დანელიასა და სხვების – ტრადიციებს.

ლელი ბარამიძე დაიბადა 1931 წლის 30 მაისს გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნჯუათში. მისი მშობლები იყვნენ: მარიამ ბოლქვაძე-ბარამიძისა და გრიგოლ ბარამიძე. ოთხი და-ძმიდან ქალბატონი ლელი უმცროსი იყო.

1938 წელს ლელი ბარამიძე შევიდა სოფელ ჯუნჯუათის დაწყებით სკოლაში, 1945 წლიდან კი სწავლა განაგრძო ლანჩხუთის საშუალო სკოლაში, რომელიც 1949 წელს დაამთავრა. იმავე წელს ის ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დასურა 1954 წელს სპეციალობით „ქართული ენა და ლიტერატურა“.

ქალბატონ ლელის უნივერსიტეტში ძველ ქართულ ენას აკაკი შანიძე ასწავლიდა. სწორედ ბატონი აკაკის ინიციატივით 1955 წლიდან ლელი ბარამიძე ძველი ქართული ენის კათედრის ლაბორანტია, ხოლო 1957-1961 წლებში – ამავე კათედრის ასპირანტი. მისი დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელიც აკაკი შანიძე იყო.

1966 წელს ლელი ბარამიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში“ და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1978 წელს – დოცენტის წოდება.

1963 წლიდან ლელი ბარამიძე თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრის პედაგოგის ასისტენტია, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, 1968-1973 წლებში – ამავე კათედრის უფროსი მასწავლებელი.

1974-2005 წლებში ლელი ბარამიძე ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტია, 2006-2009 წლებში – ამავე კათედრის ასოცირებული პროფესორი, სიცოცხლის ბოლო წლებში კი – თსუ-ს ემერიტუსი პროფესორი.

ქალბატონმა ლელიმ შეძლო თავი მოეყარა წლების განმავლობაში წარმოებული იმ კვლევებისთვის, რომლებიც ეხებოდა ქართული ზმნის სტრუქტურის საკითხებს, და 2004 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა (პირი, რიცხვი, გვარი) ისტორიისათვის ქართულში“ (ოფიციალური ოპონენტები: პროფ. თედო უთურგაიძე, პროფ. ალექსანდრე ონიანი და პროფ. მიხეილ ქურდიანი).

ქალბატონი ლელი სიღრმისეულად იკვლევდა ძველი ქართული ენისა და ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხებს. იგი არაერთი სამეცნიერ-

რო სტატიისა და ოთხი მონოგრაფიის ავტორია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლელი ბარამიძის წვლილი ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემის საქმეში. ის ჩვეული რუდუნებითა და პასუხისმგებლობით მუშაობდა 864 წლის „სინური მრავალთავისა“ და IX-X საუკუნეებით დათარიღებული „უდაბნოს მრავალთავის“ ტექსტების გამოსაცემად მომზადებისთვის ძველი ქართული ენის კათედრის წევრებთან ერთად. „სინური მრავალთავი“ გამოიცა 1959 წელს, ხოლო „უდაბნოს მრავალთავი“ – 1994 წელს.

ქალბატონი ლელი სიცოცხლის ბოლო წლებშიც აგრძელებდა პედაგოგიურ თუ სამეცნიერო მოღვაწეობას და განსაკუთრებული პროდუქტიულობით იღვწოდა სამეცნიერო ასპარეზზე. სწორედ თავისი შეგნებული ცხოვრების მიმწეხრს გამოსცა მან ოთხი მონოგრაფია. მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს „ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები“ (2008 წ.). ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელსაც ენათმეცნიერი გვერდს ვერ აუვლის ქართული ენის ისტორიული გრამატიკის, ენის განვითარების ტენდენციებისა და ზმნასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების კვლევისას. ნაშრომში შესწავლილია როგორც ზმნის, ისე საწყისის გრამატიკულ კატეგორიათა ისტორია. ზმნის გრამატიკულ კატეგორიათაგან განხილულია ერთი ნაწილი: პირი, რიცხვი და გვარი (ფაქტობრივად, ეს მეცნიერის სადოქტორო დისერტაციაა).

მძიმე 90-იანი წლებისა და მატერიალური სიდუხჭირის გამო უამრავი სასიკეთო საქმე გადაიდო, ბევრი წიგნის გამოცემაც შეფერხდა, მათ შორის – ძველი ქართული ენის კათედრაზე შედგენილი „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონისა“, რომელიც მრავალი წელი ელოდებოდა დაბეჭდვას და მხოლოდ 2009 წელს გახდა შესაძლებელი მისი გამოცემა. თავდაპირველად სალექსიკონო მასალებზე მუშაობდნენ: ლელი ბარამიძე, რუბენ ენუქაშვილი და თეიმურაზ (ჯონდო) მეტრეველი. მიზეზთა გამო სწორედ ქალბატონმა ლელიმ იტვირთა უმძიმესი საქმე: ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, დაასრულა დიდი ხნის წინ დაწყებული საქმე და წიგნი გამოსაცემად მოამზადა, რედაქტორიც თავად იყო.

1949 წელს გამოცემული „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის“ შემდეგ (მეორედ 1986 წელს გამოიცა) ამ წიგნის გამოსვლით დასრულდა ახალი აღთქმის ძველი ქართული რედაქციების სიმფონია-ლექსიკონის სრული კორპუსის გამოცემა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომი ძველი ქართული ენის ემპირიული მასალის ლინგვისტური და ტექსტოლოგიური დამუშავების ერთ-ერთი სერიოზული და საუკეთესო ნიმუშია.

ლელი ბარამიძის მორიგი მონოგრაფია – „ხმოვანმონაცვლე ზმნები ძველ ქართულში“ – 2012 წელს გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ნაშრომში შესწავლილია ძველი და საშუალო სამწერლობო ქართულის დიდძალი ემპირიული მასალა და წარმოდგენილია ამ ტიპის ზმნათა სრული სია. წიგნი მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას.

ბოლო მონოგრაფია (188-გვერდიანი) „ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებანი ქართულში“ 2013 წელს გამოიცა და, არსებითად, ზმნის ამ ორ გრამატიკულ კატეგორიას ეხება. ფაქტობრივად, ყველა ჩამოთვლილი წიგნის კომპიუტერული უზრუნველყოფა ეკუთვნის მაია ჯაფოშვილს, მისი დის შვილიშვილს.

ლელი ბარამიძე იყო რამდენიმე წიგნის რედაქტორი, სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი და რეცენზენტი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. ბარამიძის პედაგოგიური მოღვაწეობა. ის, მონოდებით პედაგოგი, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი იყო. ქალბატონი ლელი 1963 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და წლების მანძილზე კითხულობდა ძველი ქართული ენის კათედრის ყველა ძირითად საგანს: ქართულ პალეოგრაფიას, ძველ ქართულ ენას, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას, სპეცკურსს ძველ ქართულ ზმნაში (ქართველური ენების განყოფილების სტუდენტებთან).

ლელი ბარამიძე ყველასგან გამოირჩეოდა საქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებითა და პასუხისმგებლობით. ის ყოველთვის ამომწურავ ინფორმაციას აძლევდა სტუდენტებს ამა თუ იმ პრობლემის შესახებ, რაც ეხმარებოდა მათ ცოდნის დონის ამაღლებასა და მასალის სრულყოფილად დაუფლებებაში. ქალბატონი ლელი უყურადღებოდ არ ტოვებდა არცერთ გამონაკლისს, თუნდაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხს მსჯელობის საგნად გახდიდა ხოლმე. ის იყო ღირსეული ადამიანი, ჭეშმარიტი ლექტორის განსახიერება, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამორჩეული.

ლელი ბარამიძემ აღზარდა ფილოლოგთა, ისტორიკოსთა და აღმოსავლეთმცოდნეთა არაერთი თაობა. მისი ნასტუდენტარია მკვლევართა რამდენიმე თაობა, რომლებიც დღემდე ეწევიან აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას.

უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლელი ბარამიძე 2001 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით, ხოლო 2009 წელს მიენიჭა თსუ-ს ემერიტუსი პროფესორის წოდება. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი მისთვის სამსახური კი არა, სახლი იყო.

ქალბატონმა ლელიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საყვარელ საქმეს და სანთელივით ჩაიღვენთა თავისი ქვეყნისა და მშობლიური უნივერსიტეტის სამსახურში.

* * *

ლელი ბარამიძის ძირითადი პუბლიკაციების ჩამონათვალი:

• **ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში**, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1964, გვ. 95-150.

- **ნაწევრისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება საშუალო ქართულში**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 164, ენათმეცნიერება, თბილისი, 1975, გვ. 15-30.
- **საწყისი ძველ ქართულში**, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976, გვ. 37-78.
- **ვნებითი გვარის ზმნათა ანმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში**, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976, გვ. 79-95.
- **გარდაუვალ ზმნათა ერთი ტიპის აღწერითი ფორმების შედგენილობისათვის ქართული ენის დასავლურ კილოებში**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №1, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977, გვ. 104-115.
- **პირველი თურმეობითის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში**, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977, გვ. 37-51.
- **თუ კავშირისა და თუ-ს მონაწილეობით შედგენილი ზოგიერთი კავშირის ფუნქციებისათვის ძველ ქართულში**, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984, გვ. 149-161.
- **ვნებითის სხვადასხვა წარმოების მონაცვლეობისათვის ქართულში**, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988, გვ. 113-128.
- **სტატიკური ვნებითი ძველ ქართულში**, ენათმეცნიერების საკითხები, №3, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000 (გადაბეჭდილია ძველი ქართული ენის კათედრის შრომების 30-ე ტომში, თბილისი, 2001, გვ. 26-53).
- **სუბიექტური მესამე პირისა და რიცხვის აფიქსები ახალ ქართულში (ძველ ქართულთან შედარებით)**, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XV, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, 2003, გვ. 153-157.
- **სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში**, ბროშურა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 1-50.
- **საწყისის ზმნური კატეგორიები ძველ ქართულში**, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 31, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, გვ. 38-50.

• ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 344გვ.

• ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, შეადგინეს: ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა, რედაქტორი – ლელი ბარამიძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 593 გვ.

• ძველი ქართული ენის გრამატიკა (მასალები ძველი ქართული ენის გრამატიკისათვის), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 155 გვ.

• ხმოვანმონაცვლე ზმნები ძველ ქართულში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 223გვ.

• ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებანი ქართულში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, 190გვ.



ლელი ბარამიძე ძველი ქართული ენის კათედრის წევრებთან:

სხედან (მარცხნიდან): ლევან კიკნაძე, ივანე იმნაიშვილი, აკაკი შანიძე,
ზურაბ ჭუმბურიძე;

დგანან: თეიმურაზ (ჯონდო) მეტრეველი, რუბენ ენუქაშვილი, ლელი ბარამიძე,
კორნელი დანელია.

გიორგი გოგოლაშვილი
Giorgi Gogolashvili

თსუ აკად. ახნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა სახელ-გვარების
თაობაზე¹

David Kldiashvili's Character Names

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, მწერალი, სახელი, გვარი, პერსონაჟი

Key words: Georgian Language, writer, name, surname, character

¹ ნაკითხულია მოხსენებად ფ. ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (28.02.2022).

In classical literature the choice of character names does not seem to be an automatic, easy process. This is the case with David Kldiashvili's works as well. Unlike E. Ninoshvili and G. Tsereteli, David Kldiashvili does not employ any telltale names in his writings. At first sight, the character names evidenced in his works are ordinary, widespread Christian names encountered in Imereti region of Georgia: Platon, Kirile, Aristo, Jimsher... Melano, Elene, Dariko; the family names also sound realistic: Samanishvili, Miminoshvili, Bregadze, Kamushadze... Thus, picking a specific Christian or family name for a character does not seem to be essential for D. Kldiashvili. However, the study of the writer's manuscripts has proved the opposite: in the process of creating his works the author often changed character names, he seemed to be in constant search of suitable names for them. In this reference, Sergo Kldiashvili's (David Kldiashvili's son) memoirs on one of the stories - "Solomon Morbeladze", are of particular interest: David Kldiashvili told his son: "I had the plot of the story, but I couldn't decide on a name for the main character; that troubled me and hindered me from finishing the story." At that time, it happened so, that he heard the family name Morbedadze, that according to D. Kldiashvili struck him "as a surprise, I modified Morbedadze to Morbeladze, the family name 'dragged' the Christian name Solomon, and the story was written with ease. It was not just work but a true pleasure!" It is difficult to say why the family name Morbeladze 'dragged' the Christian name - Solomon, or why the writer considered this pair to be a perfect match for his character.

Obviously, David Kldiashvili tries to fit names to his characters on the basis of their personal qualities; as the writer suggests: every character should have "a name of their own and not a borrowed one". The given phenomenon triggers a number of questions; is it plausible to answer them or find any explanation to the above-said? Presumably, the answers are known to the author...or, more convincingly, to the one "who grants us inspiration" (Anna Kalandadze).

კლასიკურ მწერლობაში პერსონაჟთა სახელ-გვარების შერჩევა არ ჩანს მექანიკური (მარტივი) პროცესი. პერსონაჟის ბუნება-ხასიათისა და საკუთარი სახელ-გვარის ურთიერთმიმართება უალრესად საინტერესო თემაა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის ბუნება-თვისებები განსაზღვრავს სახელ-გვარის პოპულარობასაც; ეს ცნობილი ამბავია, ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუნდაც ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟის სახელი – ლუარსაბი.

რატომ დაარქვა ლუარსაბი; წინ რა პროცესი უძღოდა ამ პერსონაჟის სახელის შერჩევას და ავტორი იდგა თუ არა არჩევანის წინაშე, ძნელი სათქმელია; მაგრამ ფაქტია, ლუარსაბს ისე „მოერგო“ თავისი სახელი, სხვისთვის ველარც დაგვირქმევია...

არადა, ლუარსაბი ტრადიციული სახელია – წმინდანად შერაცხული მეფის სახელი... ლუარსაბ თათქარიძემ დაუკარგა მას „მომხიბვლელობა“ ... ინტე-

რესისთვის გადავხედე სტატისტიკას; 1997 წლის ცნობარის (სილაგაძე და სხვ., 1997; ქვევით სხვა სტატისტიკურ მონაცემებსაც ამ წიგნიდან მოვიყვანთ) მიხედვით, მეფეთა სახელები ყველაზე გავრცელებულია საქართველოში:

გიორგი – 147454,

დავითი – 76 051,

ირაკლი – 30 881 (ერეკლე – 1324),

ვახტანგი – 24 578,

თეიმურაზი – 20 813,

დიმიტრი – 12 833 (დემეტრე – 123)...

მაშინ, როცა **ლუარსაბი** მხოლოდ 218 კაცს ჰქვია... სიმცირე ლუარსაბ თათქარიძის „წყალობა“ ჩანს...

საერთოდ, პერსონაჟის (პიროვნების) სახელი კლასიკურ მწერლობაში ყოფილა კრიტიკის საგანი; მაგ.: კონსტანტინე გამსახურდიამ გ. აბაშიძეს უსაყვედურა, „ლაშარელაში“ რატომ დაარქვა პერსონაჟს ლუხუმი... გმირის (ან პიროვნების) ბუნება-ხასიათის შესაბამისობა სახელ-გვართან არ ჩანს შემთხვევითი, მარტივი... სახელის დარქმევა როგორც პერსონაჟისათვის, ისე პიროვნებისათვის რომ საპასუხისმგებლო საკითხია, ამას კახეთში გაგონილი შეგონებაც მიანიშნებს: სადღეგრძელოში სუფრის წევრს (თამარს) მიმართეს: „თამარს რომ გარქმევენ, უკვე გავალებენო“...

ჩვენ ამჯერად კლასიკური მწერლობის პერსონაჟები გვანტერესებს; საკმაოდ ბევრი მიფიქრია **დავით კლდიაშვილზე**, ამიტომ მაგალითისათვის მის შემოქმედებაზე გავაკეთებ ძირითად აქცენტს.

არ ვსაუბრობთ ე. წ. „მეტყველ სახელ-გვარებზე“, დავით კლდიაშვილთან არ გვაქვს ისეთი „მეტყველი სახელ-გვარები“, როგორც ეგნატე ნინოშვილთან (მუნჯაძე, უიშვილი, ძალაძე, დროიძე, მკლავაძე, მცირიშვილი...) ან გიორგი წერეთელთან (ფულავა, წარბა, ჯიბიაშვილი...).

დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, იმერეთში გავრცელებული სახელ-გვარებია: პლატონი, კირილე, არისტო, ჯიმშერი... მელანო, დარიკო, ელენე... (თითქოს „სახასიათო“ სახელია ბეკინა, მაგრამ არც მთლად „მეტყველი“ – არ ჩანს მოტივაცია). დ. კლდიაშვილთან გვარებიც ჩვეულებრივია: სამანიშვილი, მიმინოშვილი, ბრეგაძე, ქამუშაძე... (ცნობარებში არ მოიძებნა გვარი „სალობერიძე“, მაგრამ მის არარეალურობაზე საუბარი ამ არგუმენტით არ შეიძლება – ჯიმშერი არ უნდა იყოს ის პერსონაჟი, რომლის გვარი საგანგებოდ შექმნილიყო და მოტივირებული იყოს)... ასე რომ, პერსონაჟისათვის სახელ-გვარის შერჩევას თითქოს რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს დ. კლდიაშვილისათვის, მაგრამ... არ ჩანს ასე...

საინტერესო ამბავს გვიყვება სერგო კლდიაშვილი:

„საიდან წარმოდგა გვარი „მორბელაძე“; დავითის მონათხრობს იგონებს:

„– სოფელში ჩავედი დედაჩემის სანახავად, – მიამბობს მამა. – ოთახში ვზივარ! მესმის დედა აივნისა ვილაცას ელაპარაკება. მეც გავედი. ეზოში,

აივნის წინ, შუა ხნის მამაკაცს ვხედავ. ცხენზე ორი მორჩილა ტომარა შემოუკრავს და თითონაც ჯდება. – ვინ იყო? ვკითხე დედას, როცა უცნობი ნა-ვიდა“. სიმინდი ითხოვა, შვილო, მორბედაძეა დაბლა კუთხიდან“... მოთხრობა მოფიქრებული მქონდა, ოღონდ გვარი ვერ მოვინახე და ეს მანვალეზა. წერას მიშლიდა. ეს გვარი მეოცა რატომღაც, „მორბედაძე“ შევცვალე „მორბელაძე“, გვარმა სახელიც მოათრია და ამის შემდეგ მოთხრობაც ადვილად დაინერა. მუშაობა კი არა, უდიდესი სიამოვნება იყო!“

ერთი შეხედვით, ამ შემთხვევაში ცვლილება თითქოს ფონეტიკური ხა-სიათისაა, კეთილმოვლების პრინციპით ნაკარნახევი... არ ჩანს სარწმუნო, თითქოს „მორბელაძე“ სირბილთან ასოცირდებოდეს (ამ ასოციაციისათვის შეცვლა არ იყო საჭირო – მორბედაძეც გამოდგებოდა; იმ არეალში სირბი-ლაძეც რეალური გვარია)... მორბედაძეც და მორბელაძეც იმერული გვარებია. „სოლომანი“ რატომ „მოათრია“ მორბელაძემ (და არა სხვა სახელი!)? რა აქვს ამ სახელ-გვარს ისეთი, ამ პერსონაჟს ასე რომ „მოერგო“, ასე რომ შეეფე-რებოდა? და რასაც ასე ეძებდა მწერალი? – ჩვენგან პასუხგასაცემად ძნელი კითხვაა; ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ამოუხსნელია...

საინტერესო ვითარებაა „სამანიშვილის დედინაცვალში“.

შემონახულია ამ მოთხრობის ადრეული მოკლე ვარიანტი: „ძილი მოსვენება“ (პლატონის სიზმარი). ამ ვარიანტში გამოყვანილ პერსონაჟთა სახელ-გვარები სხვაობს მოთხრობის ბოლო ვარიანტთან:

პირველ ვარიანტში **ბეკინას** ჰქვია **ბეჟანი**,

პლატონს – **არჩილი**,

დარიკოს – **ქრისტინა**.

კირილეს ნაცვლად **ლევანია** გამოყვანილი (მაზლი დარიკოსი)... სხვა პერსონაჟები არ ჩანს ამ მოკლე ვარიანტში...

სამანიშვილები მოკლე ვარიანტში **სანებლიძეები** არიან. არადა, თით-ქოს ეს ორივე გვარი ჩვეულებრივი იმერული გვარია (დღევანდელ სტატისტი-კას მოვიშველიებ: სამანიშვილი – 315, სანებლიძე – 641)... ასევე ჩვეულებრივი ქართული სახელებია პლატონი და არჩილი, დარიკო და ქრისტინა, კირილე და ლევანი... თითქოს რაღაც „სახასიათო“ იერი დაჰკრავს სახელს ბეკინა, თუმცა მაინც გაუმჭირვალეა (არადა, ბეკინას პროტოტიპს ივანე რქმევია, – სერგო კლდიაშვილი იგონებს)... (კლდიაშვილი, 1955, გვ. 630).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია სერგო კლდიაშვილსაგან: „ქა-მუშაძის გაჭირვების“ ხელნაწერი არ შენახულა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ფურცელი... ეს ფურცლებიც ადასტურებენ, რომ მოთხრობის რამდენიმე ვარიანტი არსებულა. მაგალითად, ერთ ხელნაწერში „**ეკვირინეს**“ ჰქვია „**ეფემია**“, მეორეში – „**ბარბალე**“; **ქამუშაძეები ქამუშაშვილები** ყოფილან... **ეკვირინე – ეფემია – ბარბალე... ქამუშაძე – ქამუშაშვილი...** (ქამუშაძეები ცნობილი გვარია იმერეთში (სტატისტიკით – 948); ქამუშაშვილი გამოგონილი გვარი ჩანს (ასოციაცია – მუშა?)...

სხვა შემთხვევაშიც ასეა: მოთხრობა „წრფელი გულის“ პერსონაჟი „ბაბო“ პირველ ვარიანტში „სარალიძე“ (სტატ. – 2968) იყო, საბოლოო ვარიანტში „გარაყანიძედ“ (სტატ.– 206) შეცვალა...

რა შეიძლება ვთქვათ? რა არის მოტივი ამგვარ ცვლილებათა?..

ძნელი სათქმელია...

პერსონაჟის ბუნება-ხასიათიდან გამომდინარე, დავით კლდიაშვილი სახელ-გვარს „აზომებს“, „ასინჯებს“, „არგებს“ პერსონაჟს; როგორც აზნაურები იტყვიან იმერეთში, სახელ-გვარი ტიპს „შემონკეპილი“ უნდა ჰქონდეს, კარგად მორგებული, უნდა უხდებოდეს... დიახ, პერსონაჟს სახელ-გვარი საკუთარი უნდა ჰქონდეს, „ნათხოვარივით“ არ უნდა ჩანდეს...

* * *

მცირე გადახვევა: **ოტია იოსელიანმა** ანოტაცია წარუძღვარა ავტობიოგრაფიული ნოველების ნიგნს („ჩემი ასავალ-დასავალი“); წინასიტყვას „თავისმართლება“ დაარქვა. ასეთ რამეს წერს: „ავტორი მშობლიურ სოფელს შეთხზულ სახელს არქმევს. დაბასა და ქალაქს, მინდორს, მთას, ტყეს და მდინარეს – მოგონილს. არადა ზუსტად აღწერს იმას (გააჩნია, რის შემძლებელია), რითაც გაიზარდა და ცხოვრობს, რა მიწამ და ცამ, გარემომ, ადამიანებმა, დრომ და ეპოქამ „გამოჭედა“ მისი პიროვნება, ხასიათი, მრწამსი, მსოფლმხედველობა... (იოსელიანი, 2002, გვ. 2).

მაშინ რა გამოდის? უბრალოდ, პატარა ცოდვა: ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელი.

ამ ჩემს ავტობიოგრაფიულ ნოველებსაც არავითარი პრეტენზია არა აქვს, გარდა ამ პატარა „ცოდვის მონანიებისა“ – ყველაფერს ერქვას თავისი სახელი“ (სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით ო. იოსელიანის პერსონაჟთა სახელების შესწავლაც არ იქნება უინტერესო).

...და ეძებს მწერალი, რომ ყველას და ყველაფერს ერქვას „თავისი სახელი“... ამოცნობა (მიგნება) ამ თავისი სახელისა არაა იოლი, მხოლოდ ჭეშმარიტ მწერალს შეუძლია ეს...

კიდევ ერთი საინტერესო მოგონება სერგო კლდიაშვილისა:

„– ლა ლა ლა ლა!...

დავითი რაღაც ჰანგს იხსენებს.

– რა მშვენიერებაა! ხომ გახსოვს ეს ადგილი კარმენიდან?

თურმე კარმენიდან მღერის. სმენა კარგი მაქვს, მაგრამ დავითის ნამღერიდან ვერ მივხვდი, რა ადგილია. ყოველ შემთხვევაში „კარმენი“ აქ არ ისმის. რა ვუყოთ მერე! მთავარია ის, რომ თვითონ გესმოდეს ჰანგი, შენში მღეროდეს ის.

უცებ დავითის ღრმა ამოოხვრა მესმის.

– საბრალო ბიზე! ჩემო ბიზე! ასეთ დიდებულ კაცს თავი მოაკვლევინეს. ყრუ იყო ხალხი თუ? ლა ლა ლა ლა... რა მშვენიერია”...

როგორც იგონებენ, დავითი კლასიკური მუსიკით, კერძოდ ოპერით, დიდად ყოფილა გატაცებული... „ეს აღტაცება ოპერით, საერთოდ მუსიკით, ბოლომდე შერჩა“... ანდა: „დავითს შეუძლია მთელი დღე მუსიკას უსმინოს. დახუჭავს თვალებს და უსმენს“... – ამას სერგო კლდიაშვილი დანერს შემდეგ...

დავით კლდიაშვილი სიტყვის დიდოსტატია...

„სიტყვა სიმღერაა, ღაღადისია. გალობაა, მუსიკაა...“ – ამას ოთარ ჩხეიძე გვიხსნის...

მიხეილ ჯავახიშვილის საგულისხმო ჩანაწერიც მოვიხმოთ: **„ვიღაც თუ რაღაც მღერის და გალობს ჩემს სისხლში, გულში და სულში. მეც გავდივარ ჩრდილში, შევცქერი მთვარეს და ვგალობ“**...

და აქ გალაკტიონის გახსენებაც წავგადგება ალბათ (ერთ-ერთი კრიტიკოსისთვის უთქვამს): **„განსაკუთრებით ლექსის წერის დროს ვარ სიმღერის ხასიათზე. ლექსს ჯერ გონებაში გავმართავ მუსიკალურად, ჩემთვის დავამღერებ კიდეც და გადამაქვს ქალაღზე. თუ ქალაღზე გადატანის შემდეგ არ მომეწონა ლექსის მუსიკა, მაშინ უკან ვბრუნდები“**... სხვაც შეიძლება... საჭამნიკოდ ეს ვიკმაროთ...

როგორც ჩანს, დავითს „ესმის“ ის „მუსიკა“, სახელ-გვარიდან რომ „მოდის“... სწორედ ეს მიესადაგება პერსონაჟის ბუნება-ხასიათს... სახელ-გვარის შერჩევა, ყოველ შემთხვევაში, მექანიკურად, მარტივად არ ხდება...

ისე ამ თვალსაზრისითაც კლასიკოსთა ხელნაწერებისა და, საერთოდ, ნაწარმოებების შესწავლა საინტერესო მასალას გამოავლენს.

ალბათ ასეთი კითხვაც უნდა დაისვას და შეძლებისდაგვარად ვინმემ უპასუხოს (დაკვირვებაა საჭირო): დავით კლდიაშვილთან თუ არიან სეხნია პერსონაჟები და მათს ბუნება-ხასიათში თუა რაიმე საერთო?...

დასკვნა?

შეიძლება კი ყოველივე ამის ამოხსნას? – მეეჭვება... ეს იცის მხოლოდ მწერალმა... და შეიძლება არც მან... ალბათ მხოლოდ იმან, „ვინც შთაგონებით გვწყალობს“... (ქ-ნი ანა ამასაც ამბობს: „დროზე ნერტილის დასმას“, სათქმელის დროზე დამთავრებასაც თითქოს „ვიღაცა“ გკარნახობთ; ისევე, როგორც თემატიკას, როგორც... ყველაფერს!)... სხვაგან წერს: „დიახ, არის ზოგიერთი მოვლენა, რომლის ახსნა „მოკვდავთა ენას არ ძალუძს“...

აქ რევაზ ინანიშვილის ერთ ჩანაწერსაც მოვიშველიებ: „ვიღაც თუ რაღაც მკარნახობს წერის დროს. როცა არ მკარნახობს, ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ. დღეს, 25 აგვისტოს, სულ რომ არ ვფიქრობდი ასეთი რამის დანერას, უცებ მეკარნახა მოთხრობა „სულ ოდნავ მარჯვნივ“ („წრე“), ჩავინერე იგი საათნახევარში“ (ინანიშვილი, 2012, გვ. 362).

თუ მკითხველს არ გადავლლი, ამ თემაზე ორიოდ საინტერესო აზრსაც მოვიშველიებ:

ლევან ბრეგაძე წერს: „ტიციან ტაბიძისთვის რომ ეკითხათ, რატომ წერთო? – ალბათ ასე უპასუხებდა: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“.

ეს რაღა არის?

რა და, დასტური იმისა, რასაც დიდი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი კ. გ. იუნგი ექსტრავერტი მწერლების შესახებ ამბობს: „მათი ქმნილებანი მეტ-ნაკლებად დასრულებული ფორმით თავისუფლად გამოედინებიან ავტორის კალმის წვერიდან. (...) ნაწარმოებს თვითონვე მოაქვს თავისი განსაკუთრებული ფორმა; ყოველივე, რისი დამატებაც ავტორს სურს, უარიყოფა, ხოლო ის, რის ნაშლასაც მოინდომებს, კვლავ აღიდგენს თავს. (...) ავტორს ისეთი აზრებისა და სახეების ნაკადი ეძალევა, რომელთა შექმნის განზრახვა მას არასოდეს ჰქონია (...). მას შეუძლია მხოლოდ დაემორჩილოს ამ აშკარად უცხო შინაგან იმპულსს და გაჰყვეს იქით, საითაც იგი მიუძღვის, გრძნობს რა, რომ მისი ნაწარმოები თვით მასზე მეტია და ფლობს ძალას, რომელიც მას (ავტორს) არ ეკუთვნის და არ ექვემდებარება...“ (იხ. ბრეგაძე, 2011, გვ. 94-95).

ესეც გავიხსენოთ: ხულიო კორტასარს უთქვამს – „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუდმებით ეძებს გამოსავალს“... როგორც ჩანს, მწერლისთვის ერთ-ერთი გამოსავალი ესაა: მოძებნოს მისთვის და, საერთოდ, მუსიკალურად ჟღერადი სახელ-გვარი, ფრაზა, სიტყვა...

ეს ფიქრები აღძრა დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა სახელ-გვარებზე ფიქრმა...

ლიტერატურა:

- ბრეგაძე, ლ. (2011). რატომ წერს მწერალი: მისივე, მარგინალიები (რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- გოგოლაშვილი, გ. (1981). ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი: ქართ. ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1, 68-72.
- ინანიშვილი, რ. (2012). ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან: ექვსტომეული, ტ. 6, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი.
- იოსელიანი, ო. (2002). თავის მართლება: წიგნიდან „ჩემი ასავალ-დასავალი“, თბილისი: „ბაკმი – ბ. მაცაბერიძის გამომცემლობა“.
- კლდიაშვილი, ს. (1955). მოგონებანი დავითზე: ერთტომეული, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
- სილაგაძე, ა., თოთაძე, ა. (1997). გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი: ბ. ს. კომბინატი.
- ჩხეიძე, ო. (1984). მთაგრეხილი (რომანი): „მნათობი“, 9.
- ჯავახიშვილი, მ. (2005). უბის წიგნაკიდან, 1924-1935, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

რუსუდან ზექალაშვილი
Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

სხვათა სიტყვა: კლასიფიკაცია და გადმოცემის
საშუალებები ქართულში²
Reported Speech: Classification and Means of
Expression's in Georgian

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, სხვათა სიტყვა, პირდაპირი ნათქვამი,
ირიბი ნათქვამი, სიტყვასიტყვითი ნაწილაკები
Keywords: Georgian language, someone else's speech, direct speech, reported speech,
indirect speech, quotative particles

² ნაკითხულია მოხსენებად ლინგვისტთა 56-ე საერთაშორისო კოლოკვიუმზე (საბერძნეთი)
(26.11.2020) (იხ. ზექალაშვილი, 2020).

Abstract: The author of a text or the narrator (in the oral speech), besides their own words, can deliver the other people's narration, to deliver which, the different languages all over the world use for their own language-particular means, and on this point, all the languages reveal large varieties. Generally, among the kinds of **other people's** words (someone else's speech), the **direct** and **indirect** (or reported) kinds of speech are most usual and known. Besides that, **free indirect speech** and **dialogue** are also sorted out as the kinds of indirect speech.

The given article discusses the classification of the **other people's words** (someone else's speech) and the grammatical and lexical means of their delivering in the modern Georgian. Also, the history of studying the mentioned phenomenon in the different grammar books of the Georgian language (XIX-XX centuries) are studied and shown in Georgian linguistics. Special attention is paid to the valuable work done by P. Ioseliani who was the first linguist in Georgia to study this phenomenon in his Grammar Book edited in 1849 and who sorted out its two types. We should also mention the grammar books by T. Jordania, A. Benashvili, S. Khundadze, M. Janashvili, A. Kutateladze, D. Kari-chashvili and M. Kelendjeridze, in which the phenomenon of the direct and indirect (reported) speech is discussed and the efforts to create appropriate terminology for this phenomenon are evidenced.

The bulk of the empiric material to be analyzed is taken mainly from the corpus of the Georgian language (GNC), and some material – from the Georgian dialectic corpus (GDC). The **descriptive** methods used in the process of study are as follow: descriptive, comparative, statistical and corpus methods.

It is very important to discuss the opinions of the Georgian linguists of the 20th century as relating to the classification of the **someone else's speech** (or other people's words) (A. Shanidze, L. Kvachadze, W. Boeder, Zh. Peikrishvili, A. Arabuli, L. Geguchadze, R. Kurdadze...). The opinion expressed by A. Arabuli, concerning the other people's word which should be discussed as one of the kinds of the **indirect (reported) speech**, not the **direct speech**, as it was classified earlier, is especially interesting for us. The additional argument to support this opinion is that despite the similarity with the samples of the direct speech, (repeating the person, number and tense of the verb unchangeable), such phrases reflect neither direct communication (eye-to-eye contact) nor direct appeal to the addressee and only repeats something that already happened in the past, something that was said or thought by somebody, just as it is the characteristic feature for the **indirect speech**. Terminology of such phenomena should be studied and adjusted in order to specify the explanation of the term "other people's words, as in reality it denotes not only something said by people earlier, who at the given moment are not participating in the talk, but the words expressing the opinions and thoughts of the person who is participating in the given dialogue at the given time. In such cases the quotative particles "**-metki**" (< me vtkvi– 'I said') and "**-tko**" (from "tkva"), are used, that makes it possible to maintain the verb forms in the indirect speech.

Besides the particle “-**meutxari**” (from “me vutxari” ‘I told him’), which became very usual and is used in everyday speech, should be also mentioned, as it is used quite often when delivering the dialogue which took place earlier (this suggestion was expressed by the author in their papers (Zekalashvili 2004; 2010; 2020). The mentioned particle has not yet been discussed as a particle in the literary language but is used only in colloquial speech, when delivering the conversation taken place earlier than the dialogue.

The article shows the results of the study of necessary transformation which takes place in the process of delivering the indirect (reported) speech from its direct original. Such transformations are usual in the process of delivering several kinds of the **narrative, interrogative and imperative** sentences in the indirect speech (reported speech, reported questions, reported **requests or reported orders**). **The words of the author** are transferred as the main sentence in the structure of the complex subordinate sentence. It is introduced as the direct object and starts within the **narrative sentence**, with help of the conjunction “**rom**” - ‘that’; and in case of the **interrogative sentence** – “**tu ara**” – ‘or (if) not’, or in case of such pronouns or other words which are by their meaning interrogative, namely (“**vin**” ‘who’, “**ra**” ‘what’, “**rodis**” ‘when’, “**sad**” ‘where...’); in the **imperative** sentence with help of the particle “**unda**” – ‘must’ plus other phrases such as: ‘it must be so’, ‘it is necessary’, ‘mandatory’ and so on...; the negative particles such as “**ar**” – ‘do not’ or “**nu**” – ‘you must (should) not do it’ and other means added to the verb forms (“**ar**” + Subjunctive, “**nu**” + Present/Futur).

Basing on the language corpus, several statistic data are gathered showing the results of measuring the frequency of usage of the quotative particles, such as “**metki**” – ‘I said’ (or ‘I thought’) and the data, as it was expected, show us that the particle -**metki** overwhelms the cases with the particle “-**tko**”. This is because of the fact that its usage is limited by its inner content – transferring the words of the first person to the other person through the speech of the second person. As for the particle “-**o**”, it is the most frequently used one, it can be met with any of the parts of speech, but sometimes it is a prosodic vowel (in poetry). The particle -**o** is acknowledged mostly with the words which have particles “**titkos**” – ‘as if’, and “**netá**” – ‘wish’, expressing strong dream, desire in the sentences expressing the wish or dream (e. g. “**ise šemoxeda, titkos pírvelad mxedavso**” - ‘she (he) looked at me as if he saw me for the first time’); “**važma inaṭra, neṭa is ulamazesi gogo gamacnoo**” – ‘the young man dreamed about somebody’ or ‘some situation helped him to know that prettiest girl’).

There are the verbs sorted out in the examples chosen to analyze, which are followed by word-by-word (quotative) particles, such as “-**metki**”, “-**tko**”, “-**o**”. As it was expected, those are the verbs out of the ‘speech’ and ‘thinking’ circles, in the different personal and tense forms: “**ambobs/tkva**” (iṭqvis, utkvams) – ‘says/said/is known that ‘he said’, “**eubneba**” (eṭqvis, utxra) ‘tells’, ‘says’ (‘will tell, say’, ‘told, said’); also: “**uambobs**” ‘retells’, ‘told’, “**moaxsenebs**” ‘reports’, “**elaparaḳeba/esaubreba**” ‘speaks to’, “**uqviris**” ‘shouts at’, “**čamoiḳaxebs**” ‘shouts out’, “**evedreba/exveḳeba**” ‘begs’, “**ečurčuleba**” ‘whispers’, “**ebuṭbuṭeba**” ‘murmurs’, “**ebuzyneba**” ‘growls’, “**naṭrobs**” ‘wi-

shes', "eḱamateba/edaveba" 'discusses', "pikrobs" 'thinks', "ocnebobs" 'dreams about', etc. As about the generalized personal forms, without showing persons: "natkvamia, tkmula" 'as its said', "(rogorc) amboben" 'they say so', (rogorc) iṭq̄vian" 'they say', "cnobilia" 'as it is known' 'it is said' and the like, they are comparatively rare, but it is generally known that such forms maintain the general sayings with the end-particle -o and are met in the proverbs.

1. შესავალი

ავტორმა წერილობით ტექსტში (ან მოუბარმა პირმა – საუბარში) შესაძლოა გადმოსცეს სხვისი ან საკუთარი ნათქვამი, რომლის გადმოსატანად ენები სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ და ამ თვალსაზრისით საკმაოდ დიდ სხვაობას ავლენენ³. ე. წ. **სხვისი ნათქვამის** (ანუ **სხვათა სიტყვის**) ტიპებში, ძირითადად, გამოყოფენ **პირდაპირ ნათქვამსა** და **ირიბ** ნათქვამს; ზოგჯერ ამ სახეებს ამატებენ **არასაკუთრივ-პირდაპირ** ნათქვამსა და **დიალოგსაც**⁴. ენის ფუნქციონირების ისტორიული განვითარება, ცხადია, გულისხმობს სხვადასხვაგვარ ცვლილებას, რაც ეხება ამ ენობრივ მოვლენასაც. როგორც წესი, პირდაპირი ნათქვამი მიჩნეულია ადრინდელ წარმონაქმნად, ხოლო ირიბი ნათქვამი – მეორეულად, მისგან ნაწარმოებად. დროთა განმავლობაში იცვლებოდა სიტყვასიტყვითი ნაწილაკების ფორმებიც.

ნაშრომის მიზანია, აღინეროს სხვათა სიტყვის გადმოცემის საშუალებები თანამედროვე ქართულ ენაში, დადგინდეს სიტყვასიტყვითი ნაწილაკების ფუნქციები, ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი ცვლილებები პირდაპირი ნათქვამის ირიბად ქცევის დროს და ავტორისეულ სიტყვებში გამოყენებული ზმნები.

საანალიზო ემპირიული მასალა მოძიებულია ქართულ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ტექსტებში, ქართული ენისა და დიალექტების კორპუსების მონაცემებში. კვლევის დროს მოშველიებულია აღწერითი, შედარებითი, კორპუსული ლინგვისტიკისა და სტატისტიკური მეთოდები.

2.1 საკითხის შესწავლის ისტორია ქართულ ლინგვისტიკაში

სხვათა სიტყვის შესწავლის ისტორიისათვის უნდა აღინიშნოს ადრინდელი ქართული სასკოლო გრამატიკები, რომლებშიც პირველადაა ნახსენები ეს გრამატიკული მოვლენა და დასახელებულია შესაბამისი ნაწილაკები⁵. მაგალი-

³ საინტერესოა **მანფრედ ფონ რონკადორის** ნაშრომი პირდაპირი და ირიბი ნათქვამის შესახებ, რომელშიც დამატებით ლაპარაკია ე. წ. განცდილ მეტყველებაზეც (გერმ. Erlebte Rede; ინგლ. experienced speech) (Roncador 1988).

⁴ ქართველ ენათმეცნიერთა შრომებში უმეტესად დასახელებულია პირველი ორი სახეობა.

⁵ ამის შესახებ მოკლედ იხ. ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 312-314.

თად, ისტორიკოსმა, ფილოსოფოსმა და ლინგვისტმა პლატონ იოსელიანმა (1809-1875) ქართულ ენათმეცნიერებაში პირველად თავის ნაშრომში ჩამოთვალა სიტყვასიტყვითი ნაწილაკები (-მეთქი, -თქო, -ო), იმსჯელა მათს ფუნქციებსა და ეტიმოლოგიაზე (იოსელიანი, 1849). მან მართებულად მიუთითა, რომ „-მეთქი“ მიღებულია ზმნისაგან „მე ვჰსთქვი“ და გამოიყენება მაშინ, როცა საკუთარ ნათქვამს გადავცემთ სხვა პირს. აღნიშნულია ასევე, რომ „-თქო“ ნაწილაკი გამოიყენება როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში მაშინ, როდესაც ვინმეს სხვისი პირით შევუთვლით ან დავაბარებთ რამეს მესამე პირისთვის გადასაცემად. მან გამოყო -ო ნაწილაკიც, რომელიც „თქსა ნათქვამზე“ გამოიყენება და სიტყვის ბოლო მარცვალს უერთდება. თედო ჟორდანიამ (1854-1916) და ანდრია ბენაშვილმა (1852-1908) პირდაპირ ნათქვამს უწოდეს „შემოტანილი წინადადება“, რომელიც სხვა პირმა თქვა და გამოყენებულია „შეუცვლელად“ (ჟორდანია 1889; ბენაშვილი 1894). თ. ჟორდანიას გრამატიკაში მოცემულია მსჯელობა პირდაპირ ნათქვამთან ბრჭყალებისა („სამონმებელი ნიშნები“) და ორწერტილის გამოყენებაზე. სილოვან ხუნდაძემ (1860-1928) ამ სიტყვებს უწოდა „მოყვანილი“ (ზოგჯერ – პირდაპირი მიმართვა) (ხუნდაძე, 1912). მოსე ჯანაშვილთან (1855-1934) უკვე გამოყენებულია ტერმინები: „სხვისი სიტყვა“ და „სხვისი ნათქვამი“ (ჯანაშვილი, 1906). არისტო ქუთათელაძესთან (1850 -1912) ვხვდებით „მოყვანილ წინადადებას“, რომელიც უცვლელად გადმოსცემს სხვის აზრს (ქუთათელაძე 1889). ჩანს, მან იგულისხმა დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული ირიბი ნათქვამი. ის მსჯელობდა ასევე პუნქტუაციის წესებზე სხვათა სიტყვებში. მელიტონ კელენჯერიძე (1864-1942) თავის გრამატიკაში ასახელებდა „მოტანილი სიტყვების“ ორ სახეს: „პირდაპირ თქმას“ (ანუ უცვლელად მოტანილ სხვის სიტყვებს) და „არაპირდაპირ თქმას“ (სხვისი ნათქვამის გამოყენებას ავტორისეულ სიტყვებთან ერთად) (კელენჯერიძე 1925).

სხვათა სიტყვის კვლევისა და ტერმინოლოგიის საბოლოოდ შექმნა-დამკვიდრებაში დიდი წვლილი შეიტანა აკად. აკაკი შანიძემ (1887-1987). მან „ქართული ენის გრამატიკაში“ (1948), შემდეგ კი ლეო კვაჭაძემ (1908-2011) „ქართული ენის სინტაქსსა“ და „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის“ გამოცემებში დაწვრილებით განიხილეს ეს საკითხი (კვაჭაძე, 1956; მისივე, 1977 და სხვ.). ლ. კვაჭაძე შეეხო პუნქტუაციის საკითხებსაც.

უნდა აღინიშნოს 1965 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამართული სამეცნიერო პოლემიკა, როცა გრ. შანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ირიბი ნათქვამი უცხოა ძველი ქართული მწერლობისა და ხალხური შემოქმედებისათვის, რომ „ის ქართული ენის ბუნების სანაწარმდეგო ფორმაა და მისი განდევნისათვის უნდა ვიბრძოლოთ“ (გრ. შანიძე, 1965, გვ. 128)⁶. ირიბი მეტყველების არსებობა დამაჯერებლად დაასაბუთა შ. ძიძიგურმა თავის საპასუხო სტატიაში (1965, გვ. 94-101).

⁶ ამის შესახებ იხ. კვაჭაძე, 1977, გვ. 442.

სხვათა სიტყვა, მისი ფუნქციები და სიტყვასიტყვითი ნაწილაკები ძველ, საშუალო და ახალ ქართულში ღრმად გააანალიზა გერმანელმა ქართველოლოგმა **ვინფრიდ ბოედერმა** (2002, გვ. 3-48). მან განიხილა პირდაპირი და ირიბი ნათქვამი ქართული ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, დაასახელა სათანადო მაგალითები, განსაკუთრებული ყურადღება კი გაამახვილა სხვათა სიტყვის გამოხატვაზე სვანურში (მოკლედ აღწერა ლაზური ენის ვითარებაც).

ევიდენციულობის თვალსაზრისით შესწავლილია სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი (ქურდაძე, 2019-2020). აღსანიშნავია დაკვირვებები სხვათა სიტყვის ნაწილაკებსა და ირიბ ნათქვამზე მეგრულსა და ლაზურში (იხ. კაჭარავა, 1950, გვ. 242-257; დადიანი, 2006, გვ. 81-86; ქირია და სხვ., 2015, გვ. 275-276; 486; 745; 749-750). დასახელებული ნაშრომები ცხადყოფს, რომ ამ ენობრივი ფენომენის კვლევა უაღრესად საინტერესოა სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის – დიაქრონიულად, შედარებითი თვალსაზრისით – ქართულში, სვანურში, მეგრულსა და ლაზურში.

2.2 სხვათა სიტყვის კლასიფიკაციის საკითხისათვის ქართულ ენათმეცნიერებაში

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი კარგადაა შესწავლილი თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში, სხვათა სიტყვის სახეების კლასიფიკაციის შესახებ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების გამო საკითხი საკამათო ჩანს. მაგალითად, მეცნიერები სხვათა სიტყვაში გამოყოფენ ორ ჯგუფს: **პირდაპირსა და ირიბ ნათქვამს**, მაგრამ ქართულ ენაში არსებობს ერთგვარი გარდამავალი ფორმაც: **ნაწილაკდართული სხვათა სიტყვა**. საინტერესოა, სხვათა სიტყვის რომელ ტიპს მიეკუთვნება ის? მეცნიერთა უმრავლესობა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ვ. ბოედერი, ჟ. ფეიქრიშვილი, ლ. გეგუჩაძე) ნაწილაკიან სხვათა სიტყვას მიიჩნევს **პირდაპირი ნათქვამის** ერთ-ერთ სახედ, ა. არაბულს კი გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მას „ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავს პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან მიმართებით. ფორმითა და შინაარსით (მოდალობით) ის ირიბ ნათქვამს ეკედლება (ამიტომაც მივიჩნიეთ ის ირიბი ნათქვამის ქვესახეობად), მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულად შენარჩუნებული აქვს სხვისი ნათქვამის სიტყვასიტყვით გადმოცემის პრეტენზია“ (არაბული, 2004, გვ. 174). ჩვენც ვემხრობით ამ შეხედულებას და ნაწილაკიან სახეს, როგორც გარდამავალ საფეხურს პირდაპირსა და ირიბ ნათქვამს შორის, ირიბ ნათქვამს ვაკუთვნებთ⁷. ასეთ შემთხვევაში ნათქვამი (ან ნაფიქრი) სიტყვები ფორმით უცვლელია, ზმნების კატეგორიებიც (**პირი, დრო, კი-**

⁷ ვფიქრობთ, შესაძლებელია მას ეწოდოს „ნახევრად პირდაპირი ნათქვამიც“ (semi-indirect speech). ეს ტერმინი გამოიყენა ვ. ბოედერმა სვანურში ზოგიერთი ფორმის აღსანიშნავად (ბოედერი, 2002, გვ. 25-26).

ლო) იგივეა, მაგრამ გამონათქვამის ბოლოს საჭიროა სხვათა სიტყვის რომელიმე ნაწილაკი, იმისდა მიხედვით, ვინაა მთქმელი: პირველი პირი **-(მეთქი/-თქო)** თუ მესამე **(-ო)**. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის არ ასახავს უშუალოდ კომუნიკაციის პროცესს (ვ. ბოედერის ტერმინით, „პირისპირ მეტყველება“ face-to-face speech), არამედ იმეორებს თავის ან სხვის ადრინდელ ნათქვამს ან ნაფიქრს (იხ. სქემა 1).

სხვათა სიტყვა ქართულ ენაში				
	პირდაპირი ნათქვამი		ირიბი ნათქვამი	
		ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა		
	უცვლელი პირდაპირი ნათქვამი	ნაწილაკიანი პირდაპირი ნათქვამი	ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამი	კავშირიანი ირიბი ნათქვამი (დამოკიდებულ წინადადებაში)
ა. შანიძე	+	+	-	+
ლ. კვაჭაძე	+	+	-	+
ვ. ბოედერი	+	+		+
ჟ.ფეიქრიშვილი	+	+	-	+
ლ. გეგუჩაძე	+	+	-	+
ა. არაბული	+	-	+	+

სქემა 1: სხვათა სიტყვის კლასიფიკაცია

2.3 „სხვათა სიტყვის“ განმარტების დასაზუსტებლად

ვფიქრობთ, ზოგიერთი მეცნიერის ნაშრომში (ან სახელმძღვანელოში) უნდა შეივსოს „სხვათა სიტყვის“ განმარტება და ხაზი გაესვას, რომ ის აღნიშნავს არა მარტო **უცხო (ანუ სხვა)** პირის ადრინდელ ნათქვამს ან ნაფიქრს, არამედ მოუბარი პირისასაც. სწორედ ასეთ შემთხვევებშია გამოყენებული **-მეთქი** და **-თქო** ნაწილაკები ქართულში და შესაძლებლობა ხდება, აზრი გაცილებით მოქნილად გამოიხატოს კავშირიან დამოკიდებულ წინადადებასთან შედარებით, რადგან ზმნის ფორმა ირიბ ნათქვამშიც უცვლელი რჩება. რამდენიმე განმარტებაში მითითებულია მხოლოდ **სხვა** პირი, რაც დამაბნეველი ჩანს. ერთი შეხედვით, დაუზუსტებლად, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ **სხვა** პირში იგულისხმება **პირველი პირიც (მოუბარიც)**. იგივე შეიძლება ითქვას ნაწილაკთა სახელდებაზეც. მათ ა. შანიძე მართებულად უწოდებდა „სიტყვასიტყვით ნაწილაკებს“ და ხაზს უსვამდა, რომ მათი დამატებით გადმოიცემა სხვისი ან საკუთარი ნათქვამი ან განაზრახი (შანიძე, 1973, გვ. 610).

ლ. კვაჭაძესთან აღნიშნულია: „ისეთ ნათქვამს, რომელიც სხვას ეკუთვნის და ავტორს ჩართული აქვს თავის ნათქვამსა თუ ნაწერში, **სხვათა სიტყვა** ანუ **სხვათა ნათქვამი** ჰქვია“ (კვაჭაძე, 1977, გვ. 440). იქვე მეცნიერი ამატებს: „სხვათა სიტყვას განეკუთვნება აგრეთვე ავტორის მიერ წინათ ნათქვამი (თუ განაზრახი), რომელსაც ის იმეორებს და ჩაურთავს თავის ნათქვამში“ (იქვე, 440-441). სწორედ ეს უნდა ეწეროს სხვა ნაშრომებშიც (ან სახელმძღვანელოებში): არა მარტო **ავტორი**, არამედ **მოუბარი** ან **მოსაუბრე** პირიც, რადგან სხვათა სიტყვა გამოიყენება როგორც წერიით, ისე ზეპირი მეტყველების დროს.

3. ირიბი ნათქვამის ლექსიკურ-გრამატიკული მახასიათებლები

თანამედროვე ქართულ ენაში ირიბი ნათქვამის გადმოსაცემად არსებობს ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებების ორი შესაძლებლობა:

1. სხვათა სიტყვის გადმოცემა **რომ**-კავშირიანი დამოკიდებული წინადადების სახით. ამ დროს საჭიროა წინადადებაში ზოგიერთი სახის ცვლილება, კერძოდ, ზმნის **პირისა და დროის** (ზოგჯერ კილოს) ფორმათა შეცვლა; პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების (მე, შენ → ის; ჩვენ, თქვენ → ისინი; ჩემი, შენი → მისი; ჩვენი, თქვენი → მათი), დროის ან ადგილის ზმნიზედების (ახლა → მაშინ, ახლავე → მაშინვე, შარშან → ერთი წლის წინ, აქ → იქ) ჩანაცვლება (ამის შესახებ იხ. ზექალაშვილი, 2004, გვ. 132-133).

2. მეორე შესაძლებლობაა **-მეთქი, -თქო, -ო** სიტყვასიტყვითი ნაწილაკების დართვა⁸: პირველი პირის ნათქვამისთვის – **-მეთქი** ან **-თქო** ნაწილაკები, ხოლო მესამე პირისთვის – **-ო** ნაწილაკი ზმნის ფორმების შეუცვლელად.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ანმეოსა და წყვეტილში სამივე პირისათვის. ნაწილაკიან ირიბ ნათქვამში პირველ პირში დადგება **-მეთქი** ნაწილაკი (< მე ვთქვი), მეორე და მესამე პირებში კი – **-ო**. სხვაობა ვლინდება მესამე პირში: **რომ**-კავშირიან ირიბ ნათქვამში ზმნური ფორმა მესამე პირშია, **ნაწილაკიანში** კი პირველ პირში რჩება.

3.1 პირდაპირი ნათქვამის შეცვლა ირიბით – ტრანსფორმაციის საშუალებები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირდაპირი ნათქვამის ირიბად ქცევის პროცესში საჭიროა გარკვეული ტრანსფორმაცია წინადადებათა მოდალური სახეების შესაბამისად (თხრობით, კითხვით და ბრძანებით წინადადებებში). თხრობით წინადადებაში კავშირიან ირიბ ნათქვამში უმეტესად გამოყენებულია **რომ** კავშირი (ზოგჯერ – კავშირი **თუ**).

⁸ ბ. ჯორბენაძე მათ უწოდებს სხვათა სიტყვის **ნაწილაკ-მორფემოიდებს** (იხ. ჯორბენაძე 1985, გვ. 40-41).

3.1.1 თხრობით წინადადებაში

ავტორისეული წინადადების ზმნა ანმყოში, I და II პირებისთვის პირდაპირი ნათქვამი

(1ა) (მე) ვამბობ: – (მე) თეატრში მივდივარ. (მე) ვამბობ: – (მე) წიგნს ვკითხულობ.

(1ბ) (შენ) ამბობ: – (მე) თეატრში მივდივარ. (შენ) ამბობ: – (მე) წიგნს ვკითხულობ.

ირიბი ნათქვამი

(2ა) (მე) ვამბობ, რომ თეატრში მივდივარ. (მე) ვამბობ, რომ წიგნს ვკითხულობ.

(2ბ) (შენ) ამბობ, რომ თეატრში მივდიხარ. (შენ) ამბობ, რომ წიგნს ვკითხულობ.

ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამი

(3ა) (მე) ვამბობ, თეატრში მივდივარ-მეთქი. (მე) ვამბობ, წიგნს ვკითხულობ-მეთქი.

(3ბ) (შენ) ამბობ, თეატრში მივდივარო. (შენ) ამბობ, წიგნს ვკითხულობო.

ავტორისეული წინადადების ზმნა ანმყოს III პირისთვის პირდაპირი ნათქვამი

(4ა) ის ამბობს: – (მე) თეატრში მივდივარ. ის ამბობს: – (მე) წიგნს ვკითხულობ.

ირიბი ნათქვამი

(4ბ) ის ამბობს, რომ თეატრში მივდის. ის ამბობს, რომ წიგნს ვკითხულობს.

ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამი

(4გ) ის ამბობს, თეატრში მივდივარო. მან თქვა, წიგნს ვკითხულობო.

წყვეტილი (აორისტი)

პირდაპირი ნათქვამი I და II პირებისთვის

(5ა) (მე) ვთქვი: – (მე) გუშინ თეატრში ვიყავი. (მე) ვთქვი: – (მე) ეს წიგნი წავიკითხე.

(5ბ) (შენ) თქვი: – (მე) გუშინ თეატრში ვიყავი. (შენ) თქვი: – (მე) ეს წიგნი წავიკითხე.

ირიბი ნათქვამი

(6ა) (მე) ვთქვი, რომ გუშინ თეატრში ვიყავი. (მე) ვთქვი, რომ ეს წიგნი წავიკითხე.

(6ბ) (შენ) თქვი, რომ გუშინ თეატრში იყავი. (შენ) თქვი, რომ ეს წიგნი წავიკითხე.

ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამი

(7ა) (მე) ვთქვი, გუშინ თეატრში ვიყავი-მეთქი. (მე) ვთქვი, ეს წიგნი წავიკითხე-მეთქი.

(7ბ) (შენ) თქვი, გუშინ თეატრში ვიყავიო. (შენ) თქვი, ეს წიგნი **წავიკითხეო**.

ზმნა წყვეტილში, III პირისთვის

პირდაპირი ნათქვამი

(8ა) მან თქვა: – (მე) გუშინ თეატრში ვიყავი. მან თქვა: – (მე) ეს წიგნი **წავიკითხე**.

ირიბი ნათქვამი

(8ბ) მან თქვა, რომ გუშინ თეატრში **წავიდა**. მან თქვა, რომ ეს წიგნი **წაიკითხა**.

ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამი

(8გ) მან თქვა, გუშინ თეატრში **ვიყავიო**. მან თქვა, ეს წიგნი **წავიკითხეო**. როგორც ვხედავთ, კავშირიან ირიბ ნათქვამში ქვეწყობილის მთავარ წინადადებად ავტორისეული გამონათქვამი იქცევა, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში დგას კავშირი **რომ**.

მოცემულ მაგალითებში პირველ-მეორე პირებისთვის როგორც პირდაპირი, ისე ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამის ფორმები ერთი და იგივეა. მხოლოდ მესამე პირის კავშირიან ირიბ ნათქვამში იცვლება მესამე პირის ფორმით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრანსფორმაცია ხდება მხოლოდ III პირის ავტორისეულ გამონათქვამთან.

3.1.2 კითხვით წინადადებაში

კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების ჩანაცვლებისას ირიბი კითხვით მეორდება მაკავშირებელი სიტყვები: **ვინ, რა, როდის, სად...**, უკითხვით-სიტყვო წინადადებაში კი ემატება კავშირები: **თუ ან თუ არა**. წინადადება უკვე აღარაა კითხვითი და იქცევა თხრობითად.

ა.კითხვითი სიტყვის გარეშე

ანმყო

(9ა) დედა ეკითხება ქალიშვილს: – დღეს თეატრში მიდიხარ?

(9ბ) დედა ეკითხება ქალიშვილს, მიდის თუ არა (ის) დღეს თეატრში.

(9გ) დედა ეკითხება ქალიშვილს, დღეს თეატრში თუ მიდიხარო.

უწყვეტელი

(10ა) დედა ეკითხებოდა ქალიშვილს: – დღეს თეატრში იყავი?

(10ბ) დედა ეკითხებოდა ქალიშვილს, იყო თუ არა (ის) დღეს თეატრში.

(10გ) დედა ეკითხებოდა ქალიშვილს, დღეს თეატრში თუ იყავიო.

წყვეტილი

(11ა) დედამ ჰკითხა ქალიშვილს: – დღეს თეატრში იყავი?

(11ბ) დედამ ჰკითხა ქალიშვილს, იყო თუ არა დღეს თეატრში.

(11გ) დედამ ჰკითხა ქალიშვილს, დღეს თეატრში თუ იყავიო.

ბ.კითხვითსიტყვიანი წინადადება

ანმყო

(12ა) დედა ეკითხება ქალიშვილს: – როდის მიდიხარ თეატრში?

(12ბ) დედა ეკითხება ქალიშვილს, როდის მიდის (ის) თეატრში.

(12გ) დედა ეკითხება ქალიშვილს, როდის მიდიხარ თეატრშიო.

უნყვეტელი

(13ა) დედა ეკითხებოდა ქალიშვილს: – როდის მიდიხარ თეატრში?

(13ბ) დედა ეკითხებოდა ქალიშვილს, როდის მიდიოდა (ის) თეატრში.

(13გ) დედა ეკითხებოდა ქალიშვილს, როდის მიდიხარ თეატრშიო.

წყვეტილი

(14ა) დედამ ჰკითხა ქალიშვილს: – როდის მიდიხარ თეატრში?

(14ბ) დედამ ჰკითხა ქალიშვილს, როდის მიდიოდა (ის) თეატრში.

(14გ) დედამ ჰკითხა ქალიშვილს, როდის მიდიხარ თეატრშიო.

თუკი ავტორისეულ წინადადებაში ზმნა პირველ პირშია, მაშინ ნაწილაკიან ირიბ ნათქვამში გამოყენებულია -მეთქი:

(15ა) მე ვეკითხები ქალიშვილს: – როდის მიდიხარ თეატრში?

(15ბ) მე ვეკითხებოდი ქალიშვილს: – როდის მიდიხარ თეატრში?

(15გ) მე ვკითხე ქალიშვილს: – როდის მიდიხარ თეატრში?

დამოკიდებული წინადადება

(16ა) მე ვეკითხები ქალიშვილს, როდის მიდის თეატრში.

(16ბ) მე ვეკითხებოდი ქალიშვილს, როდის მიდიოდა თეატრში.

(16გ) მე ვკითხე ქალიშვილს, როდის მიდიოდა თეატრში.

ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამი

(17ა) მე ვეკითხები ქალიშვილს, როდის მიდიხარ თეატრში-მეთქი.

(17ბ) მე ვეკითხებოდი ქალიშვილს, როდის მიდიხარ თეატრში-მეთქი.

(17გ) მე ვკითხე ქალიშვილს, როდის მიდიხარ თეატრში-მეთქი.

როგორც ვხედავთ, ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადება სამივე მაგალითში ერთნაირია, ხოლო ბოლო სიტყვას ემატება ნაწილაკი -მეთქი. ზმნის დრო იცვლება მხოლოდ უნაწილაკო მაგალითებში.

3.1.3 ბრძანებით წინადადებაში

ბრძანებითი წინადადების ქცევისას ირიბ ბრძანებად შეიძლება გამოვიყენოთ ნაწილაკი **უნდა** (ანდა აუცილებლობის გამომხატველი სიტყვები: **აუცილებელია, საჭიროა, სავალდებულოა...**) და ზმნის კავშირებითის მწკრივი; უარყოფით ნაწილაკებთან: **ნუ + ანმყო/მყოფადი ან არ + მეორე კავშირებითი**. მოდალობის მიხედვით წინადადება უკვე თხრობითი ხდება.

(18ა) მამამ უთხრა ვაჟს: – ახლავე წადი უნივერსიტეტში!

(18ბ) მამამ უთხრა ვაჟს: – ნუ მიდიხარ დღეს უნივერსიტეტში!

(18გ) მამამ უთხრა ვაჟს: – არ ნახვიდე დღეს უნივერსიტეტში!

კავშირიანი ირიბი ნათქვამი

(19ა) მამამ უთხრა ვაჟს, რომ მაშინვე (უნდა) ნასულიყო უნივერსიტეტში.

(19ბ) მამამ უთხრა ვაჟს, რომ ნუ მიდის/ნავა დღეს უნივერსიტეტში.

(19გ) მამამ უთხრა ვაჟს, რომ არ (უნდა) ნასულიყო დღეს უნივერსიტეტში!

ნაწილაკიანი ირიბი ნათქვამი

(20ა) მამამ უთხრა ვაჟს, ახლავე წადი უნივერსიტეტშიო.

(20ბ) მამამ უთხრა ვაჟს, ნუ ნახვალ დღეს უნივერსიტეტშიო.

(20გ) მამამ უთხრა ვაჟს, არ ნახვიდე დღეს უნივერსიტეტშიო.

3.2 სასაუბრო მეტყველებაში გამოყენებული ნაწილაკი ირიბი ნათქვამის გადმოსაცემად

ადრინდელ ნაშრომებში ჩვენ უკვე გამოვთქვით მოსაზრება, რომ, გარდა ცნობილი ნაწილაკებისა (-მეთქი, -თქო, -ო), გამოსაყოფია კიდევ ერთი სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი **-მეუთხარი**, რომელიც ყოველდღიურ საუბარში ხშირად გამოიყენება ვინმესთან ადრე წარმართული დიალოგის გადმოცემისას, თუმცა ჯერჯერობით ის არ მიიჩნევა სალიტერატურო ენის კუთვნილებად. ხაზგასმულია, რომ მისი ჩამოყალიბება ჰგავს **-მეთქი** ნაწილაკის შექმნის გზას, იმ განსხვავებით, რომ აქ ორპირიან ზმნას **ვთქვი** ენაცვლება მწკრივში მონაცვლე სამპირიანი **ეუბნება** წყვეტილის ფორმით. ამას გარდა, ორივეში დაკარგულია პირველი პირის პრეფიქსი (იხ. ზექალაშვილი, 2004, გვ. 131; მისივე, 2010, გვ. 30-31; მისივე, 2020, გვ. 202-203). ესაა ე. წ. „დიალოგი დიალოგში“, პირველი პირი (საუბრის წარმმართველი) ადრესატს უყვება თავისი ადრინდელი დიალოგის შესახებ, იმეორებს თავისსა და თანამოსაუბრის რეპლიკებს, საკუთარ ნათქვამს კი უმატებს ნაწილაკს **მეუთხარი**, ხშირად იყენებს მას **-მეთქი** ნაწილაკთან ერთად და ერთგვარად აძლიერებს მის შინაარსს.

3.3 სიტყვასიტყვითი ნაწილაკები ქართული ენის კორპუსებში

ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და ქართული დიალექტების კორპუსში საკმაოდ ბევრია სიტყვასიტყვითი ნაწილაკების შემცველი მაგალითები. ეს შესაძლებლობას გვაძლევს, მოვიყვანოთ სტატისტიკური მონაცემები მათი გავრცელების სიხშირესთან დაკავშირებით. როგორც მოსალოდნელი იყო, -მეთქი ნაწილაკი გაცილებით სჭარბობს -თქო-ს რაოდენობას, რადგან ამ უკანასკნელის გამოყენება შინაარსით შეზღუდულია (პირველი პირის ნათქვამის გადაცემა სხვა პირისადმი ადრესატის მეშვეობით).

რაც შეეხება -ო ნაწილაკს, ის ყველაზე გავრცელებულია, მაგრამ შეიძლება იყოს პროსოდული ხმოვანიც (პოეტურ ტექსტებში).

ეს ნაწილაკები დასტურდება ქართულ ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურულ ტექსტებში, თარგმანებსა და პუბლიცისტურ მასალაში⁹. ქვეკ-ში -მეთქი-ს 2816 მაგალითია, -თქო – 207; ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსში – 569 შემთხვევა, თქო – 135; ქართულ დიალექტურ კორპუსში – მეთქი – 144, თქო – 1358 (რადგან ის ემთხვევა „თქვა“ ზმნის შესამე პირის დიალექტურ ფორმას: **მან თქო**).

ქართული ენის კორპუსები	მეთქი	თქო
ქვეკ	2816	207
ქეკ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)	569	135
ქდკ	144	1358
Google-ის ძიება	788,000	460,000

სქემა 2: -მეთქი და -თქო ნაწილაკების გამოყენების სიხშირე.

3. 4 -ო ნაწილაკის გამოყენების განსაკუთრებული შემთხვევები და ზმნები ირიბ ნათქვამში

აღსანიშნავია -ო ნაწილაკის გამოყენება **თითქოს**-კავშირიან და **ნატვრის** გამომხატველ **ნეტა**-ნაწილაკიან დამოკიდებულ წინადადებებში.

მაგალითად:

(21) ქალმა ისე დარცხვენილად გამიცინა, **თითქოს** პირველად მხედავსო.

(22) ვაჟმა ინატრა, **ნეტა** იმ შველივით გოგონას შევუყვარდეო¹⁰.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემების მიხედვით გამოვყავით ზმნები, რომელთა შემდეგაც დადასტურდა სიტყვასიტყვითი ნაწილაკები. როგორც მოსალოდნელი იყო, ესაა „მეტყველებისა“ და „ფიქრის“ წრის ზმნები სხვადასხვა პირსა და დროში: ამბობს (იტყვის/თქვა, უთქვამს), ეუბნება (ეტყვის, უთხრა), უამბობს, მოახსენებს, ელაპარაკება, ესაუბრება, უყვირის, წამოიძახებს, ევედრება, ეჩურჩულებს, ებუტბუტება, ებუზღუნება, ეწუნუნება, ელაქლაქება, ეკამათება, ედავება, ატყუებს... ფიქრობს, ჰგონია, ნატვრობს, ოცნებობს, უკვირს, ეკითხება, უბრძანებს...

დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს:

(23) **ვსთქვი**: „სწორედ მერცხლის ბუდეა აქა და იქ ზის-მეთქი“ (ა.წერ.)(ქვეკ)¹¹

⁹ უაღრესად საინტერესოა სხვათა სიტყვისა (პირდაპირისა და ირიბი ნათქვამის) და სიტყვასიტყვითი ნაწილაკების გამოყენების ისტორია ძველ და საშუალო ქართულშიც (ამის შესახებ იხ. ბოედერი, 1988). ამჯერად ამ საკითხებზე ჩვენ არ გაგვიმახვილებია ყურადღება.

¹⁰ საკითხი ცალკე კვლევის საგანია და ამიტომ აქ დაწვრილებით არ შევხებით.

¹¹ მაგალითები დადასტურებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან.

(24) ისიც **გავიფიქრე**, თვითონ თუთაშხია, ალბათ, ერთი მახინჯი ვინმეა-მეთქი (ჭ. ამირ.)(ქვევ).

(25) ხომ არ ვეტყვი, გაჩენის დღიდანვე **ვიცოდი**, მაინცდამაინც თქვენს ქვეყანაში რომ გადავეყრებოდი ჩემს ბედისწერას-მეთქი (ო. ჭილ) (ქვევ).

(26) მე კი **შევპირდი**, მზის ამოსვლას გაჩვენებ-მეთქი (ა. სულაკ.) (ქვევ).

(27) დამშვიდდი, ჯაყო. მე **მეგონა**, ცოლი ან შ...შშვილი მოგიკვდა-მეთქი (მ.ჯავ.) (ქვევ).

(28) ვათვალიერებდი და **მიკვირდა**, – განა, რა უნდა მოსწონებოდა დათა თუთაშხიას ამქალისა-მეთქი!(ჭ. ამირ.) (ქვევ).

(29) იცი, რას **ვნატრობ**? ნეტავი, სულ მონყენილი იყოს-მეთქი (ო. ჭილ) (ქვევ).

-თქო:

(30) თუ ვინმემ გამყიდველი იკითხა, **უთხარი**, ტელეფონზე დასარეკად გადავიდა-თქო (თ. ექვთიმ.) (ქვევ).

(31) მცირე ხნის მერე მიუგო იაკობმა, – ძმებს კი **გადაეცი**: „მამამ ასე ინება-თქო“ (ქვევ) და ა. შ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მხატვრულ, პუბლიცისტურ და დიალექტურ ტექსტებში **-თქო**-ს შემცველ წინადადებათა უმეტეს ნაწილს სწორედ -მეთქი-ს მნიშვნელობა აქვს, ეს კი არასწორად გვიჩვენებს რეალურ სტატისტიკას.

რაც შეეხება **განზოგადებულპირიან** ფორმებს: **ნათქვამია, თქმულა, (როგორც) ამბობენ, (როგორც) იტყვიან**, ესენი შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ -ო სხვათა სიტყვის შემცველ აფორისტულ გამონათქვამებსა და ანდაზებში იგულისხმება.

5. ძირითადი დასკვნები

მაშასადამე, სხვათა სიტყვის (ანუ სხვისი ნათქვამის) სახეებში გამოყოფენ **პირდაპირ** ნათქვამსა და **ირიბ** ნათქვამს, ზოგჯერ დამატებით ასახელებენ **არასაკუთრივ-პირდაპირ** ნათქვამსა და **დიალოგსაც**. **პირდაპირი** ნათქვამი უცვლელია, საუბარში ხშირად გამოიყენება უშუალო კომუნიკაციის დროს. ირიბი ნათქვამი კი შეიძლება იყოს სახეცვლილი, გადმოცემული დამოკიდებული წინადადების **კავშირიანი** ან **ნაწილაკიანი** ფორმით.

სტატიაში განხილულია სხვათა სიტყვის გადმოცემის გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებები თანამედროვე ქართულში, მიმოხილულია ამ ენობრივი მოვლენის შესწავლის ისტორია ქართულ გრამატიკებში, ქართველ და უცხოელ ლინგვისტთა შეხედულებები სხვათა სიტყვის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ვ. ბოდერი, ლ. გეგუჩაძე, ჟ. ფეიქრიშვილი, ა. არაბული...).

ემპირიული მასალა მოძიებულია ქართული ენისა და დიალექტების კორპუსებიდან. განხილვის დროს მოშველიებულია აღწერილობითი, შედარებითი და კორპუსლინგვისტიკის მეთოდები.

რაც შეეხება სხვათა სიტყვის კლასიფიკაციას, გაზიარებულია ა. არაბულის მოსაზრება, რომ **ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა** უნდა ჩაითვალოს **ირიბი ნათქვამის** სპეციფიკურ სახედ და არა **პირდაპირ** ნათქვამად, როგორც ეს მანამდე იყო მიღებული. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ ასეთი ნათქვამი არ ასახავს უშუალო კომუნიკაციას, არამედ, ირიბი ნათქვამის მსგავსად, იმეორებს ადრე ნათქვამს ან ნაფიქრს (განაზრახს).

წინადადებათა მოდალური სახეობების მიხედვით (თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები) შესწავლილია პირდაპირი ნათქვამის ირიბად ქცევის პროცესში საჭირო ტრანსფორმაცია, როცა გადმოიცემა ე. წ. ირიბი თხრობა, ირიბი კითხვა, ირიბი ბრძანება ან თხოვნა. ავტორისეული სიტყვები რთული ქვეწყობილის **მთავარი** წინადადება ხდება, ხოლო **დამოკიდებულ** წინადადებაში დგას კავშირები: თხრობითში – **რომ**, კითხვითში – **თუ** ან **თუ არა**, მაკავშირებელი სიტყვები (**ვინ, რა, როდის, სად...**), ბრძანებითში – ნაწილაკი **უნდა** (ასევე სიტყვები: აუცილებელია, საჭიროა, სავალდებულოა...) და ზმნა კავშირებითის მწკრივში ან უარყოფითი ნაწილაკები: **ნუ + ანმყო/მყოფადი; არ + მეორე კავშირებითი**.

მოცემულია სიტყვასიტყვითი ნაწილაკების გავრცელების სიხშირის სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა კორპუსის ბაზებზე დაყრდნობით. როგორც მოსალოდნელი იყო, **-მეთქი** ნაწილაკი გაცილებით სჭარბობს **-თქო**-ს რაოდენობას, რადგან ამ უკანასკნელის გამოყენება შინაარსობრივად შეზღუდულია.

-ო ნაწილაკი ყველაზე გავრცელებულია, მაგრამ ზოგჯერ ის პროსოდიული ხმოვანია. აღსანიშნავია ამ ნაწილაკის გამოყენება **თითქოს-კავშირიან** და **ნატვრის** გამომხატველ **ნეტა-ნაწილაკიან** დამოკიდებულ წინადადებებში.

გამოყოფილია **მეტყველებისა** და **ფიქრის** წრის ზმნები, რომელთა შემდეგაც დასტურდება სიტყვასიტყვითი ნაწილაკები: ამბობს, ეუბნება, მოახსენებს, უამბობს, ფიქრობს, ჰგონია, ნატრობს, ეკითხება... რაც შეეხება **განზოგადებულპირიან** ფორმებს: **ნათქვამია, თქმულა, ამბობენ, იტყვიან**, შედარებით იშვიათად დასტურდება, მაგრამ ავტორისტულ გამონათქვამებსა და ანდაზებში იგულისხმება.

ლიტერატურა:

არაბული, ა. (2004). ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ბენაშვილი, ა. (1894). მოკლე ქართული გრამმატიკა, შედგენილი და გამოცემული ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის ანდრია სიმ. ბენაშვილის მიერ. ტფილისი: ავტორის გამოცემა.

- ბოდერი, ვ. (2002). Boeder, Winfried (2002). Speech and thought representation in the Kartvelian (South Caucasian) languages”, in: Tom Güldemann – Manfred von Roncador (edd.): *Reported Discourse. A meeting ground of different linguistic domains* (= Typological Studies in Language 52). Amsterdam – Philadelphia: Benjamins, 3-48.
- გეგუჩაძე, ლ. (2010). ქართული ენა. სინტაქსის საკითხები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- დადიანი, ე. (2006). სხვათა სიტყვის ა ნაწილაკის ფონეტიკური ვარიანტებისათვის მეგრულში: ქართველური მემკვიდრეობა, X, 2006, 81-86. <https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/X/DadianiEka.pdf>
- ზექალაშვილი, რ. (2004). ქართული მართლწერის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ზექალაშვილი, რ. (2012). სიტყვასიტყვითი ნაწილაკები ქართული ენის დიალექტებში: XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ეძღვნება პროფ. ბესარიონ ჯორბენაძის დაბადების 70 წლისთავს, თბილისი, 2012, 30-31.
- ზექალაშვილი, რ. (2020). ირიბი ნათქვამი და მისი მახასიათებლები ქართულში [Indirekte Rede und ihre Merkmale im Georgischen]: 56th International Linguistic Colloquium (Lingcoll), Greece (Online-Conference), 2020, 202-203.
- იოსელიანი, პ. (1849). პირუელ-დანყებთნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, თფილისი: „ი. და დ. არზანოვთა სტამბა“.
- კაჭარავა, გ. (1950). სხვათა სიტყვის ნაწილაკები ქართულსა და ზანურში (მეგრულ-ზანურში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული 5, 242-257.
- კელენჯერიძე, მ. ს. (1925). ქართული პრაქტიკული გრამატიკა (თვითგანვითარებისა და ქართული ენის მოხალისეთათვის), ქუთაისი: „ადგილობრივი მეურნეობის სტამბა“.
- კვაჭაძე, ლ. (1956). ქართული ენის სინტაქსი (პუნქტუაციის საკითხებითურთ). თბილისი: „სამეცნიერო და მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა“.
- კვაჭაძე, ლ. (1977). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ჟორდანიას, თ. (1889). ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თბილისი და გამომცემული თ. ჟორდანიასაგან, ტფილისი: „ე. ხელაძის სტამბა“.
- რონკადორ, მ. (1988). Roncador Manfred von (1988). Zwischen direkter und indirekter Rede: Nichtwörtliche direkte Rede, erlebte Rede, logophorische Konstruktionen und Verwandtes: Linguistische Arbeiten 192, Tübingen: Max Niemeyer. 338 p. ISBN 3-484-30192-9 DOI: <https://doi.org/10.1515/9783111678764>
<https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/9783111678764/html>
- ფეიქრიშვილი, ჟ. (1996). ქართული ენის სინტაქსი (სალექციო კურსი). ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი „სტამბა“.
- ქირია, ჭ., მემიშიში, ო., ეზუგბაია, ლ., ჩუხუა, მ., (2015). ლაზურ-მეგრული გრამატიკა. მორფოლოგია, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. <http://www.ice.ge/new/pages/samples/books/lazur-megruli%20gramatika.pdf>
- ქუთათელაძე, ა. (1889). პირველ-დანყებთნი ქართული გრამატიკა: შედგენილი და გამოცემული არ. ქუთათელაძისაგან, მე-2 შევს. გამოცემა, ტფილისი: „არ. ქუთათელაძის გამოცემა“.

- ქურდაძე, რ. (2019-2020). „სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით: ქართველური მეცნიერება, VI, 2019-2020, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 285-292.
- შანიძე, ა. (1948). ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. 2: სინტაქსი (მართლწერის საკითხებითურთ), თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- შანიძე გრ. (1965). მოყვანილი სიტყვების გარკვევისათვის (პირდაპირი და ირიბი თქმის თავისებურებანი ქართულ ენაში. ენის ბუნებრიობის დაცვისათვის). ცისკარი, 1965, 3, 123-131.
- ძიძიგური, შ. (1965). ირიბი მეტყველების დასაცავად. ცისკარი, 1965, 7, 94-101.
- ხუნდაძე, ს. (1912). ქართული გრამატიკა, პირველდანიეებითი შკოლებისათვის, შედგენილი სილოვ. ხუნდაძის მიერ, ქუთაისი: თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა (ი. ხელაძის სტ.), 1912.
- ჯანაშვილი, მ. (1906). ქართული გრამატიკა: მეთაური სიტყვა. ეტიმოლოგია (მეგრულ-სვანურ ნიმუშებით). სინტაქსი. პერიოდი. ლექსთანყობა. ტფილისი: „ამხანაგობა „შრომა“.
- ჯორბენაძე, ბ. (1985). ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა. <http://sml.corpora.co/files/texts/18.pdf>

ენობრივი კორპუსები:

- სმლ – სამეცნიერო მეტალინგვისტური კორპუსი. <http://sml.corpora.co/#/>
- ქდკ – ქართული დიალექტური კორპუსი. <http://corpora.co/#/>
- ქეეკ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/gnc/page>
- ქეკ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსი. <http://corpora.ili-auni.edu.ge/?q=ka>

დარეჯან თვალთვაძე
Darejan Tvaltvdze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

„თავები“ ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში¹
The “Kephalaia” in the Georgian Manuscripts of the Four
Gospels

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული ხელნაწერები, ოთხთავი, პარატექსტები,
თავები, სასწაულნი, ოთხთავის ქართული ხელნაწერები.

Keywords: Old Georgian manuscripts, Four Gospels, Paratexts, Kephalaia, Miracles,
Georgian Manuscripts of the Four Gospels.

¹ ნაკითხულია მოხსენებად აკად. აკაკი შანიძის დაბადებიდან 135-ე წლისთავიდან მი-
ძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტში (26.02.2022).

The study of the Old Georgian translation of the Four Gospels and the manuscripts containing it has a long history and, of course, the major object of research is the text of the Gospel itself, which is rarely presented in manuscripts in its "pure form" (Genette, 1997, p.5). It is accompanied by the so-called "accompanying texts" and various tools used for the segmentation of the text and the visualization of information that form a fairly well-established system of paratexts. The codices of the Four Gospels are distinguished not only by the text, but also by the paratexts. The Greek manuscripts of the Gospel are well studied in this respect and it is noted that a system of paratexts varies according to a type of a text and a family of manuscripts (Metzger, 1977. Parker, 2008). It is noteworthy that until recently the Georgian manuscripts of the Four Gospels have not been an object of a special research in this respect. The first task of our scientists was to study the text of the Gospel, for which the so-called "external material of the text" was considered less interesting. The publisher of the Athonite redactions of the Georgian Four Gospels I. Imnaishvili wrote: *"We do not say anything about the external materials of the text, which precede and follow the Four Gospels. They have no direct connection to the text of the Gospel"* (1979, p. 56). In fact, as it turns out, the history of the text and its paratexts are closely related (Tvaltvadze, 2021, pp. 59-63. Sarjveladze, 2021, pp.169-174).

One of such paratexts is Κεφάλαια - the list of the thematic passages and chapters within each Gospel. Some of the sections obtained as a result of such division of the text are relatively long, while some are very short. Each chapter is named after a main story depicted in an episode and has a serial number in the list. The Kephalaia usually precedes the text of the Gospel. Numbers of chapters, sometimes even their titles (τίτλοι) are indicated in an appropriate place in a text, usually on a page of a manuscript from which it begins. This makes it easier for a reader to find a particular episode (Metzger 1981, pp.40-41. Hong, 1997, pp. 401-410).

It is not known when a paratext appeared in manuscripts of the Gospel. However, it is known that it was not presented in early Greek manuscripts, for example, in Codex Vaticanus, whose text was divided into chapters. The paratext was first found in Codex Alexandrinus. Accordingly, it is supposed that "κεφάλαια και τίτλοι" has been presented in the Greek manuscripts of the Four Gospels since the 5th century (Goswell, 2009, pp.134-174; Smith, 2014, pp.102-181). It should be noted that the division of the text of the Gospel into chapters is not the same everywhere and the titles of the chapters are also different (Edwards, 2010, pp. 413-426).

The Georgian equivalents of "Κεφάλαια" are „თავები“ ("chapters") or „თავნი საკითხავთანი“ ("chapters of reading") that mean a list of titles (τίτλοι) selected for each chapter within each Gospel, which informs us about the content of the particular Gospel. This list of titles is also called "ზანდუკი" (table of contents) in the Georgian literary tradition („ესე ზანდუკი არს მარკოზის საბარებისაჲ"/"This is the table of contents of the Gospel of Mark"). The paratext is presented in most of the Georgian

manuscripts of the Four Gospels. However, its direct connection with the history of the text of the Georgian translation of the Four Gospels is not clear. The purpose of our study is to determine whether the manuscripts containing redactionally different texts of the Gospels differ according to the "chapters" and how the history of this paratext relates to the change of the structure of the Four Gospels and to the stages of editing the text of the Gospel.

To answer these questions, we have studied more than 30 Georgian manuscripts of the Four Gospels, which contain the texts created at different stages of the editing process of the old Georgian translation of the Gospel. As expected, the manuscripts (according to the paratexts presented in them) present different pictures. In particular, the manuscripts of the Gospel are divided into two groups: a) the codices in which "chapters" are not presented and b) the codices in which "chapters" are presented. However, we do not always have the same situation in the second group of manuscripts: the lists containing redactionally different text also contain different versions for this paratext.

The oldest manuscripts of the Gospel, which had been created mainly before the end of the 10th century (pre-Athonite period) and contain the Proto-Vulgate (Opiza /Jruch-Parkahli) text, do not contain "chapters". "Chapters" are not presented in the Khanmeti Palimpsest manuscripts of the Gospel, in Adishi (897), Opiza (913), Jruchi (936) and Parkahli (973) Four Gospels as well as in the codices consisting of the text of this redaction (Sin.Geo.O.15; Sin.Geo.O.30-38; K-137; K-363...). However, it should be noted that in one part of the manuscripts of the Proto-Vulgate redaction the beginnings of the chapters are marked differently (mainly the red ink, cross and asterisk are used for rubrication).

The list of the thematic episodes of the Gospel first appeared in the manuscripts of the 10th-11th centuries (Outtier,1992, pp. 117-124), particularly, in the group of manuscripts that contains the text of the so-called "reworked Proto-Vulgate " (e. g. MS: Sin. Geo.O.16; S-962; Vienna Georg.1; Tskarostavi codex, Urbnisi codex, Tbeti codex, Mestia codex). However, in some of them there are the "miracles" (The list of miracles performed by Jesus, extracted from the text of the Gospel and sequentially arranged), not "chapters". Their location is not strictly defined. They mainly precede each Gospel, although in some manuscripts they follow it. In some cases, the "miracles" of all Four Gospels are presented together (for example, in the Tskarostavi, Tbeti and Mestia codices).

Some of the manuscripts of the pre-Athonite period (e.g., Sin.Geo.O.16; S-962) have the paratext entitled "Miracles", but in reality, "it is the list of chapters. Part of them (e.g., Urbnisi codex; Vienna Georg.1) have both ("chapters" and "miracles). It is noteworthy that the titles of the chapters in this group of manuscripts are often quite extensive and in fact, convey a brief content of the episode. Usually, the serial number of the chapters is also indicated in the text. It is either framed or separated by dots for being distinguished from other marginal notes (Ammonian Sections, Eusebian Canons numbers). Sometimes the number of the chapter is indicated even when the manuscript

does not present a table of contents of the chapters (e.g., in the Palestinian codex (H-1741).

Unlike the manuscripts of the pre-Athonite period, the vast majority of the codices created in the Athonite period (from the second half of the 11th century) are accompanied only by "Kephalaia" (we do not have "miracles"). The location of the paratext is strictly defined and the titles are shorter than in the manuscripts of the previous period. The text of the Gospels also strictly adheres to the rule of indicating a number of a chapter on margins. The titles of chapters are rarely completely indicated on the upper and lower margins (for example, in Vani Gospels, A-1335).

In the codices of the Athonite period, several manuscripts were identified which, in general, form the particular transitional stage in the process of forming the system of paratexts (in terms of "chapters"). These manuscripts (the Four Gospels of Alaverdi, Kurashi, Ienashi and the original text of the Gospel of Oshki) contain the intermediate review of the redaction (Giorgiseuli I) of George the Athonite. It turns out that along with the text of the Gospel, the paratexts undergo changes during the editing process. The good example of this is the Gospel of Oshki (Ivir.georg.62), the two-layered manuscript, whose lower layer is corrected according to the George the Athonite's redaction that was recognized by the church as the Vulgate. The editor, who corrected the text according to the Vulgate, worked hard to correct the text of the titles presented in the table of chapters, scratched the old text and copied the new one, the so-called "Vulgate titles", which accompanied the text (Athonite Vulgate) created after the final editing of the text of the Gospel.

The names of the chapters that were originally presented in the table of contents of this Oshki manuscript (Ivir. Georg. 62) differ from the titles included in the lists of the so-called "reworked Proto-Vulgate". However, they are identical to the "chapters" of Alaverdi, Ienashi and Kurashi Gospels, but it is noteworthy that sometimes they are different from the Alaverdi and Kurashi gospels and coincides only with the reading of the Ienashi codex. If we consider the list of chapters of the Proto-Vulgate manuscripts as variant A, variant B should be presented in the Four Gospels of Ienashi and in the lower layer of the Gospel of Oshki codex. Accordingly, the chapters of Alaverdi and as well as Kurashi codex may be regarded as variant C, while to variant D belongs "Kephalaia", which is presented in the manuscripts containing the Athonite Vulgate. It is shorter and more laconic than others.

The place of the list of chapters is strictly defined in the structure of the codices of the Vulgate manuscripts. It necessarily precedes the Gospel, in whose text a number of an appropriate chapter is indicated on an appropriate place. In this regard, the lists of Athonite Vulgate redaction (Sin.Geo.O.19, Sin.Geo.O.81, Kaliposi,Vani, Echmiadzini, Gelati, Black Mountain, Jruchi II, Vatican and Paris codices, as well as the vast majority of the manuscripts presented in the Jerusalem and Athonite collections of the Georgian manuscripts (Jer.Geo.49, 93, 103, 122, 160; Ivir.Georg.15, 53, 62, 67, 75, 91) are structurally and visually similar to the Greek manuscripts of that period.

Although no detailed study has been conducted to determine the relation of the "chapters" of the Georgian manuscripts to the Greek redactions, we think that we can answer the questions posed above and conclude that in respect to the chapters, the manuscripts of the Four Gospels of the pre-Athonite and Athonite periods are not homogeneous. The codices containing redactionally different texts of the Gospels also differ according to this paratext. It turned out that the long process of editing the Georgian translation of the Four Gospels, which comprised several stages and mainly involved "making the text like Greek", was directly related to the change of the "chapters" as well as other elements of the paratexts. All of these ultimately served to perfect the structure of the Four Gospels and "make them like Greek".

სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანისა და მისი შემცველი ხელნაწერების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს და, რა თქმა უნდა, კვლევის უმთავრესი ობიექტი თავად სახარების ტექსტია, ეს ტექსტი კი ხელნაწერებში „სუფთა სახით“ იშვიათად არის წარმოდგენილი (Genette, 1997, გვ. 5). მასზე დართულია ე.წ. „თანმხლები ტექსტები“ და ტექსტის დაყოფისა და ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის გამოყენებული სხვადასხვა გრაფიკული ნიშნები, რომლებიც პარატექსტების საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნიან. ოთხთავის კოდექსებს ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ტექსტი, არამედ პარატექსტებიც განასხვავებს. ამ მხრივ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი სახარების ბერძნული ხელნაწერები და შენიშნულია, რომ პარატექსტების სისტემა სხვადასხვანაირია ტექსტის ტიპებისა და ხელნაწერთა ოჯახების მიხედვით (Metzger, 1977. Parker, 2008), სახარება-ოთხთავის ქართული ხელნაწერები კი ამ კუთხით საგანგებო კვლევის ობიექტი უკანასკნელ ხანებამდე არ გამხდარა. ჩვენი მეცნიერების უპირველესი რიგის ამოცანას წარმოადგენდა თვითონ სახარების ტექსტის შესწავლა, რისთვისაც ე.წ. „ტექსტის გარე მასალა“ ნაკლებად საინტერესოდ მიიჩნეოდა. ამის შესახებ ქართული ოთხთავის ათონური რედაქციების გამომცემელი ი. იმნაიშვილი წერს: „ტექსტის გარე მასალაზე, რაც ოთხთავს თავში უძღვის და ბოლოს მოსდევს, აქ არაფერს ვიტყვი, მათ სახარების ტექსტთან უშუალო კავშირი არა აქვთ“ (1979, გვ.56). სინამდვილეში კი, როგორც ირკვევა, ტექსტისა და მისი პარატექსტების ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული (თვალთვაძე, 2021, გვ. 59-63; Sarjveladze, 2021, გვ.169-174.)

ერთ-ერთი ასეთი პარატექსტია „თავები“ (Κεφάλαια) – თითოეული სახარების ფარგლებში თემატური ნიშნით გამოყოფილი ეპიზოდების სათაურების ჩამონათვალი. ტექსტის ამგვარი დაყოფის შედეგად მიღებული მონაკვეთების, თავების, ერთი ნაწილი შედარებით ვრცელია, ნაწილი – ძალიან მოკლე.² თი-

² შევნიშნავთ, რომ სახარებათა ტექსტის თავებად დაყოფა არ ემთხვევა დღეს მიღებულს. მაგალითად, მათეს სახარებაში, რომელშიც ახალი დაყოფით 28 თავი გვაქვს, ძველ ხელნაწერებში 68 ან 76 თავია გამოყოფილი. ბერძნულ ხელნაწერებში განსხვავებულია არა მარტო თავების რაოდენობა, არამედ თავების ტექსტის მოცულობაც

თოეული თავი სახელდება ეპიზოდში გადმოცემული ძირითადი ამბის მიხედვით და თავების სიაში (Κεφάλαια) მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი. სათაურების ჩამონათვალის ადგილი ხელნაწერებში, ჩვეულებრივ, სახარების ტექსტის წინაა. თავების ნომრები, ზოგჯერ კი მათი სათაურებიც (τίτλοι) შესაბამის ადგილზე ტექსტშიც არის მითითებული, როგორც წესი, ხელნაწერის იმ გვერდზე, საიდანაც ის იწყება, რაც მკითხველს კონკრეტული ეპიზოდის პოვნას უიოლებს (Metzger, 1981, გვ. 40-41. Hong, 1997, გვ. 401-410).

როდიდან ჩნდება ეს პარატექსტი სახარების ხელნაწერებში, უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ის არ დასტურდება ადრეულ ბერძნულ ხელნაწერებში, მაგალითად, Κεφάλαια არ გვაქვს ვატიკანის კოდექსში, თუმცა, ამ ხელნაწერში ტექსტი თავებად უკვე დაყოფილია. თავების ჩამონათვალი პირველად გვხვდება ალექსანდრიის კოდექსში. ვარაუდობენ, რომ „κεφάλαια και τίτλοι“ V საუკუნიდან იმკვიდრებს ადგილს ოთხთავის ბერძნულ ხელნაწერებში (Goswell, 2009, გვ. 134-174. Smith, 2014, გვ. 102-181). აღსანიშნავია, რომ სახარების ტექსტის თავებად დაყოფა ყველგან ერთნაირი არ არის; განსხვავებულია თავების სახელწოდებანიც (Edwards, 2010, გვ. 413-426).

„Κεφάλαια“-ს ქართული შესატყვისია „თავები“, ან „თავნი საკითხავთანი“, რომელიც გულისხმობს თითოეული სახარების ფარგლებში გამოყოფილი თავებისათვის შერჩეული სათაურების თანმიმდევრობით ჩამონერილ სიას (სარჩევს), რომელიც კონკრეტული სახარების შინაარსს გვაცნობს. სათაურების ამ ჩამონათვალს ქართულ სამნიგნობრო ტრადიციაში „ზანდუკსაც“ უწოდებენ („ესე ზანდუკი არს მარკოზის სახარებისა“). აღნიშნული პარატექსტი წარმოდგენილია ოთხთავის ქართულ ხელნაწერთა დიდ ნაწილში, მაგრამ გამოკვეთილი არ არის მისი უშუალო კავშირი ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიასთან. ჩვენი კვლევის მიზანს სწორედ ამის გარკვევა წარმოადგენს: განსხვავებებიან თუ არა სახარების რედაქციულად განსხვავებული ტექსტის შემცველი ხელნაწერები „თავების“ მიხედვითაც და რამდენად უკავშირდება ამ პარატექსტის ისტორია თავად სახარების ტექსტის რედაქტირების ეტაპებს და ოთხთავის, როგორც კრებულის, სტრუქტურის ცვლილებას.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ოთხთავის 30-ზე მეტი ქართული ხელნაწერი³, რომლებიც სახარების ძველი ქართული

(მაგალითად, ლუკას სახარების მე-40 თავი სულ 2 მუხლია, იოანეს სახარების მე-12 თავი კი – ერთი მუხლი). „თავები“ ყოველთვის არ იწყება ერთსა და იმავე ადგილზე.

³ X - ხანმეტი ოთხთავი (A -89 /A -844, V-VII სს.); C - ადიშის ოთხთავი (სიემ მესტია 478(კ-82), 897 წ.); O - ოპიზის ოთხთავი (Ivir. geirg. 83. 913 წ.); D - ჯრუჭის ოთხთავი (H-1660, 936 წ.); E - პარხლის ოთხთავი (A-1453, 973 წ.); A^d - ანბანდიდი (ს.ე.ა. N 107); T- წყაროსთავის ოთხთავი (A-98, X ს.); R - Sin. Geo. O. 15 (978 წ.); P - Sin. Geo. O. 30-38 (979 წ.); S - Sin. Geo. O. 16 (XI ს.); M - მესტიის ოთხთავი (სიემ მესტია 1 (კ-70), 1033 წ.); F - ურბნისის ოთხთავი (A-28, XI ს.); G - პალესტინური ოთხთავი (H-1741, 1048 წ.); w - ვენის ოთხთავი (Vienna Geo. 1, X-XI სს.); i - K-137 (X-XI სს.); v - K-363 (XI ს.); l - ლიხაურის ოთხთავი (Q-645, XI ს.); c -S-962/K-668, (1054 წ.); τ - ტვიბერის ოთხთავი (ს.ი.ე.მ.მესტია, 548 (კ-73)); a - ალავერდის ოთხთავი (A-484, 1054 წ.); d - ქურაშის მეორე ოთხთავი (სვანეთი, სოფ, ქურაში, XII ს.); f - იენაშის ოთხთავი (სიემ მესტია 483 (კ-72), XIII ს.); o - ოშკის/ათონის ოთხთავი (Ivir. georg. 62, XI

თარგმანის რედაქტირების სხვადასხვა ეტაპზე შექმნილ ტექსტებს შეიცავენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ხელნაწერები მათში წარმოდგენილი პარატექსტების მიხედვით განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ; კერძოდ, ოთხთავის ხელნაწერები ამ მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ა) კოდექსები, რომლებშიც „თავები“ წარმოდგენილი არ არის და ბ) კოდექსები, რომლებშიც „თავები“ დასტურდება. თუმცა, მეორე ჯგუფის ხელნაწერებში ყოველთვის ერთნაირი ვითარება არ გვაქვს: რედაქციულად განსხვავებული ტექსტის შემცველი ნუსხები ამ პარატექსტისთვისაც განსხვავებულ ვერსიებს წარმოგვიდგენენ.

სახარების უძველეს ხელნაწერებში, რომლებიც X საუკუნის ბოლომდე (წინაათონურ პერიოდში) შეიქმნა და, ძირითადად, პროტოვულგატური (ოპიზური/ჯრუჭ-პარხლის) რედაქციის ტექსტს შეიცავენ, „თავები“ არ არის წარმოდგენილი. არ გვაქვს ის არც ადიშური რედაქციის კოდექსში - 897 წლის ადიშის ოთხთავში. „თავები“ არ დასტურდება სახარების ხანმეტ პალიმფესტურ ხელნაწერებში, ოპიზის (913 წ.), ჯრუჭის (936 წ.) და პარხლის (973 წ.) ოთხთავებში, აგრეთვე, ოპიზური რედაქციის ტექსტის შემცველ სხვა კოდექსებში (Sin. Geo. O.15; Sin. Geo. O.30-38; K-137; K-363...). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროტოვულგატური რედაქციის ხელნაწერთა ერთ ნაწილში სხვადასხვა წესით მონიშნულია თავების დასაწყისები (რისთვისაც ძირითადად გამოყენებულია წითელი ფერის მელანი, ჯვარი, ასტერიქსი).

ხელნაწერი	თარიღი	პარატექსტი „თავები“	შენიშვნა
ხანმეტი ოთხთავი	V-VII	-	
ადიშის ოთხთავი	897	-	
ოპიზის ოთხთავი	913	-	
ჯრუჭის ოთხთავი	936	-	
პარხლის ოთხთავი	973	-	დართულია გვიან
Sin. Geo. O.15	978	-	
ანბანდიდი	IX-X	-	
Sin. Geo. O.30-38	979	-	
K-137	X-XI	-	
K-363	XI	-	
ტვიბერის ოთხთავი	X-XI	-	

ს.); α - კალიპოსის ოთხთავი (K-76, 1060 წ.); n - შავი მთის/რუისის ოთხთავი (A-845, XI ს.); N - Sin. Geo. N. 19 (1074 წ.); ვატიკანის ოთხთავი (Vatican iber. 1, XI ს.); Q - Jer. Geo. 49, (XI ს.); β - Jer. Geo. 153 (XII ს.); J - იერუსალიმის მეორე ოთხთავი (H-1667, XII ს.); H - ვანის ოთხთავი (A-1335, XII-XIII ს.); I - ემმაძინის ოთხთავი (Q-908, XII-XIII ს.); K - გელათის ოთხთავი (Q-908, XII-XIII ს.); γ - Sin. Geo. O. 81 (XII-XIII ს.); p - პარიზის/იერუსალიმური ოთხთავი (XIII ს.); Z - Sin. Geo. O. 103 (XIII ს.); q - Sin. Geo. O. 93 (XIII-XIV ს.); Ivir. georg. 15 (XII-XIII ს.); Ivir. georg. 53 (XIII ს.); Ivir. georg. 67 (XIII ს.); Ivir. georg. 75 (XV ს.); Ivir. georg. 91 (XVII-XVIII ს.). ხელნაწერთა ლიტერები მითითებულია ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემსწავლელი ჯგუფის გამოცემების მიხედვით (ლუკას სახარება (2016); იოანეს სახარება (2020): <https://ogg.tsu.ge/>).

სახარების თემატური ეპიზოდების სათაურების სია პირველად ჩნდება X-XI საუკუნეების ხელნაწერებში (უტიე, 1992, გვ.117-124), კერძოდ, ხელნაწერთა იმ ჯგუფში, რომლებიც ე.წ. „გადამუშავებული პროტოვულგატის“ ტექსტს შეიცავენ (მაგ., Sin.Geo.O.16; S-962; წყაროსთავის, ურბნისის, ვენის, ტბეთის და მესტიის ოთხთავები), ოღონდ მათ ერთ ნაწილში ეს არის არა „თავები“, არამედ „სასწაულნი“ (სახარების ტექსტიდან გამოკრებილი და თანმიმდევრულად დალაგებული იესოს მიერ ჩადენილი სასწაულების სია), რომელთა რაოდენობა, თავებთან შედარებით, ბევრად ნაკლებია⁴. მკაცრად არ არის განსაზღვრული კოდექსში მათი მდებარეობაც. ისინი უპირატესად განთავსებულია თითოეული სახარების წინ, თუმცა ზოგ ხელნაწერში შეიძლება მოსდევდეს მას, ზოგ შემთხვევაში ოთხივე სახარების „სასწაულნი“ ერთადაა წარმოდგენილი (მაგ., წყაროსთავის, ტბეთის და მესტიის ოთხთავებში).

წინათონური პერიოდის ხელნაწერთა ერთ ნაწილში (მაგ., Sin.Geo.O.16; S-962) პარატექსტის სათაურია „სასწაულნი“, თუმცა, სინამდვილეში გვაქვს „თავების“ ჩამონათვალი,⁵ ნაწილში ორივე პარატექსტია („თავებიც“ და „სასწაულნიც“) წარმოდგენილი (მაგ., ურბნისის ოთხთავში⁶, ვენის ოთხთავში⁷).

⁴ სასწაულნი მათეს სახარებისანი (25 სასწაული); სასწაულნი მარკოზის სახარებისანი (22 სასწაული); სასწაულნი ლუკას სახარებისანი (20 სასწაული); სასწაულნი მარკოზის სახარებისანი (6 სასწაული). „სასწაულთა“ ტექსტი წყაროსთავის, ტბეთის, მესტიისა და ურბნისის ოთხთავების მიხედვით გამოსცა ბერნარ უტიემ (უტიე, 1992, გვ.117-124).

⁵ Sin.Geo.O.16; S-962: „სასწაულები მათეს თავისანი“ (76 თავი); „სასწაულები მარკოზის თავისანი“ (57 თავი); „სასწაულები ლუკას თავისანი“ (96 თავი); „სასწაულები იოანეს თავისანი“ (36 თავი); შდრ.: პარატექსტის დასახელება და თავების რაოდენობა გიორგისეული რედაქციის ხელნაწერებში: „ესე თავები არს მათეს სახარებისაჲ“ (76 თავი); „ესე თავები არს მარკოზის სახარებისანი“ (57 თავი); „ესე თავები არს ლუკას სახარებისანი“ (96 თავი); „ესე თავები არს იოანეს სახარებისანი“ (36 თავი).

⁶ ურბნისის ოთხთავში (A-28) წარმოდგენილია მათეს და იოანეს სახარების „სასწაულები“ („სასწაულნი მათეს სახარებისანი“ (4r-v; 25 სასწაული); „სასწაულნი იოანეს თავისანი“ (173v; 6 სასწაული) და მარკოზის (65v-67v) და ლუკას სახარების „თავები“ (106r-108v); მათგან მარკოზის სახარების თავების სია წარმოდგენილია სათაურის გარეშე (56 თავი), ხოლო ლუკას სახარებისას სათაურად აწერია „სასწაულნი“ („სასწაულნი ლუკას სახარებისანი“) და სინამდვილეში წარმოადგენს თავების სიას (96 თავი). ურბნისის ოთხთავის ეს პარატექსტები, ასომთავრულით დაწერილი ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებით, ნაწერია ნუსხური ანბანით, რის გამოც ივ. იმნაიშვილს ისინი გვიანდელ ჩანართად მიაჩნდა (1979, გვ. 15-16), რაც ხელნაწერის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური შესწავლის შედეგად არ დადასტურდა. პარატექსტები ნაწერია იმავე ფერის მელნით და იმავე გადამწერის (იოანე ტატანელის) მიერ და ისინი ნამდვილად ხელნაწერის შექმნის დროინდელია. მათი ამ სახით არსებობა ხელნაწერში კი მიგვანიშნებს, რომ ურბნისის ოთხთავისა და ამ ჯგუფის სხვა ხელნაწერების (ე.წ. „გადამუშავებული პროტოვულგატა“) შექმნის დროს, რომელიც X საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის შუა წლებამდე პერიოდს მოიცავს, აღნიშნული პარატექსტის არც სათაურისა და არც ადგილის საკითხი ოთხთავის ქართულ კოდექსში მკაცრად განსაზღვრული არ არის, ის ჩამოყალიბების პროცესშია.

⁷ ეს ხელნაწერი ამ მხრივ ყველაზე მეტ სიჭრელეს გვიჩვენებს: მასში არის „თავები“, თუმცა მარკოზისას (50r-52v) და ლუკასას ჰქვია „სასწაულები“ (94r-96r), იოანესას - „თავნი“ (231v), მათესი კი ხელნაწერის თავნაკლულობის გამო - არ გვაქვს. ამავე დროს, ლუკას და იოანეს სახარებებს შორის (168v-169v), ჩართულია „სასწაულნი წმიდისა

ხელნაწერი	თარიღი	პარატექსტი (თავები/სასწაულნი	ადგილი კოდექსში
წყაროსთავის ოთხთავი	X	სასწაულნი	ხელნაწერის დასაწყისში, ოთხივე სახარებისა ერთად
ტბეთის ოთხთავი	995	სასწაულნი	ხელნაწერის დასაწყისში. ოთხივე სახარებისა ერთად
ვენის ოთხთავი	X-XI	სასწაულნი და თავები	„თავები“ სახარებათა წინ; სასწაულნი ერთად (ლუკას და იოანეს სახარებებს შორის)
Sin. Geo.O.16	X-XI	სასწაულნი=თავები	თითოეული სახარების წინ
მესტიის ოთხთავი	1033	სასწაულნი	ხელნაწერის დასაწყისში, ოთხივე სახარებისა ერთად
ურბნისის ოთხთავი	XI	სასწაულნი და თავები სასწაულნი=თავებს	თითოეული სახარების წინ
პალესტინური	1048	–	
S-962	1054	სასწაულნი=თავები	თითოეული სახარების წინ

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის ხელნაწერებში თავთა დასახელება ხშირად საკმაოდ ვრცელია და, ფაქტობრივად, ეპიზოდის მოკლე შინაარსს გადმოგვცემს. მაგალითად: „ეშმაკეულისათჳს ბრმისა და ყრუესა და ვითარ-იგი ჰგმობდეს უფალსა ფარისეველნი და ვითარ იგი უკდებოდეს შჯულისათვის ცილობით და ჰრქუა ვითარმედ: არა არს შენდობაჲ, რომელმან გმოს სული წმიდაჲ“ (მათეს სახარება, თავი კე)⁸; „ოდეს იგი ჰკითხეს უფალსა კინსონისათჳს, რომელ არს ხარკი, რაჲთა გამოცადონ და ჰრქუა: მომართვით დრაჰჳკანი; და ჰრქუა: ვისი არს წერილი იგი? და ჰრქუა: ღმრთისა ღმერთსა და კეისრისაჲ კეისარსა“ (მათეს სახარება, თავი ნე)⁹; „მისთჳს ოდეს იგი გულსა ზრახვიდეს მონაფენი ვინმე უფროჲს იყოს სასუფეველსა და ასწავა მათ უფალმან სიმდაბლე და გამოუსახა ყრმისაგან და თქუა იოანესთჳს და განუკუთნა ყოველთა ვითარმედ მგმობარნი ცუდად შურებიან“ (მარკოზის სახარებამ თავი ლბ)¹⁰.

ჩვეულებრივ, თავების რიგითი ნომერი მითითებულია ტექსტშიც, რომელიც აშიაზე მიწერილი სხვა მარგინალური აღნიშვნებისაგან (მუხლის/ამონიო-

სახარებისანი გამოკრებულნი სამკურნალოდ“ (მათეს 27; მარკოზის 22; ლუკასი ნაკლულია...). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხელნაწერი ძველადვე განახლებულ-შევისებულია.

⁸ შდრ. იმავე თავის სათაური გიორგისეული რედაქციის ხელნაწერებში: „ეშმაკეულისათჳს ბრმისა და ყრუესა“

⁹ შდრ. გიორგისეული რედაქცია: „ოდეს იგი ჰკითხეს უფალსა ხარკისათჳს“

¹⁰ შდრ. გიორგისეული რედაქცია: „ოდეს იგი იტყოდეს მონაფენი ვინძი უდიდეს იყოს“

სის სექციისა და ევსების კანონის ნომერი) გასარჩევად ან ჩარჩოშია ჩასმული, ან შემოსაზღვრულია ნერტილებით. საინტერესოა, რომ თავის ნომრის მითითება ზოგჯერ იმ შემთხვევაშიც გვაქვს, როცა ხელნაწერში თავების სია არ არის წარმოდგენილი (მაგ., პალესტინურ ოთხთავში (H-1741)¹¹.



ხელნაწერი	თარიღი	პარატექსტი („თავები“)	ადგილი კოდექსში
ალავერდის ოთხთავი	1054	+	თითოეული სახარების წინ
იენაშის ოთხთავი	XI	+	თითოეული სახარების წინ
ქურაშის ოთხთავი	XI	+	თითოეული სახარების წინ
ოშკის ოთხთავი	XI	+	თითოეული სახარების წინ
კალიპოსის ოთხთავი	1060	+	თითოეული სახარების წინ
შავი მთის ოთხთავი	XI	+	თითოეული სახარების წინ
Sin. Geo. O.19	1074.	-	
Sin. Geo. O. 81	XII-XIII	-	
Sin. Geo. N. 12 ¹²	1075	-	
ვატიკანის ოთხთავი	XI	+	თითოეული სახარების წინ
ჯრუჭის II ოთხთავი	XII-XIII	+	თითოეული სახარების წინ
ვანის ოთხთავი	XII- XIII	+	თითოეული სახარების წინ
ეჩმიაძინის ოთხთავი	XII- XIII	+	თითოეული სახარების წინ
გელათის ოთხთავი	XII- XIII	+	თითოეული სახარების წინ
პარიზის ოთხთავი	XIII	+	თითოეული სახარების წინ
იერუსალიმური კოლექციის ხელნაწერები: Jer.Geo 49, 93, 103, 122, 160	XI-XV	+	თითოეული სახარების წინ
ათონური კოლექციის ხელნაწერები: Ivir.Georg. 15, 53, 62, 67, 75, 91	XI- XVII	+	თითოეული სახარების წინ

¹¹ 1048 წლის პალესტინური ოთხთავი ივ. იმნაიშვილს ურბნისის ნუსხიდან გადაწერილად მიაჩნია (1979, გვ.47) ეს ხელნაწერი, მართლაც, ბევრი რამით ჰგავს ურბნისის ხელნაწერს, მაგრამ მისგან განსხვავებით მასში არ გვაქვს არც „თავები“ და არც „სასწაულები“. თუმცა, ისევე, როგორც ურბნისის ოთხთავს, პალესტინურსაც აშიებზე სისტემურად აქვს მითითებული ამ თავების რიგითი ნომერი, რომელიც სხვა მარგინალური აღნიშვნებისაგან გასარჩევად, წითელი ნერტილებიდან შექმნილ ჩარჩოშია ჩასმული. იმავე მიზნით სხვა ხელნაწერებში სხვა გრაფიკული საშუალებებია გამოყენებული, მაგრამ ყველა შემთხვევაში, თავების რიგითი ნომერი განირჩევა ასევე კიდევ მინერული ამონიოსის სექციის ან ევსების კანონის რიგითი ნომრისაგან.

¹² სამი სინური ხელნაწერი (Sin.Geo.O.19; Sin. Geo.O.81; Sin. Geo.N.12), რომლებიც გიორგი ათონელის რედაქციის ტექსტს შეიცავენ და თავების სია არ გვაქვს წარმოდგენილი, საერთო წარმომავლობისაა; სამივე გადაწერილია სინის მთაზე, (სავარაუდოდ, N 81 გადაწერილია N 19-დან, ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, უკავშირდება ახალი კოლექციის N 12 (Sin.Geo.N.12) ხელნაწერი, რომლის გადაწერის თარიღიც (1075 წ.) განმეორებულია N 81-ის ანდერძში. სამივე ხელნაწერში, მიუხედავად იმისა, რომ თავების სია არ გვაქვს, აშიაზე მითითებულია თავთა რიგითი ნომერი, რაც გვაფიქრებინებს, რომ სინის მთაზე XI საუკუნის 70-იან წლებში მოღვაწე მწიგნობართათვის ეს პარატექსტი ცნობილი იყო. დღეს წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ოთხთავის 7 მანუსკრიპტიდან 6 სინანმიდამია შექმნილი, ხოლო ერთი (Sin.Geo.O.16), რომელშიც თავების ზანდუკი გვაქვს (სასწაულები=თავები), გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

წინათონური პერიოდის ხელნაწერებისაგან განსხვავებით, XI საუკუნის II ნახევრიდან (ე.წ. ათონური პერიოდი) შექმნილი კოდექსების აბსოლუტურ უმრავლესობას ახლავს მხოლოდ „თავების“ ჩამონათვალი (არ გვაქვს „სასწაულნი“), მათ ეწოდება „თავები სახარებისა“ ან „ზანდუკი სახარებისა“; მკაცრად არის განსაზღვრული პარატექსტის მდებარეობა (უძღვის ყველა სახარებას) და სათაურები ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე წინა პერიოდის ხელნაწერებში. ასევე მკაცრად არის დაცული სახარების ტექსტში მათ დასაწყისებთან აშიაზე თავის ნომრის მითითების წესი, იშვიათ შემთხვევაში, ზედა ან ქვედა აშიაზე წარმოდგენილია სათაურები (τίτλοι) სრული სახითაც (მაგ., ვანის ოთხთავში, A-1335).

ამ პერიოდის კოდექსებში გამოიკვეთა რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც ზოგადად პარატექსტების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში და, მათ შორის, „თავების“ თვალსაზრისით, ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნიან. ეს ხელნაწერები (ალავერდის, ქურაშის, იენაშის ოთხთავები და ოშკის სახარების პირველადი ტექსტი) გიორგი ათონელის რედაქციის შუალედურ რეცენზიას შეიცავენ (გიორგისეული I)¹³. ირკვევა, რომ რედაქტირების პროცესში სახარების ტექსტთან ერთად მისი თანმხლები ტექსტებიც განიცდიან ცვლილებას. ამის კარგი მაგალითია ოშკის სახარება (Ivir.georg.62),¹⁴ ორშრიანი ხელნაწერი, რომლის ქვედა შრე ნასწორებია ქართული ეკლესიის მიერ ვულგატად აღიარებული გიორგი ათონელისეული რედაქციის მიხედვით - (კვირკველია, 2019). სახარებათა ტექსტის ვულგატასთან „მიმყვანებელ“ რედაქ-



¹³ გიორგი ათონელის რედაქციის შუალედურ რეცენზიას აღვნიშნავთ ლიტერით G.1, ხოლო საბოლოო რედაქციას (ვულგატას) - G.2-ით.

¹⁴ ხელნაწერის დიგიტალიზირება მოხდა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის Geo Pal ფარგლებში. ფოტოები მოგვანოდა პროექტის ხელმძღვანელმა პროფ. იოსტ გიპერტმა, კვლევებში მათი გამოყენების ნებართვისთვის მადლობას ვუხდით „ივირონის“ ბიბლიოთეკარს, მამა თეოლოგოსს.

ტორს საგანგებოდ უმუშავია ზანდუკში წარმოდგენილი სათაურების ტექსტის კორექტირებაზეც, გადაუფხეკია ძველი ტექსტი და გადაუწერია ახალი, ე. წ. „ვულგატური სათაურები“, რომლებიც გიორგი ათონელის მიერ სახარების საბოლოო რედაქტირების შემდეგ ჩამოყალიბებულ ტექსტს (ათონურ ვულგატას) ახლავს. მაგალითად: მარკოზის სახარების იგ თავის სათაურში, რომელიც თავდაპირველად (o°) ასე იკითხებოდა, „იგავი ყანისა და მარცვლისა მდოგვსაჲ“, რედაქტორს ამოუფხეკია სიტყვა ყანისა, და მის ნაცვლად ჩაუწერია მთესვარისა, რის შედეგადაც ხელნაწერის ზედა, კორექტირებულ შრეში (o°) დღეს გვაქვს: „იგავი მთესვარისა და მარცვლისა მდოგვსაჲ“, რაც გიორგისეული ვულგატის ნაკითხვის იდენტურია („იგავი მთესვარისა და მარცვლისა მდოგვსაჲ“ (G.2).

თავის მხრივ, თავთა ის დასახელება, რომელიც ამ ათონური ხელნაწერის (Ivir.georg.62) თავების სარჩევში იყო თავდაპირველად წარმოდგენილი (o°), განსხვავდება ე.წ. „გადამუშავებული პროტოვულგატის“ (Pr.*) ნუსხებში არსებული სათაურებისაგან და ხშირ შემთხვევაში იდენტურია ალავერდის (a), იენაშის (f) და ქურაშის (d) ოთხთავებში მოცემული თავების დასახელებისა (G.1), თუმცა ზოგჯერ განსხვავებულია ალავერდისა და ქურაშის ოთხთავებისაგან და მხოლოდ იენაშის ოთხთავის ნაკითხვას ემთხვევა. ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

მარკოზის სახარების ით თავი:

o° [იოანეს სიკუდილისათჳს]

o° თავისკუთისათჳს იოვანესისა

Pr.* ვითარ შეძრწუნდა ჰეროდე და იოანეს თავი მოჰკუეთა

G.1 (ad). პატიოსნისა თავის მოკუთისათჳს იოვანესისისა

G.1 (f) იოანეს სიკუდილისათჳს

G.2 თავისკუთისათჳს იოვანესისისა

მარკოზის სახარების ჯა თავი:

o° [უფლისთჳს ოდეს ზღუად მივიდა]

o° უფლისთჳს ოდეს ზღუასა ზედა ვიდოდა


Pr.* უფლისთჳს ოდეს ზღუას მივიდა და რომელნი იყუნეს, განიკურნეს

G.1(ad) განკურნებისათჳს ზღვსკიდესა

G.1(f) უფლისთჳს ოდეს ზღუად მივიდა

G.2. უფლისთჳს ოდეს ზღუასა ზედა ვიდოდა

ტექსტის რედაქტორი იმდენად გულმოდგინედ მუშაობს, რომ გადაფხეკილი ადგილების ნაკითხვა უმრავლეს შემთხვევაში მაღალი გარჩევადობის



ციფრულ ფოტოებზეც კი შეუძლებელია, თუმცა ალაგ-ალაგ მაინც შეიძლება პირველადი ტექსტის რეკონსტრუირება. მაგალითად, მარკოზის

სახარების თავების სიაში 50-ე საკითხავის (6) სათაური Ivir.georg.62-ში ახლა ასე იკითხება: „რაჟამს აზიარნა მონაფენი უფალმან საიდუმლოთა“, რომელიც ათონური ვულგატის წაკითხვის იდენტიურია. თუმცა აშკარაა, რომ ეს ამ ხელნაწერის პირველადი წაკითხვა არ არის. სიტყვები აზიარნა მონაფენი გადაწერილია სხვა სიტყვაზე, რომელიც რედაქტორს ამოუშლია, ბოლო სიტყვაში კი სიტყვის ფორმა ისე შეუცვლია, რომ მიეღო წაკითხვა „საიდუმლოთა“. აშკარაა, რომ, ამ ადგილას ადრე ეწერა „საუდუმლო“, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ უნდა გვექონოდა ისეთივე კონსტრუქცია, როგორც დასტურდება გადამუშავებული პროტოვულგატის ჯგუფის ხელნაწერებში: „...რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლო...“, ოღონდ იქ აზიარა ზმნის ნაცვლად გვაქვს გამოუცხადა და, გარდა ამისა, პირდაპირი დამატება (საიდუმლო) გავრცობილია ფრაზით „თენიერ სისხლისა მსხუერპლი“, რაც ჩვენს ხელნაწერში არ არის წარმოდგენილი. თუ ამ კუთხით შევისწავლით G.1-ის ჯგუფის ხელნაწერებს, აღმოვაჩინთ მარკოზის 50-ე თავის სათაურის ასეთ ვარიანტს იენაშის ოთხთავში (f): „რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლო“ (83v), რაც Ivir.georg.62-ის პირველადი წაკითხვის ამგვარი რეკონსტრუქციის საშუალება გვაძლევს: „რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლო“ (0°). უნდა აღინიშნოს, რომ ალავერდის და იენაშის ოთხთავები (af) ამ თავის დასახელებისთვის სრულიად განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობენ: „გამოცხადებისათჳს საიდუმლოჲსა ახლისა აღთქუმისა“ (a,99v; f,55r), რაც საყურადღებო მასალას იძლევა ამ ნუსხებში წარმოდგენილი აღნიშნული პარატექსტის ურთიერთმიმართების კუთხით შემდგომი კვლევისათვის.

0° [რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლო]

0° რაჟამს აზიარნა მონაფენი უფალმან საიდუმლოთა

Pr*. მისთვის, რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლო თენიერ სისხლისა მსხუერპლი

G.1 (f) რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლო

G.1 (ad) გამოცხადებისათჳს საიდუმლოჲსა ახლისა აღთქუმისა

G.2 რაჟამს აზიარნა მონაფენი უფალმან საიდუმლოთა

თუ გადამუშავებულ პროტოვულგატის ხელნაწერებში წარმოდგენილ თავების სიას A ვარიანტად ჩავთვლით, B ვარიანტად უნდა გამოიყოს გიორგისეული I-ის ორ ნუსხაში (fo°) – იენაშის და ოშკის სახარების ქვედა შრეში დაცული „თავები“, C ვარიანტად გამოიყოფა ალავერდის ოთხთავის და ქურაშის ოთხთავის „თავები“ (ad), ხოლო D ვერსიად კი „თავნი საკითხავთან“, რომლებიც ათონური ვულგატის შემცველ ხელნაწერებშია (G.2) წარმოდგენილი და ყველა დანარჩენისაგან სიმოკლით და ლაკონიურობით გამოირჩევა.

ვულგატის ხელნაწერებში მკაცრადაა განსაზღვრული კოდექსის სტრუქტურაში „თავების“ ადგილიც, ის აუცილებლად უძღვის სახარებას, რომლის ტექსტშიც შესაბამის ადგილზე ასევე ყოველთვის არის მითითებული შესაბამისი თავის რიგითი ნომერი. ამ მხრივ გიორგისეული რედაქციის ნუსხები

(Sin.Geo.O.19, Sin.Geo.O.81, კალიპოსის, ვანის, ერმიადინის, გელათის, შავი მთის, ჯრუჭის II, ვატიკანის, პარიზის ოთხთავები, ასევე, ქართულ ხელნაწერთა იერუსალიმურ და ათონურ კოლექციებში დაცული ოთხთავის ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა (Jer. Geo.49, 93, 103, 122, 160; Ivir.Georg.15, 53, 62, 67, 75, 91), სტრუქტურულად და ვიზუალურადაც ემსგავსება ერთმანეთს და იმ პერიოდის ბერძნულ კოდექსებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი „თავების“ ტექსტის დეტალური ტექსტოლოგიური კვლევა ჯერ კიდევ ჩასატარებელია, ისევე როგორც დასადგენია ბერძნულთან მათი მიმართება, ვფიქრობთ, მაინც შეიძლება პასუხი გავცეთ დასაწყისში დასმულ კითხვებს და დავასკვნათ, რომ წინათონური და ათონური პერიოდის რედაქციის ოთხთავის ხელნაწერები „თავების“ მიხედვით ერთგვაროვანი არ არის; სახარების რედაქციულად განსხვავებული ტექსტის შემცველი კოდექსები განსხვავდებიან ამ პარატექსტის მიხედვითაც; გამოიკვეთა, რომ ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის რედაქტირების ხანგრძლივ პროცესს, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა და, ძირითადად, მისი ტექსტის „ბერძულისადა მიყვანებას“ გულისხმობდა, უშუალოდ უკავშირდება, პარატექსტების სხვა ელემენტებთან ერთად, „თავების“ ცვლილებაც, რაც საბოლოო ჯამში ოთხთავის კოდექსების სტრუქტურის სრულყოფას და მათს „ბერძულსა წესსა ზედა“ გამართვას ემსახურებოდა.

ლიტერატურა:

- თვალთვაძე დ. (2021). პარატექსტები ოთხთავის ძველ ქართულ ხელნაწერებში, პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები“ მასალები. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 41-45.
- იმნაიშვილი, ი. (1979). ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია: ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- იოანეს სახარება (2020). იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანი, კრიტიკული ტექსტის ელექტრონული გამოცემა უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, სოფიო სარჯველაძემ და თინათინ ჯიქურაშვილმა. <http://ogg.tsu.ge/>
- კვირკველია, ე. (2019). სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი და ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორია, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
- ლუკას სახარება (2016). ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანი, კრიტიკული ტექსტის ელექტრონული გამოცემა უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, სოფიო სარჯველაძემ და ეკა კვირკველიამ. <http://ogg.tsu.ge/>

- უტიე, ბ.(1992). ევსების ეპისტოლისა და სახარების „სასწაულების“ უძველესი ქართული ვერსიები, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XVII, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 117-124.
- Genette, G. (1997). *Paratexts: Thresholds of Interpretation* (Translation of *Seuils* by Jane E. Lewin), Cambridge: Cambridge University Press.
- Goswell G. (2009). Early A readers of the Gospels: The KEPHALAIA and TITLOI of Codex Alexandrinus. *Journal of Greco-Roman Judaism and Christianity* 6. Edited by Stanley E. Porter, Matthew Brook O'Donnell, Wendy J. Porter, Lois K. Fuller Dow. Sheffield: Sheffield Phoenix Press.134-174. ISSN: 1467-1093
- Edwards, J. (2010). The Hermeneutical Significance of Chapter Divisions in Ancient Gospel Manuscripts. *New Testament Studies*, 56(3), 413-426. Published online by Cambridge University Press: <https://doi:10.1017/S0028688510000032>
- Hong, J. (1997). Chapter and Verse Divisions in the Bible: Their Origins, and Their Use in Today's Common Language Translations. *The Bible Translator*, 48 (4), 401-410. <https://doi.org/10.1177/026009439704800401>.
- Metzger, M. Bruce (1981). *Manuscripts of the Greek Bible: An Introduction to Greek Palaeography*, New York/Oxford: Oxford University Press.
- Metzger, M.Bruce (1977). *The Early Versions of the New Testament: Their Origin, Transmission and Limitations*, New York/Oxford: Oxford University Press.
- Metzger M. Bruce, Ehrman D. Bart (2005). *The Text of the New Testament, Its Transmission, Corruption and Restoration*, Fourth Edition, New York/Oxford: Oxford University Press.
- Parker, D. (2008). Contents. In *An Introduction to the New Testament Manuscripts and their Texts*. Cambridge: Cambridge University Press.
- Sarjveladze S. (2021). Some Issues on Old Georgian Versions and Manuscripts of the Gospel of John, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 15(2). 169-174. Tbilisi: „Georgian National Academy of Sciences“.
- Smith, W. A. (18 Sep. 2014). *A Study of the Gospels in Codex Alexandrinus*. Leiden. The Netherlands: Brill. <https://doi.org/10.1163/9789004274853>

მაია ლომია, რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი
Maia Lomia, Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ზოგი უ- – -ო სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური
ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“¹
On Certain Occasional Verb-forms with Nominal Stems and
u- – -o Circumfix in “The Knight in Panther’s Skin”

საკვანძო სიტყვები: სახელური ფუძე, ოკაზიური ზმნური ფორმა,
„ვეფხისტყაოსანი“.

Keywords: Nominal stem, occasional verb-forms, “The Knight in Panther’s Skin”.

¹ ნაკითხულია მოხსენებად აკად. აკაკი შანიძის დაბადებიდან 135-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (26.02.2022).

In the poem “The Knight in Panther’s Skin”, Shota Rustaveli created numerous occasional forms, revealing the expressive capacity of the Georgian language. Out of such occasional forms in the poem, special mention should be made of occasional verb-forms with nominal stems and circumfix **u- – -o**: *učumoda*, *udidoda*, *umxneoda*. Scholarly literature focuses on the qualification of “*učumoda*”, interpreting this word differently and offering diverse principles of segmentation; namely:

1. Bipersonal intransitive verb, where **u-** is the marker of the objective version, and **-od** the suffix denoting a continuous tense (an imperfect screeve). 2. The initial form is *učumo*; the entire verb is monopersonal, past continuous tense (imperfect screeve) form, and **-d-** is the suffix denoting the continuous tense (the imperfect screeve); *učumoda* type of formation is also represented in the poem by other forms like *udidoda*, *umxneoda*: the nominal stems *u d i d o* and *u m x n e o* are added by circumfix **u- – -o** yielding the continuous tense (the imperfect screeve) forms of the verbs.

The authors of the given paper share the opinion that the verb-forms under analysis are derived from nominal stems with the circumfix **u- – -o**. However, the function of the suffix **-d** is viewed differently: **this suffix is considered as an element which forms verbs from nominal stems. Verbs formed from nominal parts of speech with the suffix -d** are quite frequent in the poem; there are about 80 nominal stems of this kind, out of which the most frequent are **adjectives. The verbs formed from nominal stems by means of the suffix -d** are quite informative, therefore, the poet uses them **for the purpose of adding expression to the content**. Analysis of verses containing the above-mentioned verb forms has proved that derivation by means of suffix **-d is a component of artistic parallelism** as well as **a rhyming unit**. It should be noted that the verbal lexeme with suffix **-d is given in the negative form**. Negation is achieved by: *a nominal stem denoting absence or a nominal stem denoting absence and a negative particle “not”*. A verb expressed in such way comes the second in the line, after its preceding positive form. The relation between the two is that of

C o n t r a s t:

adidebda – učumoda / “glorified” – “*učumoobda” / “without noise”:

(the stem *čum-* is given in its old meaning, denoting “noise”).

“ze çamovže, mepisagan kaci dia movidoda,
axarebdes: “çamoždao”, dedopali gamorboda;
mepe morbis tav-šišveli, ar icoda, ras ikmoda,
igi ymertsia **adidebda**, sxva qvelai **učumoda**”.

(Rustaveli, 2002, p. 106, # 361).

“I set up . . . Many men were come from the king, they carried back the good news: ‘He sits up!’ The queen ran in, the king came running bareheaded, he knew not what he did, he glorified God (while) all others were silent” (Wardrop, 1966, p. 90, # 343).²

² For English version we use translation by Marjory Wardrop.

Rhyming units: movidoda “would come” / gamorboda “ran in” / ras ikmoda “what was he doing” / učumoda “without noise, silently”.

S y n o n y m y:

a) **vizaxdi – ar udidoda** / “I shouted” – “[xma] ismoda ar(a) *udidod” = “[voice] was heard far and wide”.

“navita gave, zyvisagan što rame gamovidoda.

ar amovhkrepli gamqopta, vtkvi, čemta rad davhrido, da-?

damezabunnes, simravle me mati ar gamvidoda,

vnadirobdi da **vizaxdi**, xma čemi **ar udidod-a**”.

(Rustaveli, 2002, p. 178, # 609).

“I went by ship; from the sea came forth a creek. I gathered not those divided from me; I said to myself: “Why should I take precautions against mine own folk?” They seemed timid to me; their multitude appeared not. I hunted and hallooed; I withheld not my voice” (Wardrop, 1966, p. 141, # 586).

Rhyming units: gamovidoda “would come out” / rad davhrido, da- “why avoid it” da- [preverb from the same verb, used to reinforce meaning] / ar gamvidoda “I did not worry” / ar udidoda “not small, big”.

b) **gahmagreboda – ar umxneoda** / “stood firm” – “did not lose courage”.

„vardi čneboda, yvreboda, alvisa što irxeoda,

broli da lali gatlili lažvardad gardikceoda;

gahmagreboda siqvdilsa, amistvis **ar umxneod-a**,

iṭqvis, tu: „bneli ras miqvirs, ratgan davagde mzeo, da-!“

(Rustaveli, 2002, p. 281, # 963).

“The rose is faded, it drips, the branch of the aloe-tree quivers, the cut crystal and ruby are changed into lapis-lazuli. He strengthened himself against death; against him it vaunted not itself. He said: “Why should I wonder at darkness since thou, O sun, hast abandoned me!” (Wardrop, 1966, p.214, # 934).

Rhyming units: irxeoda “was quivering” / gardikceoda “was becoming” / ar umxneoda “not weak, vigorous” / mzeo, da- “O sun, da- [preverb from the previous verb davagde “I left her”, used to reinforce thought].

As for the tense (the screeve), verbs with nominal stems, added by suffix **-d** usually express the Simple Past Tense (the Aorist), but the lexemes under analysis pertain to the Past Continuous / Imperfect. Besides the acoustic impression created by the verbally-formed suffix **-od** (o-stem noun + suffix **-d**), there are two major nuances: 1. These forms do not have a verbal prefix (a preverb); 2. The forms themselves have a continuous meaning; hence, they are easily combined with the preceding verbal lexemes denoting the Past Continuous Tense (Imperfect Screeve).

უ- -ო კონფიქსიანი ზედსართავი სახელებით ზმნიზედური სემანტიკის გამოსატყვევებელია ქართველური ენებისთვის; რაც შეეხება უ- -ო სახელური ფუძისაგან მომდინარე ზმნურ ფორმებს, ისინი ოკაზიო-

ნალიზმებია და დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“. ცნობილია, რომ შოთა რუსთაველი არაერთ ოკაზიურ ფორმას ქმნის პოემაში, რითაც ქართული ენობრივი გამომსახველობის შესაძლებლობებს წარმოაჩენს. ასეთი თავისებური ფორმებია უ- -ო სახელურფუძიანი ზმნები: **უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა.**

„უჩუმოდა“ ფორმა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ დასტურდება (რუსთაველი 1974, გვ. 111, #361,4)³, სხვადასხვა მკვლევართა მიერ განსხვავებული პრინციპითაა დაშლილი; შესაბამისად, სეგმენტების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა სამეცნიერო ლიტერატურაში: კერძოდ, აღნიშნული ლექსემა ა. შანიძემ „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში გამოყო, როგორც უ- პრეფიქსიანი **ორპირიანი გარდაუვალი ზმნა**. „სიმფონიაში“ მოცემული ინდექსების წესის მიხედვით, უ- სასხვისო ქცევის ნიშნად მოიაზრება (შანიძე, 1956, გვ. 370), -ოდ უწყვეტლის სავრცობია გარდაუვალი ზმნებისთვის, -ა კი - მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდით რიცხვში. ამგვარი დაყოფის მიხედვით, საყრდენი ფუძეა **-ჩუმ-**. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ფორმა ნ. ნათაძისთვისაც **ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა**: „უჩუმოდა – გასჩუმებოდა, დუმდა მისი პატივისცემით“ (რუსთაველი, 1974, გვ. 116, # 361, 4).

ნ. ნათაძე აღნიშნული ფორმის სეგმენტაციას არ განიხილავს, თუმცა ივარაუდებს, რომ ზემოაღნიშნული დაყოფა მისთვისაც მისაღებია. აღნიშნული ფორმის თავისებურება შენიშნა შ. ლლონტიმაც, თუმცა მთლიანად ფორმა სახელად ჩათვალა და შეიტანა რითმისთვის ერთჯერ გამოყენებულ **სახელთა ცხრილში** (ლლონტი, 1961, გვ. 279); ამოსავალ საწყის ფორმად მან მიიჩნია **უჩუმო** (იქვე, გვ. 196). მკვლევარს სხვა სეგმენტებზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული კვალიფიკაციისა და საყრდენი სახელური ფუძის გამოყოფის შემდეგ **უჩუმოდა** ფორმაში გამოსაყოფად რჩება ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **-დ** და ემფატიკური ხმოვანი **-ა**: **უჩუმო-დ-ა**.

გ. კარტოზია მეცნიერთა ორივე ჯგუფის თვალსაზრისს ნაწილობრივ დაეთანხმა; შესაბამისად, დააზუსტა და მეტი სიცხადე შეიტანა საანალიზო ფორმის კვალიფიკაციაში იმის გათვალისწინებით, რომ **უჩუმოდა** მიიჩნია **უჩუმო** სახელური ფუძისგან მომდინარე **ერთპირიანი უწყვეტლის მწკრივის ფორმად**: აღნიშნული ზმნა „ნაწარმოებია უ ჩ უ მ ო ზედსართავი სახელიდან და ნიშნავს: „უჩუმოდ იყო“, „უჩუმობდა“. ტაეპის აზრი ეს არის: მეფე ღმერთს ადიდებდა, სხვები კი ჩუმად იყვნენ“ (კარტოზია, 1975, გვ. 57). მკვლევარს, ცხადია, უ ჩ უ მ ო მიაჩნია ჩ უ მ ფუძიდან წარმოქმნილად უქონლობის უ- -ო კონფიქსის საშუალებით⁴ (იქვე, გვ. 58).

³ „ზე წამოვჯე. მეფისაგან კაცი დია მოვიდოდა, / ახარებდეს: «წამოვჯაო», დედოფალი გამორბოდა; / მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა, / იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი **უჩუმოდა**“ (რუსთაველი 1974, გვ. 111, # 361, 4).

⁴ შდრ.: ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში მოცემული **ჩუმ-** ფუძისგან უქონლობის უ- პრეფიქსითა და უ- -არ კონფიქსით წარმოქმნილი ფორმები: **უჩუმი** → **უჩუმად**

ყველა ზემოთ მოხმობილ თვალსაზრისს გრამატიკული საფუძველი აქვს, თუმცა მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, მათგან რომელს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა და რატომ:

1. საანალიზო ტაეპიდან – „იგი ღმერთსა **ადიდებდა**, სხვა ყველაი **უჩუ-მოდა**“ – ჩანს, რომ ამ კონტექსტში უჩუმოდა-ს ბუნებრივად ენაცვლება არა ორპირიანი ზმნა, არამედ ერთპირიანი. ამას ადასტურებს ნ. ნათაძისეული კომენტარიც, კერძოდ, ორპირიანი (გასჩუმებოდა ის, მას) ზმნის გვერდით დამონმებული აქვს ერთპირიანი ზმნაც: „დუმდა მისი პატივისცემით“ (რუსთაველი, 1974, გვ. 116). გ. კარტოზიას დაკვირვებითაც, „სწორედ ასეთ არარელატიურ მნიშვნელობას დებს ამ ზმნაში ა. შანიძე“ და უჩუმოდა-ს შანიძისეული განმარტებაა „ჩუმად იყო“ (შანიძე, 1956, გვ. 385; კარტოზია, 1975, გვ. 57).

2. უჩუმოდა ფორმის შემცველი მეოთხე ტაეპი „აგებულებით რთული თანწყობილი წინადადებაა. უ ჩ უ მ ო დ ა-ს სახელად ჩათვლის შემთხვევაში რთული წინადადების მეორე ნახევარი უშემასმენლოდ დარჩება: სხვა ყველა ჩუმად“ (კარტოზია, 1975, გვ. 57); ასევე, „ემფატიკური ა-ს დართვა ვითარებითში „ვეფხისტყაოსნის“ ენისთვის, ისევე როგორც ძველი ქართულისთვის, არ არის დამახასიათებელი“ (იქვე, გვ. 57).

გასათვალისწინებელია, რომ ჩ უ მ ფუძისთვის დღევანდელი მნიშვნელობა – უხმაურო, უხმო, უსიტყვო (ქეგლ-ი) – მეორეულია და ძველად, პირიქით, ნიშნავდა: ხმაურს, ხმიანობას, ჩქამს; როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო უ- -ო აფიქსით უ ჩ უ მ ო სიტყვის წარმოქმნა, რათა მას თავდაპირველი ჩ უ მ ფუძის საპირისპირო მნიშვნელობა განევითარებინა⁵ და ტაეპი აზრობრივად გამართულიყო: მეფე ღმერთს ადიდებდა, სხვები კი ჩუმად იყვნენ.

გ. კარტოზია უჩუმოდა-ს ტიპის წარმოებად მიიჩნევს პოემაში დადასტურებულ უდიდოდა, უმხნეოდა ფორმებსაც⁶. იგი აღნიშნავს: „ნასახელარი ზმნის უწყვეტლის ამგვარი [უჩუმოდა-ს ტიპის] წარმოება „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც გვხვდება. მხედველობაში გვაქვს უქონლობის უ- -ო აფიქსით წარმოქმნილი უ დ ი დ ო და უ მ ხ ნ ე ო ზედსართავებიდან ნაწარმოებ ზმნათა უწყვეტლის ფორმები: უ დ ი დ ო და ა, უ მ ხ ნ ე ო და ა“ (კარტოზია, 1975, გვ. 57). უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა ზმნური ფორმების ერთგვარ აგებულებაზე ავტორი აგრძელებს მსჯელობას: „უწყვეტლის წარმოების ყალიბი ამ ზმნებში ერთია: ო ფუძიან სახელს უშუალოდ დაერთვის სავრცობი -დ- და სუბიექტური

(რუსუდ. 55, 9); უჩუმარი → უჩუმრად (შაჰნამე, I, 925,4); უჩუმარი (ქეგლ-ი, ტ. 6, თბ., 1960) (კარტოზია, 1975, გვ. 38-39).

⁵ შდრ.: „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული უ- -ო აფიქსით ნაწარმოები ანტონიმური წყვილები: ბოროტი – უბოროტო; შმაგი – უშმაგო, ხშირი – უხშირო და სხვ.

⁶ გ. კარტოზიას აზრით, ამ ყალიბისაა მიდამოდა ფორმაც (კარტოზია, 1975, გვ. 58), რომელიც უ- -ო კონფიქსიან სახელურ ფუძეს არ ეყრდნობა; ამიტომ სტრუქტურულ-სემანტიკურად ჩვენი ინტერესის საგანი არ არის და ამ ეტაპზე არ განვიხილავთ.

მესამე პირის -ა სუფიქსი. სავრცობის წინ ზმნას თემის ნიშანი არ ერთვის“ (კარტოზია, 1975, გვ. 58).

დამატებით დასახელებულ ორ ლექსიკურ ერთეულს ავტორი შემდეგნაირად განმარტავს: „ა რ უ დ ი დ ო დ ა = დიდობდა, ა რ უ მ ხ ნ ე ო დ ა = მხნეობდა“ (კარტოზია, 1975, გვ. 57). ასეთივე შინაარსის განმარტებებია მოცემული ნ. ნათაძის კომენტარებშიც: „არ უდიდოდა = დიდია, პატარა არ არის (რუსთაველი, 1974, გვ. 199, # 609, 4); არ უმხნეოდა = მხნეაა, მხნეობას არ კარგავს“ (რუსთაველი, 1974, გვ. 313, # 963, 3). აღნიშნულ ფორმებში უქონლობის აფიქსის მნიშვნელობა უკეთ რომ წარმოჩნდეს, შეიძლება დავაზუსტოთ:

ა. „არ უდიდოდა“ = *უდიდო არ იყო; ბ. „არ უმხნეოდა“ = *უმხნეო არ იყო.

აღსანიშნავია, რომ გ. კარტოზიას მიერ დამატებით მოხმობილი ორი ლექსემა (უდიდოდა, უმხნეოდა) „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში, ორიოდე გამონაკლისის გარდა (t,u)⁷, ჩვეულებრივ შედგენილ შემასმენლებად არის მიჩნეული, ასევეა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაშიც (შანიძე, 1956), ნ. ნათაძის კომენტარებშიც (რუსთაველი, 1974, გვ. 199, # 609, 4; 313, # 963, 3) და ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა.

შესაბამისი კონტექსტები პოემიდან აღნიშნულ ზმნურ ფორმათა მონაწილეობით:

*

„ნავითა გავე, ზღვისაგან შტო რამე გამოვიდოდა.

არ ამოვჰკრეფდი გამყოფთა, ვთქვი, ჩემთა რად დავჰრიდო, და-?

დამეძაბუნნეს, სიმრავლე მე მათი არ გამვიდოდა,

ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უდიდოდა-“.

(რუსთაველი, 1974, გვ. 195, # 609)

*

„ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;

ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;

გაჰმაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა,

იტყვის, თუ: „ბნელი რას მიკვირს, რათგან დავაგდე მზეო, და-“!

(რუსთაველი, 1974, გვ. 310, # 963)

⁷ t ლიტერით აღნიშნულია: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოზიამ. რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე. თბ., 1966; u-თი კი – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი. თბ., 1966.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ლიტერები სრულად განმარტებებითურთ მოცემულია გ. კარტოზიას ნიგნში: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები“ (კარტოზია, 1975, გვ. 105-106).

შენიშვნა 1: „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში შედგენილი შემასმენლის პროსოდიული ხმოვანი ან დეფისითაა დაწერილი, ან დაშორებულია სახელად ნაწილს. დამონმებულ წყაროშიც ზმნური კლიტიკა გამოყოფილია დეფისით: უდიდოდ-ა, უმხნეოდ-ა.

ჩვენი შემდგომი მსჯელობა საანალიზო ზმნურ ფორმათა შემცველი ტაქების სტილურ-პრაგმატიკული თვალსაზრისით შეფასებას ისახავს მიზნად, რაც იძლევა იმის დამტკიცების საშუალებასაც, რომ აღნიშნული ზმნური ფორმებით ვერ გადმოიცემა შედგენილი შემასმენელი; შესაბამისად, ამ საკითხზე მოგვიანებითაც შევჩერდებით.

როგორც აღვნიშნეთ, გ. კარტოზიამ **უ- -ო** სახელურფუძიან ერთპირიან გარდაუვალ ზმნაში გამოყოფა **-დ-** სავრცობი. ცნობილია, რომ ტერმინი „სავრცობი“ ზმნური ფუძის მანარმოებელია, თუმცა გაიგება ორგვარი – ვინრო და ფართო მნიშვნელობით. ვინრო მნიშვნელობით ის მხოლოდ გარდამავალ ზმნათა ზმნური ფუძის მანარმოებელია ანმყო-მყოფადის წრეში და ამით უპირისპირდება გარდაუვალ ზმნებისთვის დამახასიათებელ **-ოდ** სავრცობს. ფართო მნიშვნელობით, **-დ-** სუფიქსი სახელისაგან ზმნის მანარმოებელია. როგორც ჩანს, გ. კარტოზია ამ უკანასკნელ შემთხვევას გულისხმობდა, თუმცა მას ამ მიმართულებით მსჯელობა არ გაუგრძელებია.

ნასახელარ ზმნებში **-დ-** სუფიქსზე, როგორც სახელისაგან ზმნის მანარმოებელ ფორმანტზე, პირველად ა. შანიძემ გაამახვილა ყურადღება. რამდენადაც ამ ფორმებს გარდაუვალ მნიშვნელობა აქვთ, სინქრონიულ დონეზე ვნებითი გვარის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნია, მაგრამ ნინ წამოსწია **-დ-**ს არა ფორმანარმოებითი, არამედ სიტყვანარმოებითი (დერივაციული) ფუნქცია, გარდაქცევა-გარდაქმნის გამოსატვა (შანიძე, 1951, გვ. 41). კვლევებმა აჩვენა, რომ ნასახელარ ზმნებში **-დ-** სუფიქსი არა მარტო **პასიურობისა და გარდაქცევითობის**, არამედ **პოტენციალისის, ჩვეულებითობისა და დაწყებითობის** ფუნქციების მქონეა (ღვინაძე, 1989, გვ. 55-62); რუსთაველის პოემის მიხედვით შეიძლება გამოიკვეთოს **მსგავსებითობის** ფუნქციაც (დანელია, 1996, გვ. 82); საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ „**პოემაში აშკარად სავრცობია ნასახელარ ზმნათა დონიანი ნარმოების აქტივიზაცია და მისი სიტყვანარმოებითი ფუნქციებით დატვირთვა**“ (იქვე, გვ. 82). ნ. დანელიას დაკვირვებით, სახელური ფუძეებიდან ნანარმოებ სპეციალურ **დონიან** ზმნურ ფორმებს რუსთაველი იყენებს **შინაარსის ექსპრესიულობის მისაღწევად**. პოემაში დიდი სიხშირით დასტურდება ნასახელარი **დონიანი** ზმნები. მათ საანარმოებლად 80-მდე სახელური ფუძეა გამოყენებული, რომელთაგან სიხშირით პირველ ადგილზეა **ხედსართავთაგან** ნანარმოები ფორმები (დანელია, 1996, გვ. 83). საინტერესოა ისიც, რომ **დონით** ნანარმოები ნასახელარი ზმნები ტევადი ინფორმაციის შემცველია და პოეტი ამ მოდელის გამოყენებით „**შესიტყვების კონდესირებას**“ (ნ. დანელია) ახდენს.

უჩუოდა, უდიდოდა, უმხნეოდა საანალიზო ფორმები იმითაც არის საყურადღებო, რომ

- მხატვრული პარალელიზმის პრინციპით

აგებული ტაეპის ერთ-ერთ ნევრად განიხილება.

• ქმნიან სარიტმო ერთეულებს.

ა. მხატვრული პარალელიზმი: „იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი უჩუმიოდა“ (რუსთაველი, 1974, გვ.111, # 361, 4) = ის ღმერთს ადიდებდა, სხვა ყველა ჩუმიად იყო.

ბ. სარიტმო ერთეული: „მოვიდოდა / გამორბოდა / რას იქმოდა / უჩუმიოდა“ (რუსთაველი, 1974, გვ. 111, # 361).

გ. მხატვრული პარალელიზმი: „ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უდიდოდა“ (რუსთაველი, 1974, გვ. 195, #609, 4) = ვნადირობდი და ვყვიროდი, ჩემი ხმა დიდად ისმოდა / *უდიდო არ იყო.

დ. სარიტმო ერთეული: „გამოვიდოდა / რად დავჭრიდო, და-? / არ გამვიდოდა / არ უდიდოდა“ (რუსთაველი, 1974, გვ. 195, # 609).

ე. მხატვრული პარალელიზმი: „გაჰმაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა“ (რუსთაველი, 1974, გვ. 310, # 963, 3) = მტკიცედ, მედგრად ხვდებოდა სიკვდილს, ამიტომ არ კარგავდა მხნეობას / „უმხნეო არ იყო“ = მხნედ იყო.

ვ. სარიტმო ერთეული: ირხეოდა / გარდიქცეოდა / არ უმხნეოდა / მზეო, და (რუსთაველი, 1974, გვ. 310, # 963).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ნასახელარი ზმნური ფორმები: უჩუმიოდა, უდიდოდა, უმხნეოდა -დ- სუფიქსიანი წარმოებისაა. მათი სტილურ-პრაგმატიკული დანიშნულებაა მხატვრული პარალელიზმისა და სარიტმო ერთეულების შექმნა.

დონიანი წარმოების ზმნური ფორმა, უჩუმიოდა, რომელიც მხატვრული პარალელიზმის ერთ-ერთი კომპონენტია, ეყრდნობა უ- -ო კონფიქსიან უქონლობის სახელურ ფუძეს; ტაეპში იგი რიგით მეორეა, მომდევნოა და წინამავალ დადებით ფორმასთან ქმნის

კონტრასტს:

ა. „ადიდებდა – უჩუმიოდა“ / ადიდებდა – უხმაუროდ იყო.

სხვა საანალიზო ფორმებიც, უდიდოდა, უმხნეოდა, მხატვრული პარალელიზმის კომპონენტებია, ეყრდნობიან უ- -ო კონფიქსიან უქონლობის სახელურ ფუძეს, დაირთავენ არ ნაწილაკს და წინამავალ დადებით ფორმასთან ქმნიან

სინონიმურ ნყვილს:

ბ. „ვიზახდი – არ უდიდოდა“ / ვყვიროდი – [ხმა] არ იყო *უდიდო = [ხმა] დიდად ისმოდა.

გ. „გაჰმაგრებოდა – არ უმხნეოდა“ / მედგრობდა – არ იყო *უმხნეო, არ კარგავდა მხნეობას = მხნეობდა.

აღსანიშნავია, რომ სინონიმიზაცია განსაზღვრა უ- -ო სახელურფუძიან ზმნურ ფორმებთან „არ“ ნაწილაკის გაჩენამ. ეს მოვლენა ორმაგი უარყოფის

ერთ-ერთი სახეა, რომელსაც უარყოფის უარყოფა ეწოდება. ესპერსენის ცნობილი დებულების თანახმად, უარყოფის უარყოფა იძლევა დადებით შედეგს (Jespersen 1924:332); შდრ.: საანალიზო ლექსიკური ერთეულები „ვეფხისტყაოსნიდან“:

ა. არ უდიდოდა = დიდად ისმოდა; ბ. არ უმხნეოდა = მხნეობდა.

შენიშვნა 2: ნ. დანელიამ თავის გამოკვლევაში ასევე მიაქცია ყურადღება „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული პარალელიზმის ხერხით აგებულ ტაეპს, რომელშიც დონიანი წარმოებების ფორმა მონაწილეობს. მხედველობაში გვაქვს „იქო-არ გაუქდა“ ზმნური ფორმების შინაარსობრივი ურთიერთმიმართება, რომელიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

• აქეს [ერთმანეთი] – არ დარჩა უქებელი [არც ერთი]

„რა „ტარიელ“ მოისმინა, ფრიდონს ჭირი უსუბუქდა, / თვალთა ცრემლნი გარდმოსცვივდეს, გული უფრო აუჩუქდა, / მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამ-წათაგან ბუქი ბუქდა; / შეიყარნეს ერთმანეთი მათგან იქო, არ გაუქდა“ (რუსთაველი, 1974, გვ. 318, #995, 4).

„გაუქდა“ ფორმისთვის ამოსავალია ქებ-ფუძიანი წარსული დროის უარყოფითი მიმღეობა: უ-ქ-ებ-ი⁸, რომელიც, როგორც ჩანს, მეტრის საჭიროებით გაუმარტივებია ავტორს და ჩამოუცილებია თემის ნიშანი; პოეტს უთემისნიშნო უ-ქ ფუძიდან უწარმოებია ოკაზიური ფორმა გა-უ-ქ-და (დანელია, 1996, გვ. 90-91). საინტერესოა იმ ტაეპის შინაარსი, რომელშიც ეს ფორმა მონაწილეობს: ავთანდილი და ფრიდონი შეიყარნენ, ერთმანეთი აქეს, უქებელი არ დარჩა ერთმანეთისაგან არც ერთი; ე.ი. „არ გაუქდა“ ნიშნავს: უქებელი არ დარჩა. საგულისხმოა ნ. ნათაძის კომენტარი: „იქო, არ გაუქდა. ერთი და იგივე აზრი გამოთქმულია დადებითი და უარყოფითი ფორმით“ (რუსთაველი, 1974, გვ. 325, # 995, 4).

აღნიშნულ სტროფში მოცემული ბოლოკიდური დონიანი ფორმები შდრ. ერთმანეთს სარიტმო ერთეულების მიხედვითაც: ჭირი უსუბუქდა / გული აუჩუქდა / ბუქი ბუქდა / მათგან იქო, არ გაუქდა (რუსთაველი, 1974, გვ. 318, # 995) (დანელია, 1996, გვ. 91).

საანალიზო ზმნურ ფორმათა მწკრივის საკითხს რაც შეეხება, ცნობილია, რომ -დ- სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები (სახელური ფუძე-და / R-suff-S3) ძირითადად წყვეტილის მწკრივს ქმნიან; შდრ.: დაბნელდა, განმართლდა, დაძუელდა, განცოცხლდა, დასნეულდა, აღმალლდა და მისთ. (შანიძე, 1976, გვ. 76); ასეთივე ვითარებაა „ვეფხისტყაოსანშიც“: გაბედითადა, გადიადდა, გასალდა, მოგუბდა, გაცვილდა, გატინდა, გასისხლმდინარდა, გასაწყინარდა, დაყმუნდა, გაბროლდა (ამგვარ ფორმათა ანალიზი იხ. დანელია, 1996, გვ. 81-

⁸ უ-ქები უკუთქმითი მიმღეობის მოკლე ფორმაა, რომელმაც მოგვიანებით დაირთო ზმნისწინი და -ელ სუფიქსი: შე-უ-ქებ-ელ-ი.

95). როცა ენობრივი მოვლენა სტილურ-პრაგმატიკული თვალსაზრისით ფასდება, მით უფრო ოკაზიური ფორმები პოეტურ ტექსტში, პირობითად თუ შეიძლება მისი მოქცევა რომელიმე გრამატიკულ მოდელში ან შეფასება გრამატიკული წესების სიზუსტის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე და ამიტომ, ამგვარი პირობითობის გათვალისწინებით, უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა ფორმები უწყვეტლის მწკრივს შეიძლება მივაკუთვნოთ. ამის მიზეზია არა მხოლოდ ვერბალურად შექმნილი -ოდ სუფიქსის (ო ფუძიან სახელებს + -დ- სუფიქსი) აკუსტიკური შთაბეჭდილება, არამედ ორი რამ: 1. უზმნისწინო ფორმებია; 2. თავადაც **განგრძობითი მნიშვნელობა** აქვთ და სინტაგმატურ-პარადიგმატული ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ესამებთან **წარსულში განგრძობითობის გამომხატველ** წინამავალ ზმნურ ლექსემებს, რომლებიც, იმავდროულად, სარიტმოდ ზმნური ერთეულებია.

ზმნურ ფორმათა თ ა ნ ა დ რ ო უ ლ ო ბ ა სტაბილური ენობრივი მოვლენაა მხატვრული პარალელიზმის პრინციპით აგებულ ტაეპში, რაც ასევე ამყარებს ვარაუდს, რომ უდიდოდა, უმხნეოდა, მსგავსად უჩუმოდა-სი, წარსული დროის (უწყვეტლის) ერთპირიანი გარდაუვალი ზმნური ფორმებია.

ამრიგად, რამდენადაც საანალიზოდ ლექსემები გამოხატავენ წარსულ დროს, იმდენად შეუძლებელია მათ ჰქონდეთ შედგენილი შემასმენლის კვალიფიკაცია; ამგვარი დაშვების შემთხვევაში უდიდოდა, უმხნეოდა, უჩუმოდა ფორმები ახლანდელი დროის გაგებას შეიძენენ ბოლოკიდური -ა-ს მიხედვით: -ა ← არის, რაც დაარღვევს მთლიანად სტროფისა თუ ტაეპის აგების კანონზომიერებასა და დროულ გაგებას.

ლიტერატურა:

- ესპერსენი, ო. (1924). Jespersen O. The Philosophy of Grammar. London: Allen & Unwin.
- დანელია, ნ. (1996). დონიანი ვნებითის წარმოებისა და ფუნქციისათვის „ვეფხისტყაოსანში“. კრებული „საენათმეცნიეროდ ძიებანი“. ტომი V. გვ. 81-95. თბილისი.
- კარტოზია, გ. (1975). „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- რუსთაველი, შ. (1974). „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთოდ ნ. ნათაძემ, რედაქტორი ალექსი ჭინჭარაული, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- უორდროპი, ო. (1966). The Man in the Panther's Skin, A ROMANTIC EPIC BY Shot'ha Rust'haveli, a close Rendering from the Georgian Attempted by MARJORY SCOTT WARDROP with a Preface by Sir Oliver Wardrop, "LITERATURA DA KHELOVNEBA" GEORGIA (USSR) TBILISI 1966. ILLUSTRATIONS BY MAMUKA TAVAKARASHVILI FROM A 17TH CENTURY GEORGIAN MANUSCRIPT, Reprinted from the Original English Edition London 1912.
- ღვინაძე, თ. (1989). ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბილისი.
- ღლონტი, შ. (1961). ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი: „საქმთავარპოლიგრაფგამომცემლობა“.

- შანიძე, ა. (1981). ნასახელარი ზმნები ქართულში, თხზულებანი, ტ. II, გვ. 39-48, თბილისი: გამოცემლობა „მეცნიერება“.
- შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1956). ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, თბილისი.

ქეთევან მარგიანი
Ketevan Margiani

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

იალცუნესგა – დალის (კოდორის) ხეობის
„შუამდინარეთი“¹
Ialtsunesga – “Mesopotamia” of Dali (Kodori) Gorge

საკვანძო სიტყვები: დალის (კოდორის) ხეობა, სვანური, ონომასტიკა,
სოფელი იალცუნესგა, ტოპონიმია
Key words: Dali (Kodori) Gorge, Svan, onomastics, village Ialtsunesga, toponymy

¹ ნაკითხულია მოხსენებად ფ. ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (28.02.2022).

The village **laltsunesga** is located in the beginning of Dali (Kodori) Gorge, nearby Klukhor Pass, between **Saknara** and **Gvandra** the tributaries to the river Kodori. Having taken into account the phonetic changes, laltsunesga in Svanian language literally means “**between two rivers**”, so it might be said that the village laltsunesga happens to be the “**Mesopotamia**” of Dali (Kodori) Gorge.

Discourse of Kodori residents is an interesting segment of Svan and generally Georgian dialectological field; From 80s of last century to present we work with the residents of Dali Gorge for the purpose of collection and systematization of onomastic and ethnolinguistic materials.

Unfortunately, nowadays laltsunesga, one of the oldest Georgian villages, is totally uninhabited and no Georgian (Svan) words have been heard about it since August, 2008, as well as about the whole Kodori Gorge, which has never been separated from Georgia during any period of the history of the country.

Dali Gorge is a historical part of the western Georgia, Abkhazia. In the antique period it was called Mivsoniani or Misimianeti, in the middle ages - Dali Gorge, in XIX century – Tsebelda Dali Sabokaulo (the area controlled by a certain police department), in the Soviet period it was called Abkhazian Svaneti, and in XXI century – Upper Abkhazia. Such a variety of the names speaks for itself, of the importance and special role of this gorge in the history of Georgia. After well-known facts taken place in 2008, residents from Kodori live under refugee status in various regions of Georgia – Imereti, Kvemo Kartli, Svaneti, also Russian Federation and Europe...

The gorge enjoys the most advantageous geographical location – Klukhori, Naharvi, Marukhi – Dali Gorge is the shortest way that connects the seaside region of the western Georgia with the North Caucasus. That explains special importance and strategic functions assigned to this territory in every historical epoch. Toponymy of Dali’s Gorge is characterized by lingual diversity and absolutely different chronology of designation.

Many famous researchers or kartvelologists got interested in Svan toponymy. Significant conclusions are also made as a result of study and research: analysis of toponymical material of Svaneti and its adjacent territories is clearly stated by the references of ancient Greek historian Strabo. In the toponymy of Racha-Lechkhumi, Upper Svaneti and mountainous Samegrelo the sign of Svan language is obviously found, meaning that once this territory was inhabited by Svans. Similar track is also found on the land of northern Caucasus. It is stated by that toponyms: Khumar (comp.Tskhumari), Ushkalan (comp.Ushkul) and others... (Chumburidze, 2007, p. 34).

Microtoponymy of Dali Gorge is characterized by the abundance of environment describing terms. The Geographical phenomena and lexemes, such as – ravine, gorge, rock, the places where there used to be towers there, lake, mountain, brook, pass, hill, hillock, knoll, grassland, tower, cliff, slope, risen river, landslip, waterfall, mountain top... Including morphemoids – down, downwards, up, upward, eastern-western... Out of

toponyms of Dali Gorge in the “Census of Kingdom of Georgia” written by Vakhushti Bagrationi in the 18th century we find “Kodori” as hydronym...

Svan Discourse of Dali Gorge is famous with its interference. It is very interesting segment of Georgian dialectological field. This publication gives an overview and structural-semantic analysis of the rich onomastic material including toponyms, names, surnames... of this specific village of Abkhazia. Kodori Gorge's materials are presented in the publication. Also, Svan's hydrographic vocabulary and terminology are explored here. Generally, in Svan language the formation of the hydrographic vocabulary and terminology was caused by the development of the inner nature of the language, dialectical varieties, word-borrowings and phonetical modification. From the point of semantic aspect, several subgroups can be identified within Svan toponymy, namely, the *toponyms, metonyms and hydronyms related* to the hunting activities, geographical names conditioned by landscapes and those referring to the origin and meaning of the names of religion activities. This paper is also an attempt to specify the etymology of several private names and to reveal extra linguistic factors along with linguistic factors.

The cultural anthropology of the Dali Gorge covers and integrates thematically key and kartvelologically topical themes such as the Bronze Age and Hellenistic archaeological sites; history of Kodori Gorge; early medieval fortresses, sites of former churches, houses for prayers and Christian monuments; onomastics (toponymy, anthroponymy, theonymy, hydronymy, zoonymy) of Dali Gorge; Kodorian Svan speech (interference picture, ethnolinguistic aspects) ... Consequently, interest in the Kodori Gorge, or Dali country (as the travelers of early periods call it!) is multifaceted.

Study of onomastic, folk and linguistic materials of Dali Gorge in general Georgian dialectological field under ethnolinguistic, interferential, linguoculturological aspects enables us to have made quite interesting conclusions.

სოფელი იალცუსენგა მდებარეობს დაღის ხეობის სათავეში, კლუხორის უღელტეხილის ძირში, საქართველოს სასაზღვრო ზოლთან ყარაჩაი-ჩერქეზეთის მხრივ, მდინარე კოდორის შენაკადებს, უფრო სწორად, სათავეებს – **საკნარასა და გვანდრალას** შორის. შევნიშნავთ, რომ სწორედ ამ სოფლის მერე, წყალთმესაყარიდან შავ ზღვასთან შეერთების ადგილამდე, ჰქვია ამ კამკამა წყალს მდინარე **კოდორი**. სახელი, რომელიც შემდგომ მთლიანად ხეობაზე გავრცელდა; (**აძგარა, აჯარა, გვანდრალა, საკნარა, ხეცქვარა / ხენყვარა** – მთლიანობაში მდინარე კოდორი მოიცავს ამ შენაკადების აუზებს).

მდებარეობა, გეოგრაფიული ლანდშაფტი, სწორედ ორ მდინარეს შორის განთავსება კი ამ სოფლისათვის გამხდარა ტოპონიმის სახელდების მოტივაცია: **იალცუნესგა < მარვ ლიც ნესგა < მორი ლიც ნესგა** „ორ-წყალ-შუა“ ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით სვანურად სიტყვასიტყვით ნიშნავს „ორ-წყალ-შუა, ორ მდინარეს შორის“ (ფონეტიკური ცვლილებები კი განაპირობა სწორედ მისი მეზობლობამ, რ-ს დაკარგვამ, ლაბიალიზაციამ, ინ-

ტერვოკალურ პოზიციაში ი ხმოვნის რედუქციამ)... ამგვარად მივიღეთ სოფელ ომარიშალას (სვანური წარმოთქმით **ომარიშალ** „ომარაანთი“) მეორე სახელი **მალცუნესგა**, იგივე დალის ხეობის შუამდინარეთი, **მალცუნესგა** – კოდორული შუამდინარეთი. დალის ხეობის სხვა სოფლების მკვიდრნი – გენწვიშელები, გვანდრელები, აჯარელები, ხუტიელები, საკენელები... ომარიშალელებს უხმობენ და მოიხსენიებენ სწორედ სახელით **მალცუნესგალ** „მალცუნესგას მკვიდრნი“, სიტყვასიტყვით კი – „შუამდინარეთელები“.

დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – ნებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნებაც კი, ვფიქრობთ, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. სვანეთის, სვანებისა და უშუალო გარემოცვის მეზობელთათვის კი კოდორის ხეობა ოდითგანვე იყო და არის დალი (სვანური წარმოთქმით **დალ**) ნადირობის ქალღმერთის საბრძანებელი და დალელთა ისტორიული სამკვიდრებელი. 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდორელების უმეტესობა, სამწუხაროდ, დევნილის სტატუსით ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმერეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში, ევროპის ქვეყნებში... და არა მშობლიურ „სამოთხეში“!

ცნობილია, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – **კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის...** უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა.

მალცუნესგას ონომასტიკონი (თეონიმია, ტოპონიმია, გვარსახელთა სისტემა, ზოონიმია, ბოტანონიმია...) უაღრესად საინტერესოა და თითქმის შეუსწავლელი. დასანანია ისიც, რომ 80-კომლიანი ძირძველი ქართული სოფელი დღეს მთლიანად დაცლილია და ქართული სიტყვა იქ აღარ გაისმის; ისევე, როგორც მთლიანად კოდორის ხეობა, რომელიც ისტორიულად არასოდეს, არც ერთ ეპოქაში საქართველოსგან მოკვეთილი არ ყოფილა! დღეს კი? დროებით მოკვეთილი? ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც?!

2008 წლამდე კი დალის ხეობის „შუამდინარეთში“ ცხოვრობდნენ და მოსახლეობდნენ გვარები: ავალიანი, გასვიანი, გერლიანი, გულბანი, გუჯეჯიანი, დადვანი, დევდარიანი, მარგიანი, პირველი, სამსიანი, ქალდანი, ქორჩიანი, ჯაჭვლიანი... შტოგვარები: ომანაშა, გვეგინოშა, ასლანწრ, ფილოშა, ლუკვაშწრ / ნუკვაშწრ, თაშბიშწრ, ლამხერწრ, ბესა / ბეშა, გიოშა / გიოშწრ, გუაშა, დავითიშა, გაგუშა, ბაჰაშა / ბაჰაშწრ, გიორგიშა, ბაძრიშა / ბაძრიშწრ...

სოფლის ონომასტიკურ მასალაში ყურადღება მიიქცია ჰიდრონიმების სიმრავლემ და წყლის სხვადასხვა აგრეგატიული მდგომარეობის ამსახველმა არქაულმა სვანურმა ლექსიკამ – ტოპონიმებში აქტიურად და პროდუქტიულად გამოვლენილმა. შესაბამისად, პუბლიკაციაში წარმოდგენილია წყალთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და სოფელ იალცუსენგას ჰიდრონიმები.

ჩვენს ხელთ არსებული მასალით კოდორულ „შუამდინარეთში“ გეოგრაფიული სახელების საწარმოებლად გამოიყენება შემდეგი სახის ლექსიკა და ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია: **ლიც/ნიც** „წყალი“, **ლილცქერე** < ***ლი-ლიც-ქერ-ე** „მორწყვა“, **ლიტრმბე** „დატბორვა, დაგუბება“, **ნალცჭრვ** < ***ნა-ლიც-ჭრ-ვ** „მორწყული“, **სგიმ** „მუავე წყალი“, **ლელცქერე** < ***ლგ-ლიც-ქერ-ე** „მორწყული“, **ტრმბ /ტრბ** „ტბა“, **მგჰ** „ტბა“, **ტვიბ** „ხევი“, **ნგდ / ნგდგლდწრ** „მცირე დებეტის წყარო“, **მაზვბ** „წყარო“ – უშუალოდ მიწიდან ამომავალი; **სარაგ / სარზგ** „წყარო“ (**მაზვბ**-ისაგან განსხვავებით **სარაგ** არის წყარო, რომელიც მოედინება), **ჭალძა** „მდინარე“, **ლელჰენ** „არხი, ღელე, ნაკადული“, **ტვიბრა** „ღელე, ნაკადული“, **ლეჭვბარა**, **ჭუბწრ** „ჭაობი“, **მაჩხზვ** „ჩანჩქერი“, **ღერა** „მყინვარი“, **ვოლ** „მყინვარი“, **ხანსარ** „მარადიული მყინვარი“, **რივენ** „ადიდებული მდინარე“, **მაყველა** „მდორე მდინარე“, **ჟბჰ** „ზვავი“, **ნაჟაჰვ** „ნაზვავარი, ზვავის ჩამონანოლი, **ნალქვერლიდ** „ნანისქვილარი“, **ნაჭლძა** „ნამდინარევი“, **ლალცჷზნლ /ლალჷზნლწრ** „სატივტივო“, **ჭალიარე ლა-ტყვბნლ** „მდინარეთშესართავი“...

ონომასტიკურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ საერთოდ წყალთან და ჰიდრონიმიასთან არის დაკავშირებული ხეობისა და ხევის შინაარსი, რაც ზოგჯერ იდენტურიც შესაძლოა იყოს ხოლმე. მაგრამ, როგორც წესი, ეს უკანასკნელი უფრო მცირეა ხეობასთან შედარებით. შევნიშნავთ, რომ ხეობისა და ხევის ფუნქციით ზოგადად სვანურში და მათ შორის კოდორულ სვანურშიც იხმარება **ტუბიბ** და **ტყუეფ**. უფრო ხშირად **ტუბიბ**, რაც სვანურში ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰიდროგრაფიასთან. **დალიზ ტუბიბ** – დალის ხეობა, **ხოშა ტუბიბ** „დიდი ხევი“, **ლეჟ ტუბიბ** „აღმოსავლეთის ხევი“, **ლექტუ ტუბიბ** „დასავლეთის ხევი“. **ტყუეფს** კი უფრო მხარის, რეგიონის სემანტიკა აქვს. **დალიზ ტუბიბ** და **დალიზ ტყუეფ** ორივე ითქმის დალის ხეობის მნიშვნელობით; თუმცა სემანტიკურად **ტყუეფს** აქვს სივრცითი განფენილობის შინაარსი, **ტუბიბს /ტვიბს** კი სწორედ, ჩაღრმავებული მდებარეობისა, ხევისა, ხეობისა.

დალცუნესგას ჰიდრონიმებია: **ლენზი სგიმ** „ფიჭვის მუავე წყალი“... **სარგ-ზნლ** < **სარაგ** „წყარო“, **ელსაბეთი სარგრლ** „ადგილის სახელია აჭაფარაში“, **მეშხე ტუბიბრა** „შავი ღელე“, **ტუბრაშნლ** „ღელისანები“, **ტუბრალწრ** „ღელეები“, **ტრბზ ნაკ** „ტბის ვაკე“, **დალცუნესგა** < **მარჷ-ლიც-ნესგა** „შუამდინარეთი“, **სარგვლ** (სათიბის სახელია) < **სარაგ** „წყარო“, **ტრბწრ** (მთის სახელია) < **ტრბ/ტრმბ** „ტბა“, **ნგდგლდწრ** (მდელის სახელია) < **ნგდგლდ** „მცირე დებეტის წყალი“, **ლელტლჷფიზწრე სარგრლ** < „მთის ღოლოების წყარო“, **შყერი ტუბიბ**

„შიყერის ხევი“, **აჭაფარწ ტყუფე** „აჭაფარის ხეობა“, **ლაგანჭუ ლარი ნდგლდ** „ანწლის ხევის ნაჭური წყლები“... ჰიდრონიმიას განეკუთვნება და შესაბამისად საინტერესოა თავად ხეობის ძირითადი მდინარის სახელი; ჰიდრონიმ კოდორის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ონომასტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი: თ. მიბჩუანი მას სვანურ **კადარ-ს** „მშრალ-ს“ უკავშირებს და მიიჩნევს მის ზანიზებულ ვარიანტად; სხვა თვალსაზრისის თანახმად, მიუხედავად ძირისეული ხმოვნის სიგრძის პრობლემისა, კოდორი მიჩნეულია სვანურ **სკოდი** „ღრმა“ ლექსემიდან მომდინარედ – თავკიდური თანხმოვნის დაკარგვითა და **-ორ** ტოპოფორმანტიტ წარმოქმნილად (იხ. მარგიანი, 1998, გვ. 138; ჭუმბურიძე და სხვ., 2007, გვ. 34). კოდორის ანალიზისას ხ.ბლაჟბა საჭიროდ მიიჩნევს პარალელების გათვალისწინებას ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე: კუდა-კო, კუდე-ფსტა სოჩის რეგიონში, კუდირ-თა ბზიფის რაიონში (ბლაჟბა, 1956, გვ. 302).

ზოგადად ითვლება, რომ ჰიდრონიმია არის ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილი; წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებანი სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ზოგადტოპონიმიკური კანონზომიერების თანახმად, დიდ ობიექტთა, განსაკუთრებით, მდინარეთა სახელები საუკუნეებში ცოცხლობენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი უძლებენ.

ცნობილი თვალსაზრისია, რომ ტოპონიმის გარეშე შეუძლებელია ხალხთა ისტორიის, წარსულის, ენის... შესწავლა. გეოგრაფიულ სახელში ხშირ შემთხვევაში მოცემულია ხოლმე ის დიდი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ვერ მოგვცეს ვერცერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა, წყარომ, მეცნიერულმა შრომამ. ისტორიული გეოგრაფიის ენათმეცნიერული ანალიზის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელიცაა დაინეროს საქართველოს ისტორია. ტოპონიმია, როგორც ცნობილია, „დედამინის ენას“ უწოდებენ, რადგანაც „ამეცყველების“ შემთხვევაში შეუძლია გვაზიაროს მრავალ საიდუმლოს, რომელიც მასშია ჩაუნჯებული. ყოველი ტოპონიმი ერთდროულად გარდასულ დღეთა ნაყოფიცაა და მემატთანეც, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრების მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაზე.

სწორედ ამ კონტექსტში საგანგებოდ გვინდა მსჯელობა **ჯგერწგ შყრიშის** შესახებ: მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ სალოცავის – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის – განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში; ტრადიციულად „იარუნესგას“ კვირეულში, ზემო სვანეთში, სრულიად საქართველოს წმინდა სალოცავების მოხსენიებისას საეკლესიო კალენდარით დასახელებული ასზე მეტი სალოცავიდან სვანი მომლოცველი პირველს სწორედ **ჯგერწგ შყრიშს** მოიხსენიებდა (ბარდაველიძე, 1939, გვ. 77). ცნობილია, რომ მთელი ქრისტიანული სამყარო ლოცულობს აღმოსავლეთისკენ, სამოთხ-

ის, მზის ამოსვლის მხარეს; ზემო სვანეთში კი რამდენიმე თემი დღემდე დასავლეთისკენ, კერძოდ შიყერისკენ, ლოცულობს იმის გამო, რომ მის წინაპარს იქ უცხოვრია, იქ უდიდებია ღმერთი. შიყერის სალოცავს ყველა იალცუნესგელისათვის, დალელისათვის, ყველა კოდორელისათვის განსაკუთრებული მადლი და ძალა აქვს. მას ღვთაებრივის გარდა მედიატორის მისიაც აქვს შეთავსებული. აქ მოსისხლე მტრებიც კი შერიგებულან; რამდენადაც შიყერის მაღალ სალოცავზე (აქედან ხომ მთელი დალის ხეობა ხელისგულივით მოჩანს!) ნათქვამი ყოველი სიტყვა თითოეული კოდორელისათვის მუდამ იყო წმიდათაწმიდა, საბოლოო და სავალდებულოდ შესასრულებელი. ხალხური გადმოცემებით, XIX საუკუნის მინურულისათვის ნანგრევების სახითა მოღწეულ სალოცავზე ადრეულ ხანებში ადგილობრივი სვანებისაგან შეწირული ათეულობით ზვარაკი იკვლებოდაო. დალის ხეობის დაკარგვიდან რამდენიმე წელიწადში ერთ-ერთი ინფორმატორი ასეთი ნოსტალგიით აღწერს გეოგრაფიულ მდებარეობას ამ მაღლობისა: **შეყრი ჯგვრბთე სოფელხწნქა ოხვიშდ კილომეტრ ხრზი. აღ ლავემი, დიდბ ოთვად, ლგ საკნიშ ი ომარიშვლ ნესგა გორბჟი, ეჯკალი ჯდგის, ერე ეჩხწქა ქა თერა მთელ დვლ. ყიქწჩუ ხოსგდი დალიწ სოფლწრს – ხუტიას, გვანდრას, გენწვიშ, აჯარას, ჩხალთას. გუნ, გუნ ხოჩა ლესგდი ლი შეყერხწქა დალმ ხეობა. მი ფიშრწმინ მისდინა ეჯ სილა-მაზედ ხვწ ხწწ, კამეროშ ი მუღვა ქა ლგკიდ –** „შიყერის წმინდა გიორგიმდე სოფლიდან ხუთი კილომეტრია. ეს სალოცავი დგას სოფლების, საკენსა და ომარიშვალს შორის მდებარე მაღალ ქედზე, ისეთ ადგილას, რომ მთელი დალის ხეობა შიყერიდან მოჩანს ხელისგულივით. ზემოდან დაჰყურებ კოდორის ხეობის სოფლებს – ხუტიას, გვანდრას, გენწვიშ, აჯარას, ჩხალთას... ძალიან, ძალიან ლამაზია ხედი დალის ხეობისა შიყერის წმინდა გიორგიდან. მე ბევრჯერ დიდხანს, საათობით მიყურებია ამ სილამაზისთვის. კამერითაც მაქვს გადაღებული“ (ექსპედიციის მასალები, ხელნაწერი, 2010წ.)

იალცუნესგას მიკროტოპონიმიაში რელიგიური ლექსიკის ასახვის მაგალითია **ნალჯტამოლ / ნალჯტამი** – სახელი მაღლობისა. **ნალჯტამი** < სვან. ***ნალა-ჯტამი**-ი „ნაეკლესიარი“ **ლაჯტმი** „ეკლესია“ შდრ. სვან. **მაჯტამ** „მადლობა“, ე.ი. **ლაჯტმი / ლაჯტამ** სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“... **ნალჯტამი** სახელით ცნობილია ასევე ქვის ზღუდის სახით შემორჩენილი რამდენიმე მიკროობიექტი დალის ხეობაში.

კონფიქსური წარმოებისაა ტოპონიმი **წმწმხტ** – სახელი სოფლის მიმდებარედ კლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე აღმართული მთისა ულამაზესი ლანდშაფტებით, იალალებით, ჩანჩქერებით, კლდე-ჭიუხებით. **წმწმხტ** < **წმწ-მხ-ტ** „ნახანძრალი, დამწვარი“ < სვან. **ლი-მხ-ი** „წვა, დაწვა“, (შდრ. ქართ. ნა-ხმ-ირი < სვან. ნა-მხ-ირ-ი). აღსანიშნავია, რომ ამავე მთისათვის გასული საუკუნის 50-იან წლებში **დალის ხეობაში ჩასული გიორგი ლეონიძის პატივსაცემად გოგლაურა უწოდებიათ.**

სოფლის მიკროტოპონიშიაში მრავლად გვხვდება **ლა-** პრეფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, თავდაპირველი ფუნქციით აპელატივები – დანიშნულების სახელები:

ლასკარ < (ლა-სკარ) მალლობის სახელია სოფლის რამდენიმე უბანში; ტოპონიმი მომდინარეობს სვან. **სკარ** რელიგიური სემანტიკის ტერმინიდან, რაც ნიშნავს სხვადასხვა სახის **ღვნ-**ებზე ანუ რელიგიურ დღესასწაულებზე რამდენიმე ოჯახის ან თემის ან სოფლის გაერთიანებას, ზვარაკის ერთად შეწირვას და ლოცვას.

ლანკლა < (ლა-ნკლა) მომდინარეობს **ლი-ნკლე**-დან, რაც სვანურად მომწვედევას, მოხელთებას ნიშნავს; ლანკლას არქმევენ ძირითადად მთებში ცხენების, უფრო იშვიათად ნადირისა და ნანადირევის მოსამწყვდევე, ჩასაკეტად გილვებს. იალცუნესგას მიმდებარედ **ლანკლა** განსაკუთრებული გეოგრაფიული ლანდშაფტის მქონე მიკროობიექტის სახელია ტყეში. **ლა-ცბქუარნლ** მალლობის, ზეგანის სახელია. სიტყვასიტყვით ნიშნავს „სათვალთვალოს“. **ლა-ჯმუნწლ** – საძოვრის სახელია. აქ ფიქალ ქვებზე მარილს უყრიან საქონელს და მერე მიერეკებიან ტყეში. **ლა-ჯმუნწლ** < სვან. **ჯიმ** „მარილი“. **ლა-დრელ** – ადგილის სახელია ტყეში. სიტყვასიტყვით ნიშნავს სადარაჯოს, მოსახელთებელს. **ლა-დრელ** < სვან. **ლი-დრენი** „მოხელთება, დადარაჯება. **ლა-ჯრებ** < **ლა-ჯერაბ** „კლდის მარილის მოსაპოვებელი ადგილი“ < სვან. **ჯერაბ** „კლდის მარილი“. **ლა-ყსგრ** – საზაფხულო იალაღები, საძოვრები. **ლა-ყსგრ** < სვან. **ყსგრ** „არამენველი საქონელი“ – ხარი, მოზვერი, დეკეული, ბერნად დარჩენილი ძროხა. **ლა-მანჩუ** < სვან. **მანჩუ** „მაჩვი“. ადგილის სახელია ტყეში. სიტყვასიტყვით ნიშნავს სამაჩვე, მაჩვებისთვის „განკუთვნილ“ ხევს. **ლა-ჩხტარ** < სვან. **ჩხტ** „კენჭი“ სოფლის ბოლოს ქვა-ლორლიანი ადგილის სახელია მდინარის ქალებზე. **ლა-ხერხალარ** – ტყის დიდი მასივის სახელია; სახელდების მოტივაცია ინფორმატორთათვის უცნობია. თუმცა **ლა-ხერხ-ალ-არ** სეგმენტაცია, ვფიქრობთ, სწორია; რამდენადაც **ლა-** დანიშნულების სახელთა მანარმოებელია, **არ** სუფიქსი კი – მრ. რიცხვისა. ტოპონიმებში, თუნდაც მიკროში, მრ. რ. **არ** სუფიქსის მონაწილეობა, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე დაკვირვებით, დიდ გეოგრაფიულ არეალს გულისხმობს და არა გრამატიკულ მრავლობით რიცხვს. მრავლობითობის სემანტიკა დაჩრდილულია დიდი სივრცითი განფენილობის აღქმით (შდრ. ნადაუშუ-არ, ნალგიმალუ-არ, ლანრექუი-ალ, სგემ-არ, ლიცგლდ-არ, ლეტლეფი-არ, ლიცგლდ-არ, ლეტლეფი-არ, ჩაჭუ-არ, ყაფ-არ, ჰულდმ-არ, ნაყარუ-ალ...). **ნადაუშუ-არ** – საძოვარი, ადგილი ტყეში. **ნალგიმალუ-არ** „ციხესიმაგრის ნანგრევი“, სიტყვასიტყვით „ნამშენებლარები“. **ლანრექუი-ალ** ფერდობის სახელია. სიტყვასიტყვით ნიშნავს სათომე ადგილებს: ლანრექუი-ალ < სვან. **ნერექუ** „თომი“. **სგიმ-არ / სგემ-არ** – დასასვენებელი ადგილი საზაფხულო კარვებით და ინფრასტრუქტურით. მომდინარეობს სვანური ლექსემიდან **სგიმ** „მჭავე წყალი“. **ლიცგლდ-არ** – იალაღი, საზაფხულო საძოვარი; < სვან. **ლიც** „წყალი“. **ლეტლეფი-არ** – ფერდობი, საძოვარი; < სვან. **ტელეფი** „ლოლო, მთის ბალახი“. იმავე სტრუქტურისაა

მიკროტოპონიმები: ჩაჭუ-პრ, ყაფ-პრ, ჰულდმ-პრ. ნაყარუ-პლ < სვან. ყპრ „ყავარი“. ლალქანა სხვადასხვა მიკროტოპონიმის, ყანის, არაერთი ადგილის სახელია სოფელში. ლა-ლ-ქან-ა < სვან. ქან „კანაფი“. ლალქანა აგებულია ასევე განეკუთვნება ლა-პრეფიქსიან მიკროტოპონიმებს. ქან – უძველესი სა-სოფლო-სამეურნეო კულტურაა. დიდია მისი გამოყენების სფერო და არეალი, როგორც სამკურნალო, სამეურნეო, პროფილაქტიკური საშუალებისა. სვან. ქენჰჰ < (ქან-ჰჰ) კანაფის თესლისგან დამზადებული განსაკუთრებული კერძია, გიმბჰჰ კანაფის ნაყოფის სახელია. გიმბჰჰს ურევენ ყველში და აცხობენ ხაჭა-პურებს. გიმბჰჰის ზეთი უებარი სამკურნალო საშუალებაა სიმსივნური დაავადებებისა. კანაფის გამხმარ ფოთოლს ზამთრობით აჭმევდნენ საქონელს, რითაც იცავენ მათ ღვიძლის ზოოდაავადებებისაგან. ასეთი მრავალმხრივი გამოყენების გამო ლალქანა და ლა-ქნაშერა უამრავ ადგილას იყო იყო სოფელ იალცუნესგაში. თუმცა ახალგაზრდების მიერ მისი არასწორად გამოყენების გამო კანაფის დათესვა აიკრძალა სახელმწიფოს მიერ და მოსახლეობაც იძულებული გახდა კანაფისა (სვან. ქან) და მისი თესლის (სვან. გიმბჰჰ) ამდენ სიკეთეზე ეთქვა უარი. თუმცა დალის ხეობაში კანაფს დათესვა არც სჭირდებოდა, ის ბუნებრივად ამოდოდა და მოსახლეობა იძულებული გახდა გაენადგურებინა და მიკროობიექტთა სახელები – ლალქანა და ლაქნაშერა სამუდამოდ დაევიწყებინა.

სტრუქტურულად ამავე ტიპის სახელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ წარმოსახვითი გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი ეთნოლოგიური ტერმინი – ლა-ხორ. ლექსემა, რომელიც დალის ხეობაში ბჭობის ადგილის სახელწოდებად შემორჩა დღემდე. ლახორ არ უნდა იყოს სვანური სიტყვა, რადგან ამ ტერმინში ძირია ხორ, რომელიც ბერძნულია და ნიშნავს ქვეყანას, ტომს, ხალხს, ლა- სვანური დანიშნულების მანარმოებელი სუფიქსი ქართული სა-საბადალია. ამდენად, ლახორ, როგორც ჩანს, ნიშნავს სახალხო ადგილს, ხალხის თავშესაყარს. ლა-ხორ/ლა-ლ-ხორ ლექსემასთან დაკავშირებით სვანთა ეთნოგრაფიული ყოფიდან უაღრესად საინტერესოა იანვარში, ლიფანწლის, ანუ სულების მოხსენიების კვირეულში, სულების საგანგებოდ წასვლა და გამგზავრება ლახორ-თე, რათა იმსჯელონ, გადანყვიტონ, მთელი წლის განმავლობაში ვინ წაიყვანონ იმა ქვეყნად, იმა სოფლად (სვან. ეჩე ბუასდთე); ლახორ-ში სულები, სვანთა რწმენით, რჩებიან ერთი ღამის განმავლობაში და კვირა საღამოს შებინდებისას ბრუნდებიან. ოჯახის დიასახლისმა მათ ამ დროს უნდა დაახვედროს ცხელი ფაფა, რომლის ორთქლზეც თბებიან მთელი ღამე შორეულ ლა-ლ-ხორ-ში ნამოგზაურები და ნამსჯელები სულები – ქუნწრუ. ფაფა აუცილებლად უნდა უკურთხოს ოჯახის დიასახლისმა სანთლებით, შესანდობართა და შემდეგი ტექსტით: „ხოჩა ნალხორ აწვიდ“ – „კარგი განაჩენი, კარგი ნა-ლ-ხორ-ი მოგვიტანეთ ოჯახისათვის“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ღენწრ – სახალხო დღესასწაულები (ლალხორთე ღწრში „ლალ-ხორში წასვლა“, ლიფანწლი „მიცვალებულთა სულების კვირეული“, ხეწლმი, ლიმპწარი, ლიქურეში, ელიობ, ლიშიაში „ხელის ახსნის რიტუალი“, შუშხვწამ,

მეშხე ფხუ, თვეთნე ფხუ...), ძალცუნესგაში, ისევე როგორც დალის ხეობის დანარჩენ ჩვიდმეტ სოფელში, მთელი პომპეზურობით, ზედმინეწით, მთელი სიზუსტით სრულდებოდა. მკვლევართა აზრით, სვანურ ხალხურ დღეობებში დამარხული რელიგიური სივრცე ერთ-ერთი უძველესია, რაც კი ოდესმე ადამიანის გონებას შეუქმნია და მოუტანია დღემდე.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ზოონიმზე ყარჩან. ამ სახელს იალცუნესგელები, და როგორც ინფორმატორებმა დაგვიდასტურეს, სხვა კოდორელებიც არქმევდნენ ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან გადმოყვანილ განსაკუთრებულად კარგი ჯიშის ხარებს. რამდენადაც სოფელი იალცუნესგა, ზოგადად, დალის ხეობა უშუალოდ ესაზღვრება და ემეზობლება ჩრდილო კავკასიას და კლუხორის უღელტეხილით ქვეითად მხოლოდ რამდენიმე საათის სავალი გზაა, შესაბამისად, იალცუნესგელებს, დალელებს და ყარაჩაელებს მუდმივად ჰქონდათ ერთმანეთში მიმოსვლა, სამეურნეო, ეკონომიკური თუ სხვადასხვა სახის მეზობლურ-მეგობრული ურთიერთობები. ზემოთქმულის გათვალისწინებით და ონომასტიკაში მიღებული ტერმინოლოგიის შესაბამისად, იალცუნესგელთა ხარების ხშირი სახელი – ყარჩან უნდა მივიჩნიოთ ტოპონიმურ ზოონიმად (პარალელისათვის საინტერესოა, რომ მესტიის რ-ნის სოფელ მულახში დაგვიდასტურეს ასევე ჩრდილო კავკასიიდან გადმოყვანილი ხარების სახელები – ჟეგმან და ბახსნან).

ჩვენს ხელთ არსებული მასალით არა მხოლოდ იალცუნესგას, ზოგადად სვანურ ტოპონიმებზე დაკვირვება ცხადყოფს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მახასიათებელი ტერმინების განსაკუთრებულ სიუხვეს და პროდუქტიულობას. აქ ხშირია სვანური ისეთი გეოგრაფიული ცნებებისა და ლექსემების გამოყენება, როგორცაა: ხევი, ხეობა, კლდე, ტბა, მთა, ღელე, გადასასვლელი, უღელტეხილი, მალლობი, გორაკი, სათიბი, ციცაბო კლდე, ქარაფი, ფერდობი, ადიდებული მდინარე, მენყერი, ჩანჩქერი, მწვერვალი... ასევე ზმნისართ-მორფემოიდები – ზედა, ქვედა, ზემოთ, ქვემოთ, ზემოური, ქვემოური, აღმოსავლეთი, დასავლეთი...

ამრიგად, იალცუნესგა – დალის ხეობის „შუამდინარეთი“ – მდიდარი ონომასტიკური მასალის მომცველია. ძირძველი საქართველოს – აფხაზეთის ამ ერთი კონკრეტული სოფლის გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიური ძიებით, ტოპონიმთა, ჰიდრონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზით წარმოდგენილია მცდელობა ონომასტიკურ ერთეულთა სახელდებაში ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორების წარმოჩენისა.

ლიტერატურა:

ბარდაველიძე, ვ. (1939). სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

მიბჩუანი, თ. (1989). დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

- მარგიანი, ქ. (1998). დალის სვანეთის ტოპონიმია, ქართველური ონომასტიკა, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- მარგიანი, ქ. (2018). Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics, (according to the speech of Kodori Gorge population). Materials of the III International Research and Practice Conference „Интеграция научного сообщества перед глобальными проблемами современности“. Япония. Киото. ISBN 978-601-267-055-4.
- მარგიანი, შ. (2005). კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა. კრებული „დალელთა იმედი“. თბილისი: გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
- მარგიანი, ქ. (2013). დალის ხეობის ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი, ქართველური ონომასტიკა, VI, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ქალდანი, მ. (1970). დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ჩანტლაძე, ი., მარგიანი, ქ., მარგიანი-სუბარი, ქ., იოსელიანი, რ. (2007–2010). კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ), მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის, X (კვლევა განხორციელდა რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით). თბილისი: გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“.
- ჭუმბურიძე, ზ., ნიჟარაძე, ლ., ქურდაძე, რ. (2007). სვანური ენა, (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“.
- Лавров, Л. (1950). Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, москвовилენინგრადი: „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- Бгажба, Х. (1956). Некоторые вопросы этнонимии, топонимии Абхазий, Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. XXVII, სოხუმი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

დამანა მელიქიშვილი
Damana Melikishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ქართული ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული
ფუნქცია და
სემანტიკური ნიუანსების ურთიერთმიმართების
საკითხი

The Grammatical Function of the Georgian Vowel Prefixes
and Issue of the Correlation of the Semantical Nuances

საკვანძო სიტყვები: ზმნა, ხმოვანპრეფიქსი, გრამატიკული ფუნქცია, სემანტიკა
Keywords: Verb, Vowel prefixes, Grammatical Function, Semantics

The goal of the research of the grammar is to study morphology and syntax, the structures and constructions of the language, that means that the research of the grammatical forms should be based on the analysis of the form itself, the grammatical function should be shaped on the basis of the representative data and only after that we can consider the semantics of the particular forms. The specific character of the Georgian verb is its polypersonal nature, Unlikely to Indo-European languages, the mechanism of the Georgian verb was created by the Georgian analytic and synthetic mind. The polypersonal verb mandatorily contains vowel prefixes and the organized order of the grammatical signs; the markers of the polypersonality take the place in the verb microstructure after the personal markers. These markers are the vowel prefixes: a-, e, i-, u- from which the vowel prefix a- demonstrates the correlation with all the objects included in the verb construction (m/g-a-laparakes) first diathesis, while the same function in the second Diathesis is based on the vowel prefix e- (m/g/-e-laparakeba).

The prefix i- in the both Diathesis is connected with the speaker – the first and the second person.

Within the monoperosnal construction (in this case, it is not the marker borrowed from the subjective version active forms. In French, this same function is fulfilled by the reflexive pronouns, in Russian – by the suffix that has developed from the reflexive pronoun via modification/shortening (sebya (self)>-sya)). In the construction with the direct object though, the same prefix i- fulfills the function of subjective orientation. The correlation with the 3rd person is marked by the vowel prefix u- (uḱeteb/suḱetdeba).

ქართული ენის მთავარ სპეციფიკას, განსხვავებით ინდოევროპული ზმნისაგან, ქმნის პოლიპერსონალური ზმნა, რომლის სტრუქტურებიც შეიქმნა ქართული ანალიზური და სინთეზური აზროვნების მიერ და ქართული ენის ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა.

1. ინდოევროპული ენების ერთპირიანი ზმნისაგან განსხვავებით, ქართველურ ზმნაში გამოიხატება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირები: **პრეფიქსები: I და II პ. ვ-, მ-; *ხ->ჰ-> ს-, გ-; III პირი: სუფიქსები: -ა/-ო, -ს, -ნ, -დ; პრეფიქსები *ხ->ჰ->ს. ამავე დროს, ვ- და მ-ს რიგის ნიშნები სუბიექტურ პირსაც გამოხატავენ და ობიექტურსაც, კერძოდ:**

I დათვის I და II სერიაში სუბიექტის ნიშანია ვ-ს რიგის აფიქსი;

III სერიაში კი – მ-ს რიგისა (**ვ-ტრიალებ - ვ-იტრიალე - მ-იტრიალია; ვ-თა-მაშობ - ვ-ითამაშე - მ-ითამაშია; ვ-ატრიალებ - და-ვ-ატრიალე - და-მ-იტრიალებია; ვ-აკეთებ, გა-ვ-აკეთე -გა-მ-იკეთებია...**);

მეორე დათვის სამივე სერიაში სუბიექტს ვ-ს რიგის პირის ნიშანი გამოხატავს: **ვ-ტრიალდები - და-ვ-ტრიალდი - და-ვ-ტრიალებულვარ; ვ-კეთდები - გა-ვ-კეთდი - გა-ვ-კეთებულვარ; ვ-თბები -გა-ვ-თბი - გა-ვ-მთბარვარ);**

მესამე დიათეზის სამივე ტიპის ზმნის „განმცდელ“ სუბიექტს [1] მიყვარს, მგონია მცირა, მშია, 2. მენატრება, მესიზმრება, 3) მაზრიალებს, მაკანკალებს] სამივე სერიაში მ-ს რიგის პირის ნიშანი აქვს: მ-ი-ყვარს – შე-მ-ყვარა – შე-მ-ყვარებია; მ-ესიზმრება, და-მ-ესიზმრა – და-მ-სიზმრებია; მ-აკანკალებს – ა-მ-აკანკალა მე (შიშისაგან).

მრავალპირიანი ზმნა აუცილებლობით გულისხმობს ხმოვანპრეფიქსების – პირის გრამატიკულ ნიშანთა თანამდევი ელემენტების – არსებობას, რომლებიც ზმნის სტრუქტურაში პირის ნიშანთა მომდევნო ადგილს იკავებენ: მათი გრამატიკული ფუნქცია პირთა ურთიერთმიმართების ჩვენებაა: ისინი ასახავენ ზმნაში პირებს შორის არსებულ სხვადასხვა სახის ურთიერთმიმართებებს, მათ შორის, კუთვნილება-დანიშნულების შინაარსსაც. ერთპირიანი ზმნა, იმდენად, რამდენადაც მის ფორმაში მორფოლოგიურად მხოლოდ ერთი, სუბიექტური პირია მარკირებული, ხოლო მისამართი ობიექტის პირი ზმნის ფორმით არ არის გამოხატული, პირთა შორის მიმართებასაც ვერ გამოხატავს. მრავალპირიან ზმნაში გრამატიკულად მარკირებულ პირთა (სუბიექტსა და ობიექტებს) შორის ურთიერთობა აუცილებლად მოითხოვს (საჭიროებს) ფორმალურ ნიშანს, კერძოდ, თამხმონით გამოხატული მარკერების ხმოვნებით დაკავშირებას. ალბათ, ამიტომ ფიქრობდა გივი მაჭავარიანი, რომ „მაქცევართა არსებობა უტყუვრად მიგვითითებს იმას, რომ ნებისმიერი ახლად აღმოჩენილი ენა (თუკი ასეთ ფანტასტიკურ შესაძლებლობას დავუშვებთ), რომელიც მაქცევრებს შეიცავს, შეგვიძლია უყოყმანოდ მივაკუთვნოთ ქართველური ენების ჯგუფს“ (მაჭავარიანი, 2002, გვ. 96).

I და II პირის ნიშნები პრეფიქსებია, III სუბიექტური პირის ნიშნებად სუფიქსებია, ხოლო ობიექტური პირის ნიშნებად კი – პრეფიქსები. პრეფიქსული ნყოფისას ორპირიან და სამპირიან ზმნებში პირთა სამიმართებო ხმოვნები ჩნდება, ესენია: ა, ე, ი, უ: ორპირიან და სამპირიან ზმნაში პირის მარკერის თანმხლები ელემენტი ა- პრეფიქსია სამივე ირ. ობიექტური პირისათვის: გდია ის > მ-ა-გდებს ის მე; გ-ა-გდებს ის შენ), [ჰ] -აგდებს ის მას; მ-ა-ძლევს ის მე მას, გ-ა-ძლევს ის შენ მას, ა-ძლევს ის მას მას; ი- პრეფიქსი I და II ობიექტური პირებისათვის: მ-ი-გდებს ის მე მას, გ-ი-გდებს ის შენ მას; ხოლო მესამე –[ჰ]-უ-გდებს ის მას მას).

ხმოვანპრეფიქსები პირის ნიშანთა თანმდევი მორფოლოგიური ელემენტებია, რომელთა გრამატიკული ფუნქცია პირთა რელაცია-კორელაციის, ურთიერთმიმართების, დიქსისის გამოხატვაა. აღნიშნული ფუნქცია ქართულში ოთხ ხმოვანს: ა-, ე-, ი-, უ-ს აქვს დაკისრებული. რაც შეეხება ამ ხმოვნების სემანტიკას, იგი მრავალფეროვანია, დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე. მათ შეუძლიათ გამოხატონ ლოკაცია, აჩვენონ უკუქცევითობა, კაუზატიურობა, ზოგადად – ადრესატობა... ასევე, პირებს შორის კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობაც.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ა-, ე-, ი-, უ- ზმნურ ხმოვანპრეფიქსთა, ერთი მხრივ, გრამატიკული,

მეორე მხრივ კი, სემანტიკური ფუნქციები, რაც დეზინფორმაციასა და მრავალ უზუსტობას იწვევს: ერთი და იგივე მორფემა კვალიფიცირებულია ხან გვარის, ხან ქცევის, ხანაც საზედაო სიტუაციის, აგრეთვე გარდამავლობის, კაუზატიურობის ნიშნად. ეს, როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, **შედეგია ამ მორფემათა კონკრეტულ-კონტექსტუალური დახასიათებისა** (ჯორბენაძე, 1983) და მათი ერთი ინვარიანტული ანუ **მორფოლოგიური მნიშვნელობის** უგულვებლყოფისა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ყველა შესაძლო კონტექსტურ მნიშვნელობასაც.

სად არის ამ უამრავი „კონტექსტუალური მნიშვნელობის“ ადგილი?

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხს არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი მიეძღვნა (მაია მაჭავარიანის „ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა“, ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომები: „ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პინციპები“ და „ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში“; თინა ღვინაძის „ვნებითის ფორმათა სტილისტიკა“), მაგრამ ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

რა არის ამ ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქცია?

პირველ რიგში პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ზმნის ხმოვანპრეფიქსების ფუნქციების კვლევას საფუძვლად აპრიორი, **წინასწარ, უდევს „გვარისა“ და „ქცევის“ „გრამატიკულ“ კატეგორიებად და ამ ხმოვანპრეფიქსების მარკერებად კვალიფიკაცია, რაც დასაბუთების ლოგიკური ნების დარღვევაა:**

ჩამოთვლილ ნაშრომებში დასაბუთების საფუძვლად აღებულია ის, რაც თვითონვე დასაბუთებელია, კერძოდ, **გვარისა და ქცევის სემანტიკური კატეგორიები**. დასაბუთების აგება მცდარ საფუძველზე (წინამძღვარზე) ლოგიკაში იწოდება **„წრედ დასაბუთებაში“**: **„ურთიერთას მჩუენებლობაჲ საგიობელ არს ფილოსოფოსთაგან“** (ამონიოს ერმისი, 1983, გვ. 103). თვით „გვარისა“ და „ქცევის“ კატეგორიების სემანტიკური დეფინიციები საეჭვოს ხდის გრამატიკულ კატეგორიად მათ გამოცხადებას. ამიტომაც, რომ დღემდე ეს პრობლემა გადაულახავია.

„ქცევისა“ და „გვარის“, როგორც „გრამატიკული“ კატეგორიების, საკითხს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა, რომლებშიც ზმნურ ფორმათა ანალიზის შედეგად სხვადასხვა სემანტიკური ფუნქციები გამოვლინდა, მაგრამ **ვერ დადგინდა ამ ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქცია**. ამან კი შედეგად **ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში** ენობრივი ფაქტის მცდარი კვალიფიკაცია გამოიწვია.

როგორც ბ. ჯორბენაძე შენიშნავს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომში, რომელიც ქართული ზმნის ხმოვანპრეფიქსებს ეძღვნება, **„ხმოვანი პრეფიქსები ტრადიციულად სხვადასხვა ზმნური კატეგორიების მანარმოებლებადაა მიჩნეული (ქცევის, გვარის, სიტუაციის...)“** (ჯორბენაძე, 1983, გვ. 3) და მიზნად ისახავს ამ ხმოვანპრეფიქსების გაანალიზებას „ამა თუ იმ კონკრეტული კატეგორიისაგან განყენებით“, მაგრამ წინასწარვე სრულიად მარ-

თებულად აღნიშნავს, რომ „**ხმოვანი პრეფიქსები უშუალოდ უკავშირდებიან გრამატიკული პირის ცნებას**“ და თვლის, რომ „გრამატიკული პირის რაობისა და მისი მორფოლოგიური გამოხატვის სრულყოფილი გარკვევა თავისთავად გულისხმობს პირის კატეგორიის, პირიანობისა და ვალენტობის, ... ხმოვანი პრეფიქსების კვლევასა და მიღებული შედეგების ერთობლივ გათვალისწინებას“ (ჯორბენაძე, 1983, გვ. 3).

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, თუ რა უზუსტობებს იწვევს შინაარსის მიხედვით ფორმის კვალიფიკაცია და რამდენგვარი არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ **გრამატიკის კვლევის საგანია მორფოლოგია და სინტაქსი, ენის სტრუქტურები და კონსტრუქციები, ამიტომ ნებისმიერი ენის გრამატიკული ფორმების კვლევისას უნდა ამოვიდეთ ფორმის ანალიზიდან და აუცილებელი და საკმარისი ემპირიული მასალის გაანალიზების საფუძველზე დავადგინოთ მისი გრამატიკული ფუნქცია, რის შემდეგ ეტაპზეც შეგვიძლია ვილაპარაკოთ მათს სემანტიკაზე.**

შესაძლოა პირუკუც, სემანტიკიდან ამოსვლით გრამატიკულ მნიშვნელობამდე მისვლა, მაგრამ ეს უფრო რთული და გრძელი გზაა (რაც ხშირად არის მიზეზი ფაქტის არასწორი კვალიფიკაციისა), რადგან ერთი და იგივე მნიშვნელობა გრამატიკულად სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატებოდეს ანდა სხვადასხვა მნიშვნელობა – ერთი ფორმით. მორფოლოგიური ანალიზის საშუალებით კი გაცილებით უფრო მარტივია დავადგინოთ, რა სემანტიკას გამოხატავს ესა თუ ის მორფემა.

ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ ქართული მრავალპირიანი ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქცია, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ (გავარკვიოთ) მათი სემანტიკური ფუნქცია.

I დიათეზა აერთიანებს R-[th.suf-0] სტრუქტურის ერგატიული კონსტრუქციის მქონე ზმნებს, რომლებიც ორ ქვეჯგუფად იყოფა: პირველს (კანკალ-ებს, ხუმრ-ობ-ს, ი-ცინი-ის,) არასრული კონსტრუქცია აქვს (აკლია ბრუნვაცვალებადი მიც/სახ. ობიექტი); სახელობით/მოთხრობით ბრუნვაში მდგარი სუბიექტი სემანტიკურად ავტოაქტიურია (იციინის ის – გაიციინა მან; კანკალებს ის – იკანკალა მან; ხუმრობს ის – ხუმრა მან); მეორე ქვეჯგუფის ზმნები კი სრული კონსტრუქციის მქონეა და აქტიურ შინაარსს გამოხატავენ (ა-ცინებს ის მას – გააციინა მან ის; ა-ტრიალებს ის მას – და-ატრიალა მან ის). ამ ზმნებთან ყველა ხმოვანპრეფიქსი შეიძლება რეალიზდებოდეს გარდა ე-სი, რომელიც მხოლოდ R-[th.suf.]-ი სტრუქტურის ზმნებში გვაქვს. მისი გრამატიკული ფუნქცია ასევე, პირთა ურთიერთმიმართების, კორელაციის გამოხატვაა.

ი- პრეფიქსის გრამატიკული, ინვარიანტული მნიშვნელობა უკუქცევითობის, რეფლექსურობის გამოხატვაა, იგი I დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნებთან ანმყო-მყოფადისა და წყვეტილის ფორმებში რეალიზდება, ამათგან ანმყოში მხოლოდ რამდენიმე ათეულ ზმნასთანაა გვხვდება: იმღერს – მღერის, იჩქარის – ჩქარობს, იგლოვს – გლოვობს, თუმცა აშკარად შეინიშნება ი- პრეფიქ-

სის დაკარგვის ტენდენცია (მელიქიშვილი, 2003, პარადიგმა №3, №10), მაგრამ ძველ ქართულში ამ ტიპის ზმნის ი- პრეფიქსიანი ფორმები ანმყოს შინაარსს გამოხატავდნენ: „ილოცავს, იტყვის, მალალო ღმერთო ხმელთა და ცათაო“ („ვეფხისტყაოსანი“). და დღესაც, იგლოვს, იძვრის, იბრუნვის და მთელი დიდი ჯგუფი -ებ თემისნიშნისანი ზმნებისა: იძინებს, იღვიძებს, იბანაკებს, იმარჯვებს, იგვიანებს... და სხვ. (მელიქიშვილი, 2001, გვ. 276, პარადიგმა №10) ანმყოში ი- პრეფიქსიანია. „ქართული ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ძველისძველ ქართულში ი- პრეფიქსი საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამგვარ ზმნათა ანმყოს წრის ფორმებისთვის“ (ნოზაძე, 2008, გვ. 82). ამ ტიპის ზმნებში, პირველი დიათეზის პირველი ქვეჯგუფის ზმნებში, ი- პრეფიქსი ძველსავე ქართულში მომავალი დროის შინაარსით დაიტვირთა, უფრო ადრე, ვიდრე იმავე დიათეზის ზმნების მეორე ქვეჯგუფის ზმნებმა მომავალი დროის გამოხატვა ზმნისნიშნის საშუალებით შეძლეს (აკეთებს – გააკეთებს; ხატავს – დახატავს).

რა ფუნქციისაა ი- პრეფიქსი პირველი დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნებში? ა. შანიძე ფიქრობს, რომ მათ ეს ხმოვანი შესაბამისი აქტივის სათავისო ქცევის ფორმებიდან აქვთ ნასესხები (შანიძე, 1980, გვ. 306). როგორც უკვე ითქვა, ძველი ქართულის მასალა საპირისპიროს ამტკიცებს. ი- პრეფიქსის არსებობა ამ ქვეჯგუფის ზმნებში იმითაა განპირობებული, რომ ეს ზმნები სახელისაგან არიან წარმოებულნი და მათს ობიექტს ზმნის ფუძეში შემავალი სახელი წარმოადგენს: დაიძინებს ის (ძილს), იგლოვს ის (გლოვას), იბანაკებს ის (ბანაკს), იმღერს ის (მღერას). ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს (ამიტომაც აქვთ ერგატიული კონსტრუქცია), მათი მოქმედება რეფლექსიურია, უკუქცევითია, შინაგან ობიექტზეა მიმართული. ი- პრეფიქსი ამავე მიზეზის გამო ჩნდება ისეთ ზმნებში, რომლებიც თავდაპირველად აღწერილია ინარმოებოდა და მათს სახელად ნაწილს სინტაქსურად ყოფილი პირდაპირი დამატება წარმოადგენდა, შემდეგ კი სინთეზურ წამოებაზე გადავიდა და პირდაპირი ობიექტი ზმნის ფუძეში აღმოჩნდა: ღალად-ყო – იღალადა, ზრახვა-ყო – გაწიზრახა...

ი- ხმოვანპრეფიქსი ასევე უკუქცევითობას გამოხატავს I დიათეზის II ქვეჯგუფის სრული კონსტრუქციის ზმნებში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ბრუნვაცვალებადი ობიექტი გარეგანადაა დაკავშირებული ზმნასთან. ორპირიანი ზმნის შემთხვევაში იგი გვიჩვენებს რელაცია-კორელაციას ობიექტსა და სუბიექტს შორის. ხშირად ეს მიმართება კუთვნილება-დანიშნულებით სემანტიკას გამოხატავს: იკეთებს, იმზადებს, იშენებს, იძენს, იკლავს, ინთებს. ამ შემთხვევაში ობიექტი სუბიექტის კუთვნილებაა ან მისთვისაა დანიშნული. სამეცნიერო ლიტერატურაში ი- პრეფიქსის ეს სემანტიკური ნიუანსი ე.წ. სათავისო (სასუბიექტო) ქცევის გრამატიკული კატეგორიის სახელითაა ცნობილი. მაგრამ ეს მნიშვნელობა ი- პრეფიქსს მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში (კერძოდ, ორპირიანი R-0 სტრუქტურის სრული კონსტრუქციის ზმნებში) ეძ-

ლევა და მისი, როგორც გრამატიკული კატეგორიის ინვარიანტული კონტექსტური სემანტიკური მნიშვნელობის ერთ-ერთ ნიუანსს წარმოადგენს. გრამატიკული კატეგორიის გამოყოფა კი სემანტიკიდან ამოსვლით დაუშვებელია. ამის გამოა, რომ ამავე სტრუქტურისა და ასევე სრული კონსტრუქციის სამპირიან ზმნებში იგივე **ი-** პრეფიქსი ე.წ. სასხვისო (საობიექტო) ქცევის გრამატიკულ მარკერადაა მიჩნეული, რადგანაც, როცა ბრუნვაუცვლელი ობიექტი I ან II პირისაა, ზმნაში **ი-** პრეფიქსი ჩნდება, ხოლო, როცა III პირისაა, **უ-** (მიშენებს, გიშენებს, უშენებს; მიკეთებს, გიკეთებს, უკეთებს). **ი-** პრეფიქსი გამოხატავს მიმართებას I-II პირის ბრუნვაუცვლელ ობიექტებთან, ხოლო **უ-** – III პირის ობიექტთან.

ი- პრეფიქსი რეფლექსივის, უკუქცევითობის ნიშანია II დიათეზის ზმნებში: *ი-ნძრევა, ი-რყევა, ი-ბნევა, ი-ბღვირება, ი-მანჭება* და ა. შ.; ხოლო ამავე დიათეზის ორპირიან ფომებში **ე-** პრეფიქსი ირიბ ობიექტთან მიმართებას უჩვენებს: *ვ-ი-მალები მე, მაგრამ: ვ-ე-მალები მე მას/ მ-ე-მალება ის მე – გ-ე-მალება ის შენ/ ე-მალება ის მას.*

უ- პრეფიქსი ზმნის კონსტრუქციაში მესამე პირის ბრუნვაუცვლელი ობიექტის შემომყვანად გვევლინება: *აკეთებს ის მას – ვ-უ-კეთებ მე მას მას /უ-კეთებს ის მას მას, ანთებს ის მას – უ-ნთებს ის მას მას, აშენებს ის მას – უშენებს ის მას მას; ი-ცინის ის – უცინის ის მას, ი-ბღვერს ის – უბღვერს ის მას...*

რაც შეეხება ე- პრეფიქსს, იგი II დიათეზის სტრუქტურის ზმნებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ა- პრეფიქსი I დიათეზის ზმნის სტრუქტურაში: კერძოდ, მიმართებას უჩვენებს, ზოგადად, სამივე პირის ბრუნვაუცვლელ ირიბ ობიექტთან:

მ-/გ-/ა-ლაპარაკებ-ს ის – მე/შენ/მას – მ-/გ-/ე-ლაპარაკებ-ა ის – მე/შენ/მას; მ-/გ-/ე-ჩხუბება ის – მე/შენ/მას;

ამავე დროს, როგორც I დიათეზის, ისე ასევე, II დიათეზის სტრუქტურის ზმნებში, **ი-** და **უ-** პრეფიქსების ურთიერთმიმართება განაწილებულია (რეგულირდება) პირების მიხედვით – კერძოდ:

A. I და II, ანუ – მოლაპარაკე პირებთან მიმართებას ამყარებს ი- პრეფიქსი (რომელიც, ამავე დროს, ერთპირიანი, როგორც I, ისე II დიათეზის – ავტოაქტიური = რეფლექსივის, უკუქცევითი მოქმედების თუ მდგომარეობის სემანტიკის გამომხატველია: *ი-წვის, ი-ბრძვის, იბანაკებს, ი-ძინებს, ი-წვის//ი-წვება, ი-ლიმებ-ა, ი-ცქირება...*):

მ-ი-/გ-ი-ხატავს (იგი) მე/შენ (სურათს); მ-ი-/გ-ი-ჯავრდება (იგი) მე/შენ.

B. მესამე, არამოლაპარაკე პირთან – უ პრეფიქსი:

უ-ხატავს იგი მას (სურათს); უ-ჯავრდება იგი მას.

I დიათეზის სტრუქტურის ზმნებში **ა-** პრეფიქსი, ხოლო II დიათეზის სტრუქტურის ზმნებში **ე-** პრეფიქსი, პირების განურჩევლად, სამივე პირთან უჩვენებს მიმართებას: *მ-ა-ლაპარაკებ-ს ის მე, გ-ა-ლაპარაკებ-ს ის შენ;*

ა-ლაპარაკებს ის მას; მ-ე-ლაპარაკება ის მე, გ-ე-ლაპარაკება ის შენ, ე-ლაპარაკ-ებ-ა ის მას...

ხმოვანპრეფიქსები თავისი პოზიციითა და გრამატიკული ფუნქციით პირის ნიშნის, პირის მარკერის თანმდევი ელემენტებია, რომლებიც უჩვენებენ სუბიექტის მიმართებას (დამოკიდებულებას) აღსანიშნ ირიბ ობიექტურ პირთან. ეს მიმართება შეიძლება კუთვნილებით შინაარსსაც გამოხატავდეს (რაც, ძირითადად, ზმნური ფუძის სემანტიკასთანაა დაკავშირებული და მისგანაა განსაზღვრული, მოტივირებული).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქართული მრავლპირიანი ზმნის მყარი სტრუქტურა მწყობრი და მკაცრად სიმეტრიულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხმოვანპრეფიქსები კუთვნილება-დანიშნულების შინაარსის გამომხატველი „ქცევის გრამატიკული კატეგორიის“ ნიშნებად, მარკერებადაა კვალიფიცირებული. ზოგადად, „ქცევის კატეგორია“, სხვადასხვა ლინგვისტური ტრადიციის მიხედვით, განსხვავებული ტერმინებით აღინიშნება – კერძოდ, **ვერსია, ადრესივი, დესტინატივი**. უნდა ითქვას, რომ ამ ტერმინებიდან ამ კატეგორიის გრამატიკულ მნიშვნელობას, **პირთა შორის მიმართების ჩვენებას, ტერმინები – ადრესივი და დესტინატივი** გამოხატავს. მით უფრო, რომ „ქცევა“ ანუ „ვერსია“ ტრადიციულად განსაზღვრულია, როგორც ზმნის პირებს შორის **კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობის სემანტიკური და არა ფორმალური, გრამატიკული ნიშნით**: „ქცევის ანუ ვერსიის კატეგორია ზმნით გამოხატული მოქმედების კუთვნილება-დანიშნულებას აღნიშნავს, კონკრეტულად კი კუთვნილება-დანიშნულებით მიმართებას სუბიექტსა და ობიექტს, ან ობიექტებს შორის“ (შანიძე 1980, გვ. 540).

აკაკი შანიძისეული ვრცელი განმარტების მიხედვით დაკონკრეტებულია „ქცევის“ კატეგორიის მხოლოდ ერთი, თუმცა მნიშვნელოვნად გამოკვეთილი, **კუთვნილების სემანტიკური ფუნქცია**.

ხმოვანპრეფიქსების **გრამატიკული ფუნქცია**, ვფიქრობთ, უნდა განიხილებოდეს ქართული ზმნის **გრამატიკული კატეგორიის – „ადრესივისა“ და „დესტინაციის“ ფარგლებში**, რომლის ერთ-ერთი სემანტიკური ფუნქციაა **კუთვნილების შინაარსის ჩვენება**: „სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის (ან პირების) უბრალო აღნიშვნის გარდა ქართულ ზმნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს ის, რომ ა) ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული; ან ბ) ობიექტი მოქმედ პირს, ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის, ან მისთვისაა განკუთვნილი; ან კიდევ: გ) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის, ან მისთვისაა განკუთვნილი“ (შანიძე, 1983).

ამგვარად, ქცევის ანუ ვერსიის კატეგორია ადრესატობასა და დესტინაციასთან ერთად ქართული ზმნის ერთ-ერთი სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც კუთვნილება-დანიშნულებითს ურთიერთობას გამოხატავს პირის გრამატიკული მარკერების თანმდევი ხმოვანპრეფიქსების საშუალებით. პირის რომელობისა და როგორობის მიხედვით მას შეიძლება ეწოდოს **სასუბიექტო**

მიმართების (სუბიექტური პირისაკენ მიმართული) ან **საობიექტო მიმართების** (ირიბ-ობიექტური პირისაკენ მიმართული) ქცევა ანუ ვერსია.

თ. მახარობლიძის ნაშრომებში ხმოვანპრეფიქსების ფუნქცია განსაზღვრულია ადრესატობის მიხედვით, მაგრამ ხმოვანპრეფიქსების ფუნქციის საკითხი ამით არ ამოიწურება. ხმოვანი პრეფიქსები ტრადიციულად სხვადასხვა ზმნური კატეგორიების მანარმოებლადაა მიჩნეული (ქცევის, გვარის, სიტუაციის...), სინამდვილეში ზმნური ხმოვანპრეფიქსების გრამატიკული ფუნქცია პირებს შორის მიმართების ჩვენებაა, ხოლო ამ მიმართების შინაარსს კონტექსტი განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, ეს შინაარსი შეიძლება კუთვნილება-დანიშნულებასაც გამოხატავდეს.

ა- სუფიქსს ზმნის კონსტრუქციაში ბრუნვაუცვლელი ან ბრუნვაცვალეზადი ობიექტი შემოჰყავს და სხვა ხმოვანპრეფიქსთა მსგავსად, პირთა რელაცია-კორელაციის აღმნიშვნელია, მაგრამ იმის გამო, რომ მას, ზემოთ დასახელებულთაგან განსხვავებით, უფრო მეტი სემანტიკური ნიუანსი აქვს, იგი გრამატიკულ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია, როგორც: ა) პირველად კაუზატივთა მანარმოებელი (ატირებს, აცინებს, აწუხებს ტიპის ფორმებში), ბ) გარდამავლობის მანარმოებელი, გ) საარვისო ქცევის ნიშანი (აშენებს, ანთებს, აკეთებს...), დ) საზედაო სიტუაციის ნიშანი (ახატავს, აწერს, აკერებს, ადებს). ეს სიტყვლე არის შედეგი გრამატიკული კატეგორიის კვალიფიკაციისა სემანტიკური კრიტერიუმის მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ ამ ხმოვნის გრამატიკულ ფუნქციას, რომელიც პირთა შორის გარკვეული მიმართების ჩვენებაა, ნათელი გახდება, რომ ყველა ზემოთ დასახელებულ მნიშვნელობას იგი კონკრეტულ კონტექსტში იძენს და დაკავშირებულია პირთა შორის ურთიერთმიმართების გამოხატვასთან. სწორედ ამიტომაც ეს ხმოვნები მიბმული პირის გრამატიკულ მარკერებთან და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურია და არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენი ძველი გრამატიკოსები ამ ხმოვნებს პირის ნიშნებთან ერთად, დაუშლელად, განიხილავდნენ: *მი-, გი-...*

ყველაზე ახლოს ხმოვანპრეფიქსთა **გრამატიკული** ფუნქციის გააზრებასთან გიორგი როგავას და ქეთევან ლომთათიძის კვალიფიკაციაა, რომლის მიხედვითაც, ხმოვანპრეფიქსები „**სამიმართებო**“ აფიქსებადაა წოდებული, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მათ პირთა შორის მიმართების ფუნქცია აკისრიათ და ამიტომ უწოდებენ ამ ხმოვნებს „სამიმართებო“ აფიქსებს.

საყურადღებოა ფარნაოზ ერთელიშვილის, მაია მაჭავარიანის განსაზღვრება, რომ: „*ქცევის კატეგორიის ზოგადი მორფოსინტაქსური ფუნქცია არის ზმნის ობიექტების ნარმოქმნა ან მოსპობა*“ (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ბ. ჯორბენაძე, თ. მახარობლიძე). ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მწვავედ დგას საკითხი და გაურკვეველია **ე-** სამიმართებო პრეფიქსის ფუნქცია: ეს პრეფიქსი **მეორე დიათეზის** – (ანუ **R-ები** სტრუქტურის) ზმნებში სამივე ირიბ ობიექტურ პირთან ამყარებს მიმართებას, ისევე, როგორც **ა-** სამიმართებო პრეფიქსი – **პირველი დიათეზის (R-0 სტრუქტურის)** ზმნებ-

ში: *მ-ა-ლაპარაკებს/მ-ე-ლაპარაკება იგი მე; გ-ა-ლაპარაკებს /გ-ე-ლაპარაკება იგი შენ; ა-ლაპარაკებს /ე-ლაპარაკება იგი მას.*

ზმნური ხმოვანპრეფიქსების გრამატიკული ფუნქცია მრავალპირიან ზმნაში:

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ხმოვანპრეფიქსი მონოპერსონალურ ზმნას არ სჭირდება; ეს პრეფიქსები მრავალპირიანი ზმნის პირებს შორის ურთიერთობის დასამყარებლადაა საჭირო.

ცნობილია, რომ ქართულ მრავალპირიან ზმნას, გარდა სუბიექტური პირისა, შეუძლია აღნიშნოს ობიექტური პირიც: როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტური პირი; ამასთანავე, ხმოვანპრეფიქსების საშუალებით შეუძლია გამოხატოს პირთა შორის ურთიერთმიმართებაც: *ა-, ი-, უ-, ე-* ზმნური ხმოვანპრეფიქსების **გრამატიკული ფუნქცია** არის პირთა შორის მიმართების, ორიენტაციის, ჩვენება. ქართულ ენაში ამის შესაძლებლობას იძლევა დესტინაციური ფუნქციის მქონე *ა-, ი-, უ-, ე-* პრეფიქსები, რომლებიც ამავე ფუნქციას ასრულებენ ნაცვალსახელურ და ზმნიზედურ სისტემაშიც (*ე-ს – ი-ს; ა-მან – ი-მან; ა-ქ – ი-ქ; ა-ხლა //ე-ხლა; უ-ნინ*). ამიტომ, რომ ძველი ქართველი გრამატიკოსები ხმოვანპრეფიქსებს პირის მარკერებთან ერთიანობაში განიხილავდნენ და ცალკე არ გამოყოფდნენ (*მი-, გი-, მა-, გა-*).

ამგვარად, ზმნური ხმოვანპრეფიქსები პირის ნიშნების თანმდევი, დამხმარე, მაორიენტირებელი ელემენტებია, რომლებიც ორ- და სამპირიან ზმნაში პირებს შორის მიმართებას, კოორდინაციას, ამყარებენ (მონოპერსონალური ზმნური სისტემა ხმოვანპრეფიქსს არ სჭიროებს). ამ პრეფიქსებს კონტექსტის მიხედვით შეუძლიათ სხვადასხვა შინაარსი გამოხატონ: მათ შორის, კუთვნილება-დანიშნულების შინაარსიც: კერძოდ, I დიათეზის (R-0) სტრუქტურის ზმნებში *ა* პრეფიქსი სამივე პირთან უჩვენებს მიმართებას: *მ-ა-ძლევს, გ-ა-ძლევს, ა-ძლევს, ი-* პრეფიქსი – I და II პირისკენ მიმართებას გამოხატავს, ხოლო *უ-* პრეფიქსი – III პირისაკენ: *მ-ი-ხატავს ის მე მას – გ-ი-ხატავს ის შენ მას – უ-ხატავს ის მას მას; II* დიათეზის (R-[th.suf.]-ი) სტრუქტურის ჯგუფში *ე-* პრეფიქსი სამივე პირისაკენ უჩვენებს მიმართებას: *მ-ე-ლაპარაკება ის მე – გ-ე-ლაპარაკება ის შენ – ე-ლაპარაკება ის მას; მ-ე-ფერება ის მე – გ-ე-ფერება ის შენ – ე-ფ-ერება ის მას); ი-* პრეფიქსი ერთპირიანი ზმნის კონსტრუქციაში რეფლექსივის, სუბიექტისკენ მიმართების ფუნქციას ასრულებს ორივე დიათეზის ფორმებში: *ი-ძვრის, ი-ძინებს, იღვიძებს, იბანაკებს, ი-ლიმის//ი-ლიმება, ი-მალვის//ი-მალება...*). ამრიგად, მხოლოდ პოლიპერსონალური სისტემის ზმნას შეუძლია გრამატიკული ფორმის, სტრუქტურის (ხმოვანპრეფიქსების) საშუალებით აჩვენოს პირთა შორის ურთიერთმიმართება.

ხმოვანპრეფიქსები რომ პირის მარკერების მაორიენტირებელი ნიშნებია, ამის ტიპურ და მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ძველ ქართულში ე.წ. დაჰბადა ტიპის ზმნები: *დაჰბადა მან იგი ქუეყანასა (ზედა); დაებადა იგი მას, ქუეყანასა/ ქვეყანა-ზე; მ-ო-ე-ვლინა ქუეყანასა/ აღ-ს-დგა ქუეყანასა და (ჩა)-ჰ-*

ფლა მან იგი მას (ქუეყანასა = მინასა (ში); და-/და-ე-ფლა იგი მინასა/ მინა-ში და-ე-მკვიდრა იგი მას ქუეყანასა... ამ ტიპის სამპირიანი ზმნების კონვერსიული ორპირიანი ე- პრეფიქსიანი ფორმის მიცემითბრუნვიან ობიექტს (ქუეყანასა) ქართული ენის სინტაქსური წყობის განვითარების მოგვიანო ეტაპზე **-ზედა** თანდებული დაერთო, შესაბამისად, ორპირიანი მიმართების ე- პრეფიქსს შეენაცვლა ერთპირიანი ზმნის, ავტოაქტივის (//რეფლექსივის//უკუქცევითის) ი- პრეფიქსი; ხოლო ობიექტს კი, როგორც პირმიმართავ წევრს, თანდებული დაერთო და ზმნა ერთპირიანად იქნა გააზრებული: და-ი-ბადა იგი ქვეყანა-ზე, და//ჩა-ი-ფლ-ა//ო იგი მინა-ში; ასევე: მო-ე-ვლინა იგი ქუეყანა-ს-ა – მო-ი-ვლინა იგი ქვეყანა-ზე... მათ რიცხვშია ასევე, და-ე-მკვიდრა იგი მას, ქუეყანასა, დამკვიდრ-და იგი ქვეყანასა, ქვეყანა-ზე//ში.

ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში სალაპარაკო ენაში ირიბმა ობიექტმა დაკარგა სინტაქსური მართვის ძალა და გამოვიდა პირმიმართი წევრების შემადგენლობიდან: შესაბამისად, ზმნა ერთპირიანი გახდა.

ამგვარად, ხმოვანპრეფიქსები ზმნის პირის ნიშნების დამატებითი მაორიენტირებელი პრეფიქსებია, რომლებიც პირთა ურთიერთობას ფორმალურად გამოსატყვევენ. ამ ჩამონათვალში შედის **აღსდგა** ფორმაც **„ქრისტე აღსდგა“** შესიტყვებაში: თუ კარგად ჩავუკვირდებით, კონტექსტში – **„ქრისტე აღსდგა“** – **აღ-ს-დგ-ა** II დიათეზის (R-ები სტრუქტურის) ორპირიანი ზმნის ფორმაა: – **აღ-ს-დგა იგი მას (ქუეყანასა):** ს- პრეფიქსი ამ ფორმაში მიცემითში დასმული ირიბი ობიექტის (ქუეყანასა) მარკერია და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ა/ე- პრეფიქსები I და II დიათეზის ზმნის ორპირიან სტრუქტურაში (**და-ე-ბადა იგი / მო-ე-ვლინა იგი ქუეყანასა**).

ლიტერატურა:

- ერმისი, ა. (1983). თხზულებები (ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭელმაძემ და მაია რაფაევამ), ძველი ქართული მწერლობის ძეგლები VI, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ასათიანი, რ. (2016). ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ქართველურში: ვერსია და კაუზაცია, კრებ. ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
- მაჭავარიანი, მ. (1987). ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკური ნიუანსები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- მახაროულიძე, თ. (2009). ლინგვისტური წერილები, ტ. I, ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტი, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
- მახაროულიძე, თ. (2010). ლინგვისტური წერილები, ტ. II, ნმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტი, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
- მელიქიშვილი, დ. (1975). იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

- მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.
- მელიქიშვილი, დ. (2014). ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბილისი: პროგრამა „ლოგოსი“.
- ნოზაძე, ლ. (2008). ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ღვინაძე, თ. (1989). ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბილისი: გამომცემლობა „ენათმეცნიერება“.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, თხზულებანი, ტ. III, ნაწ. 1, მორფოლოგია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბ. (1983). ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სალომე ომიადე
Salome Omiadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

მაკროკონცეპტი „ნათესავი“ ქართულ
ლინგვოკულტურაში
The Macro-concept “Relative” in the Georgian
Linguoculture

საკვანძო სიტყვები: ქართული ლინგვოკულტურული სივრცე, „ნათესავის“
კონცეპტური სტრუქტურა, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები
Key words: The Georgian linguocultural space, the conceptual structure of “relative”,
general kinship terms.

The contemporary culturological and linguoculturological approach to a concept, above all, considers the latter as a component of spiritual values. This proves a change in the paradigm of humanitarian sciences, as a result of which, the systemic-structural paradigm dominant in the past century has been replaced by the anthropocentric paradigm.

Kinship terms pertain to one of the most ancient lexical layers. They are of utmost importance for the description of the linguocultural space of the Georgian language, because they comprise the key lexical fund of the language.

The most ancient literary monument which has reached our times contains lexemes denoting concrete kinship terms (over ten terms denoting blood relationship and also relatives acquired as a result of marriage) as well as general terms denoting kinship – close relations and family members „სახლი“ /saxli/ “house”, „სახლეული“ /saxleuli/ “family” and more general compound term „თესლ-ტომი“ /tesl-ṭomi/ “clan/kin”, the components of which are found independently in the old Georgian texts. The kinship terms used in “The Martyrdom of the Holy Queen Shushanik” are: „დედა“ /deda/ “mother”, „მამა“ /mama/ “father”, „შვილი“ /švili/ “child”, „ძე“ /ze/ “son”, „ასული“ /asuli/ “daughter”, „და“ /da/ “sister”, „ძმა“ /zma/ “brother”, „ცოლი“ /coli/ “wife”, „ქმარი“ /kmari/ “husband”, „მაზლი“ /mazli/ “husband’s brother”, „ძმის ცოლი“ /zmis coli/ “brother’s wife” (a simple term „სძალი“ (> რძალი) /szali, >rzali/ “sister-in-law” is also given in the text, but in this case it does not mean “brother’s wife”). These terms reflect the relations owidspread in the given epoch and prove that the system of kinship and corresponding terms have remained almost the same for sixteen centuries.

It is difficult for an ordinary speaker of a language to assess the morphological-syntactic capacity of the language. However, the richness of the vocabulary is easy to notice. Despite this fact, in the contemporary Georgian discourse (mostly in urban speech), under the influence of foreign languages, the terms „მამიდა“ /mamida/ “father’s sister” and „ბიცოლა“ /bicola/ “uncle’s wife” have become quite rare. These terms are usually replaced by „დეიდა“ /deida/ “aunt” in the forms of address as well as in the contexts referring to concrete persons. Frequently, „მამიდა“ /mamida/ “father’s sister”, „ბიცოლა“ /bicola/ “uncle’s wife” and „დეიდა“ /deida/ “mother’s sister” are substituted by corresponding anthroponyms. These changes, which seem harmless at a glance, may lead to significant changes in the social relationships (and, correspondingly, mental structures) as well as the language itself.

Depreciation of cultural traditions causes a significant change in the system of values. This, in its turn, is reflected on the language and discourse. If we try to define our cultural identity, we should have certain knowledge of other cultures as well. Similarly, we cannot feel the uniqueness of our mother tongue without comparing it with other languages. Therefore, recent scholarly literature has offered numerous papers reflecting the outcomes of typological research of kinship terms.

The lexeme „ნათესავი“ /natesavi/ “relative” has been selected as a linguocultural macro-concept due to its frequent use at every stage of development of the Georgian language because this unit has a stable semantic nucleus in Old and New Georgian.

The word „ნათესავი“ /natesavi/ “relative”, as a macro-concept, embraces all kinds of relationships; as a hyperonym it includes the entire system of kinship terms, and, as a concept, it is a member of a large synonymic set.

The above-mentioned term (the very stem of the word) denotes the following lexicosemantic elements of the conceptual structure of “relation”: origin from a common source (procreation, division), spatial closeness, possession, emotional attitude (love, affection).

თანამედროვე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტისადმი, უწინარეს ყოვლისა, სულიერი ღირებულების ცნებად მიიჩნევს მას, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პარადიგმის მორიგ ცვლას, რომლის შედეგადაც გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ადგილი ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ დაიკავა.

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები ერთ-ერთ უძველეს ლექსიკურ ფენას მიეკუთვნება და მათ, როგორც ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენლებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ლინგვოკულტურული სივრცის დასახასიათებლად.

ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ლიტერატურულ ძეგლში გვხვდება როგორც კონკრეტულ ნათესაურ დამოკიდებულებათა სახელმძღვანელო ლექსემები (სისხლით ნათესავისა და ქორწინების გზით შექმნილი ნათესავის აღმნიშვნელი ათზე მეტი ერთეული), ასევე ზოგადი ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები – ახლო ნათესავთა გამაერთიანებელი, ოჯახისა და ოჯახის წევრთა სახელმძღვანელო ლექსემები „სახლი“, „სახლეული“ და უფრო ფართო მნიშვნელობის კომპოზიტი „თესლ-გომი“, რომლის თითოეული კომპონენტი დამოუკიდებლადაც ხშირად დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში ზოგადი ნათესაობის ცნების აღსანიშნავად. „შუშანიკის ნამებაში“ გამოყენებული ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები – „დედა“, „მამა“, „შვილი“, „ძე“, „ასული“, „და“, „ძმა“, „ცოლი“, „ქმარი“, „მაზლი“, „ძმის ცოლი“ (ტექსტში ასევე დასტურდება მარტივი ტერმინი „სძალი“ (> რძალი), თუმცა არა „ძმის ცოლის“ მნიშვნელობით) – ასახავენ იმდროინდელ ფაქტობრივ ნათესაურ ურთიერთობებს და ადასტურებენ იმას, რომ ნათესაურ კავშირთა და შესაბამის ტერმინთა სისტემა მეთექვსმეტე ასწლეულია თითქმის არ შეცვლილა.

ენის რიგითი მატარებლისათვის რომელიმე ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ შესაძლებლობათა შეფასება თუ რთულია, ლექსიკური მარაგის სიმდიდრე შედარებით ადვილი შესაგრძნობია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ დისკურსში (უმეტესად ქალაქურ მეტყველებაში), უცხო ენათა

გავლენით, სულ უფრო იშვიათად გვხვდება ნათესაობის ტერმინები „მამიდა“ და „ბიცოლა“, რომელთა ნაცვლადაც „დეიდაა“ გამოყენებული როგორც მიმართვის შემთხვევებში, ასევე აღნიშნულ პირთა დაუსწრებელ კონტექსტებში. არცთუ იშვიათად „მამიდაც“, „ბიცოლაც“ და „დეიდაც“ შესაბამისი ანთროპონიმებითაა ჩანაცვლებული. ამგვარ, ერთი შეხედვით, უწყინარ ცვლილებებს მნიშვნელოვანი ძვრების გამოწვევა შეუძლია როგორც სოციალურ ურთიერთობებში (შესაბამისად, მენტალურ სტრუქტურებში), ასევე ენაში.

კულტურული ტრადიციის გაუფასურება ღირებულებათა სისტემის ცვლილებებს იწვევს, რაც, თავის მხრივ, ნებისმიერ ენასა და ამ ენის განმახორციელებელ დისკურსზეც აისახება. როცა ვცდილობთ გავერკვიოთ ჩვენს კულტურულ იდენტობაში, გვერდს ვერ ავუვლით სხვა კულტურათა შესახებ ცოდნას ისევე, როგორც დედაენის უნიკალურობას ვერ ვიგრძნობთ სხვა ენასთან შედარების გარეშე. სწორედ ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო იზრდება იმ ნაშრომთა რიცხვი, რომლებშიც ნათესაობის სისტემათა ტიპოლოგიური კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

ლექსემა „ნათესავი“ ლინგვოკულტურული მაკროკონცეპტის სახელად შევარჩიეთ როგორც ხშირი ხმარების სიტყვა ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე და როგორც მკვიდრი სემანტიკური ბირთვის მქონე ერთეული ძველი ქართულიდან თანამედროვემდე.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებულია **ნათესავის** თეს- ძირთან დაკავშირება: „*თეს- ძირი და მისგან ნაწარმოები პირიელი და უპირო ფორმები წერილობით დამონებულია ქართულში V საუკუნიდან: თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა (მთ. 13, 4 X); გამოვიდა მთესვარი თესვად (მთ. 13, 3 X); არა ხთესვენ არცა მკიან... და ღმერთი ხზრდის მათ (ლ. 12, 24 X). აქედანვეა თეს- ძირისაგან ნაწარმოები არსებითი სახელი, წარმოშობით მიმღეობა, – თეს-ღ-ი, აგრეთვე – ნა-თეს-ავ-ი*“ (გიგინეიშვილი, 2016, გვ. 193). ლექსემა **თესლი**, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ცალკეც და კომპოზიტის ნაწილადაც („თესლ-ტომი“) ნათესაობის უძველესი აღმნიშვნელია. ძველი ტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ არც **ნათესავისა** და არც **თესლისათვის** ადამიანთა შორის სისხლისმიერი კავშირის აღნიშვნა ერთადერთი სემანტიკური ფუნქცია არ ყოფილა. თუმცა ყველა ის მნიშვნელობა, რომლებსაც დასახელებული ლექსემები გამოხატავენ (მონათესავე (/მსგავსი), მოდგმა, ჩამომავლობა, თაობა, გვარი, ტომი, ხალხი; სათესური, მარცვალი, გამრავლების ორგანო, ნაყოფი, ნაშობი, მემკვიდრე, ტომი, ჯიში, მოდგმა), ერთიანდება იმ სემანტიკური ბირთვის ირგვლივ, რომელიც საერთო საწყისიდან მომდინარეობას აღნიშნავს: ნათესავი – ერთი თესლიდან (მცენარის გამრავლების ორგანოდან, – სწორედ ეს მნიშვნელობაა წამყვანი ძველ ქართულში) წარმოშობილი; თესლი – თავისნაირის წარმომშობი (მდრ. „*თესლი ნაყოფის მშობელი (1,11 დაბად.)*“ (ორბელიანი, 1928, გვ. 139).

„ნათესავის“ კონცეპტური სტრუქტურა, გარდა საერთო წარმომავლობისა, **სიახლოვეს** გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარად არის მანიფესტირებული მისი სინონიმური რიგის სახელებში.

ძველად, როდესაც ნათესავები შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე კომპაქტურად სახლდებოდნენ, სიახლოვე პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებოდა, სივრცითი პარამეტრი იყო. აღნიშნულს ცხადყოფს ერთი მორფოლოგიური ყალიბით ნაწარმოები ლექსემები **მახლობელი** და **მეზობელი**. ამასვე მოწმობს ხალხური ანდაზა „კარგ ნათესავს ცუდი მეზობელი სჯობიაო“, რომელშიც ის მოგვიანო ვითარებაა ასახული, როდესაც ნათესავებმა ერთმანეთისაგან მოშორებით დაიწყეს ცხოვრება. თანამედროვე ქართულში **მახლობელი** იშვიათად იხმარება, მის ნაცვლად **ახლობელი** გამოიყენება, რომელიც, ნათესაურთან ერთად, მეგობრული ურთიერთობით დაკავშირებულ პირსაც აღნიშნავს. ამდენად, ფიზიკური სიახლოვე სულიერი სიახლოვით არის ჩანაცვლებული, რაც არ მომხდარა **მეზობლის** შემთხვევაში, რომლის დღევანდელი მნიშვნელობა კვლავ 'მახლობლად მცხოვრებია'.

ადამიანისა და ფიზიკური სივრცის პრობლემა ადამიანის მიერ გარემოს წვდომით იწყება, რასაც წინ უსწრებდა საკუთარი თავის შეცნობა. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ კულტურის კოდებს შორის ანთროპომორფულ კოდს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანი ფიზიკური სხეულის ერთგვარ გაგრძელებად მიიჩნევს სივრცის გარკვეულ მონაკვეთს, ამიტომაც სხეულივით საკუთრად მიაჩნია იგი.

უძველესი დროიდან სივრცის საზომი უნივერსალური ერთეულები სხეულის ნაწილები ყოფილა. ამასვე მოწმობს სივრცის საზომთა სისტემა ძველ ქართულში, რომლის შემადგენლებია: ბიჯი / ნაბიჯი, გოჯი, გოჯეული, თითი, მტკაველი, მხარი, წყრთა, ციდა. დღესაც არაერთ ანთროპომორფულ მეტაფორულ სიტყვასა თუ შესიტყვებას ვხვდებით ქართულ დისკურსში, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართველის კოგნიტიურ ცნობიერებაში კვლავ აქტუალურია ზოგადი სივრცის საზომად პირადი სივრცის გამოყენება. სიახლოვის ამგვარი აღმნიშვნელებია: თვალწინ, ცხვირწინ, ყურის ძირში, ერთ ნაბიჯზე (ერთი ფეხის გადადგმაზე), ორ ნაბიჯზე, ხელის განწდენაზე (ერთი ხელის განწდენაზე) და სხვ.

სივრცითი ორიენტაცია ემყარება არა მხოლოდ სივრცითს წარმოდგენებს, არამედ სივრცითს ქცევასაც, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს გარემოში სენსომოტორულ აქტივობასა და პირთაშორისი ურთიერთობისას სივრცით სარგებლობის პირობებს. ეს პირობები და წესები, რომლებსაც პროქსემიკა შეისწავლის, ყოველ ენობრივ ერთობაში განსხვავებულია. განსხვავებულია სახელდობრ პირადი სივრცის კონკრეტული პარამეტრები, თუმცა სიახლოვესთან დაკავშირებული ორი ზონის – ინტიმური და საკუთარი სივრცეების – არსებობა ნებისმიერი საზოგადოებისათვის რელევანტურია. ადამიანი სწორედ ამ სივრცეებს უფრთხილდება და იცავს ყველაზე მეტად, როგორც

თავისი სხეულის მყოფობის ადგილსა და მის უშუალო გაგრძელებას, როგორც ერთპიროვნულ საკუთრებას.

ნათესავის კონცეპტურ სტრუქტურაში სიახლოვის ობიექტივაცია, გარდა იმავე ფუძის მქონე სახელებისა: მ-ახლო-ბ-ელ-ი / **ახლო-ბ-ელ-ი**; მსაზღვრელები **ახლო (ახლო** ნათესავი / მეგობარი); უ-ახლო-ეს-ი (უახლოესი ნათესავი / მეგობარი), ხდება კონკრეტული საცხოვრებელი სივრცის სახელმძღვანელო ლექსემათაგან წარმოქმნილი სიტყვებით: **სახლ-ეულ-ი** (მდრ. სახლის კაცნი – 'ოჯახი'); **შინა-ურ-ი**; **კომლ-ეულ-ი** („საერთო კუამლი“, როგორც ერთი კვამლის ირგვლივ გაერთიანებული საცხოვრისი თავისი მცხოვრებლებით); **ოჯახობა** (თურქ.) და მისთ., რომლებიც ნათესავთა წრეს მეტად შემოსაზღვრავენ და ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავებს – მშობლებს, შვილებს, შვილიშვილებს – აღნიშნავენ.

სიახლოვე ვერბალიზებულია ადამიანის სხეულის ნაწილთა, როგორც ყველაზე მეტად ახლომდებარეთა, მეტაფორიზაციითაც. აღნიშნული მოვლენა ენობრივი უნივერსალიაა, რასაც საფუძვლად უდევს სივრცის დანაწევრების ის საყოველთაო მოდელი, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. ნათესაობის აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში სომატონიმების მონაწილეობას ეძღვნება თ. სუხიშვილის სადისერტაციო ნაშრომი „სომატური სახელები ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით ძველი ბერძნულისა და ქართულის მიხედვით“, რომელშიც ძირითადად განხილულია ლექსემები **თესლი, სისხლი, ხორცი, ძვალი, გული, ღვიძლი** და, სხვა მნიშვნელოვან დასკვნებთან ერთად, მიღებულია სიახლოვესთან დაკავშირებული შემდეგი დებულება: „ქართულ ენაში ახლობლობის (ნათესაობის) სემანტიკით სომატური სახელების არჩევითობას ახლობლობის (ნათესაობის) ხარისხი განსაზღვრავს. ახლობლობის (ნათესაობის) სემანტიკით გამოიყენება როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ორგანოების (სხეულის ნაწილების) აღმნიშვნელი სახელები; იმ განსხვავებით, რომ შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი სახელები: ღვიძლი, სისხლი, ხორცი, გული – ძალიან ახლობელს, განსაკუთრებით ძვირფას ადამიანს მიემართება, ხოლო გარეგანი ორგანოების (სხეულის ნაწილების) აღმნიშვნელი სახელები (გვერდი, ფეხი, ბარძაყი...) – შორეულ ნათესავებს, არცთუ ახლობლებს“ (სუხიშვილი, 2010, გვ. 265).

სომატონიმთაგან ზოგადი ნათესაობის აღმნიშვნელად გამოიყენება **თესლი**, რომელიც ძირითადად ძველ ქართულში დასტურდება, ახალში მას არქაულობის ელფერი აქვს, დიალექტებში კი ჯერ ისევ იხმარება გენეტიკური ნათესაობის გამოსახატავად. ასევე ზოგადი ნათესაობის გამომხატველია სომატონიმ **თავისაგან** მომდინარე **თესი**, მაგრამ აქ განსხვავებას ქმნის ის გარემოება, რომ ნათესაობის აღმნიშვნელ ველში **თავი** სომატონიმად აღარ გაიგება, იგი კუთვნილებით ნაცვალსახელად ქცევის შემდეგ, როგორც კუთვნილების გამომხატველი ლექსემა, ისე გადადის ჩვენ მიერ განსახილველ ჯგუფში. „ძველი ქართული ფორმა თესი ორი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი: 1. „თავისი“ და 2. „ახლობელი“, „ნათესავი“, „თავისიანი“. პირვე-

ლისაგან არის განვითარებული მეორე მნიშვნელობა... სამუაღ ქართულში ეს ორი მნიშვნელობა ფონემურად განსხვავებულად გაფორმდა: თავისი და თვისი. ეს უკანასკნელი დამკვიდრდა „მახლობლის“, „თავისიანის“ მნიშვნელობით“ (გიგინეიშვილი, 2016, გვ. 197).

სიახლოვის სემანტიკა, თავის მხრივ, **საკუთრების** სემანტიკასთან გადაიკვეთება. ნათესავის აღმნიშვნელთა ერთ ჯგუფს სწორედ კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან ნაწარმოები სიტყვები ქმნის – **თვისი, თვისტომი, თავისიანი, ჩემული, შენული, მათული, ჩემიანი, შენიანი, მისიანი, ჩვენიანი, თქვენიანი, (ი/ა)მათიანი**, თანამედროვე ქართულში: **ჩემები, შენები, ჩვენები, თქვენები**, რომელთაგან **ჩემები და ჩვენები** განსაკუთრებით ხშირად სარეკლამო დისკურსში გვხვდება, როგორც ნდობის აღმძვრელი ექსპრესივები. ამგვარად ნაწარმოებ ლექსემათა რაოდენობა გაიზრდება, თუ დიალექტურ მონაცემებსაც დავიმონებთ: **ჩემობა, შენობა, თქვენობა** (ხევს.); **ჩემობილი** (ფშ., ხევს.), **თავისა** (ხევს.); **ჩვენებიანი, თქვენებიანი** (კახ.) და სხვ. ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გაჩენილ ამ ერთეულებს ისიც აერთიანებს, რომ ნათესავსაც აღნიშნავენ და ახლობელსაც ისევე, როგორც მაკროკონცეპტ „ნათესავის“ ნომინაციურ ველში შემავალი სხვა სახელები (მდრ. შინაური, ახლობელი).

სიახლოვე და საკუთრება გარკვეულ ემოციურ მიმართებებს ბადებს. პირადი სივრცე არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკურ სხეულს, შინაგან სამყაროსა და მის ახლოს არსებულ სივრცითს მონაკვეთს გულისხმობს, არამედ იმ პირებსაც, რომლებსაც ამ სივრცის საზღვრებში შეღწევის უფლება აქვთ. ასეთები კი შეიძლება მხოლოდ უახლოესი ადამიანები იყვნენ (მეუღლე, შვილები, მშობლები). როდესაც პირადი სივრცე მესაკუთრის ნებით სხვისთვის მისაწვდომი ხდება, ეს მათ შორის მჭიდრო ემოციურ ურთიერთობას მოწმობს, რის ილუსტრაციასაც შემდეგი გამონათქვამები წარმოადგენს: *გულში ჩაიკრავს; გულს გადაუშლის; სულში იძვრენს; ცხვირი ცხვირზე აქვთ მიდებული; კალთის ქვეშ ჰყავს; ხელისგულზე ატარებს* და მისთ.

ემოციურ კომპონენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელ ნათესაობის სემანტიკურ ველში, მიუხედავად იმისა, სემიოტიზებულია იგი ვერბალურად თუ არა. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს გამჭვირვალე შინაფორმის სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები **მოყვარე და მოკეთე**, რომლებიც ცოლისა და ქმრის ნათესავებს აღნიშნავენ ერთმანეთის მიმართ. ვფიქრობთ, საინტერესოა ის გარემოება, რომ მათს ფუძეებში დადასტურებული **სიყვარული და სიკეთე (კეთილმოსურნეობა)** – ნებისმიერი ნათესაური ურთიერთობის მახასიათებლები, ექსპლიციტურად სწორედ ქორწინების გზით შექმნილ ნათესავთა აღმნიშვნელებში დასტურდება, როგორც ერთგვარი პირობა და საფუძველი დანათესავებისა.

სივრცით-დროითი პარამეტრებია გადაკვეთილი ისეთი ოპოზიციური წყვილის ცალკეში, როგორიცაა **წინაპარი – შთამომავალი**. ერთსაც და მეორესაც ქართულ ლინგვოკულტურაში დამოუკიდებელი კონცეპტის სტატუსი

აქვს და ისინი, თავიანთი კონცეპტური სტრუქტურებით, სრულად არიან ჩართული მაკროკონცეპტ ნათესავის ნომინაციურ ველში. პირველის აღმნიშვნელებს ბევრად აღემატება მეორის აღმნიშვნელები, რადგან, პირდაპირ ნომინაციათა გვერდით, მრავლად გვხვდება შთამომავლობის ცნების არაპირდაპირი (მნიშვნელობის გადატანის გზით) გასიტყვების მაგალითები, რასაც ნასესხები ლექსიკური ერთეულებიც ემატება. ამ ჯგუფის სახელებზე დასაკვირვებლად საუკეთესო მასალაა წყევლისა და დალოცვის ფორმულები: „შენი **სინსილა** განყდა!“, „თქვენი **ქოქი** ამოაგდო ღმერთმა!“, „ღმერთმა შენც დაგლუპოს და შენი **გასაგისიც!**“, „შენი **ჯიში** გადაშენდა!“, „წყელიმც იყოს შენი **მოდგმა!**“, „თქვენი **თოხუმი** განყდეს!“ (თოხუმი – სპარს. „თესლი“); „შენმა **ნაგარამმა** იხაროს!“, „იხაროს შენმა **მონაგარმა!**“, „ღმერთმა დიდი დღე მოგცეს შენი **ნილობით!**“, „ღმერთმა **დამრჩომი** გაცოცხლოთ / გიცოცხლოთ!“ (უმეტესად გარდაცვლილის შთამომავალთა სადღეგრძელოდ ითქმის ქელებში), „**შვილთა-შვილებს** მოსწრებოდე!“, „თქვენმა **გვარმა** იმრავლოს!“, „შენმა **ჯიმ-ჯილაგმა** იმრავლოს და იხაროს!“ და სხვ. უკანასკნელ დალოცვის ფორმულაში გამოყენებულ კომპოზიტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მისი კომპონენტები სინონიმური მნიშვნელობით იხმარება, ქეგლშიც ისინი ერთმანეთის განსამარტავად არის გამოყენებული, თუმცა მოხეურ დიალექტში „**ჯიშიანი / უჯიშო**“ მამის მხარის შემფასებლური მსაზღვრელებია, ხოლო **ჯილაგანი / უჯილაგო** დედისა, მამის ხაზით შექმნილ მოდგმას **ჩამომავლობა** ეწოდება, დედის ხაზით შექმნილს კი – **ჩამადევნება** (კობიაშვილი, 1994, გვ. 136). ამგვარი დიფერენციაციის შემთხვევები სხვა დიალექტებშიც დასტურდება, მაგალითად: **დედულები** (ლექს.), **დედულნი, მამულნი, დედიძმანი** (დედის ძმის ოჯახი ან საგვარეულო – თუმ.), რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად შესაწავლია.

„ნათესავი“, როგორც ცნების სახელი, გრძელი სინონიმური რიგის წევრია, როგორც ჰიპერონიმი, ნათესაობის ტერმინთა მთელ სისტემას გულისხმობს, როგორც მაკროკონცეპტი კი – ყველა სახის ნათესაურ დამოკიდებულებას მოიცავს. აქედან გამომდინარე, მაკროკონცეპტ ნათესავის მეტ-ნაკლებად სრულად დასახასიათებლად საჭიროა გაერთიანდეს ყველა იმ ეთნოგრაფიული აღწერის, ლინგვისტური, ფოლკლორისტული და ეთნოლოგიური კვლევის შედეგები, რომლებიც ქართულ ნათესაურ დამოკიდებულებებსა და მათს ენობრივ-დისკურსულ აღმნიშვნელებს უკავშირდება.

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- გიგინეიშვილი, ბ. (2016). ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა – მ), თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა.
- კობიაშვილი, მ. (1994). ნათესაობის ფორმები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 1-4, 136-140, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

- მელიქიძე, მ. (2004). ნათესავის სემანტიკისათვის ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 31, 95-100, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ომიაძე, ს. (2013). პირადი სივრცის პროექცია ქართულ ლინგვოკულტურაში, სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“, XIII, 126-131, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ორბელიანი, ს.-ს. (1928). ქართული ლექსიკონი (იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით), ტფილისი: გამომცემლობა „ქართული წიგნი“.
- სარჯველაძე, ზ. (1995). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სარჯველაძე, ზ. (2001). ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სოსელია, ე. (1978). ნათესაობის ტერმინთა სისტემა ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 4, 111-123, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სუხიშვილი, თ. (2010). სომატური სახელები ნათესაობის აღნიშვნის ფუნქციით ძველი ბერძნულისა და ქართულის მიხედვით (სადისერტაციო ნაშრომი). <http://eprints-iliauni.edu.ge/2912/>
- ქეგლი (1950-1964). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჭუმბურიძე, ნ. (2007). კუთვნილებითი ნაცვალსახელები ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბილისი.

რუსუდან საღინაძე
Rusudan Saginadze

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**ანთროპონიმები იმერეთის XI-XII საუკუნეთა
ეპიგრაფიკაში¹**
**Anthroponyms in the Epigraphy of Imereti of
XI-XII Centuries**

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკა, სემანტიკა, მოტივირებული, ინფორმაცია,
გვარი

Key words: Epigraphy, semantics, motivated, information, surname

¹ ნაკითხულია მოხსენებად ფ. ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (28.02.2022).

Among the ancient Georgian epigraphic monuments that have been survived and reached us, the inscriptions of Imereti of the XI-XII centuries, which are especially rich by anthroponyms, can be distinguished. Along with the names of gods, angels, saints, and martyrs, we find the names and surnames of persons from high and relatively low hierarchy, of those who ordered the inscriptions and those who made them. The object of our research is the anthroponyms preserved in the lapidary inscriptions of Kutaisi, Khoni, Vani, Terjola, Chiatura, Sachkhere (88 inscr. in total) (compiled by V. Silogava, 1980). Most of them are from the XI century.

In Georgian anthroponymy, along with the names of Georgian persons, foreign ones are also distinguished. According to R. Topchishvili, foreign names first of all paved their way among the representatives of the privileged class of Georgian people, and finally *"all the entered names coexisted together with the canonized Christian and Georgian-Kartvelian proper names"* (Topchishvili, 2002, p. 93). According to the datas of epigraphic monuments of Imereti, the situation is similar in XI-XII centuries. For example, we find names entered from Hebrew (some of them with variants):

Iva (Heb. Gift of God): „u~o, ga(n)usu(e)ne sulsa **Ivaisasa**...“ (Tuzi, Terjola). The variant of this name should be **Ivna** mentioned in the inscription of Ivna(Simoneti, Terjola): „K~E, sh~e **Ivnai(ⲁ)**“. According to V. Silogava, **Iva** and **Ivna**, may both be related to the name **lv(a)nai(ⲁ)** (Inscriptions from Western Georgia, 1980, p. 112), The original form of which – **lovane**, is confirmed in the epigraphy of Imereti: „...Sh~e **l(ⲁ)(ovan)e**... shvilni **l(ⲁ)(ovan)esni(ⲁ)**“ (Kutaisi State History Museum, XI-XII cc.). The origin of this name is considered to be **lehokhanan**, **lohanan** (Heb. To whom God has mercy). It was borrowed from Hebrew into Greek, and from there it was spread into many languages around the world.

*"(It) is entered in Georgian language in the form of the Greek vocative... and in Khanmet-Haemet texts (more later as well) we find lohane, then – loane and lovane, finally – Ivane, shortened form of which is – Vano... It seems that in the second half of the X century **Ivane** was already established in Georgian, but in writing, under the influence of the literary tradition, **lovane** still prevailed"* (Chumburidze, 1987, p. 353);

Iakob-i (Heb. disciple): „k~e, sh~e **Iakob**“ (Simoneti, Terjola)... It originally meant the second one of the twins, and then it acquired the meaning of disciple, a follower of God (ibid, p. 344);

In the XI century the name **Mikael-i** was widely spread (Heb. godlike, divine): „[tsmidao s(a)m(e)b(a)o, sh~e **Mi[k(a) el]**, ese kvai(ⲁ) m[an] [sh]stsira“ (Bajiti, Sachkhere); It is also found in Darkveta (Chiatura), Ghvankiti (Terjola) inscriptions. **Mikaeli** also entered from Hebrew into Greek and in this way spread in various forms in many languages of the world (Chumburidze, 2003, p. 187).

The name **Lishai** (= gift) mentioned in the XI-XII century inscription in Khoni must be Hebrew: „ts~o g~i, sh~ e **l(ov)]ane lishai** G(iorg)is dzei(ⲁ) a~n“.

There are a few names with -i vowel stems in Georgian. Most of them are borrowed from Greek names ended in -ios. The most common of these is **Giorgi**. It is noteworthy that in the XI century epigraphy of Imereti, **Giorgi** is mostly found as a symbol of saints and martyrs, persons of high hierarchy. for example: „ts~o **G(iorg)i**, meokh eq(a)v ts(inash)e...“ (Savane, Sachkhere); [**mt(av(a)r]m(o)ts(a)misa G(iorg)i(s)sa...**“ (Gadidi,Vani); „ts~o s(a)m(e)b(a)o, sh~e d(ide)b[u]li **G(iorg)i m(e)p(e) i(α)**“ (katskhi, chiatura); „...me, **G(iorg)i e(ristavt)-e(ristavman)** avashene ese ts~i(i) eklesiai(α) savanis(a)i(α)“ (Savane)... **Giorgi** is also found as the name of persons of low hierarchy: „[ts~o s(a)m(e)b(a)o, sh~e **G(iorg)i** ese kvai (i) m(a)tda iqida“ (Bajiti, Sackhere)...

Kvi(ᶑ)rike (< Greek Lord, Sir): „† ts~o g~i, sh~e **K(vi(ᶑ)rik)e...**“ (Simoneti, Terjola); „...shv(i)l(n)i Goliat(i)sni: A(n)toni Godobreli, L(i)p(ari)t ᶑᶑ **K(v(ᶑ)irik)e...**“ (darkveti, chiatura)... Georgian equivalent of **Kvi(ᶑ)rike** is considered to be **Uplisa**, which has been the name of many historical figures in Georgian from the early times...

In the epigraphy of Imereti there are also the names of persons of Persian origin:

Rati (Pers. lord or magnanimous, great-hearted): „a(gh)vashene [...] **Ratisa** da, [...] tsodvilisa s(u)lisa ch(e)misa“ (Gadidi, Vani). **Rati** is the family name of the Eristavi (Feudal Lords) (Chumburidze, 1987, p. 364);

Saurmag-i (Old Pers. Black-shouldered): „† ts~o g~i, sh~ e **S(a)urm(a)g**, dze akuni-sa...“ (Savane, Sachkhere). **Saurmag** was called the son of King Parnavaz (III century BC) ...

Khursi Eristavi (Feudal Lord) is mentioned in the constructing inscription of the temple in 1046 (Savane, Sachkhere). It is a Persian name meaning bear (Georgian genealogy: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4334/>). comp. **Khovi(ᶑ)rsi** (> Khursi): „† s(a)m(e)b(a)o ts~o sh~ e da adide M(a)r(ia)m deopali da shvilni misni – g~i da **Khovi(ᶑ)rsi**“ (Koreti, Sachkhere);

Vardan-i (Tuzi, Terjola) is Persian and means hero or citizen. It entered from Armenian (Chumburidze, 1987, p. 338).

Other names mentioned in inscriptions of Imereti must also be of Eastern origin: **lohab-ᶑ** (Katskhi, Chiatura), **Haraba** (Haraba inscr., 1046), **loane**, **lakob(i)**, **Mikael(i)**, **Giorgi**, **Rati** (like many other names) are Georgianized, canonized Christian names.

In the ancient fund of Georgian anthroponyms Al. Ghlonti distinguishes three groups: basic, derivative, and composed names. The first two of them are chronologically attributed to the ancient layer by the scientist, and the composed ones – to the later (1986, p. 15). The names of all three groups are confirmed in Imereti.

Two group of names are distinguished in Anthroponymy. They are: 1. unmotivated, and 2. Motivated (Goderdzishvili, 2012, p. 50).

Anthroponymy of Imereti Lapidarium is semantically heterogeneous. According to our material, motivated, anthroponimized names of transparent etymology are distinguished: **Khutsi** (Katskhi), **Molozoni(α)** (Koreti), **Khatisa** (Simoneti), **Perisa** (Koreti), **lanvar** (ibid). The vowel-stem variant of this name – **lanvara** is known, which, according to Z. Chumburidze, is a Georgian name, meaning "born in January", "Of January". The name

Ianvar-i (January) itself, in turn, is derived from the name of the Roman deity **Ianus** (Janus) (Georgian genealogy: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4312/>).

R. Topchishvili notes that in the first volume of "Kartlis Tskhovreba" ("Life of Kartli") the Georgian name itself is found only twice among the honorees: Zviadi and Kakhaberi. "**Zviad-i** was a popular name in Georgia of all times. It is also found in a 13th century document" (2002, p. 94). According to our analytical material, **Zviad-i** is confirmed earlier in the inscriptions of Perevi (Chiatura), as well as Koreti (Sachkhere) in the XI century. In the same epoch there is also found its composed version **Gulzviad-i**: „avashene... s(a)l(o)cv(e)l(a)d ...msh(o)b(e)lta ch(e)mtatvis – **G(u)l(z(via)d(i)st(vi)s** da M(a)r(iami)st(vis)...“ (Savane, Sachkhere).

The etymology of some anthroponyms is not clear. These are, for example: **Goliati** (Darkveti, Chiatura), **Vashaqma** (Tuzi), **Shalva** (Simoneti; Bajiti...). Al. Chincharauli connects **Shalva** with the Georgian name **Shavleg** (= black, brunette): "A man came to his mother: your Shavleg was killed... Shalva's mother was crying, tousling her agate-like hair" (Georgian folk poetry, XI, 17: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4328/>), According to Z. Chumburidze, **Shalva** is Jewish and means peace, but the scientist does not exclude the supposition of Al. Chincharauli about its connection with the Georgian name, **Shavleg**. **Shalva** was the family name of Toreli. Its earlier form **Shavela > Shavla** is preserved in the surnames: Shavladze, Shavlidze, Shavelashvili ... (1987, p. 373).

Unmotivated names are: **Liparit-i** (Darkveti), Which has an unknown meaning and is entered into Armenian from Georgian. It is the name of the feudal lords of Trialeti (Chumburidze, 1987, p. 353); **Lachkhi**, **Kokhala** (Darkveti); **Ikhna** (Simoneti); **Sira** (Katskhi); **Korda** (Koreti)...

In the Lapidarium of Imereti the names of women from the high hierarchy of the XI century are preserved: **Guarandukht-i** – mother of King Bagrat (inscription of Bagrati Cathedral, Kutaisi), **Mariam-i** – mother of George feudal lord of Eristavi (Savane, Sachkhere), **Tskhoreba** – daughter of feudal lord of Eristavi (Katskhi, Chiatura)...

Analytical material is rich in other types of onomastic material, which shows the history of a surname, family name or nickname. It is as follows: „...M(i)k(a)el **Michvitinisa dz(e)i**“ (Koreti), „...M(i)k(a)el **Mchevrais dze Kordai**“ (ibid). comp. Mchevrais dze – Chirai(ღ) dzis. or: Ch(a)relis dze (V. Silogava) (inscriptions of western Georgia, 1980, p. 126), „...**lochipi(s) dzeni**“ (ibid)... in other inscriptions as well: „...**Jikh(/ſ)uaisdzisa**...“ (Katskhi); „...**Ghvinos dzei Giorgi**“ (Simoneti); „...**Gm(i)r(i)sdzissa** K(vi(3)rik)esa“ (Savane); „...**S(a)jis dze G(iorg)i**“ (Khoni, XI-XII cc.); „...**St(e)p(a)ne K(ala)t(o)zi**“ (Simoneti)...

The family name originated in Georgia in the era of early feudalism, and in the VII-VIII centuries the process of its formation seems almost complete (Ghlonti, 1986, p. 48). This opinion is shared by Z. Chumburidze, R. Topchishvili... This is evidenced by the data of epigraphic monuments of Imereti. They also show that preference is given to the name or nickname of the ancestor, and from the ancestor – the name of the man as the head of the family, the leader of the surname (Chumburidze, 1987, p. 295).

Lapidary inscriptions of Imereti of XI-XII centuries are made on church buildings and are mostly of ecclesiastical nature. The anthroponymy preserved in them provides important information about secular persons and authorities, as well as representatives of a relatively low hierarchy and shows the material and spiritual values of social life in one of the parts of Georgia, Imereti, at that time.

ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებს. მათ შორის გამორჩეულია იმერეთის წარწერები XI-XII საუკუნეებისა, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია ანთროპონიმთა სიუხვით. ღმერთის, ანგელოზთა, წმინდანთა და მონამეთა სახელებთან ერთად გვხვდება მაღალი და შედარებით დაბალი იერარქიის პირების, წარწერათა შემკვეთებისა თუ შემსრულებლების სახელები და გვარები. ჩვენი კვლევის ობიექტია ქუთაისის, ხონის, ვანის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერის ლაპიდარულ წარწერებში (სულ 88 წარწ.) შემონახული ანთროპონიმები (შემდგენელი ვ. სილოგავა, 1980 წ.). მათ შორის უმრავლესობა არის XI საუკუნისა.

ქართული ანთროპონიმია მრავალფეროვანია. მასში გამოიყოფა როგორც საკუთრივ ქართული პირის სახელები, ისე უცხოური წარმოშობისა. რ. თოფჩიშვილის აზრით, უცხო სახელები ქართველ ხალხში, უპირველეს ყოვლისა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა შორის იკვალავდა გზას, საბოლოოდ კი „ყველა შემოსული სახელი თანაარსებობდა კანონიზებულ ქრისტიანულ და საკუთრივ ქართულ-ქართველურ საკუთარ სახელებთან ერთად“ (თოფჩიშვილი, 2002, გვ. 93).

იმერეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მონაცემებით, ანალოგიური ვითარება XI-XII საუკუნეებშიც, კერძოდ, დასტურდება როგორც უცხოური, ისე საკუთრივ ქართული ანთროპონიმები. მაგალითად, გვხვდება ძველი ებრაულიდან შემოსული სახელები (ზოგი მათგანი ვარიანტებითაც). ასეთია:

ივა (ებრ. ღვთის საჩუქარი): „უო, გა(ნ)უსუ(ე)ნე სულსა **ივანასა** და ვარდანის(ა)სა“ (ივას, ვარდანისა და ვაშაყმის წარწ., ასომთ., თუზი, თერჯოლა, XI სკ.). ამ სახელის ვარიანტი უნდა იყოს ნუსხურით შესრულებულ ივანას წარწერაში ნახსენები **ივნა**: „ქე, შე **ივნაჲ**“ (სიმონეთი, თერჯოლა, XI სკ.). ვ. სილოგავას აზრით, შესაძლოა, ორივე, **ივა** და **ივნა**, დაკავშირებული იყოს სახელთან **ივ(ა)ნაჲ** („დას. საქ.-ს წარწ.“, 1980, გვ. 112), რომლის ამოსავალი ფორმა **იოვანე** დასტურდება იმერეთის ეპიგრაფიკაში: „...შე **ჲ(ოვან)ე**... შვილნი **ჲ(ოვან)ესნაჲ**“ (იოვანეს წარწ., ნუსხ., ქუთ. სახელმწ. ისტ. მუზეუმი, XI-XII სკ.). ამ სახელის ამოსავლად მიჩნეულია **იეჰოხანან**, **იოჰანან**. ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, ძველი ებრაული **იეჰოხანან**, **იოჰანან** არის ის, ვისაც ღმერთი სწყალობს, ღვთის მიერ შეწყალებული. იგი ებრაულიდან აქვს ნა-სესხები ბერძნულს, იქიდან კი სხვადასხვა სახეცვლილებით შესულია მსოფლიოს მრავალ ენაში.

„(იგი) ქართულში შემოსულია ბერძნული ვოკატივის... ფორმით და ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტებში (უფრო გვიანაც) გვხვდება იოჰანე, შემდეგ – იოანე და იოვანე, ბოლოს – ივანე, შემოკლებით – ვანო... აქედან ჩანს, რომ X საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ მეტყველებაში უკვე **ივანე** იყო დამკვიდრებული, მაგრამ წერისას, ლიტერატურული ტრადიციის გავლენით, ჯერ კიდევ **იოვანე** სჭარბობდა“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 353);

იაკობი (ძვ. ებრ. მიმდევარი): „ქუე, შუე **იაკობ**“ (იაკობის გრაფიტი, ნუსხ., სიმონეთი, თერჯოლა, XI სკ.); „იუ ქუე, მო(ი)სენე ს(უ)ლი **იაკობ(ი)სი**“ (იაკობის წარწ., ნუსხურწარწევი ასომთ., სიმონეთი, თერჯოლა, XI სკ.)... **იაკობი** თავდაპირველად ნიშნავდა ტყუპთაგან მეორეს, მომდევნოს, შემდეგ კი შეიძინა მნიშვნელობა ღვთის მიმყოლის, ღვთის კვალზე მავალისა. ეს სახელი ერქვა ბიბლიური ისაკის ვაჟს, ებრაელთა მამამთავარს. გვხვდება უძველეს ქართულ ტექსტებში, მოეპოვება მრავალგვარი ფონეტიკური ვარიანტები (იაყო, ყობო...), რომლებიც გავრცელებული იყო ქართველ ებრაელებში (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 344);

საანალიზო მასალის მიხედვით, XI საუკუნის იმერეთში გავრცელებული სახელია **მიქაელი** (ძვ. ებრ. ღვთის სწორი, ღვთაებრივი): „[წმიდაო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შუე **მიქ(ა)ელ**], ესე ქვაჲ მ[ან] [შ]ესწირა“ (წარწ. მიქაელის მიერ ქვის შეწირვის შესახებ, ნუსხ., ბაჯითი, საჩხერე); იგი გვხვდება დარკვეთის (ჭიათურა) ნუსხურ წარწერაში: „წო გო, შუე **მ(ი)ქ(ა)ელი**“ (მიქაელის გრაფიტი); **მიქაელი** ნახსენებია „მიქაელ **ჭირაჲსძის** წარწერაში“ (ნუსხ., ღვანკითი, თერჯოლა, XI სკ.) („დას. საქ.-ს წარწ.“, 1980, გვ. 137-138)... როგორც ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს, ეს სახელიც ებრაულიდან შევიდა ბერძნულში და ბერძნულის გზით გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ენაში, ოღონდ სხვადასხვა ფორმით (მიხაილ – რუსულში, მიხაი – რუმინულში, მიხაილო, მიკოლა – უკრაინულში...). ქართულში არის როგორც მიქ(ა)ელ, მიქელა, ისე მიხეილ, მიხა. უფრო ძველი ფორმაა პირველი, საიდანაც ნაწარმოებია გვარები: მიქელაძე, მიქელაშვილი... (ჭუმბურიძე, 2003, გვ. 187).

ებრაული უნდა იყოს ხონის XI-XII საუკუნის ნუსხურ წარწერაში მოხსენიებული სახელი **ლიშაი**: „წო გო, შუე **[ი(ოვ)]ანე ლიშაი** გ(იორგ)ის ძეჲ აწ“ (იოვანე ლიშას, გიორგის ძის, წარწ.). სავარაუდოდ, **ლიშა** საჩუქარს უნდა ნიშნავდეს.

როგორც ცნობილია, ქართულში ცოტაა **ი** ხმოვანფუძიანი პირის სახელები. რაც არის, უმეტესობა ნასესხებია ბერძნული **-იოს** დაბოლოებიანი სახელებისაგან. მათგან ყველაზე მეტად არის გავრცელებული **გიორგი** (< ბერძ. Γεώργιος < Γεωργός = მინათმოქმედი). აღსანიშნავია, რომ იმერეთის XI საუკუნის ეპიგრაფიკაში **გიორგი** მეტწილად გვხვდება წმინდანთა და მონამეთა, მაღალი იერარქიის პირთა აღმნიშვნელად. მაგალითად:

„**წ(მიდა)ო გ(იორგ)ი**, მეოხ ეყ(ა)ვ წ(ინაშ)ე...“ (ტაძრის სამშ. წარწ., სავანე, საჩხერე, 1046 წ.);

„ვინ უქცისო, ჰრ(ი)სხ(ავ)ს-მცა ლ(მერთ)ი და ნ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი“ (დანერლი გიორგი ერისთავთ-ერისთავისა სოფელ სავანისადმი, 1046 წ.);

„ად[გი]ლს[ა] [მთ(ა)ვ(ა)რ]მ(ო)ნ(ა)მისა გ(იორგ)ი(ს)სა“ (ასომთ., გადიდი, ვანი, XI სკ.)...

„ნო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შ(ე)ნ(ყა)ლუ დ(იდე)ბ[უ]ლი გ(იორგ)ი მ(ე)ფ(ე)ჲ“ (ნარნერები ტაძრის ჩრდ. შესასვლელის ტიმპანზე, ნუსხურნარევი ასომთ., კაცხი, ჭიათურა, 1014-1027 წწ.)...

„† ს(ა)ხ(ე)ლითა ლ(მრ)თ(ი)საჲთა მე, გ(იორგ)ი ე(რისთავთ)-ე(რისთავმან) ავაშენე ესე ნ(მიდა)ჲ ეკლესიაჲ სავანის(ა)ჲ“ (ტაძრის სამშ. ნარნ., სავანე, საჩხერე, 1046 წ.);

„† ს(ა)ხ(ე)ლითა ლ(მრ)თ(ი)საჲთა მე, ე(რისთავთ)-ე(რისთავმან) გ(იორგ)ი, დაუნერე და მივეც ამის ეკლესი(ი)სა ნ(ა)ხ(ე)ვ(ა)რი ს(ა)ვ(ა)ნ(ი)სა ს(ო)ფ(ე)ლსა. თ(ა)ნადამიდგეს, ოდეს შ(ე)ნ(ე)ბ(ა)ჲ დავ(ი)წყ(ე)თ, მ(უ)შ(ა)ობ(ი)თა, ფასითა და ყ(ოვ)ლითა ფ(ე)რ(ი)თა. ლ(მერთმან) უბ(ე)დნ(ი)ერ(ე)ნ უკ(უნისამდე)“ (დანერლი გიორგი ერისთავთ-ერისთავისა სოფელ სავანისადმი, იქვე)...

ანთროპონიმი **გიორგი** გვხვდება შედარებით დაბალი იერარქიის პირის სახელადაც: „[ნო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შ(ე)ნ(ყა)ლუ გ(იორგ)ი ესე ქვაჲ მ(ა)თდა იყიდა“ (ნარნ. გიორგის მიერ ქვის სყიდვის შესახებ, ნუსხ., ბაჯითი, საჩხერე, XI სკ.)...

კვრიკე (< ბერძნ. Κύριος = უფალი, ბატონი): „† ნო გო, შუე კ(ვრიკ)ე...“ (კვრიკესა და იანვარის ნარნ., ნუსხ., სიმონეთი, თერჯოლა, XI სკ.); „...შ(ე)ლ(ნი) გოლიათ(ი)სნი: ა(ნ)ტონი გოდობრელი, ლ(ი)პ(არი)ტ და კ(ვრიკ)ე...“ (დარკვეთი, ჭიათურა)... **კვრიკეს** ქართულ შესატყვისად მიჩნეულია **უფლისა** (აქედან გვარი – უფლისაშვილი), რომელიც საქართველოში ადრიდანვე იყო არაერთი ისტორიული პირის სახელი. მისგან ნაწარმოებია გვარები (კვირიკაძე, კვირიკაშვილი...), ამოსავალი ბერძნული სახელი **კვირიოს** (Κύριος) კი ქართულში საფუძვლად დასდებია ქალისა და მამაკაცის ანთროპონიმებს (კვირიონ, კირიაკ, კირა...) (<http://www.geogen.ge/ge/msearch/4313/>).

იმერეთის ეპიგრაფიკაში არის სპარსული წარმოშობის პირის სახელებიც. ასეთია:

რატი (სპარს. ბატონი ან დიდსულოვანი, სულგრძელი): „[...] ა(ღ)ვაშენე. [...] რატისა და, [...] ცოდვილისა ს(უ)ლისა ჩ(ე)მისა და შვილთა ჩ(ე)მ[თ]ა დ[ა] [?] ვინცა ღირს იქმნეთ მოსლ(ვ)ად და ლოცვად ად[გი]ლს[ა] [მთ(ა)ვ(ა)რ]მ(ო)ნ(ა)მისა გ(იორგ)ი(ს)სა, ლ(ო)ცვ(ა)სა მომიწყენ(ე)თ [ც]ლ(ო)დვილ[ი]...“ (ასომთ., გადიდი, ვანი, XI სკ.). **რატი** არის ერისთავთა საგვარეულო სახელი (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 364);

1046 წ. ტაძრის სამშენებლო ნარნერაში (სავანე, საჩხერე) ნახსენებია **ხურსი** (ერისთავი). იგი სპარსული სახელია და ნიშნავს დათვს (ქართული გენეალოგია: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4334/>). შდრ. **ხოვრსი** (> ხურსი): „† ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო ნო შუე და ადიდე მ(ა)რ(ია)მ დეოფალი და შვილნი მისნი –

გ(იორგ)ი და **ხოვრსი**. ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვ(ა)რი] დაიდვა ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა სკ-სა“ (სამშენებლო წარწ., ღმრთაების ეკლესია, ქორეთი, საჩხერე, XI სკ.).

ხურსი ერისთავი მიჩნეულია არგვეთის ერისთავად. როგორც მიუთითებენ, ამას ადასტურებს არგვეთის ტერიტორიაზე (ქორეთი, სავანე, ეხვევი, დარკვეთი) მიკვლეული წარწერები, რომლებზეც არგვეთის ერისთავების საგვარეულო სახლის რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა სახელებია შემონახული, მათ შორისაა სავანის 1046 წლის საქტიტორო წარწერა, რომელიც ხურსი ერისთავს გარდაცვლილად მოიხსენიებს: „მე, გიორგი ერისთავთ ერისთავმან, ავაშენე ესე წმიდა ეკლესია სავანისა, ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლისა ც(ო)დვ(ი)ლ(ი)სა ჩ(ე)მისა და ძმისა ჩ(ე)მისა **ხ(ურსი)** ე(რისთავისა) და მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთათჳს...“

მ. ბახტაძე ხურსი ერისთავის შესახებ მსჯელობისას იშველიებს ვ. სილოგავას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სავანის წარწერის ხურსი და 1021 წლის შირიმნის ბრძოლაში მოკლული ხურსი ერთი და იგივე პირები არიან. **ხურსის** მოიხსენიებს როგორც „მატიანე ქართლისაი“ – „მოკლეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი“, ასევე, სუმბატ დავითის ძე – „მოკლნეს მუნ დიდნი ერისთავნი: რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი“. მ. ბახტაძე წერს: „თუ გავიზიარებთ ვ. სილოგავას აზრს, მაშინ გამოდის, რომ 1021 წლამდე არგვეთის ერისთავი იყო ხურსი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ძმა გიორგი“ (http://umurgulia82.blogspot.com/2019/02/blog-post_43.html). ხურსის ძმა გიორგი ერისთავთ-ერისთავი სავანის კიდევ ორ სხვა წარწერაში იხსენიება.

აბუნასრი: არგვეთის ერისთავად არის მიჩნეული რგანის (ჭიათურა) ეკლესიის მემორიალურ წარწერაში (XI სკ.-ის I ნახ.) მოხსენიებული აბუნასრ ერისთავიც: „ქ~ე, შ~ე **აბუნასრ** ერისთავი და შვილნი მისნი და ყ~ი ერი მისი“ (ბახტაძე, 2003: გვ. 264-254).

საურმაგი (ძვ. სპარს. შავმკლავა): „† ნ~ო გ~ი, შ(ე)ინ(ყა)ლე **ს(ა)ურმ(ა)გ**, ძე აქუნისა და გა(ნ)უს(უ)ენე ს(უ)ლსა მშ(ო)ბელთა მისთასა. ამის ეკლეს(ი)სა გ(ე)ბ(ა)სა შ(ე)ს(ირ)ა აკ(ა)ზმ(უ)ლ(ო)ბ(ა)ა, მძიმე გ(ო)ლ(ია)თ(ი)ს ს(უ)ლისათ(ვ)ს. ვინ წაიკ(ი)თხ(ო)თ, ლო(ც)ვ(ა)სა მოივს(ე)ნ(ე)თ; ა~ნ გ(უ)ეყ(ა)ვნ ჩ~ნ!“ (საურმაგ აქუნის ძის წარწ., სავანე, საჩხერე, 1046 წ.). **საურმაგი** ერქვა ფარნავაზ მეფის ვაჟს (ძვ. წ. აღ. III სკ.).

ვარდანი (სპარს. გმირი, მოქალაქე): „უ~ო, გა(ნ)უს(უ)ენე ს(უ)ლსა ივაისასა და **ვარდანის(ა)სა**“ (თუზი, თერჯოლა, XI სკ.). **ვარდანი** შემოსულია სომხურიდან (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 338).

აღმოსავლური წარმოშობისა უნდა იყოს იმერეთის წარწერებში მოხსენიებული სხვა სახელებიც. მაგალითად:

საჯი: „ნ~ო გ~ი, შ(ე)იწყალ(ე) **ს(ა)ჯის** ძე გ~ი“ (გიორგი საჯის წარწ., ნუსხ., ხონი, XI-XII სკ.);

იოჰაბი: „წო გო, მეოხ ეყავ წე ღთისა იოჰაბს და შვილთა მისთა, ან“ (იოჰაბის წარწ., ასომთ., კაცხი, ჭიათურა, XI სკ.);

ჰარაბა: „† ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თ(ი)საჲთა მხებითა წსა ღ(მრ)თ(ი)სმშობლ(ი)ს(ა)ჲთა, წსა გისითა, დამაყენა მე, ს(უ)ლ(ი)თა ს(ა)წყ(ა)ლ(ო)ბ(ე)ლი **ჰ(ა)რ(ა)ბ(ა)ჲ**, აღსაშენებელად წსა ამის ს(ა)ყდრისა, – ადწ ღწ, გო ე(რის-თავთ)-ე(რისთავმან), ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლ(ი)სა მ(ა)თ(ი)ს(ა)თ(კ)ს და მშობ(ე)ლთა მ(ა)თათ(კ)ს... (ჰარაბას წარწ., სავანე, საჩხერე, 1046 წ.).

რაც შეეხება ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ პირის სახელებს, როგორცაა **იოანე, იაკობი, მიქაელი, გიორგი, რატი**, ისინი გაქართულებული, კანონიზებული ქრისტიანული სახელებია, ბევრი სხვა სახელის მსგავსად.

სტრუქტურის მიხედვით ქართული ანთროპონიმების უძველეს ფონდში ალ. ლლონტი გამოყოფს სამ ჯგუფს: ძირეულ, წარმოქმნილსა და თხზულ სახელებს. ამათგან პირველ ორს მეცნიერი ქრონოლოგიურად უძველეს ფენას მიაკუთვნებს, თხზულს კი – გვიანდელს (ლლონტი, 1986, გვ. 15). იმერეთში დასტურდება სამივე ჯგუფის პირის სახელები;

რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, ამ ნიშნით ანთროპონიმიაში გამოყოფენ ორ ჯგუფს. ესენია: 1. არამოტივირებული, ანუ სემანტიკადაბინდული სახელები და 2. მოტივირებული, ანუ სემანტიკადაუბინდავი სახელები (გოდერძიშვილი, 2012, გვ. 50).

იმერეთის ლაპიდარიუმის ანთროპონიმია სემანტიკურად არაერთგვაროვანია. ჩვენი მასალის მიხედვით დასტურდება მოტივირებული, გამჭვირვალე ეტიმოლოგიის გაანთროპონიმებული სახელები. მათ შორის არის როგორც ქრისტიანიზებული, ისე სხვა სახის სახელები:

ხუცი: „...და მისისა შვილისა **ხუცისა**, რლ ესე ქვაჲ მოიღო“ (წარწერა ქვის მოღების შესახებ, ნუსხ., კაცხი, ჭიათურა);

მოლოზონი: „ქე შე **მ(ო)ლ(ო)ზ(ო)ნი** გრძ(ე)ლ(ი)ს ძე“ (მოლოზონ გრძელიძის წარწ., ასომთ., ქორეთი, საჩხერე, XI სკ.);

ხატისა: „ქე შე **ხ(ა)ტისაჲ**“ (ხატის გრაფიტი, ნუსხ., სიმონეთი, თერჯოლა);

ფერისა: „† წო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შე **ფერისა ინას(ა)რაი**“ (ფერისა ინასარას წარწ., ასომთ., ქორეთი, საჩხერე, XI სკ.);

ღვინო: „წო გო, შე **ღვინოს** ძეი გიორგი“ (გიორგი ღვინოსძის წარწ., ნუსხურნარევი ასომთ., სიმონეთი, თერჯოლა, XI სკ.);

იანვარი: „† წო გო, შ(ე)წყალ(ე) კ(ვრიკ)ე, **იანვარ** – ორნივე ძმანი (კვრიკესა და იანვარის წარწ., ნუსხური, იქვე). ცნობილია ამავე სახელის ხმოვანფუძიანი ვარიანტი **იანვარა**, რომელიც, ზ ჭუმბურიძის აზრით, ქართული სახელია, ნიშნავს „იანვარში დაბადებულს“, „იანვრისას“. თვით სახელწოდება **იანვარი**, თავის მხრივ, მიღებულია რომაელთა ღვთაების **იანუსის** სახელისაგან (ქართული გენეალოგია: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4312/>).

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში წარჩინებულთა შორის მხოლოდ ორჯერ გვხვდება საკუთრივ ქართული სახელი: ზვიადი და კახაბერი. „**ზვიადი** პოპულარული სახელი იყო ყველა დროის საქართველოში. ის XIII საუკუნის საბუთშიც გვხვდება“ (2002, გვ. 94). ჩვენი საანალიზო მასალის მიხედვით, **ზვიადი** დასტურდება უფრო ადრეც, პერევის (ჭიათურა), ასევე, ქორეთის (საჩხერე) XI საუკუნის, წარწერებში. იმავე ეპოქაში არსებობს მისი თხზული ვარიანტი **გულზვიადი**: „ავაშენე ...ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ...მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთათჳს – **გ(უ)ლზ(ვია)დ(ი)სთ(ჳ)ს** და მ(ა)რ(იამი)სთ(ჳ)ს...“ (სავანე, საჩხერე).

ნათელი არ არის ზოგიერთი ანთროპონიმის ეტიმოლოგია. ასეთია, მაგალითად:

გოლიათი: „† ქუე, შუე **გოლიათ**“ (გოლიათის გრაფიტი, 1, ნუსხ., დარკვეთი, ჭიათურა); „† ქუე, შ(ეუნდ)ე **გოლიათსა**“ (გოლიათის გრაფიტი, 2, ნუსხ., იქვე); „წო გოი, შუე შვილნი **გოლიათისნი** და ადიდენ ღწ“ (გოლიათის შვილთა წარწ., ასომთ., XI სკ., იქვე); დარკვეთის წარწერების გარდა, **გოლიათი** მოხსენიებულია ჰარაბას წარწერაშიც: „...ადწ ღწ, გოი ე(რისთავთ)-ე(რისთავმან), ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლ(ი)სა მ(ა)თ(ი)ს(ა)თ(ჳ)ს და მშობ(ე)ლთა მ(ა)თათა(ჳ)ს და **გ(ოლია)თ(ი)სათ(ჳ)ს** და დედისა მ(ა)თ(ი)სათ(ჳ)ს“ (სავანე, საჩხერე, 1046 ნ.);

ვაშაყმა: „† წწო მქლ და გაბრიელ შ(ეიწყალ)ე(თ) ივაი და გ(ან)უსუენეთ სულსა მ(ა)მ(ი)სა **ვაშაყმაისასა**“ (ივას, ვარდანისა და ვაშაყმის წარწ., ასომთ., თუზი, თერჯოლა);

შალვა: „† წწი გოი, შ(ეი)წყალ(ე) მონ(ა)შ შ(ე)ნი **შ(ა)ლ[ვა]**“ (შალვას წარწ., ნუსხ., სიმონეთი, თერჯოლა); „...[ა]მას ე[კ]ლესიას [პ]ირველ საფუ[ძ]ველი მე **შ(ა)ლვამ(ა)ნ** [დ]ავდე...“ (შალვას წარწ., ნუსხ., ბაჯითი, საჩხერე). მოცემული ანთროპონიმის ეტიმოლოგია ნათელი არ არის. ალ. ჭინჭარაული **შალვას** უკავშირებს ქართულ სახელს **შავლეგს** (= შავი, შავგრემანი): „დედას კაცი მოუვიდა: შენ შავლეგი მოგიკლესა... შალვას დედა მოტიროდა, მოიშლიდა გიშრის თმასა“ (ქბზ, XI, 17) (ქართული გენეალოგია: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4328/>), ზ. ჭუმბურიძის განმარტებით კი, **შალვა** ებრაულია და ნიშნავს მშვიდობას, თუმცა მეცნიერი არ გამოორიცხავს ალ. ჭინჭარაულის ვარაუდს ქართულ სახელთან, **შავლეგთან**, მისი დაკავშირების შესახებ. **შალვა** თორელთა საგვარეულო სახელი იყო. მისი ადრინდელი ფორმა **შაველა > შავლა** შემონახულია გვარებში: შავლაძე, შავლიძე, შაველაშვილი... (1987, გვ. 373).

იმერეთის წარწერებში არის ისეთი არამოტივირებული, სემანტიკადაბინდული სახელები, როგორცაა:

ლიპარიტი: „...შვ(ი)ლ(ნი) გოლიათ(ი)სნი: ა(ნ)ტონი გოდობრელი, **ლ(ი)-პ(არი)ტ** და კ(ვრიკ)ე...“ (ეკლესიის სამშ. წარწერა, ასომთ., დარკვეთი, ჭიათურა); „წო გოი, შ(ეი)წყალ(ე) **ლ(ი)პ(არი)ტი**...“ (ლიპარიტის წარწ., ასომთ., იქვე)... ზ. ჭუმბურიძის აზრით, **ლიპარიტი** ქართული სახელია გაურკვეველი

მნიშვნელობისა, რომელიც ქართულიდან არის შესული სომხურში. იგი თრი-
ალეთის ერისთავთა სახელია და ბევრი მათგანი კარგად არის ცნობილი „ქარ-
თლის ცხოვრებიდან“ (1987, გვ. 353);

ლაჩხი: „უო, გა(ნ)უს(უ)ენე სუ(ლ)სა **ლაჩხ(ისსა)**“ (ლაჩხის წარწ., ასომთ.,
დარკვეთი, ჭიათურა, XI სკ.);

კოხალა: „წო გო, შუე **კოხალა** ს(უ)ლი(თა)“ (კოხალას წარწ., ასომთ.,
იქვე);

იხნა: „ქე, შუე **იხნაჲ** და შვ(ილ)ნი მისნი“ (იხნას გრაფიტი, ნუსხ.,
სიმონეთი, თერჯოლა, XI სკ.);

სირა: „წო სამეზაო, შ[ე]ინ[ყ]ა)ლენ სული **სირ(ა)ჲ(სი)** და მისისა შვილისა
ხუცისა...“ (წარწ. ქვის მოღებვის შესახებ, ნუსხ., კაცხი, ჭიათურა, XI სკ.);

ქორდა: „წო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შუე **ქ(ო)[რ]დ(ა)ჲ**“ (ქორდას წარწ. სვეტის
ბაზისზე, ნუსხურნარევი ასომთ., ქორეთი, საჩხერე, XI სკ.);

იმერეთის ლაპიდარიუმში შემონახულია XI საუკუნის მაღალი იერარქიის
წარმომადგენელ ქალთა სახელები:

გუარანდუხტი (ბაგრატ მეფის დედა): „† შ(ე)ნ(ე)ვნ(ი)თა ლ(მრ)თის(ა)ჲთა,
ბ(ა)გრ(ა)ტის(ა)გ(ან) – ნ(ე)ბ(ი)თა ლ(მ)რთ[ი]საჲთა აფხ(ა)ზთა და ქ(ა)რთვ(ე)ლთა
მ(ე)ფ(ი)სა და კ(უ)რ(ა)პ(ა)ლ(ა)ტ(ი)სა და დ(ე)დ(ი)სა მ(ა)თისა – **გ(უ)არ(ა)ნ-
დ(უ)ხტ დ(ე)დ(ო)ფლისა**, აღ(ე)შ(ე)ნა წ(მიდა)ი ესე ს(ა)ყდ(ა)რი ჴ(ე)ლითა [...]"
(სამშ. წარწ., ბაგრატის ტაძარი, ქუთაისი, 1001-1008 წწ.);

მარიამი (გიორგი ერისთავთ-ერისთავის დედა): „† ს(ა)ხ(ე)ლითა
ლ(მრ)თ(ი)საჲთა მე, გო ე(რისთავთ)-ე(რისთავმან) ავაშენე ესე წოჲ ეკლესიაჲ
სავანის(ა)ჲ; ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ... მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთათჳს – გ(უ)ლზ(ვია)-
დ(ი)სტ(ვ)ს და **მ(ა)რ(იამი)სტ(ვ)ს...** (ტაძრის სამშ. წარწ., სავანე, საჩხერე, 1046
წ.);

ცხოვრება (იოანე ერისთავთა ერისთავის ასული): „† [უო, შეენიე მონასა]
ლ(მრ)თი(სა)სა დღესა [მ(ა)ს დ(ი)დსა გ(ა)ნკითხვ(ი)ს(ა)სა ივანე (იოანე) ერ(ი)ს-
თ(ა)ვთა ერ(ი)სტ(ა)ვისა ას(უ)ლსა **ცხ(ო)რ(ე)ბას**, ა(მე)ნ“ (ცხოვრებას წარწ.,
ასომთ., სავანე, საჩხერე, XI სკ.).

XI საუკუნის ქორეთის (საჩხერე) ეპიგრაფიკულ ძეგლებში უხვად არის
სხვა სახის ონომასტიკური მასალაც, რომელშიც ჩანს გვარის, გვარსახელისა
თუ მეტსახელის ისტორია. ასეთია: „† წო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შუე **იოჭიპი(ს) ძენი**“
(იოჭიპის ძეთა წარწ., ასომთ.); „† წო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შუე **მ(ი)ქ(ა)ელ მიჭვტი-
ნისა ძ(ე)ი**“ (მიქაელ მიჭვტინისა ძის წარწ.); „† წო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შუე **მ(ი)-
ქ(ა)ელ მჭევრაის ძე** ქორდაი“ (მიქაელ მჭევრაის ძის წარწ., ასომთ.) (მდრ.
მჭევრაის ძე – ჭირაჲს ძის. ან: ჭ(ა)რელის ძე – ვ. სილოგავა) („დას. საქ.-ს
წარწ.“, 1980, გვ. 126)... მსგავსი ანთროპონიმული მასალა არის სხვა წარწე-
რებშიც: „წო სამეზაო, მოიჴს(ე)ნე წყალ(ო)ბ(ი)თ ს(უ)ლი **ჯიჴუაისძისა...**“
(ჯიჴუაისძის წარწ., ასომთ., კაცხი, ჭიათურა); წო გო, შ(ე)იწყალ(ე) **სტ(ე)-
ფ(ა)ნე კ(ალა)ტ(ო)ზი** (სტეფანე კალატოზის წარწ., ნუსხ., სიმონეთი, თერ-
ჯოლა); ხონის XI-XII საუკუნეთა წარწერებში მოხსენიებულია **ს(ა)ჯის ძე**

გ(იორგ)ი, აგრეთვე, **გიორგის ყიასაჲ**: „ნო გო, შე გ(იორგ)ი ყ(ი)ას(ა)ჲ“. ვ. სილოგავა **ყ(ი)ას(ა)ჲ** ფორმას უდარებს H 1664 (XI სკ.) ხელნაწერის მინაწერებში დასახელებულ **იოვანე ყიას** („დას. საქ.-ს წარწ.“, 1980, გვ. 136). ხონში, სოფელ ივანდიდში, გვაქვს გაგონილი მეტსახელი **ყია**. სოფელში თავკაცობით გამორჩეულ ერთ-ერთ პიროვნებას, სახელად ნოდარს, მოიხსენიებდნენ ასე: **ნოდარი ყია**. სხვაგვარად მას უწოდებდნენ, აგრეთვე, **ყის-მაილას** (სალინაძე, 2017, გვ. 297). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **ყია** 1. ყელის ყანყრატო, ხახა. შდრ. **ავყია** (<http://ena.ge/explanatory-online>). ვ. სილოგავას მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ XI-XII სს.-ში დამავალი დიფთონგი მოშლილია და, ნაცვლად ამოსავალი ორმაგი ბრუნების **ყიასაჲ** ფორმისა, წარწერაში არის **ყიასაჲ**. ამგვარი მიდგომა გამორიცხავს საანალიზო სახელის დაკავშირებას სპარსულ ანთროპონიმთან **ყიასა**. ამ სახელით მოიხსენიება ისტორიაში მეფე ერეკლე I-ის ვეზირი „თათარი **ყიასა...**“ (<http://georgianencyclopedia.ge/index.php/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94>).

გვაროვნული სახელი საქართველოში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს.-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული ჩანს (ღლონტი, 1986, გვ. 48). ამ მოსაზრებას იზიარებენ ზ. ჭუმბურიძე, რ. თოფჩიშვილი... ამას მონიშნავს იმერეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მონაცემებიც. მათში ისიც ჩანს, რომ „**უპირატესობა ენიჭება წინაპრის სახელს ან მეტსახელს, წინაპართგან კი – მამაკაცის სახელს, როგორც ოჯახის უფროსს, გვარის მეთაურს**“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 295).

XI-XII საუკუნეთა იმერეთის ლაპიდარული წარწერები შესრულებულია საეკლესიო ნაგებობებზე და მეტწილად საეკლესიო ხასიათისაა. მათში დაცული ანთროპონიმია გვანდის მნიშვნელოვან ინფორმაციას საერო პირთა და ხელისუფალთა, ასევე, შედარებით დაბალი იერარქიის წარმომადგენელთა შესახებ და გვიჩვენებს იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, იმერეთის, საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს.

ლიტერატურა:

ბახტაძე, მ. (2003). ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

ბახტაძე, მ. (2019). ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში (2022, 27 მარტი). http://umurgulia82.blogspot.com/2019/02/blog-post_43.html

გოდერძიშვილი, ქ. (2012). ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

დასავლეთ საქართველოს წარწერები (შემდგენელი: ვ. სილოგავა), ნაკვეთი I (1980), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

- თოფჩიშვილი, რ. (2002). აღმოსავლური და დასავლური ელემენტი ქართულ ანთროპონიმიაში: „ქართველური მემკვიდრეობა“, VI, ქუთაისი: ანსუ გამომცემლობა.
- სალინაძე, რ. (2017). იმერეთის ლაპიდარულ წარწერათა (IX-XII სს.) ენა: „ქართველური მემკვიდრეობა“, XXI, ქუთაისი: „ანსუ გამომცემლობა“.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (2022, 25 მარტი). <http://ena.ge/explanatory-online>
- ქართული გენეალოგია (ვაჟის სახელები) (2022, 27 თებერვალი). <http://www.geogen.ge/ge/msearch/4334/>
- ქართული გენეალოგია (ვაჟის სახელები) (2022, 27 თებერვალი). <http://www.geogen.ge/ge/msearch/4312/>
- ქართული გენეალოგია (ვაჟის სახელები) (2022, 27 თებერვალი). <http://www.geogen.ge/ge/msearch/4328/>
- ლლონტი, ალ. (1986). ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ჭუმბურიძე, ზ. (1987). დედაენა ქართული, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- ჭუმბურიძე, ზ. (2003). რა გქვია შენ? თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს-პრესი“.
- ენციკლოპედია „საქართველო“ (2022, 27 მარტი). http://georgianencyclopedia.ge/index.php/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94_1

რამაზ ქურდაძე
Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ქცევის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების ერთი
შემთხვევა ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის
სწავლების დროს¹

A Case of Facultative Use of Version Markers in the
Teaching of Georgian as a Second or Foreign Language

საკვანძო სიტყვები: ფაკულტატიური გრამატიკა, ქცევა, ქცევის ნიშნები,
ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლება
Key words: Facultative grammar, version, version markers, teaching of Georgian as a
Second or Foreign Language

¹ ნაკითხულია მოხსენებად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV სამეცნიერო კონფერენციაზე (3-5.07.2020); კონფერენცია მიეძღვნა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

The paper focuses on the use of the forms of the Georgian verb **სმენა smena** 'listen/hear' with preradical vowels უ- u-: უ-სმენს u-smens 'he/she is listening to', მო-უ-სმენს mo-u-smens 'he/she will listen to', მო-უ-სმინა mo-u-smina 'he/she listened to' and ი- i-: ი-სმენს i-smens 'he/she hears', მო-ი-სმენს mo-i-smens 'he/she will hear', მო-ი-სმინა mo-i-smina 'he/she heard'. The use of these forms is analyzed from the perspective of teaching Georgian as a second or foreign language.

The paper argues that the forms with preradical vowel უ- u- denote the active process of listening on the part of the individual/listener, who is concentrated on what he/she is listening to, whereas the forms with preradical vowel ი- i- denote the process in which the individual/listener is not active, hence, he/she does not concentrate on what he/she hears. That is why the above-mentioned forms with preradical vowel უ- u- correspond to the English verb **To listen** (cf. Russian - **слушать**), whereas the forms with preradical vowel ი- i- correspond to the English verb **To hear** (cf. Russian - **слышать**).

The above-mentioned semantic nuance is expressed by two different verbs in English, whereas in Russian it is expressed by two stems of one and the same verb. However, in Georgian this semantic nuance is expressed by two different preradical vowels – უ- u- and ი- i-, which are markers of the grammatical category of version and for which the expression of the above-mentioned semantic nuance is an additional, facultative function.

ქართულის შემსწავლელ უცხოელ, უმთავრესად ინგლისურენოვან და ადგილობრივ არაქართველ სტუდენტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ფლობენ რუსულ ენას, ხშირად დაუსვამთ შეკითხვა: რა განსხვავებაა ამ ორ სიტყვას შორის:

ვისმენ და ვუსმენ ან მოვისმინე და მოვუსმინე?

ვისთვისაც ქართული მშობლიურია, ასეთი კითხვა შეიძლება არც დამდგარა. მათთვის ამ სიტყვათა შორის განსხვავების წარმოჩენა არ წარმოადგენს აუცილებლობას; უფრო მეტიც, შეიძლება არც კი დაფიქრებულან ამ სიტყვათა შორის განსხვავებულობაზე, თუმცა ყოველთვის სწორად იყენებენ მათ. მაგრამ არაქართველ, განსაკუთრებით უცხოელ სტუდენტებს, ზოგს ეს ფორმები პარალელური ვარიანტები ჰგონია; ზოგი ასე არ ფიქრობს და ეძებს მათ შორის განსხვავებას. აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში ამ სიტყვათა მნიშვნელობებში ბოლომდე არ არიან გარკვეულები და შეკითხვებსაც ამიტომ სვამენ. ასეა ეს მანამ, სანამ არ მივანვლით შესაფერის განმარტებას, რის მიხედვითაც, ამ ორ სიტყვათაგან თითოეულს თავისი მნიშვნელობა და გრამატიკული ფორმა აქვს.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჯერ თავად ჩვენ უნდა გვეკონდეს სწორი და ზუსტი პასუხი ამ კითხვაზე ანუ ამ სიტყვების მნიშვნელობასა და მათ გრამატიკულ ფორმაზე.

ჩვენი აზრით, საკითხი ფრიად საინტერესოა და ქართული ენის ბუნებას კიდევ ერთხელ მდიდარი მორფოლოგიის მქონე ენის კუთხით წარმოადგენს. ორივე ზმნა *მოსმენას* უკავშირდება, სუბიექტი სმენით აღიქვამს რაიმეს (ბგერას, სიტყვას, სიმღერას და სხვ.). მორფოლოგიურად ამ ორ ზმნურ ფორმას მხოლოდ -ი- და -უ- ხმოვანპრეფიქსები განასხვავებენ:

ვ-ი-სმენ

ვ-უ-სმენ

ჩვეულებრივ, ამ ხმოვანპრეფიქსებს თავისი ფუნქცია აქვთ. როგორც ცნობილია, ისინი, აკაკი შანიძის მიხედვით, ქცევის კატეგორიას გამოხატავენ: -ი- ორპირიან გარდამავალ ზმნებში სათავისო ქცევის ნიშანია, ხოლო სამპირიან ზმნებში – სასხვისო ქცევისა, მაშინ როცა ირიბი ობიექტი პირველ და მეორე პირშია; ხოლო, როცა ირიბი ობიექტი მესამე პირშია, სასხვისო ქცევის ნიშანია -უ- (შანიძე, 1980, გვ. 327-328; 331-333).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში -ი-, -უ- და სხვა ხმოვანპრეფიქსების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები (ჯორბენაძე, 1983; მელიქი-შვილი, 2001 და სხვ.). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ამ ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკულ ფუნქციად ხშირად ქცევის კატეგორიას ასახელებენ.

ცნობილია, რომ გრამატიკული კატეგორიის გამომხატველი აფიქსები, გარდა იმისა, რომ გამოხატავენ ძირითად გრამატიკულ კატეგორიებს, ფაკულტატიური დანიშნულებითაც გამოიყენებიან (ჯორბენაძე, 1985).

სწორედ ქცევის ზემოაღნიშნულ ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენებით აიხსნება ამ საანალიზო ორ სიტყვას შორის განსხვავება.

განსხვავება კი ისაა, რომ რაიმე ბგერის, სიტყვის, სიმღერის მოსმენის დროს შესაძლებელია ენობრივად გამოვლინდეს სუბიექტის ორგვარი მიდგომა, რაც შესაბამისად კიდევ აისახება ზემომოყვანილ ზმნებში:

1. პირველი, როდესაც სუბიექტი დაინტერესებულია იმით, რასაც უსმენს, ამ დროს პროცესი ერთგვარი სმენითი აქტივობით ხასიათდება, რადგან მსმენელი კონცენტრირებულია იმაზე, რასაც უსმენს. ამ შემთხვევაში -უ- ხმოვანპრეფიქსიანი ფორმა გამოიყენება: *უ-სმენს, მო-უ-სმინა*.

2. მეორე, როდესაც სუბიექტი არ არის დაინტერესებული იმით, რასაც ისმენს, ამ დროს პროცესი არ ხასიათდება სმენითი აქტივობით, რადგან მსმენელი არ არის კონცენტრირებული იმაზე, რასაც ისმენს. ამ შემთხვევაში -ი- ხმოვანპრეფიქსიანი ფორმა გამოიყენება: *ი-სმენს, მო-ი-სმინა*.

-უ- ხმოვანპრეფიქსიანი ზემომოყვანილი მაგალითი სხვა -უ-პრეფიქსიანი ფორმებისაგან განსხვავდება იმით, რომ ორპირიანია (*უსმენს გიორგი მუსიკას – ის მას*). მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში მესამე პირი, პირდაპირობიექტური, დაკარგულია, გაუჩინარებულია, შდრ.: შეხედნა მან მას იგინი. ამას გვავარაუდებინებს ის გარემოება, რომ ამ ზმნათა (*უსმენს, უსმინა*) მეორე სერიაში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია: *უსმინა გიორგიმ მუსიკას, უსმინოს გიორგიმ მუსიკას*. თანაც ეს ზმნები, ფაქტობრივად, იმავე

ყალიბისაა, როგორი გრამატიკული ყალიბიც აქვთ უგდებს, დაუგდო ზმნებს გამოთქმებში: *ყურს უგდებს, ყური დაუგდო*, რომლებიც სამივე პირს წარმოგვიდგენენ. მაგალითად: *გიორგი მასწავლებელს ყურს უგდებს; გიორგიმ მასწავლებელს ყური დაუგდო*.

უგდებს ზმნა ტიპური სასხვისო ქცევის ფორმაა: კერძოდ, *უგდებს ის (გიორგი) მას (მასწავლებელს) მას (ყურს)*, პირდაპირი ობიექტი განკუთვნილია ირიბი ობიექტისათვის და, როდესაც პირთა კომბინაციაში ირიბი ობიექტი მესამე პირშია, ქცევის ნიშნად **-უ-** გვაქვს მთელ პარადიგმაში:

<i>მე ვ-უ-გდებ ყურს</i>	<i>ჩვენ ვ-უ-გდებთ ყურს</i>
<i>შენ უ-გდებ ყურს</i>	<i>თქვენ უ-გდებთ ყურს</i>
<i>ის უ-გდებს ყურს</i>	<i>ისინი უ-გდებენ ყურს</i>

რასაკვირველია, სემანტიკურად ამ შემთხვევაშიც ჩანს სუბიექტის აქტივობა მოსმენის პროცესში, თუმცა ამ ზმნას არ მოეპოვება შესაბამისი -ი- ხმოვანპრეფიქსიანი ვარიანტი, რომელიც გვიჩვენებდა, რომ სუბიექტი არ გამოხატავს დაინტერესებას, აქტივობას მოსმენის დროს.

საყურადღებოა, რომ *სმენის* გარდა სუბიექტის დაინტერესება და ამ დროს ერთგვარი აქტივობაც შესაძლებელია *ხედვის, ხილვის* გამომხატველმა ზმნებმაც სწორედ **-უ-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმებით გვიჩვენოს:

- უ-მზერს – უ-მზირა*
- უ-ყურებს – უ-ყურა*
- უ-ცქერს – უ-ცქირა*

თუმცა ამ შემთხვევაშიც არ გვხვდება შესაბამისი ფორმები -ი-ხმოვანპრეფიქსით, ანუ ის ფორმები, რომლებსაც შეიძლება ერგვნებინათ, რომ სუბიექტი არ არის დაინტერესებული რაიმეს ნახვით. ასეთ დროს უბრალოდ *ხედვა* ზმნის ფორმები გამოიყენება: *ხედავს – ნახა ან დაინახა*.

მაშასადამე, აღნიშნული ნიუანსის გადმოსაცემად ქართული ქცევის კატეგორიის გამომხატველი ხმოვანპრეფიქსებია გამოყენებული. ამ ნიუანსის გამოსატყვევა მათთვის ფაკულტატიური დანიშნულებისაა, რადგან ძირითადი (თუ არა, ყველაზე გავრცელებული) ფუნქცია მათთვის ქცევის კატეგორიის გამოსატყვევაა.

ქცევის ნიშანი რომ ფაკულტატიური დანიშნულებით რაიმე ლექსიკურ ნიუანსს გადმოსცემს, ეს ადრეც იყო აღნიშნული. კერძოდ, სათავისო ქცევის ხმოვანპრეფიქსი -ი- გამოიყენება მოჩვენებითობის სემანტიკის გადმოსაცემად „თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელთან ერთად ფორმებში, როგორცაა: *თავი მო-ი-ავადმყოფა, თავი მო-ი-მკვდარუნა, თავი მო-ი-მთვრალუნა* და სხვ. (ჯორბენაძე და სხვები, 1988, გვ. 201; ქურდაძე, 2011, გვ. 110).

ყოველივე ეს ართულებს ქართულის სწავლებისა და შესწავლის საქმეს. ასეთი საკითხების გაცნობისას ერთგვარი თანმიმდევრობის დაცვაა საჭირო. კერძოდ, აღნიშნულ ზმნურ ფორმათა სემანტიკური ნიუანსები ქცევის მორ-

ფოლოგიური კატეგორიის სწავლების შემდეგ უნდა განვიხილოთ, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ქცევის ნიშნები აქ ფაკულტატიური დანიშნულებით არიან გამოყენებულნი.

უსმენს, მოუსმინა ზმნურ ფორმათა სამენტიკური განსხვავების სწავლება კიდევ უფრო გაადვილდება, თუ ამ თვალსაზრისით შევეუპირისპირებთ ერთმანეთს ქართული, ინგლისური და რუსული ენების მონაცემებს.

ინგლისურში ზემოაღნიშნული ნიუანსების გადმოსაცემედ რაიმე სპეციალური მარკერები არ გამოიყენება, იქ უბრალოდ სხვადასხვა ზმნები გადმოსცემენ ამ მნიშვნელობებს. კერძოდ, *ვუსმენ, მოვუსმინე* ზმნას, რომლის სუბიექტიც დაინტერესებულია იმით, რასაც ისმენს და, როდესაც პროცესი ერთგვარი სმენითი აქტივობით ხასიათდება, რადგან მსმენელი კონცენტრირებულია იმაზე, რასაც ისმენს, შეესაბამება **to listen** ზმნა; ხოლო ვისმენ, მოვისმინე ზმნას, რომლის სუბიექტი არ არის დაინტერესებული იმით, რასაც ისმენს და პროცესი არ ხასიათდება სმენითი აქტივობით, რადგან მსმენელი არ არის კონცენტრირებული იმაზე, რასაც ისმენს, შეესაბამება **to hear** ზმნა.

მაშასადამე, ინგლისურში ამ ნიუანსის გადმოცემა ლექსიკურად ხდება. ასევე ლექსიკურადვე ხდება ეს რუსულში, სადაც ერთი ძირისაგან მომდინარე ორი ზმნა: **слушать** და **слышать** განასხვავებს ამ მნიშვნელობებს. შესაბამისად, ქართულის, ინგლისურისა და რუსულის ფორმები ზემოაღნიშნული ნიუანსის გათვალისწინებით შეგვიძლია ასე წარმოვადგინოთ:

ქართული	ინგლისური	რუსული
მე ვუსმენ მუსიკას	I listen to music	Я слушаю музыку
მე ვისმენ მუსიკას	I hear music	Я слышу музыку

ამრიგად, *ვუსმენ-ვისმენ* ზმნურ ფორმათა შორის განსხვავება ქართულში მორფოლოგიური საშუალებით – ქცევის გრამატიკული კატეგორიის გამომხატველი აფიქსებით (-*უ-* და -*ი-* ხმოვანპრეფიქსებით) – გადმოიცემა, რომელთათვისაც ამ ნიუანსის ჩვენება ფაკულტატიური დანიშნულებისაა, ხოლო ინგლისურსა და რუსულში ეს ნიუანსი ლექსიკური საშუალებით, ლექსიკურად განსხვავებული ზმნური ფორმებით, გადმოიცემა. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოგვიდგენს ქართული ენის მდიდარი მორფოლოგიური შესაძლებლობების ნაირგვარ გამოვლინებას, რისი სწავლების დროსაც უცხოელებს ჯეროვან დონეზე უნდა გავაცნოთ ქართულისათვის სპეციფიკურ მორფოლოგიურ კატეგორიათა მანარმოებლების ძირითადი და ფაკულტატიური მნიშვნელობები.

ლიტერატურა:

- მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.
- ქურდაძე, რ. (2011). თანამედროვე ქართული ენის სოციალურ-კულტურული ასპექტები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბ. (1983). ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბ. (1985). ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბ. და სხვები (1988). ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მედეა ღლონტი
Medea Ghlonti

თსუ აკად. ახნოდ ღიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

სინონიმურ წყვილთა ფუნქციურ-სემანტიკური
ნიშანდებისათვის ქართულში
(გაჩა და ღვაწდი; მოხჩიდი და მსახუხი)
About Functional-semantic Designation of the
Synonym Pairs in Georgian Language
(georg. *garja* "toiling" and georg. *ghuatsli* "contributing
through restless work"; georg. *Morchili* "Novice" and georg.
Msaxuri "Servant")

საკვანძო სიტყვები: სემანტიკა, სინონიმია, ლექსიკოლოგია, რწმენა, ცოდნა
Key words: semantics, synonymy, lexicology, faith, knowledge

Everybody and everything teach something around us. The oldest Pagan and Christian levels of our ethnos and Georgians' characteristic national psychology and traditions are imprinted by the Georgian Language or by the Georgian word.

The history of the Georgian nation is an important part of the history of Christianity in the whole world. Old Christian footprints of our ethnos are engraved in the Georgian word. Therefore, identifying the genesis of the Georgian Word (resp. Language), and researching of its lexical-semantic and etymological fields reveals the historical process of Christianization of the Georgian nation, remarkable national psychology of Georgians and Georgian traditions in its full spectrum. All the above mentioned belongs to the Georgian word's and respectively, to the spiritual sphere of Georgian language.

Consequently, while studying the human word (language), together with other factors we should use the principle of unifying faith and knowledge, religion and science, i.e. we should seek the theological fundamentals of the human word the attempt of which is represented in the paper.

I. georg. **garja** "toiling" and georg. **ghuatsli** "contributing through restless work":

The group of synonymous pairs existing on the basis of certain semantical-typical peculiarities can be clearly seen in rich synonymy of the Georgian Language, for example: **dzala** "might" and **ghone** "force"; **tsodva** "sin" and **brali** "fault"; **nichi** "talent" and **madli** "gift"; **madli** "gift" and **tskaloba** "grace"; **neba** "will" and **survili** "wish"; **amkhanagi** "comrade" and **megobari** "friend" etc.

The differentiating historical functional marking draws special attention, namely, the historically remarkable unifying process of such differentiating synonymous pairs as visible-invisible, corporeal-mental, real world-heavens – which is clearly seen from the pieces of Georgian classical and religious literature.

On the basis of the principle of unity of the faith and knowledge, it becomes possible to explain definitely the linguistic choice out of the Georgian synonymous pair **garja** "toiling" and **ghuatsli** "contributing through restless work" – which represents the main question of the represented paper, and besides that, we will try to discuss the original functional semantics as well as the pre-conditions of so-called synonymities of the given pair.

I. 1. In Georgian the word **garja** "diligence; working; doing hard work" – belongs to the lexical-semantical nest of the words derived by the some root morphemes, namely **-sj-/-shj-/-rch/-rj-** (< *-saj-), implies about a hundred of the lexical units, comp.: old **gan-sj-a**, **gan-shj-a**, **gan-rch-a** "the court of honour"; old **sj-uli**, **shj-uli**, **rch-uli**, **rj-uli** – means "the rule, punishment, doctrine"; **samsjavro** – "the code, the court"; **sasjulo** – "according the existing code, the rules - means a book of the existing ancient code of rules"; **daghrjulavs** – "decision-making on the „doctrine basis", etc.

I. 2. In the semantic field of the word **garja** most actively used is a semanteme – "deliberate physical work", comp.: **gairjeba** (from the action **gaisarja**) in meaning of "work, try, disturb itself to do something"; the same as **jafa** (← Arab.), meaning in Georgian "hard work", etc.

Though, according the above named semantic data concerning the word **garja**, it can be supposed that this word-notion firstly was used in the sense of religious belief - which can be confirmed by the noteworthy lexicographic entries of some Georgian dictionaries concerning the word **garja**, for example, let us consider some explanations: **garja** "restless work"; "dedicated work"; **garjili** "one who has done much work", **garjiloba** "having done the work", etc.

In Georgian, the synonymous pair for **garja** "toiling" is **ghvatsli** "merit" (← old **ghutsa**, **ghutsola**, **ghuatsli**) with the following polysemic: „hard labor, restless work, care, supervision; struggle, overcoming difficulty, hardness, hard living, aspiration, trying; sorrow“; also, "work in the social life field, in favor of the country, merit", comp.: **samsakhuri** "care about country, work for its benefit".

See also the explanation of old **ghuatsli** as "working for well being of the country, serving the country"; comp.: **ghuatsli** "hard work such as in struggle for virtue" and **sarjulo**, **sashjulo** – "matter of religious belief" and: "doing useful activities; take care, merit"; **ghuatsli** "working hard, resless, doing job"; comp.: **ghvatslit mdzle** – "who is a winner of the battle".

I. 3. Resulting from the lexical-semantic analysis, given in the represented paper (**garja** "toiling, hard work" and **ghvatsli** – "toiling, contributing through the restless work"), we represent to you the following conclusion:

The initial semantics function of the Georgian synonymous pair of word-notions is preserved till nowadays through the semantics of the Georgian word-notion **ghvatsli** – "toiling through hard work" (← old **ghutsa**, **ghutsola**, **ghuatsli**) which is clear from the definition such as: "Everyday work which is dedicated to saving the own soul and is showing loyalty and faith dedicated with great merci to Christ, overcoming the difficulties, poverty, hard times and struggle which all together means fulfilling the doctrine of Christ with dignity".

This conditioned the fact that we name all our famous compatriots are named as "meritorious" (in **ghvatslmosili**), as by their great deeds they contributed to development and wellbeing to their country, with joy they resisted much difficulties on their way in benefit of the future of the country.

As for the word **garja**, its lexical-semantic functioning nowadays attracts our attention. We mean namely the fact that there is no special notional designation for this word and it is used only as a lexeme in meaning of "hard work". On the other hand, the root-morpheme **-rj-** (→ old **gan-rj-a**) clearly shows the same shared semantics as it really represents itself as the member of the synonymous pair **garja** and **ghvatsli** as "a rep-

representative" of the lexical-semantic nest of the root "saj" which in its turn represents a bearer of the semantics of the words **rjuli**, **tsesi** ("meaning: religion, law, religious doctrine").

II. Though, from this point of view, it is important to consider also the term from the Georgian church terminology, representing member of the synonymous pair, namely the Georgian terms: **Morchili** denoting one "who passes the preparation period for becoming a blessed" and **Msaxuri** "church servant", as a monk or as a priest.

The presented analytical material makes clear that the georg. **Morchili** "Novice" and georg. **Msaxuri** "Servant" could be names for the things those are under obedience of somebody or something. Georg. **Msaxuri** "Servant" – **servant** was a person who did the charitable work, and georg. **Morchili** "Novice" was a person who believed in confession or a person who is under obedience of confession. Such explanation of the given words are confirmed by the theological material.

„სახელი ორმაგ ძალას შეიცავს:
ერთი მხრივ, ცოცხალი ღმერთის შეგრძნებას და,
მეორე მხრივ, მის შესახებ ცოდნას“

არქიმანდრიტი სოფრონი (სახაროვი)

სამყარო თავისი მშვენიერებითა და მრავალფეროვნებით გვიქადაგებს, რომ იგი ჭეშმარიტად ღვთის ქმნილებაა. ქადაგებენ ერები და, ბუნებრივია, ქადაგებს ის ენაც, რომლის მატარებელიცაა მქადაგებელი ერი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქადაგებს **სიტყვა – სიტყვა ქართული!**

ყოველი ადამიანი, როგორც წესი, გაცხოველებული ინტერესით ეკიდება სიტყვის, მით უფრო – მშობლიური სიტყვის წარმომავლობას და მის თავდაპირველ მნიშვნელობას (სემანტიკას), რაც საკუთარი წარმოშობის („თავი თვისი“) ძიების ბუნებრივი გამოვლინებაა.

ადამიანის მსგავსად, სიტყვასაც აქვს „ხორცი“ – ფორმა, და „სული“ – მნიშვნელობა. სიტყვაც იბადება, ვითარდება, გაივლის სიმნიშვნის ხანას, თავისი მრავალსაუკუნოვანი „ღვანლით“ მკვიდრდება სიტყვის, ანუ ენის საუფლოში, ბერდება, იცვლება, გარდაიცვლება და „მეორედ შობასაც“ ეზიარება... და ყოველივე ამას „გვიამბობს“ თავად სიტყვა – თავისი ფორმისა და შინაარსის ისტორიული განვითარებით, რაც, არსობრივად, მის ერთგვარ ავტობიოგრაფიას შეადგენს.

სიტყვის სემანტიკის კვლევა საგულისხმოდ წარმოაჩენს თავდაპირველი სიტყვათშემოქმედების მოტივს, სემანტიკური ცვალებადობის განმსაზღვრელ ლინგვისტურსა თუ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს. სიტყვის სემანტიკური განვითარების სკალაზე აღიბეჭდება სიტყვათშემოქმედი ერის ისტორიული, რელიგიური, საზოგადოებრივი, სოციალური, ყოფითი და სხვა მისთანა ას-

პექტები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ერის ისტორია კაცობრიობის ქრისტიანიზაციის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. საქართველოში შემობრძანებული ქრისტიანული სიტყვა და მოძღვრება ათასშვიდასწლოვანია და, შესაბამისად, ქართული სიტყვითაც აღიბეჭდება ჩვენი ეთნოსის ძველისძველი, წარმართული და ქრისტიანული საფეხურები, ქართველთა ნიშანდობლივი ეროვნული ფსიქოლოგია და ტრადიციები.

ყოველივე ეს, თავის მხრივ, ქართული სიტყვის და, მაშასადამე, ქართული ენის „სულის“ სფეროს განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი საანალიზო მასალა, მთლიანობაში, ცხადყოფს ქართული ენისა და ქართველი ერის მნიშვნელოვან წვლილს კაცობრიობის, კერძოდ, ქრისტიან ერთა სულიერ განვითარებაში.

ამ მიმართულებით კვლევის ნაყოფიერება გაცილებით წარმატებულია, თუკი საკვლევ ობიექტს შეადგენს სინონიმები, კერძოდ – სინონიმურ წყვილთა თანხვედნილი და უკუფენილი სინქრონიულ-დიაქრონიული სემანტიკური ფუნქციონირება. ამასთან ერთად, ამგვარი კვლევის შედეგებს ბევრად უფრო სარწმუნოს ხდის სათანადოდ მომარჯვებული **რწმენისა და ცოდნის მრჩობლად გაერთიანების საუკუნოვანი წესი**, რომლის გააქტიურება, ვფიქრობ, გადაუდებელ საზრუნავად უნდა იქცეს სამეცნიერო-კვლევით ყველა სფეროსა და საქმიანობაში.

საერო და საღმრთო სიბრძნე ერთხმად აღიარებს და გვარწმუნებს, რომ ღვთივბოძებული შემოქმედებითი ნიჭის გამრავლებასა და განვითარებას საგრძნობლად აფერხებს რწმენისა და ცოდნის, რელიგიისა და მეცნიერების დაშორიშორება და გახლეჩა. სარწმუნოა ისიც, რომ ამ ორი დარგის გასაერთიანებლად საკმარისი იქნება, მეცნიერებამ გაიფართოოს საკუთარი სფერო (შიურე, 1914, გვ. 15), ასევე – გულისხმიერებით მოეკიდოს არა მარტო უხილავისა და ხილულის, ღვთიურისა და ადამიანურის, სულისა და ხორცის არსებობას, არამედ – მათს ეჭვმიუტანელ თავდაპირველ დაურღვევლობას.

რამდენადაც რწმენისა და ცოდნის გაერთიანების ზემოხსენებული აუცილებლობა, ფარულად თუ ცხადად, მეცნიერების ყველა დარგში აღიბეჭდება (იხ., მაგ.: ორჟონია, 2018; ჭანტურია, 2019; გიორგაძე, 2020), გადაუდებლად მიგვაჩნია, რომ ენის (*resp.* სიტყვის) მკვლევარმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, გულდასმითა და კეთილგონიერებით უნდა მოიძიოს, განიხილოს და გაითვალისწინოს **კაცობრივი სიტყვის საღვთისმეტყველო საფუძვლები** (იხ.: ღლონტი 2013; 2014; 2017; 2020).

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ უაღრესად საჭირობოროტო საკითხის გააქტიურებას ემსახურება ორი ქართული სინონიმური წყვილის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის მოკრძალებული ცდა.

I. ქართ.: გარჯა და ღვანლი:

მდიდარ ქართულ სინონიმშიკაში აშკარად გამოცალკევდება ჯგუფი, რომელშიც თავს იყრის კონკრეტული სემანტიკურ-ტიპობრივი ნიშნით შეწყვილე-

ბული სინონიმები (მაგალითად: **ძალა და ღონე; ცოდვა და ბრალი; ნიჭი და მადლი; მადლი და წყალობა; ნება და სურვილი; ამხანაგი და მეგობარი**, და სხვ.მრ.).

საგანგებო ყურადღებას იქცევს ამ სახეობის სინონიმურ წყვილთა ისტორიულ-ფუნქციური მადიფერენცირებელი მაჩვენებელი, კერძოდ: სინონიმურ მენწყვილეთა **ხილულისა და უხილავის, ხორციელისა და სულიერის, სანუთისოფლოსა და საღვთოს ნიშანდობლივი გამთლიანება**, რისი დამაჯერებელი მტკიცებულება მოგვეწოდება როგორც ქრისტიანული საეკლესიო ლიტურატურიდან (პატრისტიკა, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა, კატეხიზმო...), ისე ქართული კლასიკური მწერლობიდან (რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, გალაკტიონი...).

რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპის მომარჯვებით, შესაძლებელი ხდება, სარწმუნოდ განისაზღვროს ქართული ენობრივი არჩევანი ორი სინონიმური წყვილისა – **გარჯა და ღვანლი, მსახური და მორჩილი**, კერძოდ: მათი როგორც თავდაპირველი ფუნქციური სემანტიკის, ისე „მრჩობლი სინონიმიზაციის“ ლინგვისტური და საღვთისმეტყველო წანამძღვრები.

I. 1. ქართ. გ ა რ ჯ ა, გარჯილობა „სახელი გ ა რ ჯ ი ს, გ ა ი რ ჯ ე ბ ა ზმნათა მოქმედებისა. – დაუზარებლობა, მუყაითობა; შრომა, ჯაფა“ (ქეგლ, 2010) – განეკუთვნება **-სჯ-/-შჯ-/-რჩ-/-რჯ-** (< *-საჯ-) ძირ-მორფემებით წარმოებულთა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს (ასამდე ლექსიკური ერთეული), შდრ., მაგ.:

ძვ. ქართ. **განსჯა, განშჯა, განრჩა** „სასამართლო, «განკითხვა», **სჯული/შჯული, რჩული/რჯული** „კანონი, სამართალი; განაჩენი; სასჯელი, მოძღვრება“; **სამსჯავრო** „სასამართლო“; **სასჯულო** „სჯულისათვის, კანონისათვის განკუთვნილი, სჯულისა. ძვ. «სამართლის წიგნი»“ (ორბელიანი, 1991-1993; აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001); ასევე, ხევს. **დაღრჯულავს** „რჯულით წყვეტს სადავოს“ (ჭინჭარაული, 2005) და სხვ.

I. 2. საკუთრივ ქართ. გ ა რ ჯ ი ს ← ძვ. ქართ. **რჯა** „გარჯა“ (ორბელიანი, 1991-1993) და მისგან წარმოებულთა სემანტიკურ ველში დანიშნაურებულია სემანტემა: „მონდომებით, გულმოდგინედ განეული **ფიზიკური შრომა**“, შდრ.:

გარჯილი, გარჯანახული „1. ვინც (რაც) გასარჯეს ან გაისარჯა. – ნაშრომი; შრომაში მყოფი. 2. სადმე, რაიმე საქმეზე წასული, გაგზავნილი“; **გაირჯება** (← **გაისარჯა, გარჯილა** ზმნის მოქმედება) „შრომას, ჯაფას გასწევს, იზრუნებს, თავს შეინუხებს (რაიმეს გაკეთებით)“ და ქართ. **ჯაფა** (← არაბ.) „მძიმე შრომა“ (ქეგლ, 2010) და სხვ.

თუმცა, **გარჯის** ზემომოხმობილი სემანტიკური მონაცემიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა-ცნება, თავდაპირველად, **რჯულისმიერ-რჯულმდებლობითი** დანიშნულებით იყო მოსილი, რაზეც თვალსაჩინოდ მიგ-

ვანიშნებს ქართ. **გარჯის** არაერთი საგულისხმო ლექსიკოგრაფიული განმარტება, სათანადო წყაროთა დამონშებით, მაგ.:

გარჯა „მოუსვენებლობით(ი) შრომა“, შდრ.: **სარჯულო** – „(1, 6 ზაქარ. Z) შჯულის საქმე“; „მოღვაწეობა, მომჭირნეობა; ზრუნვა, ღვანლი; შრომა, გარჯილობა“; „თავდადებით შრომა“; **გარჯილი** „ნამსახური“ და **გარჯილობა** „ნამსახურობა“; **გასამრჯელო** „შრომის ფასი“ (ორბელიანი, 1991-1993; ჩუბინაშვილი, 1984; ჩუბინაშვილი, 1961) და სხვ.

ქართ. **გარჯის** სინონიმური მენწყვილეა – **ღ ვ ა წ ლ ი** ← ძვ.ქართ. **ღუნა, ღუნოლა, ღუნლი**, პოლისემანტიკით: „შრომა, გარჯა, ზრუნვა; ზედამდგომელობა; ბრძოლა, სიძნელე, სიმძიმე; გაჭირვება; სწრაფვა; ცდა; დარდი“ (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001; იმნაიშვილი, 1986), ასევე – „საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის განეული შრომა; ამაგი, სამსახური“; შდრ.: ქართ. **სამსახური** „ვისიმე ან რისამე კეთილდღეობისათვის საქმიანობა, – მოღვაწეობა, ღვანლი“ (ქეგლ, 1950-1964), შდრ.:

ერთი მხრივ, ძვ. ქართ.: **ღუნლი** „არს დიდად გაჭირებული საქმე ბრძოლისა, გინა სათნოებისა; ყოფა გაჭირებაში, შრომაში, ანუ ბრძოლაში“ და **ღვანლით / ღუნლისა მძლე** „გამარჯვებული ბრძოლასა შინა“ და, მეორე მხრივ – **სარჯელი, სასჯელი, საშჯელი** „საქმის მიჭირვება“ და **სარჯულო, საშჯულო** „შჯულის საქმე“; „მოღვაწეობა, მომჭირნეობა; ზრუნვა, ღვანლი; შრომა, გარჯილობა“ (ორბელიანი, 1991-1993; ჩუბინაშვილი, 1984; ჩუბინაშვილი, 1961) და სხვ.

I. 3. წარმოდგენილი ქართული სინონიმური წყვილის – გარჯისა და ღვანლის – ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზიდან გამომდინარე, იოლად ამოიცნობა მათი ამოსავალი სემანტიკით ჩენილი ის რჯულისმიერი ფუნქციონირება, რომელიც დღეისათვის შენარჩუნებული აქვს ქართულ სიტყვა-ცნებას – ღვანლი (← ძვ.ქართ. ღუნა, ღუნოლა), მისი საეკლესიო-საღვთისმეტყველო სემანტიკური ნიშანდებით:

„საკუთარი სულის გადარჩენისათვის განეული და ქრისტესთვის მადლიერებით შეწირული შრომა-გარჯა, გაჭირვება, განსაცდელი და ბრძოლა, ანუ **ჭეშმარიტი ქრისტესმიერი ცხოვრების რჯულისმიერი წესის ღირსეულად აღსრულება**“.

სიტყვა-ცნება **ღვანლის** სწორედ თავდაპირველმა **რჯულისმიერმა სემანტიკურმა ფუნქციონირებამ** განაპირობა ის, რომ ჩვენს ყველა სახელოვან მამულიშვილს მადლიერებით უწინარესად ვიხსენიებთ – „**ღვანლ-მოსილად**“, რამეთუ მან თავისი ღვთივბოძებული ნიჭი საკუთარი სამშობლოსათვის ამრავლა დიდებული ღვანლით: თავდადებული მუშაკობით, განსაცდელთა თმენით, ხილულ თუ უხილავ მტერთან ბრძოლაში გამარჯვებით, და ესე ყოველი – თავგანწირულად, სიხარულით შესწირა ქართველი ერის კეთილდღეობას.

რაც შეეხება ამავე სინონიმური წყვილის მეორე შემადგენელს – ქართ. **გარჯას**, დღეისათვის იგი არ იმოსება საგანგებო ცნებითი ფუნქციონერებით, და ოდენ „მიძიმე შრომის“ აღმნიშვნელ ლექსემადაა დამკვიდრებული.

თუმცა, მეორე მხრივ, **-რჯ-** ძირ-მორფემის ზემოგანხილული ამოსავალი სემანტიკის გათვალისწინებით, ქართ. **გარჯით** გამჭვირვალედ აღიბეჭდება მისი სინონიმური მენწყვილის (**ღვანლის**) მსგავსი ზიარი სემანტიკა – „(საკუთარ თავზე აღებული, სავალდებულოდ აღსასრულებელი) **რჯული, წესი**“.

II. ქართ.: მორჩილი და მსახური:

ამავე თვალსაზრისით, არანაკლებ საგულისხმოა ქართულ საეკლესიო ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული **მორჩილი**, რომელიც ასევე განეკუთვნება ზემოდასახელებულ **-სჯ-/-შჯ-/-რჩ-/-რჯ-** (< *-საჯ-) ძირ-მორფემებით წარმოებულთა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს, შდრ.:

ქართ. **მორჩილი** „1. ვინც ან რაც ემორჩილება (ვისმე ან რასმე), – სხვისი ნება-სურვილის უხმოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად აღმსრულებელი; გამგონე, დამჯერი; 2. მომცრო, პატარა. 3. ძვ.ეკლ. „მონასტერში ძმათა მსახური“; „სამონაზვნოდ განმზადებული“ (ქეგლ, 1950-1964); შდრ. ასევე:

ძვ.ქართ. **მორჩილი** „სხვისი ნების მყოფელი; <<დამორჩილებული>>, გამგონი, მსმენელი; მიმდევარი; დამჯერი“; „უაღრესთა ნების აღმასრულებელი; მარჯვე; // მსუბუქი, მომცრო (ნივთი); მონასტერში: ძმათა მსახური“. შდრ.: **მორჩილება** „აღსრულება ნებისა ანუ ბრძანებისა უაღრესთასა (საქმ. 5, 29; ვეფხისტ. 15, 50)“ (ორბელიანი, 1991-1993; აბულაძე, 1973; ჩუბინაშვილი, 1984; ჩუბინაშვილი, 1961; სარჯველაძე 2001).

ქართ. **მსახური** „1. ვინც ემსახურება ვისმე ან რასმე; 2. ძვ. ოჯახში ან დანესებულებაში დაქირავებული პირი, რომელიც ემსახურება დაქირავებულს. – ხელზე მოსამსახურე; შინამოსამსახურე; 3. რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი“. კერპთმსახური (ქეგლ, 1950-1964), „საეკლესიო მსახური: ბერად აღკვეცილი, მღვდლად ნაკურთხი“. შდრ., ასევე:

ძვ. ქართ. **მსახური** „(+8, 4 გამოსლ. ZAa) უფლის შინაყმა ZAaBCb“; „მხლებელი; მოსამსახურე (მათ. 22, 13 და 26, 58; ლუკ. 1,2; ებრაელ 8, 2; ფსალმ. 103, 4)“, შდრ.: **მსახურება** „ღვთის მსახურება (საქმ. 20, 25; რომ. 15, 29), ეკლესიურს ლოცვას გარდავიხდი (ლუკ. 1, 23) ან თაყვანის ვჰსცემ (საქმ. 17, 22, 25)“ (ორბელიანი, 1991-1993; აბულაძე 1973; ჩუბინაშვილი, 1984; ჩუბინაშვილი, 1961; სარჯველაძე 2001; იხ.: ლლონტი, 2005).

მორჩილი და მსახური დღეს ნაწილობრივ სინონიმას შეადგენს: მათი გადამკვეთი მნიშვნელობაა – „სხვისი ნების აღმსრულებელი“. ამასთან, **მსახურს**, მნიშვნელობით: „ადამიანი, რომელიც ასრულებს ვისიმე ნებას“, – თვალსაჩინო სემანტიკური მინიშნებით ემიჯნება **მორჩილი**: „ის, ვინც უდრტვინველად, წინააღმდეგობის გაუწევლად აღასრულებს სხვის ნებას“ (ქეგლ, 1950-1964).

მორჩილიც და მსახურიც სხვისი ნების აღმასრულებელი არიან – ეს ამ სინონიმური წყვილის ან უკვე განზოგადებული სემანტიკაა, რომელიც, ცხადია, თავდაპირველი განსაზღვრული მოტივით იშვა, კერძოდ: **მორჩილი** და **მსახური** კონკრეტულად ვისიმე ან რისიმე მორჩილების ქვეშ მყოფის სახელდება უნდა ყოფილიყო.

პასუხს ითხოვს შეკითხვა: ვ ი ს ან რ ა ს გულისხმობდა ჩვენი დიდებული სიტყვათმემოქმედი იმ „სხვაში“, რომლის ნების აღმსრულებლის სახელდების ჟამს მან მოიხმო სინონიმური წყვილი – **მსახური** და **მორჩილი**?

ამ შეკითხვაზე პასუხს ეს ორი ქართული სიტყვა-ცნება უკვე თავიანთი საკმაოდ გამჭვირვალე ფუნქციურ-სემანტიკური მონაცემით გვიპასუხებს.

II. 1. მორჩილი:

მორჩილი – ვნებითი გვარის მიმღობაა. **მორჩილია** „ის, ვინც რჩოლაშია“, „ვინმეს მორჩილების ქვეშაა“, შდრ.:

ძვ.ქართ.: **რჩოლა** „ყურადღება, სმენა, დაჯერება“, **მორჩილი** „დამჯერი, გამგონი, მსმენელი, მიმდევარი“, **შერჩულვა** „დამოძღვრა, დარიგება“, **სჯული** „კანონი, სასჯელი, მოძღვრება“, **რჩულიერი** „კანონიერი“ და **რჩეული** „გამორჩეული; საუკეთესო“; **რჩულ-მართალი** „მართლ-მადიდებელი“ და სხვ. (ორბელიანი 1991-1993; აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001).

სულხან-საბა ორბელიანი ლინგვისტურ დაკვირვებას გეთავაზობს: „**შჯული** – სჯული, რჯული, რჩული – ყოველივე და იგივე ერთ არიან; ესენი ყველაკა ერთისა სახელივე არს“. ქართველი ლექსიკოგრაფი **შჯულის** იმგვარ განმარტებას გვანვდის, რომელიც თითქმის სრულად ემთხვევა **მსახურისა** და **მორჩილის** დღევანდელ მნიშვნელობებს: „**შჯული** – არს სიტყვა მბრძანებლობით ვიდრემე, რომელ რომელთა ჯერ-არს ქმნაჲ, და უარ-მქმნელი **უშჯულო** არს“.

შჯული და **უშჯულოც**, მსგავსად ანტონიმებისა – **სახიერი** და **უსახური**, მრავლისმეტყველ სემანტიკურ ინფორმაციას გვანვდის: თუკი **უშჯულო** – რჯულის არ-მქმნელია, მაშინ **მორჩილი** – რჯულის აღმსრულებელი ყოფილა, რადგან ვინც **რჯულშია** (**რჩოლაშია**), **რჯულის ქვეშაა**, იგი, ცხადია – **ქრისტეს რჯულის მიმდევარია**. სულხან-საბას ბრძანებით, **რჯული** ის „ნაბრძანები“, ანუ **ნამცნები სიტყვაა** (კანონია, წესია), რომელიც უთუოდ უნდა აღსრულდეს, რადგან **რჯული** – **უცილობლად აღსასრულებელი წესია**.

აქედან გამომდინარეა ძვ.ქართ. ცნება-ტერმინი **მერჩულე** – „რჯულის მცოდნე და რჯულის კანონის დამდები“; შდრ.:

ერთი მხრივ, ფშ. **მერჯულე** „ამა თუ იმ რჯულის მსახური, ადათების მცოდნე; მოძღვარი“, ფშ. **მორჯულე** „რჯულის, ჩვეულებებისა და წესის დამდები“, ფშ., ხევს. **არჯულებს** „წესად, რჯულად დებს“, ხევს. **დაღრჯულავს** „რჯულით წყვეტს სადავოს“ და, მეორე მხრივ – ხევს. **განასაჯობა** „გარჯილობა, დამსახურება“.

სახისა და რჩოლის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა მონაცემები:

ქართ. **სახ-** [* **სახ-**] „სახვა“ შესატყვისია სვან. **სახ-/სხ-** „ჩასახვა, კეთებისა“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000). მაშასადამე, სვანურს შემოუნახავს **სახის, სახიერების** ძველი მნიშვნელობა – „საქმე; საქმით კეთილმოქმედება“.

რაც შეეხება **რჩ-** > **რჩოლას**, მეგრულში მას შეესაბამება **რჩ-** > **რჩქილი** „მოსმენა“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000); შდრ.: მეგრ. **მრჩქილე** „მსმენელი“, ძვ. ქართ. **რჩოლა** „ყურადღება, სმენა, დაჯერება“ და **მორჩილი** „დამჯერი, მსმენელი, მიმდევარი (რჯულისა)“.

ასე რომ, **მორჩილი** ისევე გახლდათ **რჯულის (რჩულის)** დამჯერი, რჯულის მორჩილების ქვეშ მყოფი და, მაშასადამე – **რჯულის-მოქმედი**, როგორც **ცოდვილი – ცოდვის-მოქმედი**.

ყოველივე ზემოთქმულს უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს უკვე ხსენებულ ანტონიმთა სემანტიკური მონაცემი: **უსახური** „კეთილის უმოქმედო, კეთილის უყოფელი“ და **უშჯულო** „შჯულის უარ-მქმნელი“.

ფსალმუნში წერია: „შეიყუარე სიბოროტე უფროსს **სახიერებისა** და სიცრუე უფროსს სიმართლისა სიტყვსა. შეიყუარე შენ ყოველი სიტყუა დაქცევისა და ენა მზაკუვარი“ (ფსალმუნი 51, 5); „შეიყუარე სიმართლე და მოიძულე **უშჯულოება**“ (ფსალმუნი 44, 8).

ამ ფსალმუნისეულ მითითებათა ფონზე, თვალსაჩინოდ იკვეთება ზემოთ წარმოდგენილ ანტონიმთა სემანტიკაში უკუფენილად დაფიქსირებული **კეთილის, სახიერისა და შჯულის** თანხვედრილობა, კერძოდ: **ურჯულოც და უსახურიც**, მათი თავდაპირველი მნიშვნელობით, **რჯულის** „უარის-მქმნელნი“, არაღმსრულებელნი, რჯულის მიმართ ურჩნი არიან, ოღონდ პირველი არ იცავს რჯულს – **ურჯულოა**, ხოლო მეორე არ იქმს კეთილს, **უსახურობს**, და ამდენადაა – **ურჯულოებაში**.

II. 2. მსახური:

ქართ. **მწერლის** და ქართ. **მხატვრის** მსგავსად, ქართ. **მსახური** – მოქმედებითი გვარის მიმღობაა: **მსახურია** „ის, ვინც სახავს, სახით იქმს“; შდრ.: ძვ. ქართ.: **სახვა** „დადგენა, კვალვა, კვეთა“; **სახე** „ხატი, მსგავსი, მსგავსება, შესახედაობა, ბუნება, ნიშანი, ნიმუში, მაგალითი, იგავი; ვითარება, ნაკვალევი, თვისება, ჩვეულება; საქმე, წესიერება, მონაშობა“ (აბულაძე, 1973).

მსახური, თავისი მორფოლოგიურ-სემანტიკური აღნაგობით, გვკარნახობს, რომ იგი აღნიშნავდა „სხვისი ნების (საქმის) **სახით, სახიერად**, ანუ **სანიმუშოდ, სამაგალითოდ** აღმსრულებელს“. გავიხსენოთ, რომ ძვ. ქართ. **სახიერი (სახნიერი)** არის „კეთილი, სასარგებლო, კეთილის-მოქმედი, ტკბილი“, ხოლო **სახიერება** – „სიკეთე, სიკეთის ქმნა, კეთილის მოქმედება, სიმშვიდე, მონყალება“ (შდრ. ძვ. ქართ. **სახეტკბილობა** „მონყალება, სათნოება“).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც მსგავსი სემანტიკური სურათი იხატება: **სახიერი, სახნიერი** „კეთილ-სანახავი, საქმით კეთილმოქმედი“.

ფრიად საგულისხმოდ უსვამს ხაზს ამ მნიშვნელობას სულხან-საბასივე განმარტება **სახიერის** ანტონიმისა – **უსახური**, მნიშვნელობით: „კეთილის უმოქმედო, კეთილის უყოფელი გინა უსახო“ (ორბელიანი, 1991-1993).

სახის წარმოდგენილი პოლისემიით საგულისხმოდ იკვეთება მნიშვნელობა „კეთილი“ და „საქმე, კეთება“ (შდრ.: ქართ. მიმღეობური წარმოების **კეთილი** – „ის, რაც გაკეთდა“).

მაშასადამე, ქართველისათვის **მსახური** თავდაპირველად იყო ის, ვინც სიკეთეს, **კეთილს** იქმნოდა, ანუ **მსახური** – კეთილის-მოქმედი გახლდათ.

III. ამ ლინგვისტურ ანალიზს მრავლისმეტყველი საღვთისმეტყველო მასალა უნდა შევაშველოთ.

წმიდა სახარებაში უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს:

„არავინ არს **სახიერ**, გარნა მხოლოე ღმერთი“ (მარკოზი 10, 8; ლუკა 18, 19);

„ერთ არს **სახიერი** ღმერთი“ (მათე 19, 17).

წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, უფალი კაცთა შორის სახიერებას როდი უარყოფს, მან ადამიანი კი არ განაყენა სახიერებისაგან, არამედ თქვა: ღვთის სახიერების მსგავსი, ღვთაებრივი სახიერებით მოსილი არ იპოვებაო კაცთაგან (ოქროპირი, 2014, 239-240).

ქართულმა ენამ სწორედ **სახის** შემცველი ლექსიკური ერთეულით გადმოსცა და გააცხადა ერთადერთობა ღვთაებრივი სახიერებისა, რადგან **სახე**, უწინარესად არის ღვთივბოძებული – „ხატი, მსგავსი, ნიმუში. ბუნება და საქმე“.

თუმცა, წმიდა სახარებაში **სახიერად** ასევე იწოდება „კეთილი და სარწმუნო“ მონა, რომელმაც გაამრავლა („შესძინა“) ტალანტი და უფლის მონონებაც დაიმსახურა (მათე 25, 21-23). ასევე, წმიდა ლუკა მახარებელი იოსებ არიმათიელის შესახებ გვაუწყებს: „კაცი, სახელით იოსებ, მზრახველი, იყო კაცი, **სახიერი** და მართალი“ (ლუკა 23, 50).

აშკარაა, რომ **სახიერი** „მონაც“ და **სახიერი** „იოსებ არიმათიელიც“ **კეთილისმოქმედნი, სიკეთის მქმნელნი, ღვთაებრივი წესიერებით აღმსრულებელნი არიან – საქმისა**. მაგრამ რას იქმს საქმის ღვთაებრივი წესიერებით აღმსრულებელი? როგორ აღსრულდება ღვთაებრივი წესიერება კაცის ხელით ისე, რომ ეს საქმე ღვთის მიერ სათნოდ შეირაცხება?

ამ შეკითხვებზე პასუხი, ცხადია, წმიდა სახარებაშია საძიებელი. ამგვარი საქმის ქმნის ყველაზე სრულყოფილ მაგალითს თავად უფალი გვაძლევს. გავიხსენოთ, რომ იგი – **ძე კაცისა**, უპირველესად, **რჯულის** მართებულად აღსრულებას გვასწავლის. იესო ყრმობიდანვე მშობლების მორჩილებაშია. ცხრა ნეტარებიდან მოყოლებული, თავისი ქადაგებით, უფალი იესო შეგვაგონებს და განგვიმარტავს რჯულის სწორედაც რომ ღვთაებრივი წესიერებით აღსრულებას, რჯულის იმგვარ მორჩილებას, როდესაც ადამიანი რჯულს თვითმიზ-

ნობად კი არ აქცევს, კაცთა დასანახავად კი არ ისმენს და მისდევს რჯულს, არამედ – საქმით, სიყვარულითა და რწმენით აღასრულებს მას:

„ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჯსნად სჯულისა, გინა წინაწინარმე-ტყუელთა; არა მოვედ დაჯსნად, არამედ აღსრულებად“ – ამ სიტყვების შემდეგ უფალი დასძენს, რომ ცათა სასუფეველშიც იგი დამკვიდრდება და ის იქნება „დიდი“ უფლის წინაშე, ვინც მცნებებს, საღვთო რჯულს „ჰყოფს და ასწავლის“, ანუ სიტყვას და საქმეს მრჩობლად აღასრულებს (მათე 5, 17-19).

ასე რომ, რჯულის აღსრულების სრულყოფილი მაგალითი ქრისტიანისათვის უფალი იესო ქრისტეს კაცობრივი ცხოვრების წესით საცნაურდება.

ამ თვალსაზრისით, მდიდარი ჭაბუკის სახარებისეული ეპიზოდიც მრავლისმეტყველია. ეს ჭაბუკი უფალს შეკითხვით მიმართავს: „მოდღუარო სახიერო, რაჲ კეთილი ვქმნე?“, რათა საუკუნო ცხოვრება დავიმკვიდროო? სიკეთეთა შორის უდიდესად უფალი სწორედ რჯულის, ღვთის მცნებების ღვთივსათნოდ დაცვასა და აღსრულებას უსახელებს ჭაბუკს: „არა კაც ჰკლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა. შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“ (მათე 19, 16-22).

როგორც ვიცით, მდიდარი ჭაბუკი ნაღვლიანად ეუბნება უფალს, რომ იგი ყრმობიდანვე იცავს ამ მცნებებს... და: „რაღლა მაკლს მე?“ – ახლა ამას ეკითხება უფალს, ანუ იმას, ვინც „საუკუნო ცხოვრების“ ყოველი მნებებელისგან ელის ამ კონკრეტული საცხოვნებელი საქმის – რჯულის კეთილად აღსრულებას, და ამის წილ ჰპირდება ზეციურ ჯილდოს: „უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემომიდეგ მე“...

თუმცა, ამ ქრისტესმიერი პირობიდან გამომდინარე, ცხოვრების მაძიებელი მდიდარი ჭაბუკი არ არის რჯულის ღვთაებრივი წესიერებით აღმსრულებელი, რადგან ოდენ რჯულის აღსრულება პირველი საფეხურია სრულყოფილებისაკენ სავალ გზაზე მავალისათვის, მომდევნო საფეხური კი სიხარულით გაღებული მონაგებია ზეციური საუნჯის მოსაპოვებლად, რაც ამ ჭაბუკმა ვერ შეძლო (იხ.: ოქროპირი, 2014, 240-242).

ამიტომ ბრძანებენ წმიდა მამები, რომ ეს ჭაბუკი, სინამდვილეში, ემსახურება ვერცხლისმოყვარეობის კერპს, რადგან მან ვერ შეძლო მონაგების გაცემა, რამეთუ: „მდიდარ იყო ფრიად“, და ვერ თქვა უარი საკუთარ სიმდიდრეზე, ვერ გაიმეტა იგი გლახაკთათვის. ამ მიზეზით ვერ ვუნოდებთო მას „სახიერ მონას“, და არც რჯულის მორჩილიაო იგი – იმგვარი მორჩილი, ღვთაებრივი წესიერებით რომ აღასრულებს რჯულსა და მცნებებს, როგორც უფალი გვასწავლის:

„ძე კაცისაჲ არა მოვიდა, ვითარმცა ჰმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჯსრად“ (მათე 20, 28). წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, უფალი ამას შეგვაგონებს:

აი, როგორ უნდა ემსახუროთ ღმერთს, როგორ უნდა აღასრულოთ რჯული – მიიღეთ ჩემგან სახე, მაგალითი ამისა, რადგან მე – „მეუფემან ზეცისა მკედრობათამან და შემოქმედმან ყოველთა დაბადებულთამან, თავს-ვიდევე

განკაცება, შეურაცხ-ვიქმენი კაცთაგან – მონათა ჩემთაგან“, და სიკვდილიც მივიღე, იმისათვის, რომ თქვენ გიხსნათო!

წმიდა მამა იოანე გვევედრება, ვისმინოთ უფლისა, აღვასრულოთ ეს დიდებული უფლისმიერი პირობა – **სიყვარულით დავემორჩილოთ რჯულს და სახიერებით ვემსახუროთ ღმერთს**. სწორედ ეს არის ღვთივსათნო **მსახურება და მორჩილება**. უფალი იესო ქრისტეს სამსახოვანი ამქვეყნიური მსახურებაც ხომ ამის დასტურია: განხორციელებული ძე ღმრთისა იესო ქრისტე იყო – **რჯულის მორჩილი, მღვდელმთავარი და მკურნალი**.

ფიქრობთ, სწორედ ქრისტიანულ კეთილმსახურებასა და რჯულის კეთილად აღსრულებას გვიქადაგებს ქართული სინონიმური წყვილი – **მორჩილი და მსახური**. მართლმორწმუნე ქრისტიანი ქართველისთვის **მორჩილიც და მსახურიც** ის იყო, ვინც რჯულს სახიერად, კეთილად (ღვთაებრივი წესიერებით) მისდევდა, მორჩილად აღასრულებდა და, მაშასადამე – **რჯულისმიერი საქმით** იყო კეთილმოქმედი. კეთილის-მოქმედება, ქრისტიანული სწავლებით, უპირველესად ხომ ღვთის სატყვის და საქმის, ანუ **რჯულის კეთილად აღსრულებას**, ამასთან – მისი **მორჩილებით** აღსრულება, შდრ: ფშ. **რჯული** „სარწმუნოება“, **მერჯულე** „მოძღვარი“, ძვ. ქართ. **სჯული** „მოძღვრება“, **მორჩილი** „მიმდევარი (წესისა, რჯულისა)“.

დაბოლოს, საეკლესიო ტერმინოლოგიაში უაღრესად საგულისხმო სემანტიკური გადანაწილება განიცადა ამ დიდებულად შეწყვილებულმა ორმა სინონიმურმა ცნება-ტერმინმა – **მორჩილმა და მსახურმა**:

პირველი საფეხურია **მორჩილება** – სამონაზვნოდ განმზადებულს **მორჩილი** (კაბოსანი) ჰქვია. ამას მოჰყვება საკუთრივ **მსახურება**, რამეთუ – ბერად აღკვეცილი თუ მღვდლად ნაკურთხი **მორჩილი** – უკვე **ღვთის-მსახურია**.

დასასრულ, მოვიხმოთ ის ძველალექსისეული შეგონება, რომლითაც ისუ ზირაქი წუთისოფელში „დამწყვედელი“ ცოდვილის მიერ **კეთილგონივრული არჩევანის** საფეხურებრივ ფუნქციონირებას განგვიცხადებს, გვირგვინად კი ამ სანეტარო, **ღვთივმოსაწონი არჩევანის** ჩინებულ, სხარტ ფორმულირებასაც გვანდის (იხ.: სიბრძნე ზირაქისა 37, 16):

„დასაბამ ყოველთა საქმეთა – **სიტყუა** არს,
და მძღუარ ყოვლისა საქმისა – **ზრახვა** არს“,

სადაც ძვ.ქართ. **სიტყუა** იმ გონივრული განსჯისკენ გვახედებს (შდრ.: ძვ.ქართ. **სიტყუა** „მცნება; მოძღვრება; ნებართვა; საქმე“), რომელიც უცილობელი წინაპირობაა ცხონების ღირსყოფისათვის მისალეპი **არჩევანისა**, შდრ.: ძვ.ქართ. **ზრახვა**¹ „(გამო)რჩევა; ბჭობა; ნება; აზრი; ფიქრი; განზრახვა;

¹ შდრ. (ორბელიანი, 1991-1993): „**განზრახვა** (+ 14, 26 ესაია; 5, 19 ესაია ZAA) განზრახვა უკვე არს გამოძიება თვით ქმნულთათვის, არამედ წინა აღრჩევით(თ)ა, ვინავე განგულვებით წინათვე გამორჩეულთა საუნყო უკვე, რამეთუ განზრახვა უფროს ხოლო გულვებადთა და გამოსაძიებელთა ზედა იხილვების, არამედ წინა აღრჩევით წინათვე გამორჩეულთა გვარქმნილთა ზედა ZABC“.

ზრუნვა; განმარტება; არჩევანი“ (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001; სამოციქულოს განმარტება, 2006; გიგინეიშვილი, 2016)².

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბიბლია, 2015 – ბიბლია. ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისი: გამომცემლობა „ალილო“, გამომცემლობა „ქრონიკონი“ [ISBN 978-9941-0-8167-5].
- გიგინეიშვილი, ბ. (2016). – ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა - მ). თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბა“.
- გიორგაძე, კ. (2020). რელიგიისა და მენტალური ჯანმრთელობის ურთიერთმიმართების საკითხები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლში. საკვალი-ფიკაციო ნაშრომი, წარდგენილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე.
- იმნაიშვილი, ი. (1986). ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. ა. შანიძის რედაქციით. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ორბელიანი, ს.-ს. (1991-1993). ლექსიკონი ქართული, ტტ. I-II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“ [ISBN 5-520-00393-9 (ტ. I). [ISBN 5-520-00393-9 (ტ. II)].
- ორჟონია, ი. (2018). რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების შესახებ. რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, # 18, 2018, 72-92. თბილისი: „ფასეულობათა კვლევის საზოგადოება“ [ISSN 1512 – 3650].
- ოქროპირი, ი. (2014) – თარგმანება მათეს სახარებისა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი II, თბილისი: გამომცემლობა „ბეთანია“ [ISBN 978-9941-0-7207-9 (ორივე წიგნის)]. ISBN 978-9941-0-7209-3 (მეორე წიგნის).
- სამოციქულოს განმარტება. (2006). – სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ

² შდრ. ახ.ქართ.: „რჩევას ნუ ჰკითხავ შენს არაკეთილმოსურნეს და შენი მოშურნისაგან დაფარე განზრახვა შენი... ნუ ითათბირებ უღმერთოსთან – საღმრთოზე; ნურც ცრუსთან – სიმართლეზე; ნურც ზარმაცთან – გარჯაზე; ნურც ვაჭართან – ფარდულის გადადგმაზე; ნურც გამყიდველთან – ალებ-მიცემობაზე; ნურც შურიანთან – მადლიერებაზე; ნურც უმოწყალოსთან – მოწყალეობაზე; ნურც მცონარესთან – საქმიანობაზე; ნურც დაქირავებულ მუშასთან – სამუშაოს დასრულებაზე; ნურც უქნარა მსახურთან – მძიმე საქმეზე.

ამათგან ნურც ერთთან ნუ გამართავ სჯა-ბაასსა და თათბირს, არამედ მხოლოდ იმ ღვთისმოსავის რჩევა-დარიგება ირწმუნე, ვის შესახებაც გეცოდინება, რომ ღვთის მცნებებს გულმოდგინედ იცავს, შენს მსგავსად განსჯის ბოროტსა და კეთილს, და შენს მწუხარებას გაიზიარებს, თუკი დაეცი;

შენს გულისკარნახს დინჯად მიჰყევი, რადგან მასზე უფრო სანდო და სარწმუნო არავინ გყავს: საკუთარი სინდისი ხომ უფრო მეტად უნათებს ხოლმე კაცს გონებას, ვიდრე მალლობზე მსხდომი შვიდი მზვერავი.

ყოველივე ამისთვის კი ევედრე მაღალ ღმერთს, რათა ჭეშმარიტებით წარგიმართოს გზა, რამეთუ: ყოველი საქმის დასაბამი – გ ა ნ ს ჯ ა ა, საქმის კეთებას კი უწინამძღვრებს – ა რ ჩ ე ვ ა ნ ი “ (სიბრძნე ზირაქისა 37, 10-16).

- მცირის (კარიჭის ძის) მიერ, II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა. თბილისი [ISBN 978-9941-13-010-6].
- სარჯველაძე, ზ. (2001). ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. თბილისი: „სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა“ [ISBN 99928-77-14-6].
- ფენრიხი, ჰ. სარჯველაძე, ზ. (2000). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: „სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა“ [ISBN 99928-74-14-6].
- ქეგლ. (1950-1964). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ქეგლ. (2010). – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“ [ISBN 978-9941-10-083-3 (მრავალტომეული). ISBN 978-9941-10-285-1 (II ტომი)].
- ლლონტი, მ. (2005). *მსახურის და მორჩილის თავდაპირველი სინონიმისათვის*. II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის ცენტრი (მასალეზი), 139-141, თბილისი.
- ლლონტი, მ. (2014). ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო ასპექტები (ქართ. ზოგი და საზოგადოება; მოყვასი, მეგობარი და ამხანაგი; თანარადები და თანამდები). „ეტიმოლოგიური ძიებანი“, XI, 100-118. თბილისი: „თსუ გამომცემლობის სტამბა“ [ISSN 1987 – 9946].
- ლლონტი, მ. (2017). რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის (სიტყვა-ლოგოსი და სიტყვა-კაცობრივი). ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, „ენა და კულტურა“, II, 155-166. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“ [ISBN 978-9941-25-567-0].
- ლლონტი, მ. (2020). ძველი ქართული სახელდებისათვის „შესაქმე“. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული, III, 172-190. თბილისი: „თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა“ [ISBN 978-9941-9655-2-4].
- ჩუბინაშვილი, დ. (1984). ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ჩუბინაშვილი, ნ. (1961). ქართული ლექსიკონი. აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ჭანტურია, მ. (2019) – ისტორიის ღვთისმეტყველება, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული, II, 120-123. თბილისი [ISBN 978-9941-9473-9-1].
- ჭინჭარაული, ა. (2005). ხევსურული ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“ [ISBN 99940-820-0-0].

მერაბ ჩუხუა
Merab Chukhua

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ახნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

სტატიკურობის ფორმალური ნიშნისათვის
ქართველურში¹
On the Formal Marker of Statisticality in Kartvelian

საკვანძო სიტყვები: ქართველური ლინგვისტიკა, სტატიკური და დინამიკური
ზმნები, ზმნური ფორმათწარმოების პრობლემები

Keywords: Kartvelian Linguistics, static and dynamic verbs, problems of the verbal form
formation

¹ ნაკითხულია მოხსენებად აკად. ა. შანიძის 135-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (26.02.2022).

In Georgian linguistic reality, different classifications of Kartvelian verbs are known. According to Arn. Chikobava's classification, verbs are divided into two main classes: dynamic and static verbs. Dynamically considered is the class of verbs that convey the action - *xat-av-s* "he/she paints". At the same time, there is a static verb that indicates the statics of an action / situation – *xat-ia* "it is painted". According to A. Shanidze, the classification of verbs is related to the category of transitivity, and static verbs are grouped with intransitive verbs and form a single subclass - intransitives. Moreover, here static verbs are considered to be a subset of the passive voice and they are called static verbs of medial passive voice. But, if we share this theory, then the question arises as to which kind of voice we should attribute these verbs to: *t'ir-i-s* "weeps", *k'iv-i-s* "whires", *cekv-av-s* "dances", etc. In a situation like this we have to partially agree with Arn. Chikobava, who called them voiceless verbs. Clearly, *t'ir-i-s* "weeps" type verbs oppose each other in terms of dynamics / statics. However we can not agree with Arn. Chikobava's view that static verbs reflect the stage of language development when the verb denoted a state, and that state, like its quality, was unchanged over time. On the contrary, binary opposition: statics - dynamics was prevailing in the entire system of common Kartvelian origin from the very beginning. The case is that static verbs did not have the ability to have the time-mood of the aorist series (in Kartvelian reality, a formal expression of this, at the level of grammatical semantics, is also impossible). That is why in linguistic Kartvelology the terminology of the middle voice appears, which borrows this or that verbform from other types of (actually dynamic) verbs. Based on our observations, we can say that it was the limitation of form formation (formative production) of static verbs that created the solid ground due to which these types of verbs did not develop the morphological category of the voice. This assumption also works successfully in all Kartvelian subsystems, i. e. the verbs of the medial passive voice separated by Akaki Shanidze as an independent group by their origin are nothing more than static verbs, the peculiarity of which is that the verbs with different morphological status are opposed not by the voice but by the dynamics. The verbal form *t'ir-i-s* is not even a verb of the middle-active voice, but a static verb of the active voice, and does not even fill the forms of the second series *i-t'ir-a*, and so on, but has no aorist at all, nor can it have or ever had it. In fact, the verb *t'ir-i-s* is a static verb of the active voice and correlates with the forms of dynamic *i-t'ir-eb-s* / *i-t'ir-a* by dichotomy: static (*t'ir-i-s*) / dynamic (*i-t'ir-eb-s* / *i-t'ir-a*), the time difference is too late if it was functioning somewhere, or if it functioned at all. So it can be boldly said that the forms of *t'ir-i-s* - *a-t'ir-eb-s* type oppose each other not by voice but by the morphological category static-dynamics. In terms of voice, their partner / correlative is the verb *a-t'ir-d-eb-a* (*a-tir-d-a*), which is a form of the passive voice with a clearly expressed content of the inchoative in the present time. Thus, the forms are verbs of the active voice *t'ir-i-s* - *a-t'ir-eb-s* / *i-t'ir-eb-s*, which correlate with the form of the passive voice *a-t'ir-d-a*, while all the dynamic allomorphs taken together are dynamic forms of the *t'ir-* verb in contrast to the static verb *t'ir-i-s*. So, in Kartvelian reversibility (B. Jorbenadze), transitivity, causativity (from original)

and so on are separate independent morphological categories, the separation of which, in the classification of verbs, is conditioned by the necessary requirement of the factual situation (existence of the empirical material).

ქართულ ლინგვისტურ სინამდვილეში ქართველური ზმნის განსხვავებულ კლასიფიკაციები არის ცნობილი. არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციის მიხედვით, ზმნები იყოფა ორ ძირითად კლასად: *დინამიკურ* და *სტატიკურ* ზმნებად. დინამიკურად მიიჩნევა ზმნათა ის კლასი, რომელიც ქმედებას გადმოსცემს – ხატ-ავ-ს. ამავდროულად, სტატიკურია ზმნა, რომელიც ქმედება/მდგომარეობათა სტატიკის აღმნიშვნელია – ხატ-ია (ჩიქობავა, 1950, გვ. 51-60). ა. შანიძის მიხედვით, ზმნის კლასიფიკაცია გარდამავლობის კატეგორიას უკავშირდება და სტატიკური ზმნები ავტორთან გარდაუვალ ზმნებთან ჯგუფდება და ქმნიან ერთიან ქვეკლასს – *გარდაუვალი*. უფრო მეტიც, აქ სტატიკური ზმნები ვნებითი გვარის ქვეჯგუფად არის მიჩნეული და მათ სტატიკური ვნებითი ეწოდებათ (ა. შანიძე, 1980, გვ. 489). მაგრამ, თუ გავიზიარებთ ამ თეორიას, მაშინ საკითხი დგება, რომელ გვარს მივაკუთვნოთ ზმნები: ტირის, კივის, ცეკვავს და სხვ. მსგავს სიტუაციაში ნაწილობრივ უნდა დავეთანხმოთ არნ. ჩიქობავას, რომელიც მათ უგვარო ზმნებს უწოდებდა (ჩიქობავა, 1950, გვ. 51-60). ცხადია, ტირ-ის - ატირებს - იტირებს ტიპის ზმნები ერთმანეთს დინამიკურობა / სტატიკურობის მიხედვით უპირისპირდება. თუმცა ჩვენ ვერ გავიზიარებთ არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ სტატიკური ზმნები ენის განვითარების იმ საფეხურს ასახავენ, როდესაც ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო დროში. არა, ბინარული ოპოზიცია ზმნებში სტატიკა – დინამიკა იმთავითვე განმსჭვალავდა საერთოქართველური ფუძეენის მთელ სისტემას; უბრალოდ, სტატიკურ ზმნებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ჰქონოდათ აორისტის სერიის დრო-კილოები (ქართველურ სინამდვილეში ამის ფორმალური გამოხატვა, გრამატიკული სემანტიკის დონეზე, შეუძლებელიცაა). სწორედ ამიტომ ჩნდება ლინგვისტურ ქართველოლოგიაში ტერმინი *საშუალი გვარის ზმნები*, რომლებიც თითქოს ივსებენ (სესხულობენ) ამა თუ იმ მწკრივის ფორმას სხვა ტიპის (რეალურად დინამიკური) ზმნებისაგან. ბ. ჯორბენაძის აზრით, *ანუხებს - ნუხს* ტიპის ზმნები ერთმანეთს უპირისპირდება უკუქცევითობის თვალსაზრისით. *ანუხებს - უკუუქცევია*, ხოლო *ნუხს - უკუქცევითი*. დაპირისპირება მათ შორის ამჟამად მხოლოდ ფუნქციურია. უკუქცევითობის ნიშანი ი- მხოლოდ უღლების დროს გამოჩნდება (ჯორბენაძე, 1975, გვ. 79); მაგრამ საკითხავია და ანგარიშგასაწევია ის მოცემულობა, რომ *ნუხს-ს* ზმნას არ მოეპოვება აორისტის მწკრივები. ჩვენი დაკვირვებით, ირკვევა, რომ სწორედ სტატიკურ ზმნათა ფორმათმწარმოებლურმა შეზღუდულობამ შექმნა ის მყარი ნიადაგი/საფუძველი, რომლის გამოისობითაც ამ ტიპის ზმნებს არ განუვითარდათ გვარის მორფოლოგიური კატეგორია; ეს ვარაუდი ასევე წარმატებით ფუნქციონირებს ყველა

ქართველურ ქვესისტემაში, ანუ, ჩვენეული კვალიფიკაციით, აკაკი შანიძის მიერ დამოუკიდებელ ჯგუფად გამოყოფილი *საშუალი გვარის ზმნები* თავისი წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა სტატიკური ზმნები, რომელთა თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ განსხვავებული მორფოლოგიური სტატუსის მქონე ზმნებს უპირისპირდება არა გვარის, არამედ დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით. ტირ-ი-ს ფორმა საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნა კი არ არის, არამედ მოქმედებითი გვარის სტატიკური ზმნაა და კი არ ივსებს მეორე სერიის ფორმებს ი-ტირ-ა და ა.შ. ფორმებით, არამედ საერთოდ არა აქვს აორისტი და არც შეიძლება, რომ ჰქონდეს ან ოდესმე ჰქონოდა. რეალურად ტირ-ი-ს ზმნა მოქმედებითი გვარის სტატიკური ზმნაა და დინამიკურ ი-ტირ-ებ-ს / ი-ტირ-ა ფორმებთან კორელაციას ქმნის დიქოტომიით: სტატიკური (ტირ-ი-ს) / დინამიკური (ი-ტირ-ებ-ს/ი-ტირ-ა), დროული სხვაობა კი, თუ ის სადმე ფუნქციონირებს ან ფუნქციონირებდა, მეტად გვიანდელია. ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტირ-ი-ს – ა-ტირ-ებ-ს ტიპის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა გვარის, არამედ სტატიკურობა-დინამიკურობის მიხედვით. გვარის თვალსაზრისით მათი მენყვილეა/ცალია ა-ტირ-დ-ებ-ა (ა-ტირ-დ-ა) ზმნა, რომელიც ვნებითი გვარისაა ანმყოში ინხოატივის აშკარად გამოხატული შინაარსით. ასე რომ, ფორმები ტირ-ი-ს - ა-ტირ-ებ-ს/ ი-ტირ-ებ-ს მოქმედებითი გვარის ზმნებია, რომლებიც ვნებითი გვარის ა-ტირ-დ-ა ტიპის ფორმას უპირისპირდება, ხოლო ყველა ერთად აღებული დინამიკური ცალეზბია სტატიკური ტირ-ი-ს ზმნის საპირისპიროდ. ასე რომ, ქართველურ ენაკილოებში უკუქცევითობა (ბ. ჯორბენაძე), გარდამავლობა, კაუზატიურობა (თავდაპირველი) და სხვ. ცალკე მდგომი დამოუკიდებელი მორფოლოგიური კატეგორიებია, რომელთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ზმნათა კლასიფიკაციისას, ფაქტობრივი მდგომარეობის აუცილებელი მოთხოვნით (ემპირიული მასალის პოვნიერებით) არის შეპირობებული. ამდენად, ვფიქრობთ, სწორედ სტატიკურობა გახდა უმთავრესი საფუძველი/მიზეზი იმისა, რომ გარკვეული ტიპის ზმნებს არ ეწარმოებათ მეორე (აორისტის) სერიის მწკრივები ქართულ-ქართველურში; ასეთებად მიიჩნევა -ი-, -ობ-, -ია, (-ედ)-ებ-, -ავ-, -ა და ნულდაბლოებნიანი ზმნები ქართულში, -ი-: იტყვ-ი-ს, იც-ი-ს, უწყ-ი-ს, დ-ი-ს, ტირ-ი-ს, ზ-ი-ს/უ-ზ-ი-ს, რბ-ი-ს, ქრ-ი-ს... -ობ-: მეფ-ობ-ს, თამაშ-ობ-ს, (ს-)წყალ-ობ-ს, (ჰ-)ყვარ-ობ-ს, (ს-)წუნ-ობ-ს, ორჭოფ-ობ-ს... -ია-: აბ-ია / უბ-ია, აგ-ია / უგ-ია, აგდ-ია / უგდ-ია, ასვ-ია / უსვ-ია, აფენ-ია / უფენ-ია... (-ედ)-ებ-: მოქმ-ედ-ებ-ს, წარმო-ებ-ს... -ავ-: გორ-ავ-ს, ბრუნ-ავ-ს, ფრინ-ავ-ს, ძინ-ავ-ს, ღვიძ-ავ-ს, ახლ-ავ-ს, უჭირ-ავ-ს, ბრწყინ-ავ-ს, ხურ-ავ-ს, ჰ-ბურ-ავ-ს... -ა-: დგ-ა-ს / ა-დგ-ა-ს / უ-დგ-ა-ს, ს-ტკივ-ა, (ს-)ცივ-ა, (ს-)ცვივ-ა, მინდ-ა... ნულოვანი: წევ-ს, ჭირ-ს, ძევ-ს, დევ-ს, იქმ-ს, იზამ-ს, ს-წამ-ს, აქვ-ს... ქართულის მარკირებული ფორმებიდან -ი-, -ია, -ავ და -ა უნდა გამოიყოს სტატიკურობის მორფოლოგიურ სუფიქსად (ფორმალურ ნიშნად) ენაში, რომელთაგან სამს (-ი-, -ავ, -ა) კანონზომიერი შესატყვისები უდასტურდება ქართველურ ენებში, შდრ. ზან. ორწყ-ენ / ონკ-ენ (ქართ. უწყ-ი-ს), ზან. ხ-ენ „ზის“ (ქართ. ზ-ი-ს), ო-ბ-უ-ნ (ხევს. ლ-ბ-ავ „აბია“),

ჯობ-ო-ნ / სვან. ხ-ა-ჟახ-ა „ჰქვია“, მეგრ. ოკ-ო-ნ / ლაზ. უნ-ო-ნ (სვან. ხ-ო- ნ-ა / ხ-ო-ნ-ი, ქართ. უნდ-ა)...

ერთი შეხედვით, მოულოდნელი ჩანს -ავ სუფიქსის სტატიკურობის მარკერად კვალიფიკაცია ქართულში, მაშინ, როდესაც იმავე სისტემაში -ავ დინამიკურ ზმნებში აქტიურად გამოიყოფა და ზმნათა უმრავლესობას სწორედ ის უდასტურდება დრო-კილოთა I სერიაში. ამავდროულად, მისი ფუნქციური მენყვილე -ამ (თემის ნიშანი) ზმნათა მეტად შეზღუდულ რაოდენობას ახასიათებს ქართულში (დგ-ამ-ს, სვ-ამ-ს, ჯვ-ამ-ს, ურტყ-ამ-ს, გამოთქვ-ამ-ს, იცვ-ამ-ს), რატომ? – მიზეზი ამისი უნდა ვეძებოთ არა მორფოლოგიაში, არამედ ქართულ ფონეტიკაში; ვგულისხმობთ მ → ვ დესონორიზაციის ფონეტიკური პროცესის შესაძლებლობას ისტორიულად, რომელიც დღემდე მოქმედი ფონეტიკური პროცესია ქართულში, შდრ. თანამედროვე ზამ- ზმნის ფინალური მ, რომელიც ზმნური ძირის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დაექვემდებარა მ → ვ ტრანსფორმაციას, – იზავ, ნაცვლად იზამ-ისა, შდრ. სვ-ავ-ს = სვ-ამ-ს... ანუ პროცესი, რომელიც ენაში ადრევე ამოქმედებულა ძირის ფარგლებში, გადმოსულია მორფოლოგიაშიც და თითქმის მთლიანად მოუცავს -ამ თემის ნიშანი. ამითვე უნდა აიხსნას -ამ თემისნიშნის ზმნათა რაოდენობრივი სიმცირე -ავ-თან შედარებით ქართულში. იმავე პოზიციის სხვა სახელური მაგალითებიც ამაზევე მეტყველებენ ქართულ-ზანურში, შდრ. ზან. ერცქემ-ი : ქართ. არჩე-ი, მაგრამ ქართ. არჩემ-, რომელიც გვარ-სახელ არჩემ-ა-შვილ-შია უცვლელად შემონახული (გიგინეიშვილი 1997, გვ. 87-94). გარდა ამისა, არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ ქართ. -ამ თემის ნიშანს უდასტურდება შესატყვისები ზანურსა და სვანურში: აბ-ამ-ს / ობ-უმ-ს / ხ-აბ-ემ... ხოლო ქართულ თემის ნიშან -ავ-ს კი შესაბამისი მენყვილეები არ უჩანს არცერთ ქართველურ ქვესისტემაში; საფუძველი ერთადერთია: ისტორიულად ოდენ ქართულში მოქმედი -ავ თემის ნიშანი ამოსავალი ამ-ის ფონეტიკური ვარიანტია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მ → ვ ფონეტიკური პროცესის წყალობით დაემთხვევა სტატიკურობის -ავ სუფიქსს ქართულში, ანუ არქაული კორელაცია -ამ თემის ნიშანი ~ -ავ სტატიკურობის ნიშანი შეიცვალა -ავ თემის ნიშანი ~ -ავ სტატიკურობის ნიშანი ოპოზიციით, რასაც მოჰყვა მორფოლოგიური ომონიმია ქართულში; სწორედ ამიტომ დღემდე აუხსნელი რჩებოდა, ერთის მხრივ, ღუპ-ავ-ს - ღუპ-ა (აორისტი) და, მეორე მხრივ, ბრწყინ-ავ-ს - ი-ბრწყინ-ა (ბრწყინ-ა შეუძლებელია) ფორმათა არსებობა ქართულში. თუ დავუშვებთ, რომ ბრწყინ-ავ-ს ტიპის ფორმებში -ავ სუფიქსი სტატიკურობის ზმნური ნიშანია, მაშინ ყველაფერი ნათელი ხდება, ვინაიდან სტატიკურ ზმნებს აორისტი არ ეწარმოებათ ქართულ-ქართველურში და არც არასოდეს ეწარმოებოდათ. ზანურ დიალექტებშიც სწორედ ქართ. -ავ სტატიკურობის ნიშანს უდასტურდება კანონზომიერი ფონეტიკურ-ფუნქციური შესატყვისი, შდრ. ქართ. ახლ-ავ-ს : ზან. ოხოლ-უნ, ძინ-ავ-ს : ჯან-უნ (შდრ. ძევ-ს / ჯან-ს „ნევს“)... ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სტატიკურობის ყველაზე გავრცელებული -ია (ძვ. ქართ. -იე-ს) ნიშნის ადგილს, როგორც სპეციალურ

ლიტერატურაში საგანგებოდ მიუთითებენ (ჭინჭარაული 1960, გვ. 136-137), ხევსურულ დიალექტში ყოველთვის -ავ სუფიქსი იკავებს: ხევს. ს-რტყ-ავ / სალიტ. არტყ-ია, ღ-ბ-ავ / აბ-ია, ს-ცვ-ავ - აცვ-ია, ასხ-ავ / ასხ-ია, ს-თეს-ავ / ს-თეს-ია, ხ-კრ-ავ / აკრ-ია, ხ-კიდ-ავ / ჰ-კიდ-ია, აკლ-ავ / აკლ-ია, ადგ-ავ / ადგ-ია (ადგ-ა-ს), ღ-ბარ-ავ / აბარ-ია, ღ-გ-ავ / აგ-ია, ს-წყვ-ავ / აწყვ-ია, ხ-ფენ-ავ / აფენ-ია, ს-წერ-ავ / აწერ-ია... ცხადია, ხევსურულის -ავ სტატიკურობის მოქმედი ნიშანია, რომელიც სალიტერატურო ქართულის უჭირ-ავ-ს, ს-ძინ-ავ-ს, გორ-ავ-ს, ბრწყინ-ავ-ს, დაფრინ-ავ-ს, ცურ-ავ-ს, ცეკვ-ავ-ს, ღვიძ-ავ-ს, ახლ-ავ-ს, ჰ-ხურ-ავ-ს, ჰ-ბურ-ავ-ს და ა. შ. სტატიკურ ზმნებშია შემონახული. სტატიკურობის ეს არქაული -ავ ნიშანი დასახელებული ტიპის ზოგიერთი ზმნისგან ნაწარმოებ მიმღობებშიცაა დამონშებული (გადაჰყვება მას), შდრ.: მ-ძინ-ავ-ი, მ-ღვიძ-ავ-ი, მ-გორ-ავ-ი, მ-ბრწყინ-ავ-ი, მ-ცურ-ავ-ი, მ-ფრინ-ავ-ი. მისი გავრცელების არეალი წარსულში გაცილებით ფართო უნდა ყოფილიყო. ამიტომაც სულაც არ არის უჩვეულო, როცა მიმღობაში -ავ გამოჩნდება, მაშინაც კი, როდესაც სათანადო ზმნურ ფორმათწარმოებაში ის [-ავ] არ არის დადასტურებული, შდრ. მო-მა-კვდ-ავ-ი, როცა {კვდ-ავ} სახეობის სტატიკური ზმნა უცნობია ძველი ქართულის ჩათვლით. რა სურათი გვაქვს ზანურში სალიტ. -ია / ხევს. -ავ სტატიკურ ფორმებთან მიმართების კუთხით? ზანური მორფოლოგია მიუყვება ხევსურულის ჩვენებას, განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ მეგრულ-ლაზურ ფორმებში მესამე პირის მარკერად -ნ გამოჩნდება, რომელიც დამახასიათებელი ჩანს სტატიკური ზმნების დრო-კილოთა ანმეოს წყებაში, შდრ.: ხევს. ს-რტყ-ავ / ზან. ორტყ-უ-ნ, ღ-ბ-ავ / ობ-უ-ნ, ასხ-ავ / ოშხ-უ-ნ, ს-თეს-ავ / გე-თეს-უ-ნ, ხ-კიდ-ავ / უ-კინდ-უ-ნ, აკლ-ავ / ორკ-უ-ნ, ადგ-ავ / გი-ოღგ-უ-ნ, ღ-ბარ-ავ / ობარ-უ-ნ, ღ-გ-ავ / ოგ-უ-ნ, ს-წყვ-ავ / გიონწყვ-უ-ნ, ხ-ფენ-ავ / გი-ოფენ-უ-ნ, ს-წერ-ავ / გი-ოჭარ-უ-ნ... ეს მეტად საყურადღებო და რელევანტური ჩვენებაა, ვინაიდან ფონეტიკური თვალსაზრისითაც ავ თანმიმდევრობას უ უნდა მოეცა ზანურში, შდრ. მომაკვდ-ავ- : მოღურ-უ (მოჭყუდ-უ და სხვ.). მეგრულ-ლაზური მორფოლოგია უფრო თანმიმდევრული ჩანს იმ მხრივაც, რომ -ავ-ის შესატყვისი -უ სტატიკურობის ნიშანი გარდამავალ სტატიკურ (მოქმედებითი გვარის) ზმნებშიც იჩენს თავს, მოქმედა, შდრ. მეგრ. ვ-ო-რთ-უ-ქ „ვაკეთებ“, ვ-ო-ტყ-უ-ქ „ვატყობ“... რომელთაც, როგორც სტატიკურ ზმნებს, აორისტის ფორმები არ მოეპოვებათ. ხევსურულის ჩვენება ნამდვილად არქაულია და ამოსავალ ვითარებას ინარჩუნებს საერთოქართულისთვისაც კი, რაც იმითაც მტკიცდება, რომ -ამ თემისნიშნისი ზმნები -ავ სუფიქსს დაირთავენ და ასე აწარმოებენ პირველი თურმეობითის ფორმებს: მ-ი-თქ-მ-ავ (მ-ი-თქვ-ამ-ს), და-მ-ი-დგ-მ-ავ (სალიტ. და-მ-ი-დგ-ამ-ს), შდრ. ზან. დომ-ი-დგ-უმ-უ-ნ, სტატიკური – ხევს. მ-ი-დგ-ავ : ზან. მ-ი-დგ-უ-ნ „მიდგას“... ვინაიდან -ია დაბოლოება სტატიკურობას აწარმოებს ქართულში და ყველა სახის ზმნა უღლებსას იმავე დაბოლოებას გამოიყენებს პირველ თურმეობითში, დღემდე არასალიტერატურო ფორმებად კვალიფიცირებული მო-მ-ი-კლ-ია და მ-ი-თქვ-ია... ტიპი ისტორიულადაც უფრო „სწორი“ წარმოება

გამოდის, ვიდრე მო-მ-ი-კლ-ავ-ს, მ-ი-თქვ-ამ-ს და ა. შ. ფორმები, შდრ. ხევს. მი-მ-ი-ც-ემ-ავ (სალიტ. მი-მ-ი-ც-ია) / ზან. მე-მ-ი-ჩ-ამ-უნ „მიმიცია“.

იმ ფაქტს, რომ ბრწყინ-ავ-ს, ცურ-ავ-ს, ბრუნ-ავ-ს და ა.შ. ტიპის ფორმებში -ავ სუფიქსი სტატიკურობის ზმნური ნიშანია, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს როგორც ქართული ზმნის უღლების ერთ-ერთ უძირითადეს კლასიფიკატორს, ვინაიდან სწორედ ქართ. -ავ სტატიკურობის ნიშანს უდასტურდება კანონზომიერი ფონეტიკურ-ფუნქციური შესატყვისი ქართველურში, შდრ. ქართ. ახლ-ავ-ს : ზან. ოხოლ-უნ, მაგრამ მანამდე კიდევ ერთხელ მოკლედ განვიხილოთ ქართული ზმნის პარადიგმათა კვლევის ისტორია.

პირველად ქართული ზმნის კვლევის ისტორიაში აკაკი შანიძემ წარმოადგინა გლობალური სისტემა ზმნების უღლებისა, სადაც ავტორი უღლების ოთხ ტიპს გამოყოფდა. ავტორის დრო-კილოთა სისტემაში ზმნათა კლასიფიკაცია გვარის მიხედვითაა წარმოდგენილი.

I ტიპი უღლება – მოქმედებითი გვარის ზმნები

II ტიპი უღლება – დინამიკური ვნებითები

III ტიპი უღლება – საშუალ-მოქმედებითი (ე. წ. მედიოაქტივი) ზმნები

IV ტიპი უღლება – საშუალ-ვნებითი (ე. წ. მედიოპასივი) და სტატიკური ვნებითები (ა. შანიძე, 1980 : 489).

მოგვიანებით დამანა მელიქიშვილი, რომელმაც შენიშნა ა. შანიძისეული სისტემის საკმაოდ წინააღმდეგობრივი ბუნება, მეტად ორიგინალური მიდგომის ფარგლებში ახალ პარადიგმას აგებს და სპეციალურ ნაშრომში „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ ზმნის უღლების კლასიფიკაციას დიათეზების (დიათეზა = რეფლექსივი და გვარი ერთად აღებული) მიხედვით ახდენს. ავტორი ფიქრობს, რომ სწორედ დიათეზა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციას და ამიტომაც მის საფუძველზე ენაში გამოიყოფა 3 დიათეზა:

I დიათეზა: არასრული და სრული კონსტრუქციის ანმეოს იდენტური სტრუქტურის (მოდელის) ზმნები – ავტოტივები და აქტივები, რომელთა MS ბრუნვაცვალებაა სერიების მიხედვით.

II დიათეზა: სრული კონსტრუქციის მქონე აბსოლუტურგარდაუვალი და რელატიურგარდაუვალი (ირიბგარდამავალი) დინამიკური ზმნები.

III დიათეზა: მეორეული, ინვერსიული (დატივური) კონსტრუქციის მქონე სხვადასხვა (ნარევი) სტრუქტურის ზმნები, რომელთა დიათეზა ზმნის პირების ინვერსიითაა მიღებული და ხშირად პირის დაკარგვის შედეგად ყალიბდება (მელიქიშვილი 2001 : 68).

ბოლოს კი ქართული ზმნის უღლების ახლებური სქემა წარმოადგინა მ. ნიკოლაიშვილმა. მკვლევარი ასკვნის, რომ ქართული ზმნის კონსტრუქცია განისაზღვრება არა S-ის აქტიურობა-პასიურობით, არამედ – გარდამავლობით. ავტორი თვლის, რომ ენაში დამონმებულ კონსტრუქციებს გარდამავლობა განსაზღვრავს და ამიტომაც პრობლემურ საკითხს განიხილავს არა ცალკეული ფორმის ან კატეგორიის მიხედვით, არამედ მთლიანობაში, კონსტრუქციების მიხედვით, რაც, მისი აზრით, არის კლასიფიკაციის ენობრივი საფუძველი.

წარმოდგენილ სქემაში ქართული ზმნის უღლების სისტემა ორ ძირითად კონსტრუქციად არის დაყოფილი: *ცვლადი* და *არაცვლადი*; რომელიც, თავის მხრივ, სხვა გრამატიკული კატეგორიების გათვალისწინებით, ორ ქვეჯგუფად დაიყოფა (ნიკოლაიშვილი 2012 : 86-87):

I ცვლადი:

1. გარდამავალი ზმნები (ხატავს, გრეხს, აშენებს, წერს და ა.შ.);
2. პოტენციურად გარდამავალი ზმნები (ცეკვავს, ცხოვრობს, ტირის, ჩივის და ა.შ.).

II არაცვლადი:

1. გარდაუვალი პირდაპირი წყობის ზმნები (იზრდება, თბება, ეფერება, ემალება და ა.შ.).
2. გარდაუვალი ინვერსიული წყობის ზმნები (მაქვს, მყავს, მიყვარს, მშობს და ა.შ.).

დაბოლოს, ჩვენი მხრიდან, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვიტყვით, რომ ზმნათა კლასიფიკაციის დროს არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნებიან საუღლებელი ზმნები ტრადიციული კვალიფიკაციით, მთავარია, გაირკვეს მხოლოდ ერთი მწკრივის (ანმყოფის/მყოფადის) ფორმები მოეპოვებათ ქართულში, თუ მათთვის დამახასიათებელია მეორე სერიის მწკრივებიც. ამისდა მიხედვით, ქართულში უნდა გამოიყოს უღლების **ორი ძირითადი ტიპი**.

I ტიპში შემოვა ყველა დინამიკური ზმნა (ხატავს, გრეხს, აშენებს, წერს, ხეხს, გლეჯს, ცვეთს, იზრდება, თბება, ეფერება, ემალება, ჯდება და ა.შ. და ა.შ.).

II ტიპის უღლებაში კი გაერთიანდება ყველა **სტატიკური** ზმნა, განურჩევლად გარდამავლობისა და ამა თუ იმ გვარის მორფოლოგიური კატეგორიების ქონა-არქონისა; ესენია: ა) ე. წ. სტატიკური ვნებითის ფორმები: აბ-ია, აკლ-ია, აგდ-ია, ხატ-ია, აბარ-ია, აბად-ია... ბ) ე. წ. მედიოპასიური ზმნები: დგ-ას, ჩ-ან-ს, ზ-ი-ს, დ-ი-ს, რბ-ი-ს, დევს, წევს, ძევს, სხედ-ან და ა.შ. გ) ინვერსიული წყობის ზმნები: მაქვს, მყავს, მიყვარს, მძულს, მსურს, მწყურია, მჭირს, მშურს, მახსოვს, მეშინია, მიხარია, მგონია, მშობს, მტკივა, მიხარია, მრცხვენია, მირჩვენია, შემძლია, მწყინს, მშვენის, მივის და ა.შ., დ) ამ ჯგუფშივე შემოგვაქვს ის ზმნები, რომელთაც მედიატიურ ზმნებს უწოდებენ: *სწავლობს, ცხოვრობს, ამხანაგობს, ცრუობს, ტყუის...* ე) *გარდამავალი სტატიკური, ე. წ. მწკრივში მონაცვლე ზმნები*: ნუხ-ს, ამბ-ობს, ყვარ-ობს, ჩქარ-ობს, თამაშ-ობს, ი-ტყვი-ის, ი-ც-ი-ს, უ-წყ-ი-ს, ი-ბრძვი-ის, ი-ქმ-ს, ი-ზამ-ს... ვ) **-ავ** დაბოლოებიანი ზმნები: უჭირ-ავს, ს-ძინ-ავს, გორ-ავს, ბრწყინ-ავს, დაფრინ-ავს, ცურ-ავს, ცეკვ-ავს, ღვიძ-ავს, ახლ-ავს, ჰ-ხურ-ავს, ჰ-ბურ-ავს... ზ) (-ედ)-ებიანი სტატიკური ზმნები: მოქმ-ედ-ებს, წარმო-ებს, სიამოვნ-ებს...

აქამდე ამგვარ დაყოფას ხელს უშლიდა გორ-ავს, ცურ-ავს... ტიპის ზმნათა საშუალო გვარის ფორმებად დასახვა, რომელთა რეალური ბუნების

დადგენა ქართველური დიასისტემების მონაცემთა ურთიერთშეპირისპირებითა და ადეკვატური ლინგვისტური ანალიზით გახდა შესაძლებელი.

ლიტერატურა:

- გიგინეიშვილი, ბ. (1997). ზოგი ქართველური სიტყვა-ფორმის რეკონსტრუქციისათვის, თბილისი: ეტიმოლოგიური ძიებანი, VI.
- მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.
- ნიკოლაიშვილი, მ. (2012). რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? – გამომცემლობა „სპეკალი“, 5.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ჩიქობავა, არნ. (1998). ქართული ენის ზოგადი დახასიათება. [II გამოცემა]; თბილისი: (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი) გამომცემლობა „ქართული ენა“.
- ჭინჭარაული, ა. (1960). ხევსურულის თავისებურებანი: ტექსტებითა და ინდექსით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბ. (1975). ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

გიორგი ქიტოშვილი
Giorgi Kitoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

სოფელ ვაზისუბნის ტოპონიმების სტრუქტურა¹
The Structure of Toponyms of Vazisubani Village

საკვანძო სიტყვები: ვაზისუბნის ტოპონიმები, ისტორიული სახელწოდება, მცენარის სახელები, გვარსახელები, სუპერსტრატული დანაშრევიები
Key words: Toponyms of Vazisubani, historical name, names of the plant, surnames, superstrate layers

¹ ნაკითხულია მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფ. ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე (28.02.2022).

The paper focuses on the structure of toponyms of Vazisubani village in Gurjaani Municipality (Georgia).² The historical name of Vazisubani is **Uriatubani**, and even earlier name is Ortubani.

According to contemporary data, there are 105 geographical names in Vazisubani. Their absolute majority are created on the Georgian lexical basis. **There are no superstratum layers.**

Special mention should be made of toponyms based on plant names. The very toponym **Vazisubani*** is derived from a plant name (vazi means vine in Georgian). The attribute in the genitive case (**vazis**) is combined with the modified noun (**ubani - district**). Another toponym based on the same principle is **Verkhvisubani*** (the district where a large asp tree used to stand. Verkhvi means asp in Georgian). In such toponyms, the root morphemes are written together (Apridonidze, 1983, p. 49). The toponymic nature of the noun will enhance if the consonantal part of the affix (-s) is lost, for instance: **Shvindi[s]qeli** (a place where cornelian cherries grow. Shvindi means cornelian cherries in Georgian).

Bardalos Akho*. According to one version, this toponym is derived from shrubs (thorns). Yet, in my opinion, the toponym appeared earlier, before the initial cultivation of land. On the given territory, a granular plant “bardalo” (cow vetch) was widespread (for the definition of cow vetch, see Maqashvili, 1961, p. 260). This plant is still found on the given area, and the toponym is, most probably, related to this plant.

Zimartli lands* - ploughlands at the beginning of the village. In Kiziqi dialect, Zimartli is a variant name of Zghmartli - medlar (Ghlonti, 1974, p. 127) which was widespread in this area.

Khurmis Mitsebi* - is a name of a vineyard, derived from a large persimmon tree which stood here (khurma is a Georgian name for persimmon).

Tkhilis Tskaro (nut spring), Tkhilis Khevi (nut ravine). In such toponyms, the semantics of the modifier is strong, and the modifier is not morphologically weakened. Based on Sh. Apridonidze, (Apridonidze, 1983, p. 58), like geographical names derived from anthroponyms and toponyms (cf: Gomebis Tsqaro – stall spring), the microtoponyms derived from plant names are given separately in the paper (in case the noun in the genitive is represented in its full form in the syntagm, e.g. Zimartlis Mitsebi). It should also be mentioned, that such place names rarely turn into macrotoponyms.

The majority of Vazisubani toponyms are patronymic oconyms, consisting of two roots. They mostly represent surnames obtained from nicknames and denote the residence of people under this or that surname or a territory belonging to the family having this or that surname: **Abazaanubani, Bragvadzian(t)ubani, Gognaanubani, Datu-naanubani, Tadiaanubani//Tadiantubani, Kanaanubani, Londriaan(t)ubani, Manani-**

² The material was recorded in 1979 by Prof. Ushangi Sakhltkhutsishvili. Based on this source, I enriched the material and identified the exact location of toponyms and the motivation of naming (the units identified by me are marked with an asterisk *).

aanubani, Mekokiaanubani, Mghebriaan(t)ubani, Revaziaanubani, Rostiaanubani, Solomniaanubani, Gharibaan(t)ubani, Shakaraanubani, Charakaanubani, Khechoaanubani.

On the initial stage of formation of toponyms, names and surnames are given in the form of a modifier in the genitive case, denoting possession. Therefore, the modifier and the modified are written separately, for instance: **Kakulaant Akho**. However, as we have seen, the syntagms of patronymic toponyms derived from names and surnames show a tendency to be written together (cf: Abazaanubani).

The syntagms are rarely combined in case of toponyms of possession derived from anthroponyms (nicknames): **Anakalo Lands*** (the lands that used to belong to Ana) and so on.

Some toponyms of the village under analysis (microtoponyms) denote possession of the geographical name (macrotoponym) itself: **Vazisubnis Khevi* (Vazisubani ravine) etc.** In the proper names of this type, the appellative, e.g.: **Khevi (ravine)** shows an attitude to the macrotoponym. Hence, the function of a toponym is expressed by the modifier (Vazisubani).

Thus, the superstratum layers are not found in the toponyms of **Vazisubani** village. The function of toponyms is usually expressed by patronyms, plant names and geographical names. Patronyms are mostly represented by nicknames, which have turned into names and surnames. Unlike the toponyms expressed by means of real names and surnames (personal names), the toponyms based on nicknames are usually written together. Some microtoponyms derived from plant names are given in the form of a syntagm.

სოფელი **ვაზისუბანი**³ მდებარეობს გურჯაანის რაიონში, ალაზნის მარჯვენა მხარეს. სამხრეთით ესაზღვრება სოფ. მუკუზანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – სოფ. ველისციხე, ჩრდილოეთით – სოფ. შაშიანი, დასავლეთით – ცივგომბორის კალთები. უშანგ სახლთხუციშვილის ჩანაწერების მიხედვით, სოფლის სახელწოდება თავდაპირველად **ორთუბანი** ყოფილა (ორ უბნად იყო დასახლებული). მოგვიანებით შეეცვალა სახელი, ურიათუბანი დაერქვა. ეს **ისტორიული სახელწოდება** 1735 წლამდეა შექმნილი, რადგანაც ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასში“ სწორედ ამ სახელითაა წარმოდგენილი (ბაგრატიონი, 1997, გვ. 4). ტოპონიმურ მასალასა და ხალხურ გადმოცემაზე დაყრდნობით, სოფლის სახელწოდება ებრაელ მოსახლეობას არ უნდა უკავშირდებოდეს. ცნობილია ტოპონიმის სახელდების მოტივი: კერძოდ, ხალხური გადმოცემით, ლეკიანობის დროს სოფლის ორი უბნიდან ერთი არ დახმარებია

³ მასალა 1979 წელს ჩაინერა პროფესორმა უშანგ სახლთხუციშვილმა, არსებულ წყაროზე დაყრდნობით შევავსე და დავაზუსტე ტოპონიმთა ზუსტი ადგილმდებარეობა და სახელდების მოტივაცია (ჩემ მიერ დაზუსტებულ ერთეულებს *-ით აღვნიშნავ).

მეორეს. ცუდი მეზობლობის გამო უბნის მოსახლეობას დაცინვით ურიები შე-
არქვეს, უბანს კი – **ურიათუბანი***. დროთა განმავლობაში უბნები შეერთდა,
სახელი კი ძველი, ურიათუბანი, დარჩა. თუ ამ გადმოცემას მივეწოდებით და გა-
ვითვალისწინებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ლეკიანობა ჯერ კიდევ
XVI საუკუნეში დაიწყო (ბერძენიშვილი, 1968, გვ. 9-10), გეოგრაფიული სახელი
ურიათუბანი XVI საუკუნის შუა წლებიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე
(1735 წლამდე) უნდა ჩამოყალიბებულიყო. როგორც ადგილობრივები აღნიშ-
ნავენ, ურიათუბანი, საბჭოთა მასშტაბით, ერთ-ერთი მოწინავე სოფელი ყო-
ფილა ყურძნის ექსპორტის თვალსაზრისით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით,
1951 წელს ურიათუბანს **ვაზისუბანი** დაერქვა (ქსე, ტ. IV, 1979, გვ. 270).

სოფელი **ურიათუბანი** მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა
გვიან შუა საუკუნეებში. იოანე ბატონიშვილის თქმით, 1757 წლამდე ურიათ-
უბანი საქრემლოს ეპარქიაში შედიოდა, ხოლო შემდეგ – ნინოწმინდისაში
(ბატონიშვილი, 1986, გვ. 69). 1930 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით,
სოფელი ურიათუბანი გურჯაანის რაიონს მიეკუთვნებოდა. მოსახლეობის
ძირითადი ნაწილი ეროვნებით ქართველი, ერთი მესამედი სომეხი, ხოლო
რამდენიმე სული რუსი და ლეკი გახლდათ (საქართველოს სსრ ადმინისტრაც-
ციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1961, გვ. 22).

დღევანდელი მონაცემებით, სოფელში 105 გეოგრაფიული სახელია. მათი
აბსოლუტური უმრავლესობა ქართული ენის ლექსიკურ ბაზაზეა წარმოქ-
მნილი, **სუპერსტრატული დანაშრევები არ იძებნება**. ქვემოთ განხილულია
ტოპონიმთა სტრუქტურული ჯგუფები.

სოფლის ტოპონიმური მასალიდან ყურადღებას იქცევს მცენარეთა სა-
ხელებით ნაწარმოები ტოპონიმები. თავად **ვაზისუბანიც*** მცენარის სახე-
ლისგანაა მიღებული. ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელი (**ვაზის**)
ისეა შეზრდილი საზღვრულთან (**უბანი**), რომ დაუცალკევებელი ფორმა
„გაქვავებულია“. ამავე პრინციპითაა ნაწარმოები **ვერხვისუბანი*** (უბანი სოფ-
ლის ცენტრში. მის ტერიტორიაზე დიდი ვერხვის ხე იდგა). აქაც მსაზღვრელ-
საზღვრული გამყარებული ფორმისაა, ამგვარად წარმოქმნილი ტოპონიმები
ერთად იწერება (აფრიდონიძე, 1983, გვ. 49). სახელის ტოპონიმურობის ხარისხი
გაიზრდება, თუ სართის კონსონანტური ნაწილი (**-ს**) დაიკარგება, მაგ.: **შვინ-
დიყელი** (ტყე მღვრიეხევის შუა წელზე. ბევრი შინდი იზრდება ამ ადგილებში).

ბარდალოს ახო* – სახნავი. ერთი ვერსიით, ლექსემა ბარდისაგან (ეკა-
ლი) მომდინარეობს. თუმცა ტოპონიმის სახელდება უფრო ადრეულ პერიოდში
უნდა ვივარაუდოთ, კერძოდ, მინის თავდაპირველ დამუშავებამდე („გატე-
ხვამდე“), აქ მარცვლოვანი მცენარე ბარდალო („ბარდალო – ცვალებადი ცერ-
ცველა“, განმარტებისათვის იხ. მაყაშვილი, 1961, გვ. 260) ხარობდა და დღესაც
დასტურდება მიმდებარე ტერიტორიაზე. სწორედ მას უნდა უკავშირდებოდეს
ეს ადგილსახელი. ახო, თავის მხრივ, „გაკაფულ საყანურს“ ან „საყანედ გაკა-
ფულ ადგილს“ ნიშნავს (ორბელიანი, 1991, გვ. 89; ელერდაშვილი, 2006, გვ. 98).

ზიმარტლის მიწები* – სახნავი სოფლის დასაწყისში, სამხრეთ ნაწილში. ქიზიყურ კილოში ზიმარტლი ზღმარტლის ვარიაციაა (ლლონტი, 1974, გვ. 127). ამ ადგილას ზღმარტლი ხარობდა.

ხურმის მიწები* – ვენახი ჩიხის გვერდით. ძველად ამ ადგილას დიდი ხურმის ხე მდგარა.

თხილის წყარო; თხილის ხევი. ამგვარ ტოპონიმებში ჯერ კიდევ ძლიერია მსაზღვრელის სემანტიკური დატვირთვა, იგი მორფოლოგიურად გაცვეთილი არაა. შ. აფრიდონიძის პრინციპის გათვალისწინებით (აფრიდონიძე, 1983, გვ. 58), ანთროპონიმებითა და ტოპონიმებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების მსგავსად (შდრ.: გომების წყარო), მცენარეთა სახელებით წარმოქმნილი მიკროტოპონიმებიც დაგნერეთ განცალკევებულად (იმ შემთხვევაში, თუ სინტაგმაში ნათესაობითში მდგომი სახელი სრულადაა წარმოდგენილი, მაგ.: ზიმარტლის მიწები). აღსანიშნავია ისიც, რომ მათში მაკროტოპონიმად ქცევისკენ მიდრეკილება ნაკლებად შეიმჩნევა.

ვაზისუბნის ტოპონიმების უმეტესი ნაწილი პატრონიმული ოიკონიმია. ტოპონიმები შედგენილი ფუძისაა. ძირითადად მეტსახელისაგან მიღებული გვარსახელითაა წარმოებული, შესაბამისად, აღნიშნავს გვარების ან შტო-გვარების საცხოვრებელ ადგილს, ან კუთვნილ ტერიტორიას: **აბაზაანუბანი, ბრაგვაძიაან(თ)უბანი, გოგნაანუბანი, დათუნაანუბანი, თადიაანუბანი// თადიანთუბანი, კანაანუბანი, ლონდრიაან(თ)უბანი, მანანიაანუბანი, მეკოკიაანუბანი, მღებრიაან(თ)უბანი, რევაზაანუბანი, როსტიაანუბანი, სოლომნიაანუბანი, ღარიბაან(თ)უბანი, შაქარაანუბანი, ჭარაქაანუბანი, ხეჩოაანუბანი.**

გვარსახელი ტოპონიმის ფორმირების პირველ ეტაპზე ნათესაობითში მდგომი კუთვნილების გამომხატველი მსაზღვრელის სახით გვევლინება. შესაბამისად, დაინერება ცალკე: მაგ.: **მახარიანთ ნაკალოვრები, კოტელაანთ კორომი, ტაკულაანთ ახო//კაკულაანთ ახო.** თუმცა, როგორც ვნახეთ, გვარსახელებით ნაწარმოები პატრონიმული ტოპონიმების სინტაგმები მიდრეკილია შეზრდისაკენ (შდრ.: აბაზაანუბანი).

ანთროპონიმული (მეტსახელით) მსაზღვრელით გამოხატულ კუთვნილებით ტოპონიმებში სინტაგმის შერწყმა ნაკლებ დამახასიათებელია: **ანაქალოს მიწები*** (ქალს ეკუთვნოდა, სახელად ანას), **ბერიას ახო***, **ბუის მიწები*** („ბუვი – დიდთვალეა და თმაგანწილი ადამიანი“ (სახლთხუციშვილი, 2003, გვ. 72), **კვანჭილას ახო***; **ნაგუცას მუხა***, **ბაბუკელი(ს)ბალი*** – ამ უკანასკნელში სუბსტანტიური მსაზღვრელის „გაცვეთა“ დასრულების პროცესშია (შდრ.: **გვერდიბოლო**). აქვე უნდა ითქვას, რომ სხვა შემთხვევებში ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგად გატოპონიმება ახასიათებს ატრიბუტულ მსაზღვრელსაც, მაგ.: **ბალახიანსერი***.

სოფლის ტოპონიმების ერთი ნაწილი თავად გეოგრაფიული სახელის კუთვნილებას გამოხატავს: **გომების წყარო*, გურგვალსერის აღმართი*, ვა-**

ზისუბნის ხევი*, კოდის წყარო. ამ ტიპის საკუთარ სახელებში აპელატივები (წყარო, აღმართი, ხევი) გვიჩვენებენ მაკროტოპონიმთან (იგულისხმება ფართობით შედარებით დიდი ტოპონიმი) მიმართებას. შესაბამისად, მაკროტოპონიმებელი ფუნქცია ამ უკანასკნელებს (გომების, გურგვალსერის, ვაზისუბნის, კოდის) ენიჭება.

ტოპონიმის სახელდებისას ხშირად გეოგრაფიულ გარემოს ექცევა ყურადღება იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ნიშნითაა გამორჩეული. ამ პრინციპით მიღებული სახელები დიდი ხნის წინათაა წარმოქმნილი. მათი ტოპონიმად ჩამოყალიბების პროცესი ყოველთვის დასრულებულია, მსაზღვრელი (ატრიბუტულიცა და სუბსტანტიურიც) ყოველთვის შეზრდილია საზღვრულთან:

გურგვალსერი* – ტყე გომების მიჯნაზე, ამოზურცულ ადგილას. მრგვალი ფორმისაა, „გურგვალი – მრგვალი“ (ლლონტი, 1974, გვ. 89).

ვინროკლდე* – ტყე მღვრიეხევის შუაწელზე, შვინდიყელის მოპირდაპირე მხარეს. ტყეში კლდის ვინრო მასაა ამოჭრილი.

მგლიზურგი* – ტყე სოფლის თავში, წილიანახევის მარცხენა მხარეს. მას მოჰყვება აღმართი, ამიტომ ეს ადგილი მგლის ზურგს ჰგავს (მგლიზურგი << მგლის ზურგი).

ტბანვერი – ტყიანი მთა სოფლის დასავლეთ ნაწილში, ჭერმის მიჯნაზე. მთის წვერზე წვიმის წყალი გუბდება პერიოდულად, ამიტომ უწოდებიათ ტბანვერი.

ზოგ შემთხვევაში ტოპონიმის წარმოქმნისას განმსაზღვრელი მნიშვნელობა გეოგრაფიულ გარემოს ენიჭება, თუმცა სახელდების პროცესი უფრო შორს არის წასული. გამოხატულია არა მხოლოდ კონკრეტული ლოკაცია, არამედ მრავლობითის - ებ სუფიქსის დართვით მარკირებულია (განსაზღვრულია) ამ ადგილის მიდამო ტერიტორიაც:

გუმბათები* – კლდე და მისი მიდამო მღვრიეხევიში. კლდე ეკლესიის გუმბათს წააგავს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა შორიდან ცქერისას. კლდესთან სიახლოვე განსაზღვრავს მის ირგვლივ მდებარე ფართობით დიდი ტერიტორიის სახელსაც.

ორმოები* – ტყე ნაზვავების ქვედა მხარეს, ხევის ნაპირზე. ძველად ამ ტყეში, ერთ ადგილას, ნახშირს წვავდნენ, რის გამოც მიწაზე ღრმულები (ორმოები) გაჩნდა, თუმცა სახელი ორმოები მთელ ტყეზე გავრცელდა.

-ებ სუფიქსით ასევე გამოიხატება ერთგვარ ტოპონიმთა სიმრავლე, მაგალითად, ალაფიანები მოიცავს რამდენიმე ვენახს:

ალაფიანები* – ვენახები ძეძვნარის გვერდით, გზის მოპირდაპირე მხარეს. პრეფიქსი ა- შორისდებულური წარმომავლობისაა (ალაფიანები << ა ლაფიანები), ხოლო ლაფი კახურ დიალექტში „სქელ ტალახს“ (სახლთხუციშვილი, 2002, გვ. 208) ნიშნავს. რესპონდენტების თქმით, ზაფხულშიც ტალახიანია ეს ტერიტორია, ხოლო ნოტიო ამინდში მუშაობა შეუძლებელი ხდება „ლაფის“ სქელი მასების გამო. ამავე ფაქტორის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს,

რომ ტოპონიმი არ არის წარმოქმნილი ლექსემა ალაფისაგან, „ალაფი – ნა-ტყვენავი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 78).

ნაქერლები* – ვენახი ბაბუკელიბაღის ბოლოს. ძველად ქერის ყანები ყოფილა დათესილი ამ ადგილას. სწორედ ყანების სიმრავლეზე მიგვითითებს -ებ სუფიქსი. გარდა ამისა, სახელი წინავითარებასაც გამოხატავს ნა-ალ კონფიქსის (შდრ. ნაქერლები << ნა-ქერ-ალ-ები) დართვით.

შარები* – გზა ალაზნის არხსა და ვენახებს შორის. ქიზიყიდან ფშავლისაკენ მიდის. მისი ძველი სახელია დიდშარები, რადგან რამდენიმე გზა გადიოდა ამ ადგილას.

სოფელ ვაზისუბანში გვხვდება გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ერთი კონკრეტული ტოპონიმიდან მომდინარეობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი ფუძესახელისაგან არიან ნაწარმოები:

1. მღვრიე – მთა ტბანვრის დაბლა, აღმოსავლეთით. მის კალთებზე მოედინება მღვრიეხევი.

მღვრიეხევი* – ხევი. სათავეს იღებს მღვრიედან, ტბანვრიდან. მიედინება აღმოსავლეთით, უერთდება ჭერემხევს დიდნაშეში, მარცხენა მხრიდან, შემდეგ კი სამგლეველთან – ალაზანს. ამინდის მიუხედავად, ყოველთვის ამღვრეულია.

მღვრივე წმინდა ვაზოვანი – მთა სოფლის დასავლეთ ნაწილში, ხევის მარცხენა მხარეს, ტყეში. გადმოცემით, ეს ადგილი მღვრიეხევის ძველი კალაპოტია. აქვე, სავარაუდოდ, ეკლესიის ნანგრევებზე, ამოსულა ვაზები (უსურ-ვაზები). ამიტომაც ეწოდება **წმინდა ვაზოვანი**.

2. ნათლიმცემელი* – ეკლესია სოფლის თავში, გოგნაანუბანში, მგლიზურგის ქვემოთ. ნათლისმცემლის სახელობისაა, დღეობა იმართება 7 ივლისს. თავადი ჭავჭავაძეების მიერ არის აგებული და მათივე სამარხია.

ნათლიმცემლის აღმართი – აღმართი მიემართება წილიანადან ნათლიმცემლისაკენ.

ნათლიმცემლის ხევი – ხევი ნათლიმცემლის მიდამოებში.

გეოგრაფიულ სახელთა ერთი ნაწილი სინონიმური მნიშვნელობისაა, შეესატყვისება ერთსა და იმავე ადგილს. სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავს სახელებს სინონიმურ ტოპონიმებს უწოდებენ (კემულარია, 2013, გვ. 78). სოფელ ვაზისუბნის სინონიმური ტოპონიმებია:

საბადური//საბადურის კრანჩხები* – ტყე, გორა ფშავლების ნაბინავრის თავზე, მარცხენა მხარეს. „კრანჩხი – კლდე“ (სახლთხუციშვილი, 2003, გვ. 203). ადგილობრივთა განმარტებით, კრანჩხი ჩამორეცხილ ფერდობს ეწოდება.

ტაკულანთ ახო//კაკულანთ ახო – ტყე, მინდორი სანაგირის ქვედა მხარეს. ტყეში მოქცეულ მინდორს მატიაშვილების ერთ-ერთი შტო (ტაკულანთ//კაკულანთი) იყენებდა სახნავად.

წილიანა//წილიანახევი//ვაზისუბნის ხევი* – ხევი, სოფელ ველისციხის მიჯნა. წალამურებთან უერთდება ალაზანს მარჯვენა მხრიდან. მოკლე და წვრილი, წილივით პატარა ხევია, ამიტომ უწოდებენ წილიანას.

ხვინჭიანის აღმართი//ხვინჭიანის დაღმართი – აღმართი (დაღმართი) მღვრიეხევთან, ტყეში მიმავალ გზაზე. ხვინჭიანი, ქვიანი ადგილია.

ამრიგად, **ვაზისუბნის** ისტორიული სახელი **ურიათუბანია**; სოფლის ტოპონიმურ მასალაში **სუპერსტრატული დანაშრევები** არ გვხვდება; მატოპონიმებელი ფუნქცია ძირითადად ეკისრება პატრონიმებს, მცენარეთა სახელებსა და გეოგრაფიული გარემოს სახელწოდებებს; პატრონიმები მეტწილად გვარსახელად ქცეული მეტსახელითაა წარმოებული; გვარსახელით (პირსახელისაგან განსხვავებით) ნაწარმოები ტოპონიმების სინტაგმები მიდრეკილია შეზრდილფუძიანობისაკენ; მცენარეთა სახელებით ნაწარმოები მიკროტოპონიმების ნაწილი სინტაგმის სახით არის წარმოდგენილი.

ლიტერატურა:

- აფრიდონიძე, შ. (1983). რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. V, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბაგრატიონი, ვ. (1997). საქართველოს ატლასი, თბილისი: გამომცემლობა „კარტოგრაფიული ფაბრიკა“.
- ბატონიშვილი, ი. (1986). ქართლ-კახეთის აღწერა (ტექსტი მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბერძენიშვილი, ნ. (1968). ლექსიანობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში: „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი 2, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ელერდაშვილი, ა. (2006). უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „ფანტაზია“.
- კემულარია, მ. (2013). ქვემო ქართლის ტოპონიმია, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- მაყაშვილი, ა. (1961). ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ორბელიანი, ს.-ს. (1991). ლექსიკონი ქართული. ტ. I (გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ), თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (1961). გამოცემა II.
- სახლთხუციშვილი, უ. (2003). გარეკახური ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ქსე, ტ. IV, (1979). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი: მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
- ლლონტი, ა. (1974). ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

Howard I. Aronson
ჰოვარდ ი. არონსონი

The University of Chicago
ჩიკაგოს უნივერსიტეტი
Division of the Humanities
ჰუმანიტაჲურ მეცნიერებათა განყოფილება

In Memoriam

Akaki Šanije
აკაკი შანიძე

26.II.1887–29.III.1987

Aḳaḳi Šanije

Few scholars and fewer linguists have played as major a role in the history of their countries as did Aḳaḳi Šanije (Shanidze). A founder of Tbilisi University, a founder of the Georgian Academy of Sciences, first to defend a doctoral dissertation at Tbilisi University, a codifier of the modern Georgian literary language, folklorist, philologist, linguist, *Baḡoni Aḳaḳi* deservedly became one of the great heroes of the Georgian people, a nation not lacking in heroes. But Šanije's significance extends far beyond the borders of his native land. For many of us outside of Georgia, his brilliant elucidation of the seeming chaos of Georgian grammar opened the door to the study of Georgian and the other Kartvelian languages, thereby making the wonders of Georgian history, literature, and all aspects of its culture accessible to us. For others of us, knowledge of the Georgian language, in its turns, helped to unveil the mysteries of the other languages and cultures of that "mountain of languages", the Caucasus. Šanije's influence on Kartvelian studies and general linguistic studies continues to be manifested in the works of these scholars both inside and outside of Georgia who felt his powerful influence, either directly or indirectly.

There is scarcely an area of Georgian and Kartvelian language study that has not benefited from Šanije's scholarship. Not just a leading philologist, he was also a true linguist in the most modern sense, a student of, among others, Baudouin de Courtenay and Ščerba. Structuralist linguists reading Šanije's works immediately find themselves in the presence of a kindred spirit.

Šanije was an exceptionally productive scholar. A bibliography¹ of his publications in the seventy year period from 1906 through 1976 contains over 760 entries – and it must be remembered that Šanije's scholarly productivity continued unabated until his death more than ten years later. The breadth of his interests is astonishing: folklore, history, literature, bibliography, pedagogy, Rustavelology, and in the domain of linguistics: dialectology, lexicology and lexicography, etymology, paleography, language codification. But it is not just the quantity of his research. The quality of Šanije's contributions is striking. One need just compare the grammars of Georgian written before Šanije with his to see what clarity he brought to the description of the structure of the language.

Šanije's major contributions were to the history and structure of Georgian and Kartvelian languages. Unquestionably our current understanding of the history and structure of Georgian results from his scholarly investigations in these areas. Among the many terms and concepts that he introduced to the study of Georgian are such essential notions as *xanmeḡi* and *haemeḡi* texts, *version*, *screeve*. It is Šanije who first proposed that Mingrelian and Laz be viewed as dialects of one language. The influence of his *Kartuli gramaḡiḳa, I. Morpologia* [Georgian grammar, I. Morphology; Tbilisi, 1930] and

¹ Jijiguri [Dzidziguri], Šota, chief editor. 1977. *Aḳaḳi Šanije: biobibliografija/Akakij Šanidze: biobibliografija*. Tbilisi: Mecniereba. In addition to listing his publications, the volume contains brief biographical sketches of Šanije in Georgian (pp. 5–24), Russian (pp. 25–44), and German (pp. 45–55).

the monumental *Kartuli gramaṭikis sapujvlebi* [Fundamentals of Georgian grammar; Tbilisi, 1953] can be seen in every subsequent analysis of Georgian, both inside and outside of Georgia. It is apparent in the grammatical studies of Rudenko, Vogt, and Tschenkéli, which in turn helped to make the structure of Georgian accessible to those who did not know Georgian. And his influence is still apparent in the works of the younger generations of Kartvelologists both inside and outside of Georgia.

For all practical purposes, Šanije is the codifier of the contemporary Georgian literary language. His Georgian language textbooks have introduced generations of Georgian pupils to the normative grammar of their native language.

The study of the history of Georgian language, the grammar of Old Georgian, and the study of Old Georgian literary texts, owe an immeasurable debt to Šanije's contributions to these fields. His *Jveli kartuli enis gramaṭika* [Grammar of Old Georgian;² Tbilisi, 1976], volume 18 in the outstanding series *Jveli kartuli enis ḳatedris šromebi* [Works of the Chair of Old Georgian Language], founded by Šanije, is a succinct but thorough survey of the grammar of the oldest Georgian texts. He is the editor of numerous definitive editions of Old Georgian texts. Simply stated, there is no area of Georgian linguistics and philology where Aḳaḳi Šanije has not left his mark.

One should not omit mention of Šanije's contributions to the study of Caucasian Albanian. To him belongs the first description and analysis of the alphabet of this Caucasian nation.

With these papers, we, non-Georgian scholars working in the fields of Caucasian linguistics, express our admiration, gratitude, and respect to a great scholar who has had an influence on all of us. We hope that these papers will serve as a fitting tribute to the memory of Aḳaḳi Šanije and testify to his enduring influence on our fields of study.

Chicago, June 1994

² Happily, an excellent translation by Heinz Fähnrich of this grammar exists: Schanidse, Akaki, 1982. *Altgeorgisches Elementarbuch, 1. Teil. Grammatik der altgeorgischen Sprache*. Tbilissi: Staatsuniversität Tbilissi, Schriften des Lehrstuhls für altgeorgische Sprache, 24.

ჯაკი შანიძე¹

ცოტა თუ მოიძებნება მეცნიერი, მით უფრო ლინგვისტი, რომელსაც ისეთი დიდი წვლილი შეეტანოს თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორც აკაკი შანიძე. თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი, პირველი დისერტანტი, რომელსაც სადოქტორო ხარისხი თბილისის უნივერსიტეტში მიენიჭა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი, ფოლკლორისტი, ფილოლოგი და ლინგვისტი – ბატონი აკაკი – დამსახურებულად გახდა ერთი ყველაზე დიდი და ანგარიშგასაწევი ფიგურა ქართველი ხალხისათვის, იმათთვის, ვის ისტორიასაც სახელოვანი გმირები არ უკვირს. თუმცა აკაკი შანიძის მნიშვნელობა მისი სამშობლოს საზღვრებს შორს გასცდა. მისმა ბრწყინვალე შრომებმა, რომელთა შემდეგობით ქართული ენის გრამატიკის იქამდე ბუნდოვან და ერთი შეხედვით უწესრიგო სისტემას მოეფინა ნათელი, ჩვენ, უცხოეთში მყოფებს, გზა გაგვიხსნა ქართულისა და სხვა ქართველური ენების შესასწავლად, ამან კი შესაძლებლობა მოგვცა გაგვეგო საქართველოს გასაოცარი ისტორიის, ლიტერატურის შესახებ და ყოველმხრივ გავცნობოდით ამ ქვეყნის კულტურას. ზოგიერთ ჩვენგანს ქართული ენის ცოდნა თავის მხრივ იმაში დაეხმარა, რომ ფარდა აეხადა „ენათა მთად“ წოდებული კავკასიის სხვა ენებისა და კულტურების საიდუმლოებისათვის. კვალი, რომელიც აკაკი შანიძემ ქართველოლოგიური დარგებისა და ზოგადი ენათმეცნიერების კვლევას დააჩნია, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მყოფი ყველა იმ მეცნიერის ნაშრომებში აისახება, რომლებზეც შანიძე პირდაპირ თუ ირიბად ახდენს ძლიერ ზეგავლენას.

ქართულ და ქართველურ ენათა კვლევის სფეროში თითქმის ვერ ნახავთ დარგს, რომელმაც აკაკი შანიძის განსწავლულობით წინ არ წაინია. იგი, მრავალი სხვის გარდა, ბოდუენ დე კურტენესა და შჩერბას სტუდენტი, არა მხოლოდ გამოჩენილი ფილოლოგი, არამედ ნამდვილი ლინგვისტიც ბრძანდებოდა ამ სიტყვის ყველაზე თანამედროვე გაგებით. მისი გამოკვლევების წაკითხვისას სტრუქტურალისტი ლინგვისტი უმაღვე მონათესავე სულს ამოიცნობს.

¹ წინამდებარე წერილი დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის არასლავური ენების შესახებ 1985 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში გამართული მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებულში (არონსონი 1994, გვ. 9-11), რომლის რედაქტორის, ჰოვარდ ი. არონსონის, წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „კრებულში შეტანილი ნაშრომები, რომლებიც კავკასიის ენებს შეეხება, წარმოდგენილი იყო აკაკი შანიძის დაბადებიდან 98-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. იმედი გვქონდა, რომ მას მე-100 დაბადების დღეს მივულოცავდით ამ და კიდევ სხვა, კონფერენციაზე წაუკითხავად დარჩენილი ნაშრომების ბეჭდური ვერსიით 1987 წელს. მაგრამ 1987 წლის 29 მარტს, სულ რაღაც ერთ თვეში მისი 100 წლის იუბილეს გამო 26 თებერვალს გამართული ზეიმიდან, აკაკი შანიძე გარდაიცვალა და, ამდენად, ეს კრებული, თავდაპირველად სხვაგვარად ჩაფიქრებული, უდიდესი მეცნიერის მარადიული ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალურ ნიგნად იქცა“ [არონსონი 1994:5] (მთარგმნელის შენიშვნა).

აკაკი შანიძე განსაკუთრებულად ნაყოფიერი მეცნიერი გახლდათ. მისი ბიბლიოგრაფია², რომელიც 1906-იდან 1976 წლამდე 70-წლიან პერიოდს მოიცავს, 760 სტატიას აჭარბებს; და თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შანიძეს არც 1976 წლის შემდეგ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეუწყვეტია სამეცნიერო მუშაობა. საკვირველია მისი ინტერესების სიფართოვე: ფოლკლორისტიკა, ისტორიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია, პედაგოგიკა, რუსთველოლოგია, ლინგვისტიკის მიმართულებით: დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ლექსიკოგრაფია, ეტიმოლოგია, პალეოგრაფია, ნორმალიზაცია. აქ ლაპარაკი უბრალოდ რაოდენობაზე როდია, განცვიფრებას აკაკი შანიძის შრომათა ხარისხი იწვევს. შანიძის გრამატიკის მარტოდენ შედარებას საკმარისია მანამდე დაწერილ ქართული ენის გრამატიკებთან, რომ დავინახოთ, როგორი სიცხადე შესძინა მან ქართული ენის სტრუქტურის აღწერის საქმეს.

აკაკი შანიძის უდიდესი წვლილი ქართული და ქართველური ენების ისტორიის კვლევას უკავშირდება. რაც დღეს ჩვენ ქართული ენის ისტორიასა და სტრუქტურაზე ვიცით, ეჭვს გარეშეა, ყველაფერი მისი კვლევა-ძიების დამსახურებაა. მრავალ ცნება-ტერმინს შორის, რომლებიც მან შემოიტანა ქართული ენის კვლევაში, არის ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნებები, როგორიცაა: *ხან-მეტი* და *ჰაემეტი* ტექსტები, *ქცევა*, *მწკრივი*. შანიძემ პირველმა წამოაყენა წინადადება, რომ მეგრული და ქანური ერთი ენის დიალექტებად ყოფილიყო განხილული. მისი „*ქართული გრამატიკისა*“ [ქართული გრამატიკა, I. მორფოლოგია; თბილისი, 1930] და მონუმენტური „*საფუძვლების*“ [ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია; თბილისი, 1953] ზეგავლენის კვალს შეხვდებით მომდევნო ხანების ყოველ გამოკვლევაში, რომლებიც კი ქართული ენის შესახებ დაწერილა საქართველოშიც და უცხოეთშიც. ეს შესამჩნევია რუდენკოს, ფოგტისა და ჩხენკელის გრამატიკულ შრომებში, რომლებიც თავის დროზე ქართული ენის აღნაგობის გარკვევაში ეხმარებოდა ყველა იმას, ვინც ქართული არ იცოდა, და ამ გავლენას კვლავაც ვხედავთ ახალი თაობის ქართველოლოგთა ნამუშევრებში როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ.

პრაქტიკული მიზნების მიმართულებით უნდა ითქვას, რომ აკაკი შანიძე არის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი. მისი ავტორობით დაბეჭდილმა ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებმა ქართველი მოწაფეების არაერთ თაობას გააცნო მშობლიური ენის ნორმატიული გრამატიკა.

ქართული ენის ისტორიის, ძველი ქართულის გრამატიკისა და ძველი ქართული წერილობითი ტექსტების შემსწავლელი დარგები განუზომლად

² ძიდიგური შ. (მთ. რედაქტორი), *აკაკი შანიძე: ბიბლიოგრაფია*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1977. ბიბლიოგრაფიასთან ერთად წიგნში დაბეჭდილია მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევები აკაკი შანიძის შესახებ ქართულ (გვ. 5 – 24), რუსულ (გვ. 25 – 44) და გერმანულ (გვ. 45 – 55) ენებზე (ავტ. შენიშვნა).

არიან დავალებული აკაკი შანიძის სამეცნიერო კვლევა-ძიებით. მისი „ძველი ქართულის გრამატიკა“ [ძველი ქართული ენის გრამატიკა³; თბილისი, 1976], მე-18 ტომად დაბეჭდილი აკაკი შანიძის მიერვე დაარსებულ *ძველი ქართული ენის კათედრის შრომების* სანაქებო სერიაში, მართალია, მოკლე, მაგრამ ზედმინევენითი მიმოხილვაა უძველესი ქართული ტექსტების გრამატიკისა. შანიძის რედაქტორობით გამოიცა კრიტიკულად დადგენილი ბევრი ქართული ტექსტი. ერთი სიტყვით, ქართულ ლინგვისტიკასა და ფილოლოგიაში არ არის სფერო, რომელსაც აკაკი შანიძემ ხელი არ დააბრუნა.

შეუძლებელია აღუნიშნავი დარჩეს ვისმე აკაკი შანიძის წვლილი კავკასიის ალბანურის შესწავლაში. მას ეკუთვნის კავკასიის ამ ქრისტიანი ხალხის ანბანის პირველი აღწერა და ანალიზი.

ჩვენ, კავკასიური ლინგვისტიკის დარგში მომუშავე არაქართველი მეცნიერები, წინამდებარე გამოკვლევებით გამოვხატავთ ჩვენს აღტაცებას, მადლიერებასა და პატივისცემას იმ უდიდესი მეცნიერის მიმართ, რომელმაც თითოეულ ჩვენგანზე იქონია ზეგავლენა. ვიმედოვნებთ, რომ ამ ნაშრომებით ჯეროვან პატივს მივაგებთ აკაკი შანიძის ხსოვნას და დავადასტურებთ მის მუდმივ ავტორიტეტს ჩვენი კვლევის სფეროში.

ჩიკაგო, ივნისი, 1994 წ.

ინგლისურიდან თარგმნა შოთა პაპავამ

ლიტერატურა:

არონსონი, ჰ. (1994). Howard I. Aronson, *Non-Slavic Languages of the USSR: Papers Form the 4th Conference*, Columbus, Ohio, Slavica Publishers, Inc. (318 p.).

³ საბედნიეროდ, მოგვეპოვება ამ გრამატიკის ჩინებული თარგმანი ჰაინც ფენრიხისა: Schanidse, Akaki, 1982. *Altgeorgisches Elementarbuch, 1. Teil. Grammatik der altgeorgischen Sprache*. Tbilissi: Staatsuniversität Tbilissi, Schriften des Lehrstuhls für altgeorgische Sprache, 24 (ავტ. შენიშვნა).

რუსუდან ზექალაშვილი
Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

გერმანელი ქართველოლოგის ახალი ნაშრომი
აკადემიკოს აკაკი შანიძის ღვაწლზე¹
New Research by German Kartvelologist about the Merit of
Academician Akaki Shanidze

საკვანძო სიტყვები: აკაკი შანიძე, ჰაინც ფენრიხი, ახალი ქართული ენა, ძველი ქართული ენა, ქართული ხელნაწერები, ქართველოლოგია
Keywords: Akaki Shanidze, Heinz Fähnrich, New Georgian Language, Old Georgian Language, Georgian Manuscripts, Kartvelology

¹ ნაკითხულია მოხსენებად აკად. ა. შანიძის დაბადებიდან 135-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (26.02.2022).

A new book by well-known kartvelologist prof. Heinz Fähnrich has been published in Germany; it is dedicated to the life and diverse activities of Georgian *Academician* Akaki Shanidze. Title: “Akaki Shanidze in service of science and Georgian nation” (Düren: Shaker, 2021) (Fähnrich 2021).

Heinz Fähnrich has had much merite to Kartvelian linguistics and philology. At the beginning of his work, he was interested in archeology and was doing his work in this field but since 1960 he got interested in Caucasian studies and began to study it at Jena. In 1969 Fähnrich had his first dissertation paper (Promotion) defense; then he arrived to Georgia, became Akaki Shanidze’s postgraduate student and in 1971 he had his dissertation paper (Habilitation) defense at Tbilisi State University, in Georgian language. He translated Akaki Shanidze’s book “Old Georgian Grammar” (Shanidze 1982). He also founded the yearly German- language scientific journal “Georgica” and was its editor-in-chief (1978-2006), he worked as the head of Department of Caucasiology (Caucasian Studies) at Friedrich Schiller University of Jena (1986-2006); from 1996 he is a foreign member of the Georgian *National Academy of Sciences*, the author of many scientific works, among them, the dictionaries, also a translator of Georgian literary pieces and folklore.

The new book by prof. Heinz Fähnrich introduces to the readers the life and work of prof. Akaki Shanidze, great Georgian linguist, Academician of Georgian Academy of sciences (1941) and describes his great merit towards the linguistics as a science. The book consists of the following paragraphs:

- The road of life before the Doctor dissertation;
- Shanidze’s scientific activities in the field of the New Georgian language;
- Old Georgian language;
- Observations about Kartvelian languages;
- Researches in the field of Georgian dialects;
- His works in Rustvelology;
- Publishing of the Old Georgian manuscripts;
- Researches in lexis;
- Reading the ancient Georgian inscriptions;
- Albanian script and language;
- Selective bibliography of Akaki Shanidze’s works.

At the end there is the list of works edited under the title “Caucasian series” in 1991-2017 (some works of the undergraduate german students of the Caucasiology specialty among them).

In the introduction, H. Fähnrich remembers the remarkable date, the year 1968, when Akaki Shanidze was given the honorary title of the doctor of philosophy at the philosophy faculty of Friedrich Schiller University of Jena.

The part in which A. Shanidze’s biography is given, tells about his difficult but very interesting and meaningful life; his merit in the complex job of foundation of Tbilisi State

University is underlined; in this part, the author also writes about importance of Akaki Shanidze's first dissertation work for the Doctor degree (it was A. Shanidze's work on the person marks of the verb in Old Georgian), the special work of the scholar done in the sphere of Kartvelology and Caucasiology in general, is underlined; his researches on grammatical structures, his great deal in the process of Georgian and Caucasian languages investigations, also in the job of development of the Georgian language studying within the school programs and at the Universities of Georgia are also precious.

In the chapters of his book, the author discusses Akaki Shanidze's fundamental researches in the fields of the New Georgian and Old Georgian, in Georgian dialects, in Kartvelology, in the lexical sphere, in the process of Old Georgian manuscripts' researches, in discovering and systematization of the Alban language manuscripts, in proper reading and dating of the Old Georgian inscriptions, in Kartvelology; special attention is paid to the fundamental works: "Georgian dialects in the Mountain regions" from 1915 (Shanidze 1981); "Basics of the Georgian language grammar" (Shanidze 1973); "Grammar of the Old Georgian Language" (Shanidze 1976); "Sinai Polycephalon of the year 864" (Shanidze was the editor of this fundamental work) (Shanidze 1959), "Symphony of "Vepxistkaosani" (The Knight in the Panther's Skin) (1956), he also edited the Georgian folk poetry and others.

The author underlines also Akaki Shanidze's tribute to the studying of the noun and verb categories in Georgian, his great deal in work on the system of series and tense-mood forms (*mtskrives*) in Georgian verb conjugation; in showing agglutination and synthesis in the Georgian verb structure. Basing on Akaki Shanidze's works, the author suggests 25 verb components (personal marks, marks of tense-mood forms, morphological markers of the verb categories – chains of prefixes and suffixes which can be separated out in the verb forms (e.g. *ze-ča-mo-i-čr-a*, *da-gv-a-tvalier-eb-in-eb-d-nen* and others the like).

Besides, prof. Heinz Fähnrich discusses in details the importance of the Georgian inscriptions in Georgia and abroad (the Georgian inscriptions of Bolnisi, Urbnisi, Ukangori, Palestine). In this part of the book, along with the great work by Akaki Shanidze, the important stages are shown in the history of Georgian literary language development such as main changes and gradual language formation basing on which Akaki Shanidze reached the main and important goal of phasing the process of Georgian language development.

Tao-Klarjeti school is mentioned in his work with the manuscripts written there, also the activities taking place in Gelati and Ikhaltó ancient academies, other places abroad where Georgian language educational activities are mentioned.

Heinz Fähnrich's book about Akaki Shanidze is an a really important acquisition for Kartvelology.

გერმანიაში გამოიცა გამოჩენილი ქართველოლოგის, პროფ. ჰაინც ფენრიხის, ახალი წიგნი, რომელიც ეძღვნება აკად. აკაკი შანიძის ცხოვრებასა და მრავალმხრივ მოღვაწეობას: „აკაკი შანიძე – მეცნიერებისა და ქართველი ერის სამსახურში“ (Fährnich 2021).

ჰაინც ფენრიხს დიდი დამსახურება აქვს ქართული ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის წინაშე. მართალია, ის თავდაპირველად არქეოლოგიას ეუფლებოდა, მაგრამ 1960 წლიდან დაინტერესდა კავკასიოლოგიით, რომლის შესწავლა იენაში დაიწყო. 1969 წელს ფენრიხმა დაიცვა პირველი დისერტაცია (Promotion), შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა ქართულის ცოდნის გასაღრმავებლად და გახდა აკაკი შანიძის ასპირანტი. უკვე 1971 წელს მან თბილისის უნივერსიტეტში ქართულ ენაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (Habilitation) და არასოდეს გაუწყვეტია კავშირი თავის დიდ მენტორთან. ამის ერთ-ერთი დასტურია, რომ მან გერმანულად თარგმნა აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ (შანიძე 1982); ბატონი ჰაინცი გახლდათ გერმანულენოვან ჟურნალ „გეორგიკის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1978-2006), კავკასიოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი იენაში (1986-2006). 1996 წლიდან პროფ. ჰ. ფენრიხი საქართველოს ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრია, ავტორია ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში უამრავი სამეცნიერო ნაშრომისა (მათ შორის – ლექსიკონებისა), თარგმნა ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები და ქართველური ფოლკლორული ნიმუშები.

გერმანელი ქართველოლოგის ახალი წიგნი მკითხველს აცნობს დიდი ქართველი ენათმეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს აკაკი შანიძის ცხოვრების ძირითად მომენტებს და წარმოაჩენს მის განუზომელ ღვაწლს ენათმეცნიერების წინაშე. წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და რამდენიმე ქვეთავისაგან:

- Werdegang bis zur Promotion [ცხოვრების გზა სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე];
- A. Schanidises Arbeit zur neugeorgischen Sprache [ა. შანიძის მოღვაწეობა ახალ ქართულ ენაში];
- Altgeorgische Sprache [ძველი ქართული ენა];
- Beobachtungen zu den Kartwelsprachen [დაკვირვებები ქართველური ენების შესახებ];
- Forschungen zu den Dialekten [კვლევები ქართული დიალექტების შესახებ];
- Rustwelologische Arbeiten [რუსთველოლოგიური შრომები];
- Editionen altgeorgischer Schriften [ძველ ქართულ ხელნაწერთა გამოცემები];
- Wortschatzstudien [ლექსიკის კვლევები];
- Lesungen georgischer Inschriften [ქართული წარწერების წაკითხვა];
- Albanische Schrift und Sprache [ალბანური დამწერლობა და ენა].

- Akaki Schanidse – Auswahlbibliographie [აკაკი შანიძის შრომების მოკლე ბიბლიოგრაფია ქართული და გერმანული დასახელებებით].

ნიგნს დართული აქვს 1991-2017 წლებში „კავკასიის სერიით“ გამოცემულ ნაშრომთა ნუსხა (მათ შორის – კავკასიოლოგიის სპეციალობის რამდენიმე გერმანელი მაგისტრანტიც).

უპირველეს ყოვლისა, ჰ. ფენრიხი პატივისცემით იხსენებს 1968 წელს, ღირსშესანიშნავ თარიღს, როცა აკაკი შანიძეს მიენიჭა ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

ბიოგრაფიულ ნაწილში მოთხრობილია აკად. აკაკი შანიძის ცხოვრების რთულ, მაგრამ უაღრესად შინაარსიან გზაზე: ბავშვობა სოფ. ნოლაში, სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ – პეტერბურგის უნივერსიტეტში, ურთიერთობა დიდ მეცნიერებთან: ნიკო მართან, ივანე ჯავახიშვილთან და სხვ. ხაზგასმულია მისი დიდი დამსახურება თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში; ლაპარაკია ახალ ქართულ უნივერსიტეტში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაციის განუზომელ მნიშვნელობაზე: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920); ნაჩვენებია ენათმეცნიერის უდიდესი ღვაწლი ქართველოლოგიასა და საერთოდ კავკასიოლოგიაში, ყურადღება მიქცეული აკაკი შანიძის გრამატიკული კვლევების წვლილზე ენათმეცნიერებაში, ასევე მშობლიური ენის სწავლების საქმეში საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ავტორი განიხილავს დიდი მეცნიერის ძირითად გამოკვლევებს ახალ და ძველ ქართულ ენებში, ქართველურ ენებში, ქართული ენის დიალექტებში, რუსთველოლოგიაში, ლექსიკის სფეროში, აღნიშნავს მეცნიერის დიდ დამსახურებას ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემის საქმეში, ქართული წარწერების ნაკითხვასა და დათარიღებაში, ალბანური ხელნაწერების აღმოჩენასა და სისტემატიზაციაში. განსაკუთრებით გამოყოფილია რამდენიმე ნაშრომი: 1915 წელს დაბეჭდილი „ქართული კილოები მთაში“ (შანიძე 1981), „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ (შანიძე 1973), „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ (შანიძე 1976), მისი რედაქტორობით გამოცემული „სინური მრავალთავი 864 წლისა“ (შანიძე 1959), მეცნიერის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია (1956), ხალხური პოეზიის ნიმუშები და სხვ.

საინტერესოდ წარმოაჩენს ავტორი აკაკი შანიძის დამსახურებას ქართული ენის სახელური და ზმნური კატეგორიების შესწავლაში, სერიებისა და მწკრივების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებაში, ზმნის უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიების გამოყოფაში, მისი აგლუტინაციური და სინთეზური ბუნების ჩვენებაში. ა. შანიძის შრომებზე დაყრდნობით ფენრიხი ჩამოთვლის ზმნის 25 სავარაუდო კომპონენტს: პირის, რიცხვისა და მწკრივის ნიშნებს, სავარაუდოებს, კატეგორიათა მორფოლოგიურ მაჩვენებლებს – პრეფიქსებისა და სუფიქსების ერთგვარ ჯაჭვს, რომელთა გამოცალკევება შესაძლებელია ზმნურ

ფორმაში (მაგალითებად ასახელებს ამ ორ ფორმას, რომლებშიდაც რამდენიმე მორფემაა თავმოყრილი: ზე-ნა-მო-ი-ჭრ-ა, და-გვ-ა-თვალიერ-ებ-ინ-ებ-დ-ნენ და სხვ.)

ამას გარდა, პროფ. ჰაინც ფენრიხი ჩამოთვლის ძველი ქართული კულტურის კერებს, აღწერს ადრე იქ მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობას, მსჯელობს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ქართულ წარწერებზე საქართველოსა და უცხოეთში (ბოლნისის, ურბნისის, უკანგორის, პალესტინისა და სხვ.), ფასდაუდებელ ქართულ ხელნაწერებზე, ასახელებს მთავარ მახასიათებლებს, რომელთა საფუძველზეც დიდმა მეცნიერმა შეძლო ძველ ქართულ ენაში რამდენიმე პერიოდის გამოყოფა. აკაკი შანიძის დიდი ღვაწლის ჩვენებასთან ერთად საკმაოდ ვრცელადაა მიმოხილული ქართული სალიტერატურო ენის განვითარების, ძირითადი ცვლილებებისა და ჩამოყალიბების გზა, ძველი ქართულის ანალიზური ფორმების ჩანაცვლების პროცესი სინთეზურით, ბრუნებისა და უღლების ფორმათა, ასპექტის სისტემის ცვლა.

წიგნში ნახსენებია ტაო-კლარჯეთის სკოლა და იქ გადაწერილი ხელნაწერები, გელათისა და იყალთოს აკადემიებში წარმართული საქმიანობა; განხილულია დიდი ენათმეცნიერის ნაშრომები ქართული ენის დიალექტებისა და ქართველური ენების შესახებ, განსაკუთრებით გამოყოფილია „ქართული კილოები მთაში“ (1915) და „უმლაუტი სვანურში“ (1925). მეცნიერის დიდი ფილოლოგიური აღლოს დასტურად მოყვანილია ქართული წარწერები, რომელთა ამოკითხვაც მეცნიერმა შეძლო, ასევე, ალბანური დამწერლობისა და ენის შესახებ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

დიდი ადგილი ეთმობა მსჯელობას აკაკი შანიძის დამსახურებაზე ძველი ქართული ტექსტების გამოცემის საქმეში, რომელთა შორისაა: ჰაემეტი ტექსტები (1923), ხანმეტი მრავალთავი (1927), ქართული ხელნაწერები გრაცში (1927), ხანმეტი ლექციონარი (1944), ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (1945), წიგნი ძუელისა აღ-თქუმისანი (1947; 1948), სინური მრავალთავი 864 წლისა (1959) და სხვ.

ვფიქრობთ, ჰაინც ფენრიხის წიგნი აკაკი შანიძის შესახებ ქართველოლოგიისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ლიტერატურა:

ფენრიხი, ჰ. – Fähnrich, H. (2021). Im Dienst der Wissenschaft und der georgischen Nation – Akaki Schanidse, Kaukasus-Reihe, Düren: Shaker Verlag.

შანიძე, ა. (1959). სინური მრავალთავი 864 წლისა: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 5, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, მორფოლოგია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- შანიძე, ა. (1981). ქართული კილოები მთაში: თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1984, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- შანიძე, ა. (1982). ელემენტარული წიგნი ძველი ქართული ენის შესასწავლად, 1-ელი ნაწილი, ძველი ქართული ენის გრამატიკა (ქართულიდან თარგმნა ჰაინც ფენრიხმა), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ძიძიგური, შ. (1987). აკაკი შანიძე, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და მარიამ ებრალიძე
On publication worked Natia Dvali and Mariam Ebralidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Publishing House

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

